


პეპა

13



1168
2010

რამომ
დადის ნანკა
ჩაღურჯაბული
თვალთ

კახა
კალაქის
„აქილევსის
ქუსლი“

„რელსებიდან“
გადასული
ქალის
ცხოვრება

„ესპანელაბა მუჟის
როლი უმომთავაზეს“

ტომი №35
კობე ჯანდიერი

შეგიძლიათ შეიძინოთ
„პეპა“ ამ ნომერთან ერთად!
წიგნი და „გზა“ ერთად
4 ლარი ღირს
შედეგი ტომი
ლევან სანიკიძე




უკანსო
სიყვარულისგან
გარდასვლილი
ქალბატონის
უკანასკნელი ბარათი


ივრით გამოგრძილი აბტარები



„პრეპარ სხლვი პურიხ არ გეძონდა“



პოლიტიკოსად
ქმნული ფსიქოლოგის
გულახდილი ინტერვიუ



ჩვენებს გამოქმნული
ჩივნი ქალის აღსარება
„ქართულ მოზარდას ვნერთინი“








შემოდგომა-ზამთრის მოდის ტენდენციები



წიგნი

რომელიც უნდა
გავიხიოთ
სანამ ცოცხალი ხარ!



და სხვა
დღე
წიგნები...

8 ნოემბრიდან

„კვირის პალიგრასთან“ ერთად


„კვირის პალიგრას“ ხელმომწერთა საყურადღებოდ! წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდით „პლავა.ჯი“-ს გულ: 38 26 73; 38 26 74 კურიერი ყოველ წიგნს ადგილზე მოგართმევთ.



BRITISH CENTRE

ირინა ონაშვილი:

„პირველივე გაკვეთილიდან მივხვდი, რომ ზუსტად იქ მოვხვდი, სადაც საჭიროყო. საოცრად კარგი გარემოა, თბილი ატმოსფერო, ამასთან ერთად უმაღლეს დონეზეა დისციპლინა. ძალიან ხშირად მიწევს უცხოელ მეგობრებთან ურთიერთობა და ვატყობ, რომ ჩემი ინგლისური საოცრად დაიხვეწა. კომპლექსი არასდროს მქონია და რა დონეზეც ვიცოდი, ისე ვლაპარაკობდი, მაგრამ ახლა უკვევამაყობ ჩემი ინგლისურით. აუცილებლად ვაპირებ სწავლის გაგრძელებას ბრიტანულ ცენტრში და ამ დონეზე არ გავჩერდები.“



ნიკო კეჟერაშვილი:

“ბრიტანულ ცენტრში” მეგობრების რჩევით მოვედი და მან ჩემს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სასიამოვნო ატმოსფერომ და ჯგუფურმა გაკვეთილებმა გამიადვილა ენის შესწავლა და ახლა დაბრკოლებების გარეშე შემიძლია ინგლისურად საუბარი. პროგრამის ბოლო საფეხურზე გულიც კი მწყდება, დარგან დასასრულს მივუახლოვდი. ჩემი მიზანია TOEFL-ის ან Cambridge-ის სერტიფიკატი ავიღო და ახლა უკვე მზად ვარ გავიდე ტესტირებაზე.“



მაია ტატიშვილი: მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი.

“ბრიტანულ ცენტრში ყველა პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ ნებისმიერი ასაკისა და პროფესიის ადამიანი შეესაბამებოდეს ინგლისური ენის სწავლების უნიკალური მეთოდი, მაღალკვალიფიციური მასწავლებლები, გულისხმიერი და თავაზიანი მენეჯერები, მყუდრო გარემო, უაღრესად ხელმისაწვდომი ფასი... ნუ დააყოვნებთ, მოზრძანდით ბრიტანულ ცენტრში! Welcome!“



დარო ხარშილაძე: მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი.

დიდი მადლობა ბრიტანულ ცენტრს და მას, ვინც ქალანის მეთოდით სწავლება შემოიღო საქართველოში. ვისაც სურს ინგლისური ენის სწრაფად და საფუძვლიანად შესწავლა, იცოდეს რომ ეს მხოლოდ ბრიტანულ ცენტრშია შესაძლებელი!



რუსთაველის 36; ტელ: 933 878; 989 999; 934 000
აღმაშენებლის 189; ტელ: 941 111; 952 222
ვალთაშვილის 60; ტელ: 221 915
კახიანის 9; ტელ: 332 557; 514 143

როდენი - წონაში დასაკლები უნიკალური საშუალება!

მისი დროული მიღება თავიდან აგასილებთ წონაში მატებასას

- ეხმარება სუფთა, ბუნებრივი ჰილდატი
- Ⓝ ხელს უშლის ნახშირწყობის სნიებაში ბადასვანს
- Ⓝ ხელს უწყობს სნიებაის ბოლომდე დაწვას
- Ⓝ ეხმარება მადან ენეხიის მომახების ფონზე
- Ⓝ წოხამდე დაწყავს სიმსაუნის ჰოხომონი დაჰბინი და ჰოცასბინინი
- Ⓝ მოხანიზმიდან ბამოაჰვს ზადმაბი სითსა და ჰდანაბი
- Ⓝ აწახიბაბს საჰბინს მომნადეაბად სისბამას

როდენი



მოგვაკითხეთ მისამართზე:
 თბილისი, რუსთაველის გამზ. №28
 ან მიმართეთ „ნოფარმის“ და
 „ჯი პი სის“ სააფთიაპო ქსელს,
 როგორც თბილისში, ასევე
 ქუთაისსა და ბათუმში.
 დაგვიკავშირდით ტელ. ნომრებზე
 99 00 14; 895308405;
 893 668318; 897117867;
 e-mail - promoita@mail.ru
nikosaniitd@mail.ge

მიღების წინ გაცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლემების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ამის

ჩემი საყვარელი ზღაპრები



ყოველ პარასკევს, ჟურნალ
 „საბავშვო ჟარუსელთან“ ერთად
 პატარების საყვარელი
 ზღაპრების თითო წიგნი!

გახართ
 პატარა
 საყვარელი
 ზღაპრების!



წიგნის ფასი 4 ლარი
 (ჟურნალთან ერთად 5 ლარი)

29 თებერვლიდან
 5 ნოემბრამდე



უავე გავოსული წიგნები გუბიქლიათ გუბიქნოთ წიგნის მალაზიებაში!



თავისუფლება ქართველ ქროსებს!

ბათუმში ზღვაში ცურვა 11 ნოემბრამდე შეიძლებაო, — მიშამ ბრძანა და საფრანგეთში გაიქცა; „პატარა საქმე“ აქვს და მალე ჩამოვა, რათა 11-მდე კიდევ ერთხელ მოასწროს „გახვანჩალება“ ...

7



უსტრესოდ გადაბანილი გაყრა

„მსუბუქი ყოფაქცევის არა ვარ, მაგრამ ყველა ჩემი გმირი რალაცით ნამდვილად მგავდა. საკუთარი თავის თამაში კი ნამდვილად არ გამჭირვებია“.

18

ცხოვრება



„სიმღერით გაბთბარი მინა“



„თემურ ჭკუასელის შემოქმედებას აქამდეც ვიცნობდი, მაგრამ ამ სცენარმა ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა. შესანიშნავი რამ დაუნერია მხატვრულად, საინტერესოდ. თვითონ მუსიკოსია და არაჩვეულებრივად აქვს გადმოცემული მუსიკის წამყვანი როლი ტყვეების ცხოვრებაში. მოქმედება კი მართლაც, კინოს პრინციპით ვითარდება“.

26



- **მინიატიურები** 5
თავისუფლება ქართველ ქროსებს!
- **ჭრელი მსოფლიო** 6
- **პოლიტიკა** 7
- **კრიტიკალი** 10
- **სამართალი** 11
- **კოლაჟი** 14
- **„ვარსკვლავების აკადემიიდან“ —**
ექსტრემალურ რეპორტაჟამდე
- **ასპარაზი** 16
კახა კალაძე: დღესდღეობით, ვისაც ნაკრებში იძახებენ, საუკეთესონი არიან
- **აგვლუა** 18
- **ნარმაჯაბა** 20
გამარჯვება „სლავიანსკი ბაზარზე“ ...
- **მსახიობი** 22
„დახვავებული“ როლები, უსტრესოდ გადაბანილი გაყრა და ჭკუის დამრიგებელი თინანო
- **ეკრანს მიღმა** 24
ტურფასა და ჭიამიას მითური კავშირი და რეჟისორის მიერ ფირზე აღბეჭდილი ლიკა შუბითიძის ტკივილი
- **სულის სიმჭიკი** 26
რუსულ ტყვიას გამოქცეული ჩეჩენი ქალის აღსარება
- **გვირაქვოს!** 29
ნივრით გამოზრდილი პატარები და საკუთარ ჭერზე მეოცნებე 9-შვილიანი დედა
- **კვალი** 30
„სიმღერით გაბთბარი მინა“ — ფილმი ორ ომსა და დიდი ქართველების ოჯახზე
- **დრონი** 33
ჯონ ლენონი — ყველაზე პოპულარული „ხოჭო“

მზაგნილები

ყველაზე გადნიერი ადამიანი, რომელიც ოდესმე მინახავს



ვინ იცის, რა არის ბედნიერება? ზოგისთვის ერთი ნატეხი პური, ზოგისთვის — თავისუფლება, გამართლებული სიყვარული, ბევრი ფული, ჯანმრთელობა, მიზნის მიღწევა... ამბობენ, ეს ცხოვრება პატარ-პატარა ბედნიერებებისგან შედგებაო და... სიმართლე რომ გითხრათ, ვერ ვიხსენებ, ბოლოს როდის ვიგრძენი თავი ბედნიერად...

74

■ ისტორიული ლაბირინთები	36
კრწანისის ბრძოლა და რუსული ინტრიგა	
■ ღიზაინური	39
ბათუმის შთაგონებით შექმნილი მოდელები და უცხოელების დაკვირვების ქვეშ მყოფი დიზაინერი	
■ ოსტატი	40
■ ეს სამყაროა	42
■ საკითხავი ქალაქისათვის	44
■ ჩემი სახლი	46
ინტერიერის დიზაინერის რჩევები ზედმეტ პრობლემებს თავიდან ავაცილებთ	
■ ანტიდეკორაციონი	48
■ ავტო	48
■ ტაქარი	50
■ ჯანმრთელობა	52
■ პერსონა	54
პოლიტიკოსად ქცეული ფსიქოლოგის აღიარება	
■ სანიჟარული ბარათი	57
ასე უყვარდათ წინათ...	
■ სპაშარი	58
საქართველოში ასრულებული ოცნება	
■ თინეიჯერული პონტაჟი	59
თინეიჯერული მოდა	
■ წვეთი პოეზია	62
■ სახსოვარი	63
■ პროზა	64
კოტე ჯანდიერი. გლობალიზაცია (ნანყვეტი)	
■ შანტაგოგის ღაბაღაღი	66
ინტერვიუ მიცვალებულთან (გაგრძელება)	
■ რუმანი	70
სვეტა კვარაცხელია. რომანტიკა თუ დანაშაული?!	
(გაგრძელება)	
■ გზაწილავი	74
ყველაზე ბედნიერი ადამიანი, რომელიც ოდესმე მინახავს	
■ ყველა ერთისათვის	78
■ მოგილი-ზახია	80
■ მოლა	86
■ საზრდო	90
■ ერუდიტი	92
■ გასართობი	94
■ ასტროლოგია	96
■ სკანოკრი	97
■ საფირმო კოსმოლოგი	98

სამყარო



კრწანისის ბრძოლა და რუსული ინტრიგა

„საინტერესოა, რომ ალა მაჰმად ხანმა ქართლ-კახეთში მოსალოდნელი ლაშქრობის თაობაზე საკუთარ ჯაშუშებს თავიდანვე გაავრცელებინა ხმა და შესაბამისად, ერეკლე II-მ შეიტყო, რას აპირებდა სპარსეთის გამგებელი“.

36

ადამიანი



ასე უყვარდათ წინათ...

სრულიად შემთხვევით, ხელში ჩამივარდა გაყვითლებული ფურცლები, რომელიც უემოციოდ ვერ წავიკითხე. ეს გახლავთ შეყვარებული ქალის მიერ გასული საუკუნის 40-50-იან წლებში დაწერილი ვრცელი ბარათი. თურმე ეს ქალბატონი უპასუხო სიყვარულზე დარდმა დაასწულა და გარდაიცვალა.

54

ბიბლუსი



გლობალიზაცია

„ნეტა ეგ „ეფ ემი“ რა უნდა იყოს? რა ვქნა, კაცო, ძველი რადიოებისა მესმოდა, „ესტონიაც“ კი გვედგა ზალაში; მემრე „სპიდოლა“ მაიტანა ცხონებულმა ანიჩკამ, ჩემმა დამ; ვიჭერდით თბილისსა და მოსკოვს... ამ ახალ რადიოებს კი ჯერთ ალლო ვერ ავუღე“.

62

ტაიმ-აუტი



ეგლს მიჯაჭვული ლევან ხურსია ინვალიდის როლი

„ჩემი გმირი თხილამურებით სრიალის დროს იმტვრევა. ხეიბრის როლს ვთამაშობ. ინვალიდის ეტლში ვზივარ. ერთდროულად ბევრი ამბავი ვითარდება. ამ როლზე მუშაობა ძალიან საინტერესო იყო. ვნახით, მაყურებელი როგორ შეაფასებს. ჯერჯერობით ფილმზე მეტს ველარაფერს გეტყვი“.

86

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გამომდის კვირაში ერთხელ, სუთხაბათობით გაზეთ „კვირის პალიტრის“ დაბატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
 მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
 პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
 მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ნანა გიგოლაშვილი**
 კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. #49
 ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
 რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.


თავისუფლებას ქართველ ძროხებს!



შესავლის ნაცვლად ცუდი ამბით უნდა დავიწყო... თქვენ რომ ამ „პროვოკაციას“ წაიკითხავთ, უკვე გეცოდინებათ, მაგრამ მე ამწუთას შევიტყვე და გონზე ჯერაც ვერ მოვსულვარ... რვაფეხა პაული — „გერმანელი“ წინასწარმეტყველი, რომელმაც ტოტალიზატორის არაერთ მოთამაშეს მოჰგვარა ფულის მოგებით გამოწვეული სისარული, აღარ გვყავს!..

რალა დაგიმალოთ და, ვთანამშრომლობდით — მეც ხომ სშირად „წინასწარმეტყველებ“ ხოლმე ანგაროშებს, ოლონდ „პოლიტიკურ მატჩებში“, ჰოდა, ინფორმაციებს ვცვლიდით ხოლმე. ბოლოს რომ დამირეკა, მითხრა: — მე მიშას სამკლომეტრნახევრიანი გაცურვისას ნაჩვენებ დროს გეტყვი წინასწარ, შენ კი, ჩვენმა საგარეო საქმეთა მინისტრმა რომ კაცი მოიყვანა ცოლად, ფეხშიმედ ყოფილა და იქნებ ბავშვის სქესი შემატყობინო, საჩუქრისთვის თადარიგი მინდა დაგიჭიროო...

არადა, სწორედ ამ „პროვოკაციის“ დაწერამდე ვაპირებდი პაულისთვის დაწერეკა და მეკითხა, ვილაც ამერიკელებმა რომ რალაც გამოკითხვა ჩაატარეს და თბილისელთა უამრავი პროცენტი რომ გიუდებთ თურმე სააკაშვილსა და უგულავაზე, ხოლო დანარჩენი ცოტა პროცენტის უმეტესი პროცენტი (ხომ მისვდით?) რომ თარგამაქეს უჭერს მხარს... აი, მაგ გამოკითხვის ნამდვილი შედეგები მაინტერესებდა პაულისგან... ეეჰ, რას ვიზამთ, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ... მაგრამ როდესაც ასეთი მეგობარი და მრჩეველი გამოგეცლება ხელიდან... გასულ ზაფხულს ვნახე, მადაც კარგი ჰქონდა და ყველაფერი... მგონი, იცინოდა კიდევ...



მიშას საზღვაო მართონს რაც შეეხება, ამ თემაზე წინა ნომერში ვერ გესაუბრეთ (უკვე მზად იყო სხვა „პროვოკაცია“), თორემ პაულისგან ზუსტად ვიცოდი, რომ 35 კმ-ზე გაცილებით ნაკლებს გაცურავდა (მაგრამ მოგვატყუებდნენ, ამდენი გაცურაო), რომ „სპასატელებად“ წყალბურთელებს გააყოლებდნენ, რომლებიც ვითომ თავისთვის თამაშობდნენ; სანყალმა პაულმა ისიც შემატყობინა, რომ ამიერიდან ჰაერის ტენიანობა პროცენტების ნაცვლად, გრადუსებით გაიზომება (საქართველოში მაინც), რადგან ასე თქვა შიშველ გულმკერდზე მიკროფონმიმაგრებულმა პრეზიდენტმა...

ბათუმში ზღვაში ცურვა 11 ნოემბრამდე შეიძლებაო, — მიშამ ბრძანა და საფრანგეთში გაიქცა; „პატარა საქმე“ აქვს და მალე ჩამოვა, რათა 11-მდე კიდევ ერთხელ მოასწროს „გახვანჩალები“ (საპრეზიდენტო არჩევნებზე რომ მისი კონკურენტი იყო, ის რომ იყოს ახლა აქ, აუცილებლად იტყოდა: „11 ნოემბერს ზღვაში არჩამსვლელის...“ და მერე დასძენდა: ეს „შეგინება“ კი არა, „დაგინება“ იყოო).

ისე, ყველაფერზე შაყირი არ შეიძლება — პრეზიდენტს საფრანგეთში მართლა ჰქონდა საქმე, თორემ თბილისობას „გამაზავდა“?! არადა, რა იგრიალეს ბიჭებმა... ეს ახვლედიანი მაინც, რა მაგარი ყოფილა, რა ღვინის მჭყლეტავ-მწურავი, რა მსმელი, რა ტივზე მოქიფევი...

მიყვარს თბილისობა... აბა, მითხარით, რა შეედრება „კაი

შეკრული ნოლშესტის“ საბარგულში, საბურავის გვერდით ჩაყრილი პურისა და ახალდაკულად შემოსადებული არგენტინული გაყინული ღორის მწვადის ჭამას, „სიტი-პარკის-თვის“ ერთი დღით ჩამორთმეულ ავტოსადგომზე?! ან კიდევ, უგულავას, ახვლედიანისა და თვით დავით ბაქრაძის ფეხით დანურული ყურძნის წვენი მისაღებად რიგში დგომას (შეიძლება, „კანისტრაც“ გხიოს ვინმემ თავში, სამაგიეროდ, როცა შენი ჯერი მოვა, „ლაფატკით“ ჩაგიყრიან დაჭყლეტილი ყურძნის მასას ჭურჭელში და თუ იმ ჩამყრელს მოენონე, შეიძლება წვენიც გადმოაყოლოს...).

სტუმრები?! გადაირია ხალხი! ვიცე-მერი ახვლედიანი სწორედ იმიტომ აქტიურობდა, რომ მისი კოლეგები — მსოფლიოს 46 ქალაქის ვიცე-მერი იყო ჩამოსული და მგონი, უკან აღარც მიდიან — აქ გვირჩევენია, თქვენმა პრეზიდენტმა ხომ თქვა, ტივზე ქეიფი 11 ნოემბრამდე შეიძლებაო (ბოლო ჭიქა აღარ უნდა დაელიათ...)?!

ოპოზიცია კი, როგორც დესპოტი ხელისუფლების მოწინააღმდეგე ძალას შეჭვერის, სულ სხვაგან ქეიფობდა, ხოლო „პახმელიაზე“, ახალი „ქართული პარტიის“ ახალი ოფისი გახსნეს, — ოთხსართულიანი კოსტა შენობა, რომელიც, როგორც ყოველთვის, „მეგობრებმა ათხივეს“, — სადაც ქვეყნის გადარჩენის მორიგ გეგმას შეიმუშავებენ და განახორციელებენ...

P.S.

სანამ დედაქალაქი თავის დღეობას ზეიმობდა, საქართველოს მეორე — „საპარლამენტო დედაქალაქში“ სულ სხვა ამბები ხდებოდა: ქუთაისის ხელისუფლების ბრძანებით, ქუჩებში არხენად მოხეირნე 40 ძროხა დააპატიმრეს!!! წაიყვანეს და ჩასვეს სადაც საჭიროა! ოპოზიციამ მაშინვე დააფიქსირა თავისი პოზიცია და თავისუფლებისმოყვარე ცხოველების გათავისუფლება მოითხოვა, საპასუხოდ კი, მინისტრმა კალმანელიძემ პირობა დადო, რომ ძროხებისთვის ახალი, ევროსტანდარტული ციხე-ბოსელი აშენდება და მათ დროზე მოწველიან ხოლმე...

პაულიც აღარ არის, რომ ვკითხო და იქნებ ვინმემ იცოდეთ: თბილისში თუ შეიძლება უპატრონო ძაღლის დაჭერა, აცრა და შემდეგ ისევ ქუჩაში გაშვება, ქუთაისელმა ძროხებმა რა დააშავეს?.. კი ამბობენ, — იმ ძაღლების აცრით კარგა მსუყვე გრანტი იჭმებაო, მაგრამ მე არ მჯერა...

P.P.S. რალაცნაირი, მონყენილი „პროვოკაცია“ გამოვიდა... რა ვქნა, გული ჩამწყვიტა პაულის ამბავმა...

პროვოკატორი

ანგელა მერკელი და მისი განაწყენებული თაყვანისმცემელი

გერმანიის კანცლერს რამდენიმე კვირის მანძილზე, სულიერად ავადმყოფი თაყვანისმცემელი მოსვენებას არ აძლევდა — ამის შესახებ გაზეთი „ბილდ“ საკუთარ წყაროზე დაყრდნობით წერს. როგორც წყარო იტყობინება, მერკელის თაყვანისმცემელი 45 წლის მამაკაცია. მან გასულ კვირას, ბერლინის ჩრდილოეთით მდებარე, მერკელის კუთვნილ მიწის ნაკვეთში შეღწევა შეძლო. პირველად, ზარი მამის დარეკვა, როცა თავად კანცლერი სახლში იმყოფებოდა, მეორედ კი სახლში მხოლოდ მერკელის მეუღლე, იოახიმ ზაუერი დახვდა.



უცნობი მამაკაცი კანცლერის სახლთან ადრეც გამოჩნდა: რამდენიმე კვირის წინ პოლიციელები მას ბერლინში მერკელის სახლის სადარბაზოსთან გაესაუბრნენ და გაირკვა: ის იმის გამო იყო განაწყენებული, რომ კანცლერი მის წერილებს არ პასუხობდა.

როგორც გაზეთი წერს, მამაკაცის ვინაობა უკვე დადგენილი, მაგრამ გასაიდუმლოებულია. ამჟამად ის ერთ-ერთი ადგილობრივი საავადმყოფოს ფსიქიატრიულ განყოფილებაშია მოთავსებული.

კოსმოსორბი „ამერიკა“ საფრენად მზადაა



ნიუ-მექსიკოს შტატში, მსოფლიოში პირველი კომერციული კოსმოსორბი გაიხსნა. ასაფრენი ზოლის ექსპლუატაციაში ჩაბარება ტურისტული კოსმოსური ხომალდის — SpaceShipTwo-ს აფრენით აღინიშნა. კომპანია Virgin Galactic-ის მფრინავი აპარატი, შესაბამისი თანხის გადახდის შემთხვევაში, ტურისტებს კოსმოსის საზღვართან გაასეირნებს და უკან დააბრუნებს. კომპანია ბრიტანელი მილიარდერის, სერ რიჩარდ ბრენსონის Virgin-ის ჯგუფის ნაწილს წარმოადგენს. შესაძლოა, პირველი რეისები კოსმოსის საზღვართან უახლოესი წელიწად-ნახევრის განმავლობაში შედგეს.

უორენ ბაფეტმა მემკვიდრე აირჩია

კომპანია Berkshire Hathaway-ს 80 წლის დირექტორმა უორენ ბაფეტმა მისი შემცვლელის დასახელებით ყველა გააოცა. მაგნატის მემკვიდრე — ნაკლებად ცნობილი მენეჯერი ტოდ კომბსი იქნება. ამის შესახებ „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყება. ბოლო 5 წლის მანძილზე, 39 წლის ტოდ კომბსს ქალაქ გრინვიჩში (კონექტიკუტი) პატარა ჰეჯ-ფონდის მმართველის თანამდებობა ეკავა. ბაფეტის თქმით, ბოლო თვეების მანძილზე კომბსმა არა მხოლოდ საკუთარი მენეჯერული ტალანტის წარმოჩენა შეძლო, არამედ დაამტკიცა, რომ ის კომპანია Berkshire-სთვის შესაფერისი ადამიანია. როგორც გამოცემა იუწყება, კომპანიის აქციათა პაკეტი 100 მილიარდ დოლარადაა შეფასებული, ტოდ კომბსი კი აქამდე მხოლოდ 400 მილიონის აქტივებს მართავდა.



სომხეთმა ბაყაყების ექსპორტი შეწყვიტა

სელისუფლების განცხადებით, ბაყაყების ექსპორტმა არ გაამართლა. როგორც ადგილობრივი მასმედია იუწყება, აღნიშნულ ბიზნესს ქვეყნის სელისუფლება უკვე რამდენიმე წელია, კურირებს. 2010 წელს სომხეთი ძირითადად, თევზისა და კიბოს ექსპორტს ეწეოდა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელმა ალექსანდრ ალექსანიანმა განაცხადა, რომ 2010 წელს ქვეყნიდან 150 ტონა თევზი, ძირითადად — კალმახი და თართი — კანადასა და ევროკავშირის ქვეყნებში გაიტანეს; ბაყაყების ექსპორტის საპილოტო პროგრამა კი არარენტაბელური აღმოჩნდა. შარშან სომხეთიდან იტალიას 600 კგ ბაყაყი მიანდეს, 5 ტონა კი — საფრანგეთს.

ქართველმა დიზაინერმა სმარტფონის ახალი მოდელი შექმნა



არჩილ ვარდიძემ სმარტფონ iPhone 6-ის მოდელი შექმნა. ამ სმარტფონის გამოსახულება სანიტმა Concept Phones გამოაქვეყნა. დიზაინერის მიერ მოგონილი მოწყობილობა გარეგნულად, ამჟამინდელი აიფონისგან განსხვავდება. ვარდიძემ მენიუს გამოსაძახებელი ლილაკი შეცვალა; სმარტფონს ალუმინის კორპუსი ექნება, ხოლო მისი გვერდები ანტენის ფუნქციას შეასრულებს. აღსანიშნავია, რომ აპარატი თხელი გამოვიდა. თუმცა მოწყობილობის ზუსტი დახასიათება, მათ შორის, მისი ზომები, ვარდიძემ არ მოიყვანა. აიფონის მეექვსე მოდელს მზის ელემენტები ექნება. ასევე შესაძლოა, უკაბელო დამტენითაც დაიმუხტოს.

ამჟამინდელი დიზაინის მქონე აიფონი 2010 წლის ივნისიდან იყიდება. კომპანია Apple ახალ აიფონებს ყოველწლიურად უშვებს. მეექვსე თაობა სარეალიზაციო ქსელში 2012 წელს უნდა გამოჩნდეს.

გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები

რუბრიკა მოამზადა ხათუნა ბახტურიძემ



შპს „საქსა“

„ოპოზიციის ყველა ლიდერი საკუთარ თავს სააკაშვილის ადგილზე მოიხრებს“

რამდენად რეალურია საქართველოში კიდევ ერთი რევოლუცია, რატომ ვერ თანხმდებიან რადიკალური ოპოზიციის ლიდერები მოქმედების ერთიან გეგმაზე, რატომ ამბობს უარს ხელისუფლება კონსტრუქციულ ოპოზიციასთან თანამშრომლობაზე და რამდენად შეესაბამება ამერიკული კვლევა საზოგადოებაში არსებულ განწყობილებას, — ყოველივე ამის შესახებ ფსიქოლოგ ნოდარ სარჯველიძეს ვესაუბრეთ.

კობა გენდელიანი

— ბატონო ნოდარ, ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოში რევოლუციური სიტუაცია მნიშვნელოვანია. ოპოზიციის შემოდგომაზე საგრძნობლად კი გააქტიურდა, მაგრამ თქვენი აზრით, რამდენად სავარაუდოა საქართველოში კიდევ ერთი რევოლუცია?

— ჩემი აზრით, ნაკლებად სავარაუდოა, რევოლუციური სიტუაცია არც ჩანს. არ არის ისეთი ვითარება, როცა — ზემოთ მდგომებს არ ძალუძთ, ხოლო ქვემოთ მდგომებს არ სურთ. ზემოთ მდგომები არსად ნასვლას არ აპირებენ და პროცესების მართვაზე არ უჭირთ, ხოლო ქვემოთ მდგომებში მოქმედებული რევოლუციური განწყობილება არ შეიმჩნევა. ასეთ ვითარებაში, რევოლუციის განსახორციელებლად, ერთი კომპონენტი მინც აშკარად გვაკლია. რევოლუციური სიტუაცია თუნდაც იმიტომ არ არის, რომ ხელისუფლება საკმაოდ ბევრ პრევენციულ ღონისძიებას ახორციელებს. ქუჩის მოვარდების აყრას, „კიდობანისა“ და ლილოს ბაზრობების მენარმეთა დანიშნულებას ასეთ ღონისძიებებზე განვიხილავ. ჩვენში მენარმეობა ვაჭრობასთანაა გაიგივებული და პრაქტიკულად, ამ კატეგორიის ადამიანთა დარბევა ხდება. ვილაცას შეიძლება მოეჩვენოს, რომ ამგვარი აქციებით უკმაყოფილოთა მასა იზრდება, მაგრამ სინამდვილეში, ასე არ არის. ზედაპირზე ჩანს, რომ მენარმეების დანიშნულება ბიუჯეტის შესავსებად კეთდება; შესაძლოა, ვინმეს გარკვეული ტერიტორიაც სჭირდება, მაგრამ რეალურად, სულ სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე. რევოლუციური მასა რომ გაჩნდეს, ხალხს უნდა ჰქონდეს განცდა, რომ დასაკარგავი არაფერი აქვს, „საკუთარი ბორკილების გარდა“. იმ ადამიანებს, რომლებსაც მენარმეები არიან,

დასაკარგავი აშკარად აქვთ და ისინი რევოლუციაზე ნამსვლელები არ არიან. შესაბამისად, ხელისუფლება თავის მიზანს აღწევს. დარბევებიც არჩევნებისთვის მზადების ნაწილია. უკმაყოფილების მიუხედავად, ხელისუფლების მორჩილი ხალხი არჩევნებზე ხმას ისევ ხელისუფლებას მისცემს. ხელისუფლებამ იცის, რომ მენარმეთა და ვაჭართა კლასი პოტენციურად, საშუალო ფენაა, რომელსაც, როგორც ყველა ქვეყანაში, შესაძლოა, დამოუკიდებელი აზრი ჰქონდეს და ხელისუფლებაზე დამოკიდებული არ იყოს; იმისათვის, რომ ამ კატეგორიის ადამიანებს დამოუკიდებელი აზრი არ ჰქონდეთ, ხელისუფლება მათ საკუთარ თავზე „იბამს“. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ხალხი არჩევნებზე ხმას მხოლოდ ხელისუფლების მისცემს. ხელისუფლება ასეთ ხერხს მისთვის პრობლემურ თბილისში იყენებს, თორემ რეგიონებში მას რეალური პრობლემები არც აქვს. რეგიონებში ხალხი ცვლილებებზე ნაკლებადაა ორიენტირებული, ხალხისთვის ეს ხელისუფლება მისაღებია, შეჭვეული ჭირი ურჩევნია შეუჭვეველს... გარდა ამისა, ქვეყანაში რევოლუციის წარმართველი ძალა არ არსებობს. წარმართველი ძალა ისევ ხელისუ-

ფლებია. ხელისუფლება კი ყველაფერს აკეთებს, რათა ამომრჩეველი და საზოგადოების შეძლებული ფენა მასზე თუნდაც შიშით იყოს „მიბმული“.

— როგორ შეაფასებთ სააკაშვილისა და უგულავას დაკვეთით ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს? რამდენად სარწმუნოა, რომ გამოკითხულთა 70%-ზე მეტი ხელისუფლების საქმიანობით კმაყოფილია? და კიდევ — რას შეიძლება ნიშნავდეს კონსტრუქციული ოპოზიციის ლიდერთა მაღალი რეიტინგი?

— კვლევა კვალიფიციურად არის ჩატარებული და რამდენიც ვეცადე, არაობიექტურობაში ეჭვი ვერ შევიტანე. კითხვაზე — მხარს უჭერთ თუ არა ხელისუფლების კურსს? — დადებითი პასუხი 70%-ზე მეტმა გასცა. მიმაჩნია, რომ ეს სრულიად ბუნებრივია და ასეც უნდა ყოფილიყო. თუკი არჩევნები უგულავამ ხმათა 53% დააგროვა, ახლა რომ 70%-ია, სულაც არ მიკვირს და აი, რატომ?! არჩევნების შემდეგ საკმაოდ დრო გავიდა, ხელისუფლება, როგორც შეუძლია, დარბის, მირბის-მორბის, რაღაცას აშენებს, ტელევიზიები მის ხელთაა და პრეზიდენტიც და უგულავაც ყოველდღე ეკრანზე არიან. მათ სირბილი არ იკმარეს, ზღვაში გაცურეს და გამოცურეს კიდევ — ანუ საზოგადოებას უჩვენებენ, რომ მოქმედებენ; პარალელურად, თავიანთ ნამოქმედარს აქებენ. არ მიკვირს, რომ ვილაცა ამ მიმართულებით მუდმივად მოქმედებს და მას

ფეხსაცმლის მაღაზია „ტორალი“ გთავაზობთ

100%-იანი უსაანური

■ ძალის, ■ მაგაპაცის და ■ გავჰვის

ფეხსაცმელბის ფართო არჩევანს, ხელმისაწვდომ ფასაგში, **30** ლარიდან.

საზაფხულო ფეხსაცმელზე ბრანდიოვული ფასდაკლებები სიხსლე!

მის ქეთივან წამებულის გავშ.№92 (მისანთა)
ტელ 77 65 82; 858 68 55 48



მხარდაჭერის მაღალი რეიტინგი აქვს. მე არც ოპოზიციონერ ლიდერთა მაღალი რეიტინგი გამკვირვებია. ადრე ჩატარებულ ყველა გამოკითხვაში ოპოზიციის ლიდერთა შორის, გიორგი თარგამაძეს ყველაზე მაღალი რეიტინგი ყოველთვის ჰქონდა. შესაძლოა, ამის მიზეზი ისიც იყოს, რომ ქრისტიან-დემოკრატები სხვაზე სწირად დადიან რეგიონებში და ხალხთან ურთიერთობენ. შეიძლება ითქვას, რომ რეგიონებთან ურთიერთობა ორ ძალას აქვს — „ნაციონალებს“, რომლებიც ხელისუფლებაში არიან და მოსახლეობას რაღაცას მაინც უკეთებენ, და ქრისტიან-დემოკრატებს, რომლებიც ხალხთან კონტაქტის დამყარებას ცდილობენ. მოსახლეობისთვის მნიშვნელობა არა აქვს, რომ შესაძლოა, ყველაფერს ბოლომდე კარგად ვერ აკეთებდე, — მთავარია, რომ რეგიონის მოსახლეობის თვალსაწიერში სწირად ხარ.

— ბევრი მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ „შიდა მოხმარებისთვის“ განკუთვნილი, ამერიკული კომპანიის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს „გაჟონვას“ თავად იმიტომაც შეუწყო ხელი, რომ გააქტიურებული ოპოზიცია გაენიტრალდებინა და თუ ბუნებაში რევოლუციური მუხტი არსებობს, მის დაცემაზე ეზრუნა...

— დიას, ვეთანხმები ამ მოსაზრებას. სამწუხაროდ, არავინ ამხვილებს ყურადღებას ხელისუფლების მიერ ამოქმედებულ იმ მექანიზმზე, რომელზეც მე ვისაუბრე და რომელიც მენარმე-მოვაჭრეების დარბევას ესება. დარბევის საზრისი მარტო ფულის „ამოღება“ კი არა, ამ კატეგორიის ადამიანთა შიშით, ხელისუფლებაზე „მიბმა“. პარალელურად, ხელისუფლება საზოგადოებას ოპოზიციის ლიდერთა, განსაკუთრებით — რევოლუციური განწყობილების მქონე ლიდერთა დაბალ რეიტინგს აცნობს, რითიც მათ არწმუნებს იმაში, რომ ხელისუფლებას მოსახლეობა მხარს უჭერს, ხოლო ოპოზიციის ლიდერები რეალურ ძალას არ წარმოადგენენ. ხელისუფლების მეხიჯი ასეთია — დარბევას ვაგრძელებ, მაგრამ ხალხი მაინც ჩემ მხარესაა!.. ხელისუფლება საკუთარ თავზე მოსახლეობის „მიბმისა“ და პოლიტიკური პროცესების მართვის პიარ-ტექნოლოგიებს ზედმინეწით კარგად ფლობს. რადიკალურ ოპოზიციას პროცესების მართვის ტექნოლოგიების ცოდნა არა აქვს. ამ საქმეში ხელისუფლება, პროფესიული თვალსაზრისით, ოპოზიციაზე გაცილებით მაღლა დგას. ამიტომ, სულაც არ მიკვირს, რომ ხელისუფლება ოპოზიციას ნებისმიერ ომს უგებს.

— შესაძლოა, მოსალოდნელ რევოლუციაზე საუბარს ის გარემოებაც უწყობს ხელს, რომ პროცესების რევოლუციური გზით განვითარებაზე ახალდაფუძნებული „ქართული პარტია“ და „სახალხო კრება“ აქტიურად საუბრობენ... ამ სცენარით პროცესების განვითარებას არც „ფორუმის“ ლიდერები გამორიცხავენ...

— ჩემი აზრით, ხელისუფლებას ოპოზიციის გააქტიურება ძალიანაც აძლევს ხელს: მან კარგად იცის, თუ როგორ უნდა იმოქმედოს კრიტიკულ ვითარებაში. შარშან ოპოზიციის გააქტიურების პიკის შემდეგ, საზოგადოებაში ოპოზიციის მიმართ იმედგაცრუებისა და აპათიის განწყობილებამ დაისადგურა. არ გამოვრიცხავ, რომ ხელისუფლებას ამჯერადაც ჰქონდეს ისეთი სტრატეგია, რომელიც ოპოზიციას კიდევ უფრო მძიმე დღეში ჩაადგებს. გამოკითხულთა უმეტესობა შიშის გამოც რომ უჭერდეს მხარს ხელისუფლებას, კვლევის შედეგი მაინც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის, რევოლუციური გზა მიუღებელია. ასეთ ფონზე, გამუდმებით რევოლუციურ ცეცხლზე საუბარი ხელისუფლებას ნამდვილად აძლევს ხელს. თუნდაც იმის გამო, რომ საზოგადოებაში არსებული განწყობილებით თუ ვიმსჯელებთ, რევოლუციური ცეცხლის კი არა, კოცონის დანთებაც ძნელად წარმოსადგენია.

— თქვენი აზრით, რატომ ვერ თანხმდებიან ოპოზიციის ლიდერები მოქმედების ერთიან გეგმაზე?

— ძალიან მიჭირს ამაზე რაიმეს თქმა. ამ თემაზე კვალიფიციურად რომ ვიმსჯელო, მათ წრეში უნდა ვიყო. არ ვიცი, თუ რა განსაზღვრავს მხარეებს შორის დაპირისპირებასა და გათიშულობას. მაშინაც კი, როცა ეროვნულ იდეას მაკონსოლიდირებელი ძალა ჰქონდა, ეროვნულ მოძრაობაში ვიღაცა ვიღაცას უპირისპირდებოდა და გამოეყოფოდა. ძალიან გამიკვირდება, მათ შორის კონსოლიდაცია რომ მოხდეს და არ მიკვირს, როცა ვხედავ — ოპოზიციაში ფრაგმენტაციისა და დაპირისპირების მუხტი მაღალია. ამის მიზეზი — ძალაუფლების სურვილია. პრაქტიკულად ყველა ლიდერი ხელისუფლებაში მოსვლისთვის იბრძვის. ოპოზიციის ბრძოლა ხომ ძალაუფლებისთვის ბრძოლაა და არა — ქვეყნის გადარჩენისთვის. ოპოზიციის ძირითადი მოთხოვნა როგორია? „ნუ იქნება სააკაშვილი, უნდა ვიყოთ ჩვენ“. ამ „ჩვენში“, სააკაშვილის ადგილზე, ოპოზიციის ყველა ლიდერი საკუთარ თავს მოიხარება. ყველას თავისი ინტერესი აქვს და შესაბამისად, ის, რაც ოპოზიციაში ხდება, ინტერესების კონფლიქტია. მართალია, ოპოზიციის ლიდერები ამას არ ამბობენ, მაგრამ ეს რომ ასეა, გარედან კარგად ჩანს. ოპოზიციის ლიდერებმა რამდენიც უნდა იუარონ, მათ შორის კონკურენცია საკმაოდ დიდია და შესაძლოა, ეს იყოს კიდევ იმის მიზეზი, რომ ისინი მოქმედების ერთიან გეგმაზე ვერ თანხმდებიან.

— შესაძლოა, რევოლუციაზე საუბარს ისიც ამძაფრებს, რომ პარლამენტმა უარი თქვა, „ფორუმის“ ინიციატივით, 8 პარტიის მიერ საარჩევნო კოდექსისა და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის ერთობლივად შემუშავებული ინიციატივის რეგისტრაციაზე. იურიდიული თვალსაზრისით, რამდენად სწორი გადაწყვეტილება მიიღო პარლამენტმა?

მენტმა? და კიდევ: ამ გადაწყვეტილებით, ხელისუფლებას იმის თქმა ხომ არ სურს, რომ ის ოპოზიციასთან შედეგზე ორიენტირებული, რეალურ დიალოგზე უარს ამბობს?

— იურიდიტი არა ვარ და არ ვიცი, იურიდიული თვალსაზრისით, სწორად მოიქცა თუ არა ხელისუფლება. მაგრამ რას შეიძლება ემსახუროდეს ოპოზიციის ინიციატივების უარყოფა? ისევ და ისევ, იმას, რა მიზანსაც ისახავს მენარმეების საკუთარ თავზე „მიბმა“. რაც უფრო მეტად იქნება „მიბმული“ ხელისუფლებაზე „ფორუმი“, ეს მით უფრო აძლევს ხელს ხელისუფლებას. ხელისუფლება ფლობს იმ მექანიზმს, რომელიც ვინც უნდა იყოს ის, „ფორუმი“ თუ სხვა პოლიტიკური ძალა, სხვადასხვა ფორმითა და სახით, ხელისუფლებაზე „მიბმული“ აღმოჩნდება. ასეთ ვითარებაში, ოპოზიცია მოსახლეობის თვალში მიმზიდველობას აუცილებლად დაკარგავს. იმ ვითარებაში, როცა ხელისუფლება პროცესების ბერკეტებს რეალურად ფლობს, მას სულაც არ სჭირდება ოპოზიციასთან კონსტრუქციული დიალოგის დაწყება, რომელსაც თურმე საარჩევნო კოდექსისა და საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად კარგი იდეები ჰქონია. ხელისუფლება სულაც არ არის დაინტერესებული, აღიაროს, რომ ოპოზიციას ჭკვიანური აზრები აქვს. ოპოზიციის რეიტინგი დაბალია და ხელისუფლება მასთან თანამშრომლობით, მისივე რეიტინგის ამაღლებაზე არ იზრუნებს. ხელისუფლებამ იცის, როგორ უნდა მოიქცეს იმ შემთხვევაშიც, როცა ოპოზიცია ხმაურს ატებს. ხელისუფლება ისე მოიქცევა, რომ ოპოზიციის კონსტრუქციულობა საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩეს და მას შრომა წყალში ჩაეყაროს. ოპოზიციას რაც უფრო ჩაუფარდება მისივე კარგი პროექტი, ხელისუფლებისთვის მით უკეთესია. ხელისუფლებამ ოპოზიციასთან რეალურად რომ ითანამშრომლოს და მისი კარგი იდეები რომ „გავიდეს“, ამით ოპოზიცია ქულებს დაინერს. უნდა ეს ხელისუფლებას?.. რა თქმა უნდა, არა. ხელისუფლება სათავისოდ ძალიან ჭკვიანურად მოქმედებს. ოპოზიციასგან განსხვავებით, ხელისუფლება პიარ-კამპანიებით პოლიტიკური პროცესების მართვის ტექნოლოგიებს კარგად იყენებს. ხელისუფლებაში ძალიან კარგად განვრთნილი გაიძვერები არიან და არსად გაქცევას არ აპირებენ, როგორც ამას ბევრი ამტკიცებს. მათ გემო გაუგეს ფულს და იციან, რომ უფრო დიდ ფულს ხელისუფლებაში დარჩენის შემთხვევაში იშოვიან... სამწუხაროდ, პრობლემა ის არის, რომ ხელისუფლება ოპოზიციაზე რამდენიმე თავით მაღლა დგას. კარგი იქნებოდა, პოლიტიკურ ასპარეზზე თანაბართა ბრძოლის მომსწრე რომ ვიყოთ, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ არის. გარდა იმისა, რომ ოპოზიცია ტელევიზიას არ ფლობს, მას პოლიტიკური ტექნოლოგიების ფლობისა და კომპეტენციის დეფიციტიც აქვს. ამ საკითხებში ხელისუფლების უპირატესობა აშკარაა.

„ინტერპრესნიუსი“



„მულტი-პულტი“ ნოვასიური სერვისი ნებისმიერი ასაკის მომხმარებლისათვის და უფასო აქცია — პატარებისათვის

კომპანია „მულტი-პულტი“ 30 ოქტომბერს ყველა ბავშვს ვაკის პარკში უფასო აქციაზე ეპატიჟება. პატარებს თბილისობის დღესასწაულს ცნობილი ზღაპრის გმირები მიულოცავენ — ცეკვით, სიმღერით, თამაშით... გათამაშდება პრიზები.

კომპანია „მულტი-პულტი“ ქართულ მომხმარებელს ახალ სერვისს — გამოძახებას სთავაზობს. რაც მთავარია, ეს მომსახურება მხოლოდ ბავშვებისათვის როდია: ერთმანეთისათვის სახალისო, რომანტიკული სიურპრიზების მოწყობა უფროსი ასაკის ადამიანებსაც შეუძლიათ.

ეთო ყოვლანაშვილი

ინოვაციური გეგმვა, „მულტი-პულტი“ პიარ-მენეჯერი:

— „მულტი-პულტის ქვეყანა“ გახლავთ კომპანია, რომელიც მრავალ მომსახურებას გთავაზობთ. გვაქვს ბავშვთა გასართობი ცენტრი, სერვისი „გამოძახება“, „მულტი-პულტი სამხსოვროდ“, „მულტი-პულტი თქვენს ბიზნესში“... ყველა ეს სერვისი საქართველოში ნოვაციაა. სხვადასხვა ზღაპრის ბევრი პერსონაჟი გვყავს — დიდი თოჯინები, რომლებშიც მსახიობები სხდებიან და ბავშვებს ართობენ. ასევე, კოსტიუმირებული გმირებიც გვყავს. კოსტიუმები „ერთი-ერთი“ გაკეთებული — ანუ ისე, როგორც მულტიფილმებში მხატვრებმა დახატეს. ბავშვს ისეთი ასოციაცია უჩნდება, თითქოს ზღაპარშია. იანვრიდან დავამატებთ კიდევ ახალ მომსახურებას — „მულტი-პულტი სამხსოვროდ“. ეს არის ფოტოსტუდია, სადაც ბავშვებს საშუალება ექნებათ, პროფესიონალური ფოტოსესია მოაწყონ საყვარელ ზღაპრის გმირებთან. ფოტოზე ფონად ის ზღაპარი გამოისახება, რომლის გმირთან ერთადაც გადაიღებ სურათს.

ჩვენი კომპანიის უპირატესობა არის ის, რომ ნებისმიერ მსურველს (თუნდაც ისეთს, ვისაც საშუალო შემოსავალი აქვს) შეუძლია, ბავშვს დღესასწაული ხელსაყრელ ფასად მოუწყოს, დაბადების დღე ორიგინალურად მიულოცოს. გამოძახების მინიმალური ფასი 50 ლარია. ამას „ექსპრეს-გამოძახებას“ ვწოდებთ: გმირი ჩვენი ღია ავტობუსით იუბილართან მიდის, ულოცავს, ეთამაშება... და რაც მთავარია, ბავშვი მშობლების მიერ მომზადებულ საჩუქარს, საყვარელი მულტიფილმის გმირისგან იღებს. წარმოგიდგენიათ, ასეთი სიურპრიზი ბავშვს ხომ მთელი ცხოვრების განმავლობაში დაამახსოვრდება. თუკი ბავშვს ამის სურვილი აქვს, კოსტიუმებს ვათხოვებთ ხოლმე, რომ სტუმრებს განსაკუთრებულად გამოწყობილი დახედვს. ამ მომსახურებაში მუსიკალური გაფორმებაც შედის.

მაგალითად, დღეს ერთი გოგონა დაბადების დღეს იხდის. მის შეყვარებულს სურს, რომ ჩვენი დახმარებით,



იუბილარს საჩუქარი გაუკეთოს. ჩვენ გულის ფორმის დიდი თოჯინა გვაქვს. სწორედ ეს გული გოგონას ყვავილებს მიართმევს. თან, იუბილარს მის საყვარელ სიმღერას უმღერებს. სამხატვრო ხელმძღვანელი გვყავს, რომელიც პროგრამას ყველა კლიენტისათვის ინდივიდუალურად დგამს: ჩვენთან მოსულ ყველა სტუმარს ესაუბრება და მათი ხასიათის მიხედვით, სცენარს ქმნის... მიხარია, რომ შეყვარებულ წყვილებს ფანტაზიას ვუღვიძებთ. სიყვარულს ხომ ასაკი არა აქვს?! ასე რომ, ახლა შეყვარებულებს, მუულებს შეუძლიათ, ერთმანეთს სიურპრიზები მოუწყონ.

უფროსებისათვის ზღაპრის გმირებს ხშირად იძახებენ?

— მხოლოდ ბავშვებისათვის როდი ვმუშაობთ. მაგალითად, ერთ-ერთ კომპანიას მთელ სახალსლო პროგრამას ვუკეთებთ: ზღაპრებს ვდგამთ (თითო ზღაპარში მინიმუმ 4 პერსონაჟი მონაწილეობს: 2 დიდი თოჯინა, 2 კოსტიუმირებული გმირი, პლუს თოვლის ბაბუა). კომპანიებისათვის ინდივიდუალურ პროგრამებს ვქმნით. ყველა ასაკის მომხმარებლის მოთხოვნას ვაკმაყოფილებთ.

კომპანიებისთვის პიარ-აქციაშიც ხშირად ვმონაწილეობთ. ასეთი აქცია განსაკუთრებით მათთვისაა ხელსაყრელი, ვინც საბავშვო პროდუქციაზე მუშაობს. ყოველთვის უკეთესია, როდესაც ბავშვს ბავშვურ ენაზე აუხსნი, რომ კონკრეტული პროდუქტი ხარისხიანი, სასარგებლოა. ასე „გაპიარებულ“ პროდუქტი საკმაოდ კარგად იყიდება.

— პრეტენზიული კლიენტები არ გყავთ ხოლმე?

— პრეტენზიული კლიენტებიც გვყოფილია, მაგრამ საბოლოო ჯამში, ჩვენი მომსახურებით ისინიც კმაყოფილი დარჩენილან და მადლობაც გადაუხდიათ. ჩვენ ყველა კოსტიუმს სათუთად ვუვლით. ყველა დაბადების დღის შემდეგ ქიმიწმენდაში მიგვაქვს და ვასუფთავებთ.

— პროგრამას როგორ ადგენთ?

— პროგრამას ასაკის მიხედვით ვადგენთ; რასაც 3 წლის ბავშვი „დაძლევს“, 10 წლის ბავშვისათვის ის პროგრამა უინტერესოა. იუბილარს ყოველთვის წინასწარ ვკითხვით, თუ რომელი სიმღერა, ზღაპარი უყვარს. ჩვენი საიტიც გვაქვს (www.multi-pulti.ge), სადაც ზღაპრის პერსონაჟებს ნახულობენ და მათ თავად ირჩევენ.

თბილისი ჩვენ გვიცნობს: ყოველდღიური „გასვლები“ გვაქვს. კლიენტებს შეუძლიათ, სახლში, ბაღში, სკოლაში, რესტორანში გამოგვიძახონ. კონკრეტულად რესტორნებისთვის ასეთი სერვისი გვაქვს: შეუძლიათ, ჩვენი თოჯინა გამოიძახონ, რომელიც ბავშვს გაართობს — მშობლების ლოდინით არც პატარა დაიძლებს და უფროსებიც კარგად გაერთობიან.

— რესტორანში პატარებს როგორ გაართობთ?

— ე.წ. „მაგიდის თამაშებს“ ვთამაშებთ, შესაბამისი რეკვიზიტები გვაქვს. თუ მშობელს ბავშვთან ერთად ცეკვა მოუნდება, პრობლემას არც ეს წარმოადგენს (*იცი-ნის*). მოკლედ, განსაკუთრებული დღეებისათვის სხვადასხვა რესტორანთან ვითანამშრომლებთ.

— ქართული ზღაპრების გმირები არ გყავთ?

— მალე წუნა და წრუნუნა, კომბლე, ნაცარქექია გვეყოლება. თანდათანობით სხვა გმირებსაც დავამატებთ. თოჯინების თეატრიც გვაქვს. ყოველ შაბათ-კვირას, პატარებისათვის ქართულ სპექტაკლებს („ნიქარასა“ და „კომბლეს“ მიხედვით „ეკო, ბეკო, ბეკეკოს“) ვდგამთ. მხოლოდ უცხოური ზღაპრების დამკვიდრებას არ ვცდილობთ.

— თქვენს სფეროში დიდი კონკურენციაა?

— როგორც ცენტრი, კონკურენციას არავის ვუწევთ. ეს ნაკლებად გვინტერესებს. ჩვენთვის მთავარი ის ახალი სერვისებია, რომელსაც ქართველ მომხმარებლებში ახლა ვამკვიდრებთ. კოსტიუმებისა და თოჯინების მხრივ კონკურენტი მართლაც არ გვყავს. მიგვაჩნია, რომ „კისრის მოსატყვ“ თამაშებს ინტელექტუალური თამაშები სჯობია. გვირჩევენია, ჩვენს მომხმარებლებს სწორედ ამით მოვანოხოთ თავი. ■



რატომ მოკლა საღისებურად ძმა და?

თავ სურსილავა

გასულ კვირას ფონიჭალაში შემზარავი მკვლელობა მოხდა. 29 წლის ეკატერინე ფოლადაშვილის დასახინრებული სხეული მეუღლემ აბაზანაში აღმოაჩინა. ახალგაზრდა ქალს სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. ყელი გამოჭრილი ჰქონდა და მუცლის არეში უამრავი ჭრილობა აღენიშნებოდა. ირგვლივ სისხლის გუბე იდგა. კარზე სისხლის ნაკვალევი იყო. დამნაშავეს კვალის წაშლა არ უცდია. ბინის შესასვლელი კარი ღია იყო, მკვლელს შემთხვევის ადგილიდან მიმალვა მოესწრო.

თავზარდაცემულმა ქმარმა საშველად მეზობლებს უხმო: „განწირულ ყვირილზე გარეთ გავედი, გოჩა ამბობდა, რომ მისი ცოლი მოკლული იყო. ბავშვი ტიროდა და გარეთ გამოვიყვანეთ, მამაკაცები ბინაში შევიდნენ. მალე პოლიციაც მოვიდა. არანაირი ჩხუბის ხმა მათი ბინიდან არასდროს გაგვიგონია. 6 თვეა, აქ ცხოვრობენ ქირით. ძალიან თბილი გოგო იყო“, — გვითხრა ერთ-ერთმა მეზობელმა.

მალე საქმეში ძალოვნები ჩაერთვნენ. კრიმინალისტებმა შემთხვევის ადგილი მოისწავლეს, ანაბეჭდები აიღეს. მოკლულის ცხედარი პროზექტურაში გადაასვენეს. წინასწარი მონაცემებით, ქალს სხეულზე 25-მდე ჭრილობა დანით აქვს მიყენებული. მალე გაირკვა, რომ ასე საღისებურად ეკატერინე ღვიძლმა ძმამ, 27 წლის გიორგი ფოლადაშვილმა მოკლა. მომხდარიდან რამდენიმე საათში ის საპატრულო პოლიციას ჩაპბარდა და დის მკვლელობა აღიარა. 108-ე, განზრახ მკვლელობის მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. დის მკვლელობაში ბრალდებულს თბილისის საქალაქო სასამართლომ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. სასამართლო პროცესის მისი არც ერთი ახლობელი არ დასწრებია. მომხდართი ყველა შოკირებულია. განსასჯელს სასაზინო წესით, ადვოკატი კონსტანტინე ბაძალუა იცავს. მისი განმარტებით, მართალია, გიორგი ფოლადაშვილი ბრალის აღიარებით გამოცხადდა, მაგრამ მას მომხდარის შესახებ ჩვენება არ მიუცია და ჯერჯერობით დუმილის უფლებას იყენებს. რას იტყვის

განსასჯელი ოფიციალურად, დის მკვლელობის გამო, ჯერჯერობით არავინ იცის. ერთ-ერთი ვერსია ასეთია: როგორც მოკლულის მეზობლები ამბობენ, გიორგი ფოლადაშვილს ტოტალიზატორში ფული ჰქონდა წაგებული და დისგან 500 დოლარს ითხოვდა, უარი მიიღო და ეს გახდა მკვლელობის მიზეზი. მაგრამ ადვოკატის თქმით, არც ასე იყო საქმე. მართალია, და-ძმას შორის სრული იდი-



ლიური ურთიერთობა არ იყო, მათ შორის ადრეც მომხდარა უთანხმოება, მაგრამ ადვოკატისთვის ჯერჯერობით უცნობია ამის მიზეზი. ამას მოკლულის მეუღლე, **გოჩა კვზარელი** ადასტურებს: „ადრე ემუქრებოდა ევას თავისი ძმა და აშინებდა, გაგამწარებო. ჩემს ცოლსაც ეშინოდა, მაგრამ ეს კონფლიქტი მერე ჩანყნარდა. ბოლო დროს ჩემს მეუღლეს ძმის აღარ ეშინოდა. შიში რომ ჰქონოდა, მეტყოდა, არ დამიმალავდა“, — ამბობს მოკლულის მეუღლე, მაგრამ არ აკონკრეტებს მათი ადრინდელი კონფლიქტის მიზეზს. ამ საკითხზე დეტალურ ჩვენებას კვებრელი ალბათ გამოძიებას მისცემს და გაირკვევა, თუ რატომ ეშინოდა დას ძმის. სამწუხაროდ, გოჩამ მეუღლის გადარჩენა ვეღარ შეძლო. სამსახურიდან დაბრუნებულს, დაღლილს, მეორე ოთახში ეძინა, როცა ძმა მის ცოლს სააბაზანოში ასახინრებდა. ღამის 11 საათი სრულდებოდა, კვებრელი შვილის ტირილის ხმამ რომ გააღვიძა და საშინელი სურათის თვითმხილველიც გახდა. „ბავშვის ტირილზე გავიღვიძე, ევას ვეძახდი; ხმა რომ არ გამტა, ავდექი. მერე სააბაზანოში ვიპოვე, ყვირილის ხმა არ გამიგონია, ეტყობა, არ მისცა ყვირილის

საშუალება. ბინის კარი ღია რომ დამხვდა, მამინვე მივხვდი, ვილაც ნაცნობი რომ იყო სახლში, ეკა უცხოს კარს არ გაუღებდა“, — ამბობს გოჩა კვებრელი.

ეკატერინე ფოლადაშვილი რუსთავის გზატკეცილზე, ნაქირავებ ბინაში მეუღლესთან, გოჩა კვებრელთან და წლინახვერის შვილთან ერთად ცხოვრობდა. გოჩას სახლში ეძინა და ცოლისძმის მოსვლაც არ გაუგია, არც ხმაური და კამათის ხმა შესულა მის ოთახში. სავარაუდოდ, ძმამ და მოგუდა ან ჯერ ყელი გამოსჭრა და მერე სხვა დაზიანებები მიაყენა. რამდენად სარწმუნოა გავრცელებული ვერსია, ტოტალიზატორში წაგებული ფულის გამო ჩადენილი მკვლელობის შესახებ, — ამას გამოძიება დაადგენს. ალბათ იმასაც გაეცემა პასუხი, თუ რისთვის სჭირდებოდა გიორგი ფოლადაშვილს 15 დოლარი, რომელიც მკვლელობის შემდეგ მან დის საფულ-იდან ამოიღო.

ასეთი დანაშაულის დროს, როგორც წესი, ეჭვქვეშ დგება განსასჯელის ფსიქიკური მდგომარეობა. როგორც ამბობენ, გიორგი ფოლადაშვილს ფსიქიკური პრობლემები ნამდვილად ჰქონდა და დედამ სამკურნალოდ, თბილისის ფსიქიატრიულ სავადმყოფოშიც მოათავსა. ახლობლების მტკიცებით, ის 8 თვის წინ ფსიქიატრიულიდან გაიქცა. სანტერესოა, რა გახდა მამინ მისი საავადმყოფოში მიყვანის მიზეზი. ამ და სხვა ბევრ კითხვაზე და-ძმის ოჯახის წევრების დაკითხვები გასცემს პასუხს. განსასჯელს ფსიქიკური ექსპერტიზა ჩაუტარდება. შეეცადათ, მისი ადვოკატისგან გაგვერკვია, რამდენად ადეკვატურია საუბრის დროს ბრალდებული ფოლადაშვილი. „ის კონტაქტურია, კითხვებზე პასუხს სცემს, მაგრამ მისი ფსიქიკური მდგომარეობა ექსპერტით უნდა გაირკვეს; თანახმაა, ექსპერტიზა რომ ჩაუტარდეს“, — გვითხრა **კონსტანტინე ბაძალუა**. ის ჯერ განსასჯელის ოჯახის წევრებს არ გასაუბრებია, რადგან ისინი მძიმე მდგომარეობაში არიან. თუ ფსიქიკური პრობლემა ჰქონდა, შესაძლოა, მას და ათვალწუნებულიც ჰყავდა. ახალგაზრდა ქალის ცხედარი მეუღლის სოფელში გადაასვენეს და იქ დაკრძალეს. საქმეზე გამოძიება გრძელდება.



იპოქაედაბან თუ არა პოლიციელები გონივრულად

როგორც ცნობილია, კანონში შეტანილი ცვლილების მიხედვით, პოლიციელს „გონივრული ეჭვის“ საფუძველზე მოქალაქის ქუჩაში გაჩერების, ტანსაცმლის ზედაპირული შემოწმებისა და ჩხრევის უფლება მიენიჭა. თუ მოქალაქეს კანონსაწინააღმდეგო ნივთი არ აღმოაჩნდა და იგი მიიჩნევს, რომ უკანონოდ გააჩერეს, შეუძლია, 5 დღის ვადაში პოლიციელს სასამართლოში უჩივლოს; თუკი პოლიციელი პირის შეჩერების კანონიერებას ვერ დაასაბუთებს, მას ფულადი კომპენსაციის გადახდა დაეკისრება...

თაე სურსილაეა

ამ მოთხოვნით საქალაქო სასამართლოში განცხადება ჯერჯერობით არ შესულა, მაგრამ ფაქტია — ამ ცვლილებამ საზოგადოების დიდი ნაწილის შემფოთება გამოიწვია. მისი აზრით, პოლიციელები ქუჩაში მოქალაქეებს უკანონოდ ისედაც აჩერებდნენ, ახლა კი ამას სისტემატური სახე მიეცემაო.

თავად სამართალდამცველების პოზიცია განსხვავებულია. მართალია, მათგან ოფიციალური კომენტარის მოპოვება ადვილი არ არის, რადგან ნებართვის გარეშე ინტერვიუს მიცემა აკრძალული აქვთ, მაგრამ პირადი საუბარისას პოლიციელმა არ დამალა, რომ ეცდებო, აღნიშნული უფლება იშვიათად გამოიყენოს. „რიგითი პოლიციელი ვარ და სიმართლე გითხრათ, ვეცდები, ნაკლებად გამოვიყენო. ხომ შეიძლება, ჩემი ეჭვი არ გამართლდეს და შემდეგ მიჩივლონ. ასეთ დროს ადვილად შეიძლება, ჯოხი რიგით პოლიციელზე გადატყდეს და თქვან, — აი, როგორ ისჯება დამრღვევი პოლიციელი!.. ამიტომ, თუ ნამდვილად არ მეცოდინება, რომ კაცს შეიძლება, აკრძალული ნივთი ჰქონდეს, არ გავაჩერებ. ისე, რეალურად, ეს ცვლილება პოლიციელებს გაუადვილებს საქმიანობას, რადგან ხშირად ვერ ვაჩერებდით მოქალაქეებს, განსაკუთრებით, ახალგაზრდებს, რომლებიც აკრძალული ნივთებით დადიან“.

ჩვენი რესპონდენტი სწორედ უკანონო პატიმრობის მსხვერპლი გახდა. მისი დაკავებიდან ბევრი დრო გავიდა და დღემდე ვერ ივიწყებს იმ უსამართლობას, რომელიც მის მიმართ განხორციელდა.

დათო, 34 წლის:

— სამსახურიდან სახლში მანქანით ვბრუნდებოდი, როცა პოლიციელებმა გამაჩერეს. ხელები ამანვეინეს და ჩხრეკა ჩამიტარეს. ამ დროს ერთმა პოლიციელმა იყვირა,

— მანქანაში ნამალიაო!.. გაოგნებული ვიყავი, გავპროტესტე, მაგრამ რას გავხდებოდი?! ასე აღმოჩნდი სოფლის შენობაში. სამი ბიჭის მამა ვარ და გეფიცებით, ნარკომანზე მეტად არავინ მეზობლება. ნამალს არასდროს გავკარებოვარ, მთელი ცხოვრება ფიზიკურად ვშრომობ, რომ პატიოსნად ვარჩინო ოჯახი. მაგრამ ასეთ დროს შენი უდანაშაულობის დამტკიცება ძალიან ძნელია. რომ ვიგებდი ამბებს, არ მჯეროდა და ვამბობდი, — როგორ შეიძლება, სრულიად უდანაშაულო კაცი დაიჭირონ-მეთქი?! არავის ვუსურვებ, საკუთარ თავზე გამოცადოს, რა შეგრძნებაა უსამართლოდ დაკავება... მერე აღმოჩნდა, რომ ჩემი საწარმოს ხელმძღვანელი ჰყავდათ დაკავებული და ჩემგან მისი საწინააღმდეგო ჩვენების მიღება სურდათ, — ეს

იყო რეალურად, დაკავების მიზეზი. მთელი დღეები სწორედ იმ ადამიანზე ინფორმაციების მიღებას ცდილობდნენ. რაც არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა. ჩემი ყურით მოვისმინე, როგორ გადაულაპარაკეს ერთმანეთს, — მგონი, ამან მართლა არაფერი იცის და ჩვენი ინფორმაცია არასწორიაო. სასოწარკვეთილი ვიყავი, ცხოვრებაში ციხესთან შეხება არ მქონია... დეტალების მოყოლა შორს წაგვიყვანს. რაც ყველაზე გამოგნებული იყო, ექსპერტიზის დასკვნაში ეწერა, თითქოს ნამლის ზემოქმედების ქვეშ ვიმყოფებოდი... არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა, ადგილს ვერ ვპოულობდი. ჩემი ადვოკატი მამშვიდებდა, — დამიჯერე, გაგიმართლა, ეს ყველაზე კარგი საშუალებაა, აქედან თავი რომ დააღწიო; ხომ ხედავ, ბოლომდე არ გაგნირეს და ასეთ დროს, უნდა ვალიაროთ, თითქოს ნამლის მომხმარებელი ხარო. ამ სიტყვებმა გამაგიჟა, ადვოკატი ოთახიდან გავაგდე... მერე გამომძიებელმა შემომთავაზა — თუ ვალიარებდი, საპროცესო შეთანხმებას გამიფორმებდა. იცით, იმაზე მეტი საშინელება არაფერია, როცა დანაშაული არ ჩაგიდენია და ამის აღი-

<p>საძინებლები</p> 	<p>ვაგიდა - სკამები</p> 
<p>ავეჯის სალონი "კლასიკა" იტალიური ავეჯის და ტექსტილის დიდი არჩევანი</p>	
 <p>450 ლარი</p>	 <p>580 ლარი</p>
<p>გასაშლელი დივან-საწოლი</p>	<p>გასაშლელი დივან-საწოლი</p>
<p>ალ. ყაზაგის გამზ.14^ბ ☎ 38 88 11 ვაჟა-ფშაველას გამზ.25 ☎ 37 11 11</p> 	



არებას გთხოვენ, არადა, იცი — ამაზეა დამოკიდებული ყველაფერი. ადვოკატიც ამბობდა, რომ სხვაგვარად უდანაშაულობის დამტკიცება გამიჭირდებოდა. მართლა მზად ვიყავი ციხეში ვმჯდარიყავი, მაგრამ ვიცოდი, ჩემი ოჯახი დაიღუპებოდა, რადგან ერთადერთი მარჩენალი ვიყავი. ორი თვე გავატარე ციხეში და შემდეგ საპროცესო გამიფორმეს. საშინელება იყო, როცა პროცესზე გამიყვანეს. დარბაზი საესე იყო ჩემი ახლობლებით. მართლა არ მახსოვს, პროცესზე რა ვთქვი. პირობითი სასჯელი მომისაჯეს და გამომიშვეს. ასე გავხდი პრობაციონერი. მთელი 2 წელი დავდიოდი პატიოსნად აღრიცხვაზე. სამსახური დავკარგე და დღემდე უმუშევარი ვარ: ვის სჭირდება ნასამართლევი ადამიანი სამსახურში?! ზოგჯერ ეს ტკივილი მახრჩობს — რატომ უნდა მქონოდა ნარკომანის სახელი, როცა არასდროს წამალს არ გავკარებებოვარ?!. მორწმუნე კაცი ვარ და ვიცი, უფალი გადაუხდის ყველას, ვინც ჩემს უკანონო დაკავებაში წვლილი შეიტანა...

დათოსგან განსხვავებულია, 19 წლის ბიჭის თავგადასავალი. ის კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა ქუჩაში გააჩერეს, პირადობის მოწმობა და ჯიბიდან ნივთების ამოლაგება მოსთხოვეს. სიგარეტი და პატარა დანა, რომელსაც ძალიან ბევრი ფუნქცია აქვს (ბოთლის ამოსახრახნი, ფრჩხილების საკვენტელა) ამოიღო. ამის გამო ოქმი შეადგინეს და სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, რადგან 21 წლამდე დანის ტარება კანონით იკრძალება. მისი ადვოკატი აცხადებს, რომ დაკავება უკანონოდ მოხდა. მას 2.000-ლარიანი გირაო და 500 ლარი ჯარიმა შეეფარდა. ასეთი დაკავება ხშირია და ძირითადად, გირაოსა და ჯარიმას უფარდებენ. 19 წლის ბიჭის პროცესზე პოლიციელები ჩვენების მისაცემად არ მისულან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი რამდენჯერმე დაიბარეს. თავად ბრალდებული ახალგაზრდა ირწმუნება, — არ ვიცოდი, დანის ტარების უფლება რომ არ მქონდა, მეგონა, მხოლოდ 18 წლამდე არასრულწლოვნებს ეკრძალებოდათ, მე კი 19 წლის ვარო... მისი ადვოკატი ამბობს, რომ ე.წ. გონივრული ეჭვის საფუძველზე, მსგავსი ფაქტი გახსირდება.

გელა ნიკოლაიშვილი, ადვოკატი:
— პოლიციელებს განუსაზღვრელი უფლებები კიდევ მეტად გაუზარდეს, პრაქტიკულად არც ერთ სასამართლოს პოლიციელის ნათქვამში ეჭვი არ შეაქვს; რაც უნდა საწინააღმდეგო მტკიცებულება იყოს, მისი ჩვენება უსიტყვოდ არის გაზიარებული. დღეს ეს უკვე კანონის რეგულაციის საფუძველიც გახდა: კანონში პირდაპირ ჩაიდო — საკმარისია, პოლიციელს გაუჩნდეს „გონივრული ეჭვი“ და შეუძლია, ჩსრეკა ჩაატაროს.



— ბატონო გელა, თავად პოლიციელებსაც ეშინათ და ამბობენ, — შესაძლოა, მათი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს და ამ საკითხს სიფრთხილით მოეკიდებიან...

— მათ შეუძლიათ, მშვიდად იყვნენ: პოლიციელი იტყვის და მის სიტყვას დამტკიცება აღარ დასჭირდება, ისედაც გაიზიარებენ მოსამართლეები. აბსურდული განმარტება ჰქონდა ამ პროექტის ავტორს, ლაშა თოდრიას: როცა დებატების დროს ვკითხე, — რა არის გონივრული ეჭვი-მეთქი? — მიპასუხა, — როცა სწრაფი ნაბიჯით მიდის კაცი რუსთაველზე, ეს ხომ ინვესტეჯისო?! კარგი, გააჩერა, არაფერი აღმოაჩნდა, მან კი ისევ ჩქარი ნაბიჯით გააგრძელა გზა სხვა პოლიციელმა ისევ უნდა გააჩეროს? — ვკითხე მას, მაგრამ პასუხი არ ჰქონდა, სხვა „გონივრული“ მაგალითი ვერ მოიყვანა. უკანონო დაკავების ფაქტი ხშირია. რამდენიმე შემთხვევა მქონდა. ჯაბა ჯიშკარიანმა, ირაკლი კორძაიამ და დანი ცაგურიამ შეიტყვეს, რომ მიხეილ სააკაშვილი საჯარო ბიბლიოთეკაში იყო

როგორც რიგითი მოქალაქე, გეტყვით, ჩვენს პოლიციელებს არ შეიძლება, არაგონივრული ეჭვი ჰქონდეთ, რადგან ყველა მათგანი „გონიერია“, აქედან გამომდინარე, ყველა მათი ეჭვი „გონივრული“ იქნება. ფორმალურია კანონში მითითება — თუ მოქალაქე არ ეთანხმება, შეუძლია, სასამართლოში გასაჩივროს და მოსამართლე ობიექტურად იმსჯელებს, თუ უსაფუძვლო აღმოჩნდა, პოლიციელს დასჯისო. ასეთი სიტუაცია გამორიცხებულია, პრაქტიკიდან გამომდინარე. ჯერ ერთი, უზენაესმა სასამართლომ რამდენიმე თვის წინ პრეცედენტული გადაწყვეტილება მიიღო: როდესაც მოწმე არ არსებობს და პოლიციელი ვერ ამტკიცებს იმას, რაშიც ბრალს სდებს დაკავებულს, ასეთ შემთხვევაში, მოქალაქე ვალდებულია, თავად ამტკიცოს საკუთარი უდანაშაულობა. ამ პრეცედენტს უკვე იყენებენ მოსამართლეები. პირადად მე, როგორც მძლოლი, პატრულმა არასწორად დამაჯარიმა; არ დავეთანხმე და ამის გამო სასამართლოში ვუჩიველე. ყველანაირად ვამტკიცებდი, რომ მართალი ვიყავი, მაგრამ მოსამართლემ მაინც პოლიციელის ჩვენება გაიზიარა სწორედ იმ მოტივით, რომ მე ვიყავი ვალდებული, მემტკიცებინა ჩემი უდანაშაულობა.

მისული თანამშრომლებთან შესახვედრად. გადანყვიტის, თავიანთი პროტესტი და დეფიქსირებინათ. ქუჩაში მოკლული სამი ადამიანის ფოტო გულზე ჩამოიკიდეს და იქამდე მისვლას აპირებდნენ; მათ ჟურნალისტებიც ახლდნენ. პარლამენტის წინ, მინისტრებმა გადასასვლელთან პოლიციელები დაესივნენ და დააკავეს; ადმინისტრაციული სასჯელის შეფარდების მოსოხვენი, სასამართლოს მიმართეს, მათ ვიცავდი. 10-მდე ტელეკამერამ დააფიქსირა, რომ მათ არაფერი დაურღვევიათ. პოლიციელები ჯერ ამბობდნენ, — სამი ადამიანი გზაზე რომ მიდიოდა, ეს მიტიინგი იყოო... როცა გაირკვა, რომ არანაირი მიტიინგი არ ყოფილა, იმის მტკიცებას შეუდგნენ, რომ ისინი სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ. არადა, დაკითხული ჟურნალისტებიც ამტკიცებდნენ, რომ მსგავსი არაფერი მომხდარა. ჩვენ წარვადგინეთ ჟურნალისტების გადაღებული ფირი და მოსამართლეს ვთხოვეთ, სიმართლის დასადგენად ეს ფირი ენახა. გვიპასუხა, — არ მაინტერესებს, ეს არ არის დასაშვები მტკიცებულება, ვენდობთ პოლიციელთა ჩვენებასო, — და მათ 400-400-ლარიანი ჯარიმები

გაგრძელება იხ. გვ. 16

რატომ გადაუხდნენ დინოზავრები?

რომელ ცხოველს მიიჩნევენ დღეს დინოზავრის პირდაპირ შთამომავლად?

ბაიბაი უფრო მეტი! 25 ჩამომბრძან – 1 ნომერადი

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მეტხველისთვის სპეციალური ფასი 15 ლარი!

სამბანოშიანი (3D) გამოსახულებები შეიძინეთ „კვირის პალიტრასთან“ ერთად

„კვირის პალიტრის“ ხელმძღვანელთა საყურადღებოდ! ნიგნის შექმნის მსურველები დაუკავშირდეთ „მლაპი“-ს კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგარიგეთ!

ტელ: 38-26-73\38 26 74



* - მალე



სერია „ეს სამყარო“-ს ნიგნები: №1, №2, №3, №4, №5, №6, №7 და №8 იყიდება ნიგნის მაღაზიებში!



„პარსკვლავების აკადემიიდან“ — ექსტრემალურ რეპორტაჟაჟად

„სიკვდილს ჩავხედე თვალებში! ასე არასდროს შემძინებია...“

„ვარსკვლავების აკადემიაში“ მონაწილეობის შემდეგ ეკა ამირეჯიშვილს მისთვის მოულოდნელად, „რუსთავი 2“-ის დილის პროგრამაში მუშაობა შესთავაზეს. ეკა რადიო „ფორტუნაშიც“ მუშაობს, მუსიკალურ ნამყვანად. ორი სამსახურის გამო ძალიან დაკავებულია, მაგრამ ამასთანავე, ბევრი გეგმაც აქვს; უნდა, საზღვარგარეთ წავიდე სასწავლებლად. სანამ ინტერვიუს შევუდგებოდით, მისი მობილური ანკრიალდა. ფურცელზე ამ დროს მარცხენა ხელით რაღაც მოინუნა. პირველი კითხვაც ამ ფესტმა მიკარნახა:

მერი კოვიაშვილი

— ეკა, ცაცია ყოფილხარ, ეს დისკომფორტს სომ არ გიქმნის?

— ამბობენ, „მემარცხენეები“ განსაკუთრებულად ნიჭიერები არიანო. ამერიკის ბევრი პრეზიდენტი ცაცია იყო. ჩემი ამბიცია პრეზიდენტობას ნამდვილად არ სწვდება... სხვა ადამიანებისგან დიდად გამორჩეულად თავს არ ვგრძნობ. არადა, ეს ამბავი ბევრჯერ შეუცხადებია ახალგაზრდობილ ადამიანს: ვა, ცაცია ხარო?! — უთქვამს.

— შენში განსაკუთრებულ ნიჭს რაში ხედავ?

— ერთდროულად ბევრი რამის გაკეთება შემიძლია. არსებობენ ადამიანები, რომლებსაც მხოლოდ ერთ რამეზე კონცენტრირება შეუძლიათ. მე მალთითა ადამიანი ვარ. ეს კარგია, მაგრამ ამავე დროს დამღლელიცაა და დამლუშველიც. შეიძლება, ბევრ რამეს მიედ-მოეღო და საბოლოო ჯამში, არაფერი გამოგივიდეს. ცხოვრებაში ბევრი რამე მინტერესებს და ბევრი რამის სწავლას ვაპირებ. საკუთარი ძალების ბევრ რამეში მოსინჯვას ვაპირებ და ვნახოთ, რა გამოვა.

— ცოტა ხნის წინ ექსტრემალური რეპორტაჟი გქონდა — ტელეეთერში სიდიდან გადახტი. ექსტრემი გიტაცებს?

— 48 მეტრის სიმალიდან გადმოვხტი.



ეთერისთვის რომ არ ყოფილიყო საჭირო, ამას არასდროს გავაკეთებდი. როცა ტელევიზიაში მუშაობ, რაღაცნაირი სენი გეყრება ადამიანს — ისეთ რამეებს ჩაგადენინებს, რასაც ცხოვრებაში არასდროს ჩაიგადენდი... აქამდე ყველაზე საშიში რაც გამიკეთებია, ის იყო, რომ ტანზე გველი შემოვიხვიე. ხიდიდან რომ გადავხტი, მივხვდი — გველის შემოხვევა ამასთან შედარებით, არაფერი იყო. ახლა ცხრა გველიც რომ შემომახვიონ, არანაირი რეაქცია არ მექნება. სიკვდილს ჩაგხედე თვალებში! ასე არასდროს შემძინებია... მაგრამ პირდაპირი ჩართვისთვის საჭირო იყო... არ მეგონა, ჩემს გადმოსტომას ამხელა რეზონანსი თუ მოჰყვებოდა: იმ დღეს ჩემი ტელეფონი არ გაჩერებულა.

— მაინც, როგორი შეგრძნება იყო?

— ჰერში რომ ვიყავი და მივფრინავდი, ვიფიქრე, ცხოვრება დამთავრდა-მეთქი... ბევრი გაგიჟებული მირეკავდა და მეკითხებოდა, — ეს როგორ გააკეთე?! ვიცოდი, რომ თავით უნდა გადავმტარიყავი და ეს კიდევ უფრო დამთრგუნველი იყო. ჰოდა, მეც ფეხებით გადავხტი. ახლა მაქვს სტიმული, რომ შემდეგ ჯერზე თავით გადავხტე. მაგრამ არ გეგონოთ, რომ განსაკუთრებული ექსტრემალი ან აზარტული ადამიანი ვარ. ეს მხოლოდ იმაზე იყო გათვლილი, რომ საინტერესო ჩართვა გაგვეკეთებინა.

— ეკა, გემოვნების საკითხზე გიკამათია?

— არ მიყვარს, როცა საკუთარ აზრს მახვევენ თავს: თითქოს ვალდებული ვარ, რასაც სხვები ამბობენ, დავეთანხმო... გემოვნებაზე ვკამათობ იმ შემთხვევაში, თუ საკუთარ აზრს დაუინებოთ მახვევენ თავს.

— სამსახურიდან გამომდინარე, ყველაზე სწორად ალბათ მუსიკის გამო კამათობ. არის სიმღერა, რომელიც გალიზიანებს?

— ორ სიმღერას — „აი ვილ სევაივ“ და „ჰოტელ კალიფორნია“ — ვერ ვიტან.

— ბევრჯერ გაქვს მოსმენილი და ალბათ ამიტომ არ მოგწონს.

— რადიომსმენელებმა სიმღერის

უაზრობამდე ამოჩემა იციან. ამ ორი სიმღერის მოსმენა არასდროს მომიხდება. არადა, ითვლება, რომ კარგი სიმღერებია... ახლა ლედი გაგას ეპოქა — ყველა ბარიდან მისი სიმღერები ისმის. მე კი მისი მოსმენა აღარ შემიძლია.

— ცუდ ხასიათზე როცა ხარ, როგორი ფანრის სიმღერებს უსმენ?

— ამოჩემათული სიმღერა არ მაქვს. მაგრამ არის რამდენიმე შემსრულებელი, რომლის მოსმენის ხასიათზეც სულ ვარ. ტონი რამუსს ნებისმიერ დროს მოვუსმენ, ჯეკ ჯონსონიც ძალიან მომწონს. კიდევ არის რამდენიმე შემსრულებელი, რომლის სიმღერებზეც ძალიან მომწონს. გააჩნია დღეს, განწყობილებას და ამინდს.

— თუ გრჩება დრო საიმისოდ, რომ საკუთარ მუსიკალურ კარიერაზე იზრუნო? შენ თვითონ რომელი ფანრის სიმღერებს მღერო?

— ორი სამსახურის გამო, ისეთი დატვირთული ვარ, სამწუხაროდ, ვერ ვიცი. მინდა, საკუთარ კარიერას ბევრი დრო დავუთმო, მაგრამ არ გამომდის. შეიძლება ითქვას, კბილებით მიჭირავს ჩემი ჯგუფი — „ქეთრინ ენდ მი“. ჩვენი სიმღერები — მუსიკალური ნახავია, ბევრ მიმართულებას უზნაშეხებთ ერთმანეთს. ერთმნიშვნელოვნად სოულს ან როკს არ ვმღერით.

— ცეკვა გებერება?

— მიხერება, მაგრამ ცეკვანუ არასდროს მივლია. ვფიქრობ, თუ ადამიანს სმენა აქვს, ნებისმიერ მელოდიაზე იცეკვებს.

— ნიგნის წასაკითხად დრო თუ გრჩება?

— ეს ჩემთვის ძალზე მტკიცეული თემაა: ზოგჯერ ისეთი „გათიშული“ ვბრუნდები სახლში, რომ ერთადერთი, რაც შემიძლია, დაძინებაა. კითხვისგან სიამოვნება უნდა მიიღო და ერთსა და იმავე გვერდს რამდენჯერმე არ უნდა დაუბრუნდე. ბევრს ვერ ვკითხულობ და ამას ძალიან განვიცდი, მაგრამ მომავალში ტაიმ-აუტს ავიღებ და ჩემს განათლებას მივხედავ ანუ ისევ დავუბრუნდები იმ დროს, როცა ბევრს ვკითხულობდი. საყვარელი მწერლები, რა თქმა უნდა, მყავს. არ მიყვარს ისეთი ნიგნების კითხვა, რომლებშიც მხოლოდ სიყვარულის ამბავია გადმოცემული და დიდ გავლენას არ ახდენს ადამიანის ცნობიერებაზე. ძალიან მიყვარს ჰემინგუეი. მასოსვს,



ინგლისურად რომ წავიკითხე რომანი „მშვიდობით, იარაღო“, ემოციებით დავიმუხტე. ამ წიგნშიც სიყვარულის ამბავია გადმოცემული, მაგრამ მაინც ძალიან მომეწონა. კიდევ, დოსტოევსკი მიყვარს. მის ნაწარმოებებს რომ ვკითხულობდი, თითოეულმა ფრაზამ ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა... ძალიან მიყვარს გაბრიელ გარსია მარკესი. ძალიან მომეწონა მისი პატარა ნოველა — „მე მივდივარ“. მწერალი იქ იმის შესახებ წერს — სიკვდილამდე სულ ცოტა დრო რომ ჰქონოდა დარჩენილი, რას გააკეთებდა. ეს ნოველა ისე მომეწონა, კინაღამ გავგიჟდი.

— **თუ შეგიძლია მითხრა, როგორ მამაკაცები მოგწონს?**

— საინტერესო მამაკაცები მომწონს...

— **შენთვის საინტერესო მამაკაცი როგორია?**

— რომელიც არ ამონურავს საკუთარ თავს ჩემთან ურთიერთობისას ერთ თვეში; რომელშიც სულ ახალ რამეს აღმოვაჩენ. ვერ ვიტყვი, შესახედაობას მნიშვნელობას არ ვანიჭებ-მეთქი. მომწონს, როცა მამაკაცს ჩაცმულობის ინდივიდუალური სტილი აქვს არჩეული. არ მომწონს, როცა ბიჭს სულ ჰალსტუხი აქვს ყელში ნაჭერილი.

— **შენ გქონდა ოჯახი; როგორ ფიქრობ — რა მიზეზით ვერ შეინარჩუნე?**

— ჩვენს შეხედულებებში ბევრი რამ არ დაემთხვა. ვერ ავანყვეთ ერთად ცხოვრება. ეს არც ერთის ბრალი არ იყო. ნებისმიერ ასაკში, მიუხედავად იმისა, გყავს თუ არა შვილი, თუკი თავს ბედნიერად ვერ გრძნობ და ხვდები, რომ საკუთარ თავს კარგავ, ცხოვრება აუცილებლად უნდა დაინყო თავიდან. ვერაფრით დავეთანხმები იმ ქალებს, რომლებიც მსხვერპლად სწირავენ საკუთარ თავს და შვილების გულისთვის ბევრ რამეს ითმენენ.

— **მომავალში, როცა იმავე ნაბიჯის გადადგმას დააპირებ, რას მიანიჭებ პირველ რიგში, მნიშვნელობას?**

— მართლა არ ვიცი, რა წესებითა და კანონებით უნდა იხელმძღვანელო, როცა ოჯახს ქმნი. შეიძლება გეგონოს, რომ ყველაფერი იდეალურადაა, მაგრამ უცბა სიტუაცია შეიცვალოს და მიხვდები, რომ მთავარი

რამ გამოგრჩა. მგონია, რომ დღევანდელი დღით ცხოვრება სჯობს ყველაფერს: რაც უფრო ცდილობ, ყველაფერი წინასწარ გათვალა და შორს გაიხედო, მით უფრო ვერ ახერხებ ამას... ოჯახის შექმნას თუ გადაენწყვეტ, ყურადღებას იმას მივაქცევ, ჩემი და ჩემი რჩეულის ხასიათი რამდენად შეეწყობა ერთმანეთს. ვეცდები, განვჭვრიტო, იმ ადამიანის გვერდით ყოფნა მომზებრდება თუ — არა.

— **მითხარო, რომ ისეთი ბიჭები მოგწონს, რომლებიც თავისუფალ ჩაცმულობას ანიჭებენ უპირატესობას; თავად როგორ სამოსში გრძნობ თავს კარგად?**

— ამოჩემებული არც ერთი სტილის სამოსი არ მაქვს. აკადემიურ, კლასიკური სტილის სამოსსაც ვიცვამ, შეიძლება მნახო პიჯაკსა და თეთრ პერანგში გამოწყობილიც და შეიძლება, კედებსა და ჯინსშიც გამოვყვნიყო. ჩაცმულობას განწყობილებისა და ამინდის მიხედვით ვირჩევ ხოლმე.

— **როგორ გართობას ანიჭებ უპირატესობას?**

— ბოლო დროს ისე ვიღებ, რომ აქტიური გართობის თავი აღარ მაქვს. უფრო ისეთ სიტუაციაში ყოფნა მირჩევნია, როცა დაჯდები და წყნარად ისაუბრებ მეგობრებთან. კლუბებისა და ხმაურის გაგონება აღარ მინდა. მაგრამ ზოგადად, აქტიური დასვენება მიყვარს. „პენსიონერული“ გართობა არ მომწონს.

— **შენი კულინარიული გემოვნება როგორია?**

— პრეტენზიული მჭამელი ნამდვილად არ ვარ. მიყვარს როგორც ქართული, ისე ევროპული კერძები. ეს ყველაფერი ალბათ იმაზეა დამოკიდებული, ბავშვობიდან ყველაფრის ჭამას გაჩვევენ თუ — არა. მაგალითად, ერთ ჩემს მეგობარს მთელი ცხოვრების განმავლობაში ყველი არ ჰქონდა გასინჯული; როცა პირველად მიირთვა, ძალიან მოეწონა. მე ტუბილეული მიყვარს, რისი ჭამაც ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად შევიზღუდე. შეიძლება, დღის განმავლობაში საჭმელი საერთოდ არ გამახსენდეს, მაგრამ შოკოლადი ვჭამო. ტუბილეული დიდ ენერჯის მძღლეს.

— **შენც აზადებ საჭმელებს?**

— ძირითადად დედა ტრიალებს სამზარეულოში, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ბევრი რამის გაკეთება

შემიძლია. თუკი ჭამა გიყვარს, რატომ ვერ შეკაზმავ გემრიელად?! ბორშიდან დანყებული, ბაჭუთი დამთავრებული — ყველაფრის მომზადება შემიძლია.

— **სად უფრო მოგწონს მუშაობა — რადიოში თუ ტელევიზიაში?**

— ძალიან რთულია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ორივეზე გიჟური ტემპია... როცა შენი საქმე გიყვარს და აზარტში შედიხარ, ყველგან კარგია საქმიანობა.

— **მომავალში როგორ გადაცემაში წარმოგიდგენია თავი?**

— არ ვიცი. სიმართლე გითხრა, 3 წლის წინ მე თვითონაც, რადიოშიც ვერ წარმომედგინა ჩემი თავი; აქ სრულიად შემთხვევით მოხვდი. შეიძლება, რამდენიმე წლის შემდეგ ისევ მუსიკას დაფურუნდე. საერთოდ კი მინდა, ისევ სწავლა გავაგრძელო. ეს პერიოდი ალბათ მალე დადგება ჩემს ცხოვრებაში. ჯერ მხოლოდ 23 წლის ვარ და მგონია, რომ ეს ის ასაკი არ არის, როცა სწავლა უნდა დაამთავრო.

— **რის სწავლას აპირებ?**

— ბავშვობიდან ვოცნებობდი მსახიობობაზე. თუ საზღვარგარეთ წავალ, ენის შესწავლასაც ბევრ დროს დაუთმობ და ხელოვნების სფეროდანაც რომელიმეს ავირჩევ. ეს შეიძლება იყოს ფოტოხელოვნება ან მსახიობობა — ჯერ ბოლომდე გადაწყვეტილი არა მაქვს.

გაითხველთა თსოვნით!

ხალხური მედიცინის მოყვარულებს!



ფასი: 15.99



აბჯანაე ბაბანიანი და ილუსტრირაული!
შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში!



დააკისრა. იგივე გამეორდა ცოტა ხნის წინ, გარე მოვაჭრეების აქციების დროს, როდესაც ალექო შალამბერიძე და ლევან ჩიტაძე დააკავეს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ გზას არ კეტავდნენ და არც არავის აგინებდნენ. ისევე, როგორც პირველ შემთხვევაში, როცა ფირი წარვადგინეთ, მოსამართლემ მის ნახვაზე უარი თქვა. ანალოგიური იყო ირაკლი კაკაბაძისა და მისი 2 მეგობრის დაკავებაც, როდესაც ბუმის პორტრეტი შეაფერადეს და ლექსებს ამბობდნენ. ასეთი ფაქტი ძალიან ბევრია.

— ჩამოთვლილი ფაქტები მაინც, საპროტესტო აქციებს უკავშირდება. მიგაჩნიათ, რომ ამ მუხლს განსაკუთრებით, აქციების დროს გამოიყენებენ?

— ამ მეთოდებს მიტინგების დროს ისედაც იყენებდნენ. მთავარი ის არის, რომ მოსამართლეს არ აინტერესებს მეორე მხარის აზრი; არსებობს მტკიცებულება, ვიდეოფირი და ის არც ნახულობს. იმ შემთხვევაში, როდესაც პოლიციელი დაიწყებს მტკიცებას, რომ გონივრული ეჭვის საფუძველზე დააკავა, ხოლო მოქალაქე იტყვის, — არა ბატონო,

ბას. ამ მოსაზრებას იზიარებს მისი კოლეგა **ნათია კორაძე**:

— რაში დასჭირდათ ამის მიღება, არ ვიცი. ისეთ ვითარებაში ხდება პიროვნებების დაკავება, რომ სამველადაც ვერავის უხმობენ. დაკავებულმა რომ გააპროტესტოს, მონწილის მოძიება გაუჭირდება. როგორც წესი, ასეთი ხალხის დაკითხვა პირდაპირ ეჭვმიტანილის სტატუსით ხდება. მათ მალლა აანევიანებენ ხელებს და პოლიციელი შესძახებს, — ეს რა არის?!. ხშირად ასე ჩნდება მოქალაქის ჯიბეში ნარკოტიკი. რამდენიმე ფაქტი მქონდა, მაგრამ იმის გამო, რომ დაკავებული ვერ ამტკიცებდა საკუთარ უდანაშაულობას, თავად დაკავებულები მთხოვდნენ, მიგველო პროკურატურის წინადადება და საპროცესო შეთანხმება გაფორმებულიყო. აზრი არ ჰქონდა ბრძოლას. მიუხედავად იმისა, რომ სასტიკი წინააღმდეგი ვარ, დავაკანონო ის უკანონობა, რასაც ისინი აკეთებენ, დაკავებულის ნება-სურვილს ვემორჩილები. ასეთი დაკავებით ძალიან ბევრი ადამიანი პრობაციონერადაც იქცა. რამდენიმე დღის წინ 25 წლის ახალგაზრდა დააკავეს — ამჟამად პატიმარია და მის ვინაობას ვერ ვიტყვი, რადგან იცით, პენიტენციურულ სისტემაში როგორი ზენოლა ხდება მათზე. მერვე საპრობილემში გაუსაძლისი მდგომარეობაა. ერთმა ჩემმა პატიმარმა მიიტხრა, — აქ სისხლის გუბებზე დგასო. უკანონო დაკავებისას ძირითადად, ნარკოტიკს უდებენ ჯიბეში და მერე, ჯარიმების გადახდითა და საპროცესო გარიგებებით გამოდიან საპრობილიდან. დმანისში კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარეს, მამუკა ჩხვიმიანს ბინაში ხელყუმბარა და ასაფეთქებელი ნივთიერებები ჩაუგდეს. 3 თვეზე მეტხანს მიმდინარეობდა გამოძიება და დიდი ბრძოლის შემდეგ, იგი სასამართლო დარბაზიდან გავათავისუფლეთ. დაზეპირებული ფრაზები ჰქონდათ პოლიციელებს: უჯრა გამოვალეთ და იქ ვნახეთ ეს ნივთებიო, — ამბობდნენ, მაგრამ დამტკიცდა, რომ ეს ნივთები ჩადებული იყო. ამ შემთხვევაში იმით გაგვიმართლა, რომ ფირი, რომელზეც უნდა ყოფილიყო დაფიქსირებული, როგორ მოხდა აკრძალული ნივთის ამოღება, ცარიელი აღმოჩნდა. საბოლოოდ, ბრალდების მხარე იძულებული გახდა, თავად შეენყვიტა საქმე.

თემურ ქეცბაიას ხელმძღვანელობით, საქართველოს ნაკრებმა 4 შესვენდრა ჩაატარა და არც ერთი არ წაუგია. საშემოდგომო ეტაპზე გუნდმა 6 ქულა მოაგროვა და ექტორ კუბერის მიერ წინა შესარჩევში ნაჩვენები შედეგი უკვე ორმაგად გააუმჯობესა. გუნდში მნიშვნელოვანი როლი კვლავაც აკისრია კახა კალაძეს, რომელსაც ქეცბაიამ ამპლუა შეუცვალა და ცენტრის ნაცვლად, დაცვის მარცხენა ფლანგზე ათამაშებს. აგვისტოს მინურულს „ჯენოაში“ გადასულმა ფეხბურთელმა მთავარი მწვრთნელის ტაქტიკური ცვლილებას ალლო ადვილად აულო, რაც გასაკვირი არაა, რადგან თავის დროზე, „მილანში“ ახალგადასულს ფლანგზე არაერთხელ უთამაშია. მომავალ წლამდე ნაკრებს ევროშესარჩევში თამაშის ჩატარება აღარ უნევს და კალაძეს განვლილი პერიოდების შეფასება ვთხოვეთ, საუბარი კი ლატვიასთან სტუმრად გამართული შეხვედრით დავინკეთ. ბოლო წუთებზე სამი ქულის დაკარგვა, ბუნებრივია, ძალიან საწყენია...

ლუპო თაბაგარი

— ფეხბურთში ყველაფერი ხდება — ხან მოიგებ, ხან წააგებ, ხანაც ფრეს ითამაშებ. უბრალოდ, გულდასაწყვეტია, რომ ფაქტობრივად, ლატვიიდან 3 ქულა მოგვექონდა, მაგრამ წუთი და 10 წამი დაგვაკლდა. მაგრამ ყველაფერი წინ არის. მარტში თბილისში ხორვატიასთან გვაქვს შეხვედრა ჩასატარებელი და 3 ქულა უნდა ავიღოთ.

— ლატვიელი ფეხბურთელის დარტყმა ძალიან ილბლიანი აღმოჩნდა...

— ცაუნიამ ისეთი გოლი გაიტანა... ასჯერ რომ დაერტყა, შეიძლება, არ გასულიყო.

დაზეპირებული ფრაზები ჰქონდათ პოლიციელებს: უჯრა გამოვალეთ და იქ ვნახეთ ეს ნივთებიო, — ამბობდნენ

ეჭვის საფუძველი არ მიმიციაო, — რა თქმა უნდა, პოლიციელს დაუჯერებენ. მათ მიცემული აქვთ აბსოლუტური უფლება, როცა უნდათ, მაშინ ჩაუტარონ მოქალაქეს ჩხრეკა: დათვალე რეზებს ეძახიან, მაგრამ ეს არის ფაქტობრივად, ჩხრეკა. როგორ წარმოგიდგენიათ — ტანსაცმელი გარედან რომ დაათვალე, ხელზე მაგარი საგანი მოხვდეს, ხომ ნახავს მას? მნიშვნელოვანია ისიც, რომ აქ ოქმის შედგენა არ ევალება პოლიციელს: თუ რამის ჩადება უნდა, კიდევ უარესი, — ამის გაკეთება თავისუფლად შეუძლია.

ადვოკატების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ უკანონო ნივთის ჩადებას უპრობლემოდ შეძლებენ. ზურაბ როსტიანიშვილის თქმით, ძალიან ხშირია შემთხვევა, როცა ადამიანს ნარკოტიკს ჩაუდებენ და შემდეგ ის ვერ ამტკიცებს თავის უდანაშაულო-

ხდითა და საპროცესო გარიგებებით გამოდიან საპრობილიდან. დმანისში კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარეს, მამუკა ჩხვიმიანს ბინაში ხელყუმბარა და ასაფეთქებელი ნივთიერებები ჩაუგდეს. 3 თვეზე მეტხანს მიმდინარეობდა გამოძიება და დიდი ბრძოლის შემდეგ, იგი სასამართლო დარბაზიდან გავათავისუფლეთ. დაზეპირებული ფრაზები ჰქონდათ პოლიციელებს: უჯრა გამოვალეთ და იქ ვნახეთ ეს ნივთებიო, — ამბობდნენ, მაგრამ დამტკიცდა, რომ ეს ნივთები ჩადებული იყო. ამ შემთხვევაში იმით გაგვიმართლა, რომ ფირი, რომელზეც უნდა ყოფილიყო დაფიქსირებული, როგორ მოხდა აკრძალული ნივთის ამოღება, ცარიელი აღმოჩნდა. საბოლოოდ, ბრალდების მხარე იძულებული გახდა, თავად შეენყვიტა საქმე.





კახა კალაძე: დღესდღეობით, ვისაც ნაკრებში იძახებენ, საუკეთესონი არიან



საც მართლა ძალიან ნიჭიერი თაობა გვყავდა. გუნდი მოედანზე ბოლომდე იბრძვის, რაც შედეგზეც აისახება.

— აქამდე ეროვნულ ნაკრებში ძირითადად, დაცვის ცენტრში თამაშობდით, მაგრამ ქვებაიამ მარცხენა ფლანგზე მიგიჩინათ ადგილი...

— სადაც გუნდისთვის სასარგებლო ვიქნები, იმ პოზიციაზე ვითამაშებ, სადაც საჭირო იქნება. „მილანში“ წლების განმავლობაში მარცხენა მცველად ვთამაშობდი. ამიტომ, ამ მხრივ არავითარი პრობლემა არ მაქვს.

— ეთანხმებით ქვებაიას ნათქვამს, რომ ნაკრებს მეტი შემქმნელი ფეხბურთელი სჭირდება?

— ჩემი აზრით, დღესდღეობით, ვისაც ნაკრებში იძახებენ, საუკეთესონი არიან და მოედანზე მაქსიმუმს

— როგორ ფიქრობთ — მალტასთან და ლატვიასთან აღებული 4 ქულა საქართველოს ნაკრების მაქსიმუმი იყო?

— თავისუფლად შეგვეძლო, ამ ორ თამაშში 6 ქულა აგვედო. გარდა ამისა, გულდასაწყვეტია, რომ ისრაელთან თბილისში ფრეს დავეყრდით, რადგან მოგების შანსი გვქონდა. საერთოდ, ჩვენს ნაკრებს თბილისში ნარმატების მიღწევა ნებისმიერ მეტოქესთან შეუძლია, რადგან საქართველოში თამაში ბევრ გუნდს უჭირს.

— განვლილი თამაშებიდან გამომდინარე, სატურნირო ცხრილში ეროვნულ გუნდს კუთვნილი ადგილი უკავია თუ შეიძლება, უფრო ზემოთ ყოფილიყო?

— ვფიქრობ, შეგვეძლო, უფრო წინ ვყოფილიყავით. ლატვიის ნაკრებისთვის რომ მოგვეგო, ცხრილში მეორე ადგილზე ვიქნებოდით. მართალია, მინუსებიც გვქონდა, მაგრამ ნაკრებმა მატჩები კარგად ჩაატარა და შედეგი დადებითია. რაც მთავარია, ბრძოლას ვაგრძელებთ.

— თემურ ქვებაიამ ნაკრებში რა შეცვალა?

— უპირველეს ყოვლისა, სათამაშო დისციპლინა გამოსწორდა, რაც საქართველოს ნაკრებში ყველაზე დიდი პრობლემა იყო, მაშინაც კი, როდესაც

აკეთებენ. ტრავმირებულია ყენია, ხოლო მჭედლიძემ ახლა დაიწყო თამაში; ისინი რომ დაგვემატებინ, კიდევ უფრო გავძლიერდებით. საერთოდ, რაც მეტი მაღალი კლასის ფეხბურთელი გვეყოლება, ჩვენთვის უკეთესია.

— ეროვნულ სტადიონზე ცუდი საფარი ნაკრებს თამაშში რამდენად უშლის ხელს?

— ეს მინდორი ერთხელ და საბოლოოდ, უნდა გაკეთდეს. 2010 წელია და უბრალოდ სირცხვილია ამ თემაზე საუბარი. ჩვენ სულ სხვა რამეზე უნდა ვმსჯელობდეთ და ვკამათობდეთ და არა იმაზე, მოედანი კარგია თუ ცუდი.

— ზაფხულში კლუბი შეიცვალთ

პრაქტიკული განათლების ცენტრი
გთავაზობთ სასკოლო-სააბჯანბნო და
პრტიანი ეროვნული გამოცდებისთვის
მოსამზადებელ კურსებს შემდეგ სპეციალად:

* ქართული ენა და ლიტერატურა; * მათემატიკა; * უცხო ენა (ინგლისური, რუსული); * ისტორია; * გეოგრაფია; * ბიოლოგია; * ქიმია; * ფიზიკა; * ზოგადი უნარები.

კვალიფიციურად დაგეგმილი პროგრამები საშუალებას მოგცემთ, მიიღოთ ცოდნა, შეიძინოთ უნარ-ჩვევები ეროვნული საგამოცდო ცენტრის მიერ შემუშავებული საგამოცდო ფორმატისთვის, დაუფლოთ თქვენი დროის სწორად განაწილების ხელოვნებას (დროის მენეჯმენტს) როგორც მეცადინეობისას, ასევე საგამოცდო ტესტირების დროს. სასწავლო ჯგუფები შედგება 8-12 მსმენელისგან. სასწავლო პროცესი დაიწყება 15:30 საათის შემდეგ. გაკვეთილის ხანგრძლივობა 1 საათი და 30 წუთი.

სწავლა დაიწყება 1 ნოემბერს

სწავლის ღირებულება თვეში: 1 ან 2 საგანი: თითო 60 ლარი, 3 ან 4 საგანი: თითო 55 ლარი; 5 საგანი: - თითო 50 ლარი; 5 საგნის შემდეგ ყოველი დამატებითი საგანი 40 ლარი.

ცენტრი ფუნქციონირებს მეტრო „ახმეტაღის“ მიმდებარე ტერიტორიაზე და წინამძღვარი იმისა და მისი მისამართის ქუჩაზე (მეტრო „მარჯანიშვილი“).

თანაქვემოცემო სასწავლო გეგმობისა და სწავლების მაღალი ხარისხი

საკონტაქტო ტელეფონები:
 30-87-28; 858 44-30-03; 891 31-32-40; 899 74-94-25.
 ელ-ფოსტა: praqtikuliganatleba@yahoo.com



სახე



ელენე ბასილიკა

— ამ ბოლო დროს სულ თვალჩალურჯებული დავდივარ, მომკლა ამ დაავადებამ. არადა, სათვალის ტარება არ მიყვარს: ამ „შუშაბანდებიდან“ ადამიანის ყურება არ შემოიძლია და რა ვქნა (სათვალეს იხსნის)?! გადაცემების ჩანერისას, თვალი რა ფერისაც მაქვს, იმ ფერში მიკეთებენ მაკიაჟს: ხან წითელი ჩრდილი მისვია, ხანაც — ლურჯი და დავდივარ „კეკელკასავით“ (იციან).

— ჩვენი საუბრის თემა — შენი ახალი ამბლუა. როგორც ვიცო, პატარაობიდანვე განსხვავებული იმიჯი გქონდა, არაორდინარული ბავშვი იყავი...

— მართალი ხარ. ყველამ იცის, თუ როგორ „დურაკულად“ ჩაცმული დავდიოდი.

— ამას ახლა როგორ უყურებ?

— დღემდე ძალიან მომწონს ჩემი „დურაკული“ გამოხდომები... ბავშვობაში რომ დავბრუნდე, გაცილებით უარესი ვიქნები, ვიდრე ვიყავი... თავზე სარეცხის „შპილკები“ მეკეთა, ცალ-ცალი ფეხსაცმელი მეცვა და „სამაჟატკით“ დავდიოდი.

— ამ „შპილკების“ შესახებ არაფერი ვიცოდი...

ნანკას რისკიანი ნაბიჯი და ახალი ამბლუა

ანუ „...თუ შეეძლება, ნიღაბი მოიხსნა, ალარავის მოსწონხარ...“

ნანკა კალატოზიშვილი დაძაბული და სკანდალური შოუდან გასართობ გადაცემაში გადავიდა. სიახლეებსა და ახალ ამბლუაზე სასაუბროდ რედაქციაში თვალჩალურჯებული გვესტუმრა: ინიექციის გაკეთებისას სისხლი ჩაექცა და გარეთ სათვალის გარეშე ვერ გამოდის.

— ჰო, ფერად-ფერადი სარტყები მეკეთა ხოლმე თავზე — რატომღაც მეგონა, რომ თმას არ გამიფუჭებდა. რაც თავში მომდიოდა, ყველაფერს ვაკეთებდი...


— მას შემდეგ, რაც პროფესიად მსახიობობა აირჩიე, ოდესმე თუ იფიქრებდი, რომ ტელენამყვანის ამბლუაშიც სცდიდი თავს?

— არა... ტელევიზიაში ძალიან უცნაურად მოვხვდი. შესარჩევ ტურზე „იმედში“, კინორეჟისორ ოთარ შამათავასთან მივედი; თურმე ტელევიზიის ხელმძღვანელი გამხდარა და მე ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. დარწმუნებული ვიყავი, რომელიმე როლისთვის მარჩევდნენ... მომცეს რაღაც ტექსტი და მითხრეს, — ეს დაიმახსოვრეო. მეც დავიმახსოვრე და უცებ ნამყვანად დამამტკიცეს (ილიმის)!.. „იმედის“ ვეტერანი ვარ — მგონი, მარტო მე დავრჩი ამ ტელევიზიაში იმათ შორის, ვინც გახსნის დღიდან მუშაობდა. მკითხველს ალბათ გახსოვს გადაცემები — „არტ-ბულვარი“ და „ექსკლუზივი“. „მუსიკალური ათეული“ ლუკა ხოჯავასთან ერთად მიმყავდა და მის გამო ლამის გოგონებს ვეცემე... უცნაური ხუმრობები გვქონდა და სულ რაღაცას ვუჩაღიჩებდით ერთმანეთს. სხვათა შორის, გადაცემა „ექსკლუზივი“ ძალიან მოულოდნელად მოვხვდი. ამ გადაცემას „არტ-ბულვარის“ რეჟისორი აკუთვებდა, მის ოთახში შემთხვევით შევედი და რომ დამინახა, — მოდი, ლუკას გვერდით დადექი, მგონი, კარგი

წყვილი იქნებითო, — მითხრა. ასე გავხდი ორი გადაცემის ნამყვანი. კარგი დრო იყო, მაგრად ვერთობოდით...

— შარშან საკმაოდ სკანდალური შოუ — „სიმართლის დრო“ მიგყავდა...

— აქაც ძალიან „ექსპრომტად“ მოვხვდი: დამირეკეს და მითხრეს, — კასტინგზე ხომ არ მოხვიდოდით? ცოტა დავფიქრდი, მეგობრებთან ერთად ვიყავი და მათაც მიჩივს, — რატომაც არა, ნადიო... დავუჯერე და ასე მოვხვდი ამ გადაცემაში. მერე ჩემი მეგობრები მეუბრებოდნენ, — ეს რა შარში გაგაყოფინეთ თავი, დაგვეშალა ნახვლა და ამდენ უსიამოვნებასაც ასცდებოდით: გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ, სახლში მუდამ ვილაცები მირეკავდნენ და პრეტენზიებს გამოთქვამდნენ, მაგრამ როცა გადაცემის დასურვის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია, „ფეის-



რომ დამინახა, — მოდი, ლუკას გვერდით დადექი, მგონი, კარგი წყვილი იქნებითო, — მითხრა



ბუკზე“ იმდენი წერილი მივიღე, რამდენიც არასოდეს მიმიღია. ვაიმე, რატომ დაიხურა? აღარ გაგრძელდება? ხომ ისევ იქნებაო? — მეკითხებოდნენ. ვფიქრობ, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე, როცა ამ გადაცემის წამყვანობას დავთანხმდი. ძალიან გამიმართლა და ტელევიზიაში არაჩვეულებრივი გუნდი დამხვდა. „სიმართლის დროის“ განახლება განზრახული აქვთ, მაგრამ — კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, — ხომ გაგიგონია?

— „სიმართლის დროის“ წამყვანად დათანხმება საკმაოდ დიდ ინტრიგას შეიცავდა...

— ალბათ მართალი ხარ: საქართველოში ქალის მხრიდან ტელეეკრანზე მძაფრი კითხვების დასმა ხშირი არ არის... ინტრიგა და სკანდალები სპეციალურად არასოდეს მიძებნია, რატომღაც ისე ხდებოდა, რომ თავად „მოულოდნენ“... ხშირად, რომელიმე ადამიანს თავად საზოგადოება არგებს ნიღაბს, ხალხი თავად თხზავს შენზე ამბავს და ირწმუნება, — აი, ასეთია ნანკაო. სინამდვილეში კი სრულიად სხვანაირი ადამიანი ვარ... თუ შეეცდები, ეს ნიღაბი მოიხსნა და ნამდვილი სახე წარმოაჩინო, უკვე აღარავის მოსწონხარ... „სიმართლის დროში“ ბევრმა ადამიანმა საკუთარი ნამდვილი სახე გამოაჩინა. ხშირად უსრდად, დემტკიცებობის, რომ ისეთები არ იყვნენ, როგორც საზოგადოებას ეგონა. ასეთი დაძაბული გადაცემის წამყვანობა საკმაოდ რთული იყო. სრულიად განსხვავებულ ამპლუაში ამოყვავი თავი. იცი, არ მიყვარს, როცა ჩემ მიმართ ნეიტრალურად არიან განწყობილები: ან უნდა მოვწონდე ვინმეს, ან — არა. მიყვარს, როცა ადამიანში ემოციას ვინწევ. „სიმართლის დროში“ ჩემ მიმართ ნეიტრალურად განწყობილი არავინ დატოვა. მიუხედავად ბევრი უარყოფითი ფაქტორისა, ამ გადაცემის წამყვანობისას კარგი დრო გავატარე.

— დღეს რას ნიშნავს შენთვის წამყვანის ამპლუა?

— ამაზე არასოდეს მიფიქრია. ჩემი საყვარელი პროფესია — მსახიობობაა, თეატრის გარეშე ცხოვრება არ შემოიძლია. ტელევიზიაც ძალიან მიყვარს და წამყვანის ამპლუაც, მაგრამ ჩემს პროფესიას არაფერი შეედრება. უკვე 7 წელია, ტელევიზიაში ვმუშაობ. ეკრანი კარგია პოპულარობის მისაღწევად. თამამად შემოიძლია ვთქვა, რომ ყოველთვის ხარისხიანი გადაცემების წამყვანი ვიყავი.

— ახლახან სხვა ფორმატის გადაცემაში გიხილეთ; იოლად შეგეუცვლილებას?

— კი, საკმაოდ დიდი „ნახტომი“ გამომივიდა — „ინტუიცია“ სრულიად სხვა ფორმატია და იქ გაცილებით თავისუფლად ვგრძნობ თავს, ვიდრე

„სიმართლის დროში“. შემოიძლია ვიმაიმუნო, ვიხუმრო, ვიცეკვო; არ ვარ დაძაბული, საინტერესო ადამიანებს ვეკონტაქტები და შოუც საინტერესოა. რაც მთავარია, ადამიანებს მასში მონაწილეობის მიღების არ ეშინიათ. „სიმართლის დროში“ მონაწილეობაზე ჩემი დათანხმება ყველაზე რთული იყო, ჩემ გარდა, მხოლოდ რამდენიმე ადამიანთან გავგიჟიერდა მოლაპარაკება, დანარჩენებთან პრობლემა არ შეგვექმნა; ზოგი სულაც თვითონ მოდიოდა და გვთხოვდა, ჩამწერეთო.

— თავად რატომ გავიჭირდა გადაცემაში მონაწილეობა?

— რა ვიცი, ალბათ შავ სკამზე ჯდომას ვიყავი მიჩვეული. ჩანერისას ძალიან დაძაბული ვიყავი, ჩემი პროდიუსერისგან სიურპრიზს ველოდი; რა უნდა ნეტავ, რას მეკითხება-მეთქი? — ვფიქრობდი... საკუთარ თავს ძალიან ცოტა ადამიანი იცნობს, მე თვითონ შეიძლება მეგონოს, რომ ბედნიერი ვარ, მაგრამ ჩემი ქვეცნობიერი სხვა რამეს „ფიქრობდეს“... გამიხარდა, რომ მე და ჩემს ქვეცნობიერს ამა თუ იმ საკითხზე სხვადასხვა აზრი არ გვაქვს.

— „ინტუიციაში“ იმიჯი გაქვს შეცვლილი, ეს შენი იდეა იყო?

— სათვალე მოვირგე, რადგან ძალიან მჭირდება. „სიმართლის დროში“ რესპონდენტი ცხვირწინ მეჯდა და შორის ყურება არ მჭირდებოდა, ახლა კი ეკრანზე დანერვილი ტექსტი უნდა წავიკითხო და შორიდან ადამიანებს დავაკვირდე კიდევ. ღინზებს სათვალე ვამჯობინე. ახლომხედველი ვარ, მაგრამ ქუჩაში სათვალეს არ ვატარებ, მაკმაყოფილებს, რასაც ვხედავ და გარე სამყაროს კარგად დანახვის სურვილი არა მაქვს; როგორც კი სათვალეს ვიკეთებ, ყველა დეტალსა და მინუსს ვაფიქსირებ და ძალიან არ მომწონს (იღიმიის)... გადაცემის პროდიუსერმა მთხოვა, „ჩოლკა“ დაიყენო, მაგრამ უარი ვუთხარი: არც ერთ სპექტაკლში არ მჭირდება. შარშან რომ შევიჭერი, წინ ჩამოყრილი თმა სად წამელო, აღარ ვიცოდი. მთელი წელია, ვიზრდი, მაგრამ არა და არ ეშველა.

— ამას წინათ ამბობდი, ინტუიცია არა მაქვსო...

— მართალია. როცა ინგა გრიგოლიას და დავით ბაქრაძეს ვწერდით, მივიკვრდა, როგორ ხვდებიან, ვინ რა პროფესიისაა-მეთქი?! ჩემს მეექვსე გრძნობას „ღრმად სძინავს“ და იმედი მაქვს, ოდესმე გაიღვიძებს: ხანდახან გადანყვეტილების მისაღებად მხოლოდ ტვინი არ არის საკმარისი და ინტუიციის მოშველიებაა საჭირო.

— გადაცემაში მონაწილის მხარეს ხარ...

— მართალია. ეს თვისება „სიმართლის დროშიც“ მახასიათებდა. ყო-

ველთვის ჩემი სტუმრის მხარეს ვარ... „ინტუიციაში“ მგონი მოთამაშებე მაგრად მე ვერთობი. არ ვიცი, რომელი ადამიანი რა პროფესიისაა, ამას წინასწარ არასოდეს ვკითხულობ. მონაწილეს ყოველთვის ვაფრთხილებ, — მე არ დამიჯერო, ინტუიცია არა მაქვს-მეთქი. სიმართლე გითხრა, ჩემი დახმარების გარეშეც მშვენივრად ართმევენ თავს.

— „სიმართლის დროში“ ტენდენციურობაში გდებდნენ ბრალს...

— ტყუილია, არ ვიყავი ტენდენცი-



„ინტუიციის“ ძველი და ახალი წამყვანები — ნანკა კალაგო-ბიშვილი და ნიკა ქავთარაძე

ური... ერთხელ დამემართა ასეთი რამ და ამის გამო ბოდიშიც მოვიხადე. საერთოდ, არასოდეს არაფერს ვნანობ: რასაც ვერ გამოასწორებ, ის არ უნდა ინანო.

— არჩევნის წინაშე რომ დადგე, რომელ გადაცემას მიანიჭებდი უპირატესობას?

— ვაიმე, არ ვიცი. ერთიმეორისგან სრულიად განსხვავებული გადაცემებია: ერთი ძალიან მძიმეა, მეორე — შედარებით „ლაითი“ და მეც ჯერ ერთს წავიყვანდი, მეორე — მეორეს... არა, ვხუმრობ! ამ შემთხვევაში, მაყურებელს ჩემი ყურება „ყელში ამოუვა“. საზოგადოებას დოზირებულად უნდა „მიანოდო“ თავი: ჯობს, ენატრებოდე, ვიდრე შენი დანახვა აღარ შეეძლოს.

— როგორც წამყვანს, რა გსურს?

— მინდა, სტუმრისთვის ვიყო ძალიან სასიამოვნო, რომ ჩემთან კარგად გრძნობდეს თავს, მყავდეს ბევრი მაყურებელი და უფრო და უფრო ვიხვეწებოდე. როგორც წამყვანი, „სიმართლის დროში“ ძალიან „გამზარდა“, ერთი კალაპოტიდან მეორეში გადავინაცვლე და ჩემი „ბუდუარის“ მოწყობას აქ ვაპირებ...

გამარჯვება „სლავიანსკი ბაზარზე“, „ღრენია“ კონსერვები და „ბელორუსიელი გოგი სავაიის“ პრემია

„რუსული სიმღერის შესრულებით რატაც ჟესტს აკეთებენ, მაგრამ რას — არ ვიცი“



იყო ყორღანაშვილი

— ბელორუსიაში, საერთაშორისო მუსიკალური კონკურსი — „სლავიანსკი ბაზარ“ ნელს მეცხრამეტედ ჩატარდა. პროდიუსერ მამუკა სააკაშვილის მეშვეობით, ბელორუსიაში ჩემი მონაცემები გაიგზავნა. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ჩემს სასიმღერო კარიერაში პირველი ნაბიჯები „რუსთაში 2“-ზე, ქალბატონი მარინა ბერიძის პროექტიდან — „მიმღერე რამე“ დაიწყო, სადაც მე და თიკუნა მახალდიანმა პირველი ადგილი დავიკავეთ. შეიძლება, ითქვას, რომ პროდიუსერი ჩემით ამიტომაც დაინტერესდა. მოკლედ, ჩემი პროგრამის გაგზავნის შემდეგ, ბელორუსიიდან მოვიდა მოთხოვნა, რომ ერთი რუსული სიმღერა შექმნა რუსულენოვანი პირველი ადგილი დავიკავეთ. შეიძლება, ითქვას, რომ პროდიუსერი ჩემით ამიტომაც დაინტერესდა. მოკლედ, ჩემი პროგრამის გაგზავნის შემდეგ, ბელორუსიიდან მოვიდა მოთხოვნა, რომ ერთი რუსული სიმღერა შექმნა რუსულენოვანი პირველი ადგილი დავიკავეთ.

მართლაც, ასეთი მოთხოვნა რატომ მიიღეთ?

— არ ვიცი, მაგრამ მე ვთქვი, — სლავურ სიმღერას ვიმღერებ-მეთქი. სლავურ და რუსულ სიმღერას შორის დიდი განსხვავება არ არის, მაგრამ მაინც... ბელორუსიული სიმღერა — „საჩიროვანაია“ (ანსამბლ „პესნიარის“ რეპერტუარიდან) და „ჰერიო, ბიჭებო“ ჩავენერე და გავგზავნეთ. „ჰერიო, ბიჭებო“ იმიტომ შევარჩიე, რომ ახლა ჩვენს ქვეყანას ისეთი პერიოდი აქვს, როცა საზღვარგარეთ გასულმა ყველა ქართველმა მთელი საქართველოს სათქმელი უნდა თქვას. ვფიქრობ, რომ ბოლო დროს ქართული მოუბიზნესის წარმომადგენლები ამას აქტიურად აკეთებენ. საქართველოში 3 ადამიანია, ვინც „სლავიანსკი ბაზარზე“ პირველი ადგილი დაიკავა: დათო ხუჯაძე, ანრი ჯოხაძე და მე.

— „სლავიანსკი ბაზარზე“ შენ

მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობს — **ლაშა რამიშვილს** სასიმღერო კარიერაში დიდი წარმატებები აქვს: ჯერ მუსიკალურ პროექტში — „მიმღერე რამე“ გაიმარჯვა, მერე პეკინში, ფესტივალზე გაემგზავრა, საიდანაც ურიგო შედეგით არ დაბრუნებულა, ამ ცოტა ხნის წინ კი „სლავიანსკი ბაზარზე“ პირველი ადგილი დაიკავა...

მიერ ნახსენები 2 სიმღერა წარადგინე?

— დიას, ეს 2 სიმღერა საკონკურსო იყო, არასაკონკურსო კი კურტ მაილის მიუზიკლიდან — „მექის სიმღერა“ გახლდათ. 3 სიმღერა „ნავილე“ და პირველი ადგილი „მოქსენი“. კონკურსზე მხოლოდ 3 ქართველი ვიყავით: მე, პროდიუსერი და პროდიუსერის ერთი თანაშემწე. შეიძლება ითქვას, რომ 6200-კაციან დარბაზში მარტო ვიდექი სცენაზე და კაციშვილი არ მყავდა პატრონი (იციან).

ე.ი. გულშემატკივრები არ გახლდნენ?

— არა, მაგრამ მაყურებლებმა როგორი აპლოდისმენტებით დამაჯილდოეს, უნდა გენახათ! ჩემთვის ეს ბედნიერების პიკი იყო! სხვათა შორის, „სლავიანსკი ბაზარზე“ „გავიპარე“ ანუ ჩუმად, წყნარად გავემგზავრე: ცოტა — მეგობრების, საკმაოდ ბევრი — თეატრის, ძალიან ბევრი — ქალბატონი მარინა ბერიძის დახმარებით. მოკლედ, მათი ხელშეწყობით, ჩემად ნავედი და ხმაურით ჩამოვედი (იციან).

იმის გამო, რომ გულშემატკივრები არ გახლდნენ, სცენაზე გასვლის წინ ძალიან ლელავდი?

— ვიდრე სცენაზე გავიდოდი, ვლოცულობდი. ძალიან ვწერავდი! იქ მხოლოდ 2 ქართველი იყო, რომლებიც მეუბნებოდნენ: ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება... კონცერტი რომ იწყებოდა, დარბაზში გადიოდნენ და ისე მარტო ვრჩებოდი. საზღვარგარეთ თუ საქმით არ დაიმსახურე, ტაშს არავინ დაგიკრავს. პირველად, როცა ჩემი სახელი და გვარი გამოაცხადეს, მხოლოდ აქა-იქ გაისმა ტაშის „ტყაპატყუპი“. როგორც კი სიმღერა დავასრულე, ბელორუსმა ხალხმა ისუვლა! მაშინ ვთქვი: მგონი, რაღაც გამოივიდა-მეთქი. მადლობა ღმერთს!..

კონკურენტის ვინ გინვედა?

— 18 ქვეყნის წარმომადგენელი. სხვათა შორის, პრუსასა და ტელევიზიაში აღნიშნეს, რომ „სლავიანსკი ბაზარის“ მეცხრამეტე კონკურსზე მონაწილეთა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ნაკადი იყო. ხორვატიის, რუსეთის წარმომადგენლები ძალიან ძლიერები იყვნენ. რუს კონკურსანტთან ახლო ურთიერთობა მქონდა: კონკურსს 300 მილიონი ადამიანი ადევნებდა თვალყურს. მინდოდა, მთელ დედამიწას ენახა, რომ რუს და ქართველ ხალხებს შორის დაპირისპირება არ არსებობს: ჩვენ პოლიტიკაში არ ვერვით. მე და

რუსი შემსრულებელი ინტერნეტით ერთმანეთს ახლაც ვკონტაქტებით, ის არაჩვეულებრივი ადამიანია. კონკურსზე თავის ბოიფრენდთან ერთად იყო ჩამოსული.

კონკურსანტებს ერთმანეთთან დაძაბული ურთიერთობა ხომ არ გქონდათ?

— ორკესტრის რეპეტიციებზე რამდენიმე დღით მინსკში ვიყავით ნასული. მაკედონიის წარმომადგენელი ერთ-ერთი ძლიერი კონკურსანტი გახლდათ. მისმა პროდიუსერმა, ცოტა არ იყოს, ჩემ მიმართ უხეში დამოკიდებულება გამოავლინა, მაგრამ როცა კონკურსი დასრულდა და მაკედონელმა ვერ გაიმარჯვა, თავად მოვიდა და ბოდიში მომიხადა, — უბრალოდ, ასეთი ტიპი ვარო...

ეს უხეში დამოკიდებულება როგორ გამოხატა?

— მაგალითად, ამბობდა: კონკურსზე ქართველმა მაკედონელზე ადრე რატომ უნდა იმღეროსო?! მე მეთორმეტე ვიყავი, ის — მეთოთხმეტე. მისი პროდიუსერი გიჟდებოდა, — ქართველი ჩვენ წინ რატომ უნდა გამოვიდესო?! სხვათა შორის, ორკესტრის რეპეტიციებზე ძალიან მოკრძალებულად ვიქცეოდი, კუთხეში ატუზული ვიყავი... ვფიქრობდი, იმ ადამიანებთან დაკონტაქტება როგორ შეიძლებოდა, რომლებსაც საქართველოზე ისეთი წარმოდგენა არ ჰქონდათ, როგორც უნდა ჰქონდეთ. საბოლოო ჯამში, ყველასთან ტკბილი, თბილი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა. გამომგზავრებისას ძალიან თბილად გამოგვაცილეს.

კონკურსანტები შედეგებზე წინასწარ მსჯელობენ ხოლმე. შენ გამარჯვება მოულოდნელი იყო?

— საკმაოდ კონტაქტური ადამიანი ვარ და ერთ-ერთი ორკესტრის წარმომადგენელ გოგონასთან ყავის დალევა მომიხდა (ამას ჩემი მეუღლე რომ ნაიკითხავს, მომკლავს, მაგრამ მაინც მოგიყვებით); მან მითხრა, — დირიჟორმა მისილ ფიმბერმა (რომელიც 45-კაციან ორკესტრს უძღვებოდა) ძალიან დადებითად დაგახასიათაო.

ლაშა, რუსული სიმღერის შესრულება სხვა კონკურსანტებსაც სთხოვეს?

— ბელორუსიის წარმომადგენელიც (რომელიც იქაური „ვერცხლის ხმის“ მფლობელია) კი რუსულ სიმღერას მღეროდა.

რატომ?

— არ ვიცი. ყველას ჰგონია, რომ სლავურ სიმღერებში მხოლოდ რუსული იგულისხმება. კუბის წარმომადგენელმაც კი



რუსულად იმღერა! ალბათ ამით, რაღაც უესტს აკეთებენ, მაგრამ რა უესტს — ნამდვილად არ ვიცი...

— ახლა დაჯილდოების ცერემონიაზე მოგვიყვირე.

— დაჯილდოების ცერემონიაზე ყველას რაღაც პრიზი მისცეს. კონკურსის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა მითხრა, — ამ ქალაქზე ხელი უნდა მომიწეროთ, — თან, ტექსტს ხელი დაადო. — გამაგებინეთ, ხელს რაზე მანერინებთ, ხომ არ მხვრეტთ, თქვენი ჭირიმე-მეთქი? — ვვითხე, მაგრამ მხოლოდ ღიმილით მიპასუხა. ავდექი და მაინც მოვანერე ხელი!

— მერე, რა გაირკვა?

— ბელორუსიის მთავრობამ ვლადიმირ მულიაჟინის (რომელიც ბელორუსებისთვის მუსიკის „ღმერთია“) სახელის პრემია გადმოცა. სისარულისგან ენა დამებნა. საქართველოში გოგი ცაბაძის სახელობის პრემია ბელორუსიის წარმომადგენელს რომ მისცენ, დაახლოებით ამას უდრის. ჩემთვის, პირველ ადგილზე მნიშვნელოვანი ეს პრემიაა! ვლადიმირ მულიაჟინის ვარსკვლავი წელს გაიხსნა და მგონი, მისი სახელობის პრემია ჯერ არავის მიუღია, ყოველ შემთხვევაში — ქართველს.

— პირველ ადგილზე გასულს პრიზად რა გვიღერ?

— ფულადი ვიღერო. თანხის დასახელებსაგან თავს შევიკავებ, მარტო იმას ვიტყვი, რომ ეს თანხა საკარისი იყო იმი-სთვის, რათა ჩემი „მეგობარი“ ბანკები ჩამომეცილებინა (იკინის)... გალა-კონცერტზე კულისებში უსაყვარლესი ნინო ქათამაძე გამოჩნდა — სულითა და გულით მომილოცა წარმატება! რუსულ გაზეთშიც გვახსენეს: საქართველოს წარმომადგენელმა, ორმა „მძლავრმა ხმა“ — ნინო ქათამაძე და ლაშა რამიშვილმა მთელი ბელორუსია დაიპყრესო!.. ის გაზეთი ჩემს მეუღლეს აქვს შენახული — ბელა ჩემი „ჟამთააღმწერელია“... გალა-კონცერტზე ხმა ძალიან ცუდ მდგომარეობაში მქონდა, რადგან როგორც კი პირველი ადგილი დავიკავე, მაშინვე დავლიე. ნინომ დაამაშვიდა, — „დედიკო“, არ ინერვიულოო, — და ყელის მასაჟებიც კი გამიკეთა. მოკლედ, ქართველებმა გალა-კონცერტზე ჩვენი სათქმელი ვთქვით... რუმინეთის, სლოვაკეთის წარმომადგენლებმა ჩემი კოორდინატები ჩაინერეს და მითხრეს, — ჩვენთან კონკურსზე აუცილებლად უნდა ჩამოხვიდე ან სტუმრის, ან კონკურსანტის სახით — ეს თავად გადაწყვიტეო. მათ წინადადებაზე ვფიქრობ. ვნახოთ, რამდენად შემინწყობს ხელს თეატრი... საქართველოში დაბრუნებულს, აეროპორტში ჩემი მეგობრები — რუსთავის, თბილისის, კახეთის კოლორიტები დამხვდნენ!..

— „სლაიანსკი ბაზარში“ მონაწილეობამდე, პეკინში გამგზავრებას აპირებდი...

— პეკინში „აზიის ახალი მომღერლები“ საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე“ გახლდით. იქ ასეთი მოთხოვნა წამომიყენეს: სცენაზე უნდა გავსულიყავი და სიმღერაზე — „კატიუშა“ რუსული ხალხური ცეკვები შემესრულებინა. ვთქვი, რომ ამას არ გავაკეთებდი. მიზეზი მკითხ-

ეს, რაზეც ვუპასუხე: საქართველოში ჩასულს ხომ მეტყვიან, — ეს რა გააკეთე?! იცი, რა მიპასუხეს? მაგას ვინ გაიგებსო?!

— „აზურ ხმებთან“ რუსული სიმღერა რა კავშირში იყო?

— აზრზე არა ვარ! ჩვენი წარდგენა რუსული სიმღერით — „კატიუშა“ უნდა მომხდარიყო. წარმოდგინე, რუსულ სიმღერაზე საქართველო უნდა წარმედგინა, ამის შემდეგ გავსულიყავი და „ჰერიო, ბიჭებო“ მეღერა!.. გადაწყვიტა, რომ მუსიკის დასრულების შემდეგ, ჩემს გვარს გამოაცხადებდნენ და სცენაზე ჩემი გავიდოდი. ასეც მოხდა. ალბათ, ამანაც იმოქმედა, რომ მეექვსე თუ მეშვიდე ადგილი (ზუსტად არ მახსოვს) დავიკავე. პირველ ადგილზე დამსახურებულად გავიდა ფილიპინელი გოგონა.

— ფინალისტობა ცუდი შედეგი მაინც არ არის.

— ჰო, მაგრამ უკეთესიც შეიძლება... ყველაზე მთავარი ისაა, რომ კონკურსის შემდეგ, ბანკებზე ფესტივალის ორგანიზატორმა თქვა: ერთადერთი, საქართველოს წარმომადგენელი პეკინის ყველაზე დიდ „ლაივ მიუზიკმოუშია“ მინწვეულიო. მიზეზით რომ დაგინტერესდი, მიპასუხა: ძალიან კარგად შეასრულეთ ჯაზური კომპოზიცია — „მექის სიმღერაო“.

— ლაშა, მუსიკისა და დრამის თეატრში ახალი რა ხდება?

— ფესტივალიდან რომ დავბრუნდი, დოიმ სულითა და გულით მომილოცა გამარჯვება. მიუხედავად იმისა, რომ ის ჩემი ხელმძღვანელია, ჩემი უფროსი მეგობარიცაა. ახლა ახალ მიუზიკლზე ვმუშაობთ. პრემიერა თბილისობის დღესასწაულზე შედგება, მერე კი მიუზიკლი ჩვენთან, თეატრში გადმოინაცვლებს. არაჩვეულებრივი მიუზიკლია, რომელსაც შეიძლება, „ფიქრ-ვერკიც“ დაარქვას!

— დატვირთული სამუშაო გრაფიკი გაქვს?

— საშინელი გრაფიკი მაქვს, სა-ში-ნე-ლი! დილის 9 საათზე შინიდან გავდივარ (რუსთავში ვცხოვრობ) და თეატრში მივდივარ. საგრიმიროში „სტეპის“ ფესხაცემლები მაქვს და ყოველ დღით, საათ-ნახევრის განმავლობაში „სტეპში“ ვვარჯიშობ: ცოტა მომატებული ვარ წონაში და ამის გამოც (იკინის). მერე რეპეტიცია გვეწყება... მუშაობას დაახლოებით საღამოს 11 საათზე ვამთავრებ — მანამდე აქტიურ შემოქმედებით ვვარჯიშობ.

— შენს ასეთ გრაფიკს შენი მეუღლე როგორ ეგუება?.. რადგან ფიქრობ, რომ ბელორუს გოგონასთან ერთად ყავის დალევის გამო შეიძლება გაგინწყრეს, ეჭვიანი ყოფილა.

— ყავის დალევის ამბავს როგორ მიიღებს, მართლა არ ვიცი (იკინის).

— მხოლოდ ყავა დალიეთ?..

— ზედ ფუნტუშაც დავაყოფეთ, ვიცინეთ, ვიკისკისეთ... ყველაფერი კარგად იყო! იმედია, ინტერვიუს დაბეჭდვის შემდეგაც

ყველაფერი კარგად იქნება...

— შენი პატარა როგორ არის?

— ჩემი ლაშა-გიორგი ლაშას ძე რამიშვილი ბაღში დადის და აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას ეწევა. საღამოობით ბებია-ბაბუასთანაა, რომლებიც ძალიან ათამამებს. შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთი ადამიანი, ვისი რიდიც აქვს, მამამისია, რომელსაც „მ წელიწადში ერთხელ“ ხედავს.

— მამის წარმატებას აცნობიერებს?

— როცა ბებია-ბაბუა ასერინებენ, ამბობს, — ჩემი მამიკო მღერის, სპექტაკლებში თამაშობსო. ტელევიზორში თუ მონტაჟს თვალს, აღნიშნავს ხოლმე, — ჩემი მამიკოაო!

— მუსიკალურ ნიჭს ამჟღავნებს?

— კი, ამ დილით არაჩვეულებრივი სიმღერა შეასრულა: „საძაგელო მელია, საქმე გამოგლევიო“... კიდევ, არაჩვეულებრივი ლექსიც იცის: „გუშინ სამსახურიდან დედამ დაავიანა“...

— შენმა მეუღლემ მუშაობა დაიწყო?

— კი, პროფესიით ჟურნალისტი და ტელე-კინოკრიტიკოსია. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თავისი პროფესიით მუშაობს და ძალიან ბედნიერია. დილაობით ადგომა კი უჭირს ხოლმე, მაგრამ მე, როგორც ოჯახში რეჟიმის ერთ-ერთი „დამფუძნებელი“, დაახლოებით 8 საათისთვის ვუბნებ, — ადექი, სამსახურში გაგვიანდება-მეთქი. თვითონაც „მოწონდების სიმალღუნა“ — მუხლჩაუსრეულად შრომობს!

— შენს შემოქმედებით ცხოვრებაში კიდევ რაიმე მნიშვნელო-



როგორც ოჯახში რეჟიმის ერთ-ერთი „დამფუძნებელი“, დაახლოებით 8 საათისთვის ვუბნებ, — ადექი, სამსახურში გაგვიანდება-მეთქი

ვანი ხომ არ ხდება?

— ჩემს მშობლიურ ქალაქ რუსთავზე სიმღერა — „რუსთავო“ ჩავწერე, რომლის პრემიერაც რუსთავქალაქობის დღესასწაულზე შედგა. მუსიკის ავტორი მე გახლავართ, ტექსტის — მამაჩემი, ჯემალ რამიშვილი. სიმღერას რადიოეთერში საკმაოდ ბევრი ადამიანი ითხოვს, რათქმა უნდა — რუსთაველები. კლიპის გადაღებაც გვინდოდა, მაგრამ ვეჭვრდით, რადგან მიუზიკლზე მუშაობა აქტიურად დავინყე.



ნათია ჟივიკა

— პირველ რიგში, შენი საქმიანობის შესახებ მინდა საუბარი. ამჟამად რით ხარ დაკავებული?

— მარჯანიშვილის თეატრში, ლევან წულაძის სპექტაკლში — „დეკამერონი“ — ვთამაშობ. უფრო სწორად, ჯერჯერობით რეპეტიციები მიმდინარეობს. მალე ამ სპექტაკლის პრემიერაც შედგება. გარდა ამისა, ლევან წულაძის სტუდენტის, დათო ჩხარტიშვილის სპექტაკლშიც ვარ დაკავებული, რომლის პრემიერაც ასევე სულ მალე, მარჯანიშვილის თეატრის სხვენში გაიმართება. კიდევ ერთი სიახლე ის არის, რომ ანრი ჯოხაძის პროდიუსერობით გადაიღებენ ფილმს, სადაც მეძვი ქალის როლს შევასრულებ.

— როგორც ვიცი, ერთერთ ტელეინტერვიუში თქვე, რომ ამ ფილმში უკანასკნელად მიირგებ მეძვის როლს და მომავალში მსგავსი პერსონაჟების განმარტებაზე უარს იტყვი...

— იცი, რა, ასე დაუინებიათ ვერ ვიტყვი ამას. ხომ გაგიგონია, არასოდეს თქვა „არასოდეს“. დღეს კასტინგზე ვიყავი, სადაც სწორედ მსგავს როლზე იყო საუბარი და თუ ამ პროექტში დამაკავებენ, უარს ნამდვილად ვერ ვიტყვი.

— უფრო დანჭობებით ხომ ვერ მოგვიყვები, რა პროექტზეა ლაპარაკი?

— ესპანელები საქართველოში იღებენ ფილმს, სადაც მსუბუქი ყოფაქცევის ქალების თავგადასავალი იქნება გადმოცემული. სწორედ ამ ფილმის კასტინგზე ვიყავი დღეს. საერთოდ, იცი როგორ ვუდგები ასეთ საკითხებს? თუ რამე „ჩემია“, ის აუცი-

„დახვეწილი“ როლები, უსტრესოდ გადაბანილი გაყრა და ჭკუის დამრიგებელი თინანო

ბოლო პერიოდში მსახიობი მამა შალიკაშვილი ისევ მოექცა საზოგადოების ინტერესის სფეროში. როგორც ცნობილი გახდა, იგი მეუღლეს გაეყარა. მამა თავიდანვე აღნიშნავდა, რომ ასაკით მეუღლეზე უფროსი იყო, მაგრამ ახლა პირველად თქვა, რომ მათ შორის 10-წლიანი სხვაობაა. რა სკანდალში გაეხვია მამას მეუღლე, რა ახალი პროექტისთვის ემზადება მსახიობი და რატომ დაენგრა ოჯახი — ამ ყველაფერს მისი საკმაოდ გულახდილი ინტერვიუდან შეიტყობთ.

ლებლად ჩემი იქნება. არც ერთ როლს შრომასა და მონდომებას არ ვაკლებ. ყოველთვის ვცდილობ, საკუთარი თავის ბოლომდე რეალიზება მოვახდინო. თუ ვინმე როლზე არ ამიყვანს, მათ დააკლებათ, თორემ მე — რა?.. ისე კი, თამამად შემიძლია გითხრა, რომ მხოლოდ ორი-სამი შემთხვევა თუ მქონია, როცა კასტინგზე ტყუილად მივსულვარ და როლზე არ დავუმტკიცებებივარ. სხვათა შორის, ნახსენები კასტინგის მომწყობ ადამიანებთან უკვე ვმეგობრობ და ძალიან მიყვარს მარინა კულუმბეგაშვილი, ფუმუშულები — მარინა და ნანა, შუკა და ა.შ.

— სურიალშიც და „დეტექტივიზი“ — გამოჩნდი...

— მართალია. ორ სერიაში ჩემს ქალიშვილთან, თინათინ გოგუაძესთან ერთად ვთამაშობ. ჩემთვის საკმაოდ საინტერესო როლი იყო. რეჟისორმა ლაშა ცერიაშვილმა მითხრა, რომ ჩემი გმირი არის ქალი, რომელიც „რელსებიდანა“ გადასული; მისი ქმარი სახლში არ მოდის და ა.შ. გამეცინა და ვუთხარი, ამის თამაში არ მჭირდება, რეალურადაც ეს სიტუაცია მაქვს-მეთქი.

— აქამდე მსუბუქი ყოფაქცევის ქალის როლის მორგება არასოდეს გაგჭირვებია. როცა შემოგთავაზეს, რომ დაახლოებით საკუთარი თავი უნდა გეთამაშა, ხომ არ გაგიჭირდა ამის შესრულება?

— მსუბუქი ყოფაქცევის არა ვარ, მაგრამ ყველა ჩემი გმირი რალაციით ნამდვილად მგავდა. საკუთარი თავის თამაში კი ნამდვილად არ გამჭირვებია. თუმცა რამდენიმე დუბლის გადალება მაინც მოგვიხდა, რადგან გადალებები გვიან ღამით მიმდინარეობდა, თინანოს კი ეძინებოდა და ამის გამო ძალიან ვწუხდი.

— რამდენი წლის არის შენი ქალიშვილი?

— გადალების დროს 3 წლის იყო, რამდენიმე დღის წინ კი ოთხის გახდა. ჯერ პატარაა და ამიტომ ვერ გაძლო გვიან ღამემდე. იმდენად „შევძვერი მის ტყავში“, რომ ჩემი როლის თამაში გამი-

ჭირდა. საერთოდ, ვცდილობ ხოლმე, რეჟისორებს გაუფრთხილდე და მათ ბევრი დუბლის გადალება არ მოუხდეთ. ახლა კი თინანო მეცოდებოდა ძალიან, მის გამო ვნერვიულობდი და რამდენიმე დუბლის გადალება დაგჭირდა. მოკლედ, მეგონა, ამ სერიალში თამაში არ გამიჭირდა, მაგრამ ახლა რომ ვყვიბი ყველაფერს, ვფიქრობ — მგონი, რთული იყო, რადგან საკმაოდ ბევრი დუბლი გადავიღეთ.

— როგორც ჩანს, თინანოს დედისა და მამის ნიჭი გამოჰყვა...

— თინანოს მამა ჯერჯერობით ცნობილი მსახიობი არ არის, მაგრამ მიმანია, რომ ძალიან ნიჭიერი ადამიანია. ის თავის სიტყვას იტყვის...

— იქნებ გრძობა გალაპარაკებს და სუბიექტური ხარ?

— არა, აბსოლუტურად ობიექტურად ვამბობ, რომ მართლა ნიჭიერია. ჯერ მხოლოდ ახლა დაამთავრა ინსტიტუტი და ყველაფერი წინ აქვს. მე როცა დავამთავრე ინსტიტუტი, აბსოლუტურად არავინ იცოდა, რას წარმოადგენდა მამა შალიკაშვილი. რატიზე მთელი 10 წლით უფროსი ვარ... რაც შეეხება თინანოს, არ მიყვარს ჩემი შვილის ქება, მაგრამ მიმანია, რომ მას აქვს გარკვეული მსახიობური მონაცემები, თანაც, არაჩვეულებრივად მღერის. დაბადების დღე ერთ-ერთ სადღესასწაულო ცენტრში გადავუხადე, სადაც ბავშვებს კარაოვე ჩაუერთეს. გასული ვიყავი დარბაზიდან და რომ დავბრუნდი, „საქათმეში შეპარულა მელა“ იყო ჩართული; თინანოს მიკროფონი ეჭირა და მღეროდა. ვიფიქრე, რომ ჩანაწერი ჟღერდა და თინანო მხოლოდ პირს ალებდა, მაგრამ — შურას უკაცრავად: რატის დედამ, მაიამ მითხრა, რომ ეს ჩემი შვილი მღეროდა. ძალიან გამივივრდა. „იმედის ტალღაში“ რომ ვმონაწილეობდი, არ ვიცოდი, როდის უნდა დამეწყო სიმღერა; ანრი სულ მუჯღუგუნებს მირტყამდა, რომ მივმხვდარიყავი, როდის უნდა ამომელო ხმა... თინანომ ჩამოიღო მიკროფონი ზუსტად მაშინ, როცა უნდა ჩამოელო, გარკვეული მუსიკალური ტაქტის მერე კი ისევ



გააგრძელა სიმღერა. დამოუკიდებლად მიხვდა, როდის და როგორ უნდა ემღერა... საკუთარმა შვილმა გაოცებისგან პირი დამალეხინა!

— გაქვს იმის სურვილი, რომ შენი შვილიც მსახიობი გახდეს?

— ამის შესახებ ვერაფერი ვიტყვი. ისეთი მშობლების შვილია, რაც თვითონ ენდომება, აუცილებლად იმას გააკეთებს, ჩვენ არ დავაგვიჯერებს. მე და რატიც ზუსტად ასეთები ვართ: რაც გვინდა, ყოველთვის იმას ვაკეთებთ.

— სწორედ ეს ხასიათი ხომ არ გახდა თქვენი დაშორების მიზეზი?

— არა.

— ამბობ, რომ მესამე ადამიანის ჩარევის გამო არ დაშორებულხართ, არც გიწხუბიათ, ხასიათითაც ენყობოდით ერთმანეთს. ბოლოს და ბოლოს, რამ დაანგრია თქვენი ოჯახი?

— რატომღაც, ამ თემაზე საუბარი არ მინდა, რადგან უკვე ბევრი რამ ვთქვი. რეალურად, მართლა არაფერი მომხდარა. არ ვიცი, გვექონდა თუ არა დაშორების კონკრეტული მიზეზი. ამას წინათ ერთ-ერთმა გაზეთმა გაავრცელა ფოტო, სადაც რატი ვილაც გოგოს კოცნის. ამაზეც ვერ გავაკეთებ კომენტარს, რადგან არ ვიცი, რატის ვინმე ჰყავდა თუ ახლა ჰყავს. ის არასოდეს დამინახავს ვინმესთან ერთად. იმ ქალების კატეგორიასაც არ მივეკუთვნები, ვინც ქმარს დასდევს და უთვალთვალავს. არც ის ვიცი, იმ გოგონასთან კოცნის დროს გადაღებული ფოტო ჩვენს ცოლქმრობის დროსაა გადაღებული თუ ჩვენი დაშორების შემდეგ. რატი შეიძლება, დღეს რამდენიმე გოგოს შეხვდეს და ყველა მათგანზე კომენტარს ხომ ვერ გავაკეთებ?!

— მასთან ამ თემაზე არ გასაუბრია?

— მხოლოდ ის მითხრა, რომ იმ გოგოსთან „არაფერი აქვს“. როცა ქალმა იცის, რომ კაცი მხოლოდ სამი თვეა, რაც ცოლს დაშორდა, ასეთი ფოტო საქვეყნოდ არ უნდა გამოფინოს... არავის არაფერში ვაღანაშაულებ, უბრალოდ, მე ასე არ მოვიქცეოდი. არ არის ლამაზი. თუმცა შესა-

ძლოა, იმ გოგონას მოსწონს ასეთი საქციელი, სკანდალი ააგორა და ხალხმა გაიცინო. მაგრამ ამის მისაღწევად მგონი, ცოტა ცუდი ხერხი აურჩევია.

— რატის უკვე ოფიციალურად გავეყრებ?

— არა. ოფიციალურად დაქორწინებული არ ვყოფილვართ და როგორ გავვეყრებოდი?!

— შერგების შანსი არ არსებობს?

— შანსი ყოველთვის ყველაფრის არსებობს...

— ერთ-ერთ ინტერვიუში ისიც თქვი, რომ რატის ოჯახი თქვენი ურთიერთობის წინააღმდეგ იყო და შენ არ მიგიღო. მიუხედავად ამისა, სულ ცოტა წნის წინ დედამთლილი საკმაოდ თბილად ახსენე—

— რატის ოჯახზე საუბარი არ მინდა. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ დედამთლიდან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს, რადგან რატის დედასა და ბებიას დიდი ამაგი აქვთ თინანოზე, — ფაქტობრივად, მათი გაზრდილია.

— თინანო როგორ აღიქვა თქვენი დაშორება?

— როცა ცოლ-ქმარი შორდება, ეს ფაქტი ყველაზე მეტად ბავშვს აზარალებს. ვცდილობთ, რომ ბავშვმა ამის გამო არ იწერვილოს... ყოველდღე მეკითხება თავის ბებიასა და მამიდებზე, — დედიკო, ხომ ძალიან გიყვარს ისინი?! რა თქმა უნდა, დადებით პასუხს ვცემ, რადგან თინანოს მართლა ძალიან უყვარს ისინი.

— მოდი, თუბა შეცვალთ როგორც ცნობილია, შენ და ანრიმ „იმედის ტალღის“ დროს გაიცანით ერთმანეთი. როდის და როგორ დამეგობრდით ისე, რომ პლასტიკური ოპერაციაც მისი რჩევის შედეგად გაიკეთე და თან, ფილმშიც გიღებს?

— რაც კი აქამდე კლიბი გადაუღია, თითქმის ყველაში გადამიღო. ანრი ძალიან მაგარი ადამიანია. გარდა იმისა, რომ ნიჭიერი და წარმატებული კაცია, კარგი მეგობარიცაა. როცა ვინმე ცუდადაა, ანრი ყოველთვის ცდილობს, მას კომფორტი შეუქმნას და გაახალისოს. ამ ბოლო დროს, თითზე ჩამოსათვლელი მეგობრები მყავს; ამ მეგობრებს შორისაა ანრი ჯოსაძეც. მათთან ძალიან კარგად ვგრძნობ თავს. სულ ვიკრიბებით და, სხვათა შორის, თინათინიც ყოველთვის ჩვენთანაა. დღეს რადიოში მივდივარ, გადაცემის სტუმარი უნდა ვიყო და თინათინს იქაც წავიყვან, რადგან მიმაჩნია, რომ სადაც დედამისია, ბავშვიც იქ უნდა იყოს და უნდა იცნობდეს იმ გარემოს, სადაც მე ვცხოვრობ, ვმუშაობ და ვერთობი. თინანო ჩემი ყველაზე კარგი მეგობარია. მიუხედავად ასაკისა, საოცრად განონსწორებულია. ამას

წინათ რალაც გადაცემას უყურებდა, სადაც ვილაცები ცეკვავდნენ და მითხრა, — დედა, შენ ასე არასოდეს არ უნდა იცეკვო... „მიდიოდა მატარებელი“ რომ ნახა, — იდიოტო მაკა შალიკაშვილო! — მითხრა... სულ შენიშვნებს მაძლევს და სულ რალაცებს მირჩევს. ის გაზეთი რომ ნახა, სადაც მამამისის ფოტო იყო,



მიუხედავად ასაკისა, საოცრად გაწონასწორებულია

ვილაც გოგონას რომ კოცნიდა, — ეს მამიკოაო, — თქვა, — ეს კიდეც, დედიკოო, — ჩემს ფოტოს დაადო ხელი; მერე თავისი თავიც იპოვა, იმ გოგონას კი აბსოლუტური „იგნორი“ გაუკეთა, საერთოდ არ უხსენებია, ვითომ იქ არც ყოფილიყო გამოსახული. ჰოდა, მეც ვუჯერებ თინანოს, აბსოლუტურ „იგნორს“ ვუკეთებ და ამ თემაზე კომენტარს აღარ ვაკეთებ.

— ანრი რა ფილმს იღებს?

— „როცა ბებიას პაემანზე მიეჩქარება“. ბებიის როლს ლეილა აბაშიძე ასრულებს. ანრი ამიტომაც მიყვარს — რომ არასოდეს იფინებს იმ ადამიანებს, რომლებიც ბევრმა დაივიწყა და ბევრს მიაჩნია, რომ მათი ადგილი კინოში აღარ არის... გადაღებები ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ სცენარი უკვე წავიკითხე და ძალიან მომეწონა.

— რაც შეეხება შენს პლასტიკურ ოპერაციას: როგორც ვიცი, თვალების ქროლი ოდნავ აანვირე, თუმცა მგონი, არაფერი გეტყობა.

— მართლა არ მეტყობა და ეს ძალიან მახარებს. უამრავ კომპლიმენტს მეუბნებიან. არადა, კონკრეტულად რა მაქვს გაკეთებული, ამას ვერავინ ამჩნევს. საერთოდ, პლასტიკურ ქირურგიაზე დადებითი აზრის ვარ და თუ ასაკის მომატების შემდეგ დამჭირდება, აუცილებლად გავიკეთებ. ამ შემთხვევაში კი უბრალოდ გავხალისდი. პატარა სტიმული მივეცი საკუთარ თავს...



გამეცინა და ვუთხარი, ამის თამაში არ მჭირდება, რეალურადაც ეს სიგუაყია მაქვს-შეთქი



ტურფასა და ჭიამაიას მითური კავშირი და რეჟისორის მიერ ფირზე აღბეჭდილი ლიკა შუბითიძის ტკივილი



ლალი ფასია

დაჩის არაერთი ვიდეორგოლი აქვს გადაღებული და ისიც ცნობილია, რომ ყოველთვის თანარეჟისორთან — ბასა სამხარაძესთან ერთად მუშაობს. მათი ერთობლივი ნამუშევრებია: ქეთა თოფურისა — „შაირი“, ვერიკო ტურაშვილის — „შენამდე“, მზია არაბულის — „იას ვუთხარი ტურფასა“, ლიკა შუბითიძის ცნობილი იტალიური სიმღერა, ძმები გულაშვილების ჯაზური კომპოზიცია...

— დაჩი, ყოველთვის პარტნიორთან — ბასა სამხარაძესთან ერთად მუშაობ. ამჯერად მარტომ რატომ იმუშავე? თქვენ შემოქმედებითი ტანდემი ხომ არ დაიშალა?

— როდესაც ჩვენი აზრები ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით იყოფა, ვამჯობინებთ, ცალ-ცალკე ვიმუშაოთ. ასე იყო ახლაც, ლიკას კლიბთან დაკავშირებით. ამასთანავე, ერთად, ვიდეორგოლზე ვმუშაობთ და კიდევ რამდენიმე პროექტი გვაქვს ერთად წამოწყებული. ასე რომ, არ დავშლილვართ, ისევ ერთად ვართ.

— რაც შეეხება შენს ახალ ნამუშევარს — მასზე რას გვეტყვი?

— ყველაფერი ჩემი და ლიკას მეგობრობით დაიწყო. როდესაც ის ახალ კომპოზიციას ჩაწერს, ერთ-ერთ პირველს, უცხოეთიდან ინტერნეტის სა-

ცოტა ხნის წინ ტელეგადაცემაში შედგა რეჟისორ დაჩი დაჩიას მიერ გადაღებული კლიბის პრეზენტაცია მომღერალ ლიკა შუბითიძის მიერ შესრულებულ კომპოზიციაზე — „თუ ასე ტურფა იყავი“. კლიბზე მუშაობა მ თვე გრძელდებოდა. ეს იმიტომ იყო გამოწველი, რომ მომღერალი ამჟამად ამერიკაში ცხოვრობს; ჰოდა, რეჟისორი და მომღერალი სკაიპის მეშვეობით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს...

შუალებით, მე მიგზავნის და მასმენინებს; ჩემი აზრი აინტერესებს. ახალი სიმღერა — „თუ ასე ტურფა იყავი“ რომ მოვისმინე, საოცრად მომეწონა. ჩემთვის წარმოუდგენელიც კი იყო, თუ ამ ცნობილი თემის ასეთი ინტერპრეტაცია შეიძლებოდა.

— ლიკა ამ სიმღერის ფოლკლორული საწყისის ერთგული რჩება, თუმცა თემა თანამედროვე სტილშია არანაყოფიერებული.

— დიას, ასეა. საოცარი დრამატიზმი იგრძნობა. ნებისმიერი რეჟისორისთვის, ვიდეორგოლის გადასაღებად საუკეთესო მასალას წარმოადგენს.

— კომპოზიცია რომ მოისმინე, მასზე კლიბის გადაღების სურვილი მაშინვე გაგიჩნდა?

— მაშინვე, ოღონდ ამის შესახებ ხმამალა არავისთვის მითქვამს. განმარტოებით, მისი კარგად გააზრება ვცადე... მერე ამ სიმღერის ძველი ვერსიები — ჰამლეტ გონაშვილის, ვერიკო ტურაშვილის შესრულებით მოვისმინე. ამ კომპოზიციას შესანიშნავად ასრულებდა აგრეთვე ფლეიტისტი, ან გარდაცვლილი დავით ოძელაშვილი; მას კომპოზიციისთვის რატომღაც, „ალთანია“ დაურქმევია... ამ სახელწოდებამაც დამაფიქრა... ამასთან, სიტყვის — „ტურფას“ სხვადასხვა მნიშვნელობის დადგენა გადაწყვიტე

და ბევრ საინტერესო ინფორმაციას მივაკვლიე. დღეს ჩვენში, „ტურფა“ მიჩნეულია ე.წ. „კეკელკა“ ქალბატონის სინონიმად — ქალბატონისა, რომელიც ზედმეტად გადაპრანჭულია, თან ცოტა უგემოვნოდაც. არადა, ეს არაბული წარმოშობის სიტყვაა და „ყველაზე სანუკვარს“, „ძვირფას“ და „რელიკვიად ქცეულს“ ნიშნავს.

— ბევრი გიფიქრა...

— კი, საჯარო ბიბლიოთეკაშიც ვიყავი, უამრავი ლიტერატურა წავიკითხე და ერთ ძველ, საინტერესო წერილსაც წავაწყვი: თურმე „ტურფა“ საქართველოში, წვიმის ქალღმერთ მაიას უკავშირდება, რომელსაც შიკრიკად ჭიამაია ჰყავდა. ჭიამაიას, ამ საოცარ არსებას ნებისმიერი ერის ფოლკლორსა თუ მითოლოგიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მაგალითად, გერმანელები „მერის ხოჭოს“ ეძახიან ანუ წმინდა მარიამის ხოჭოს; მის მიმართ მუსლიმანებსაც თავიანთი დამოკიდებულება აქვთ. სხვათა შორის, წინაქრისტიანულ პერიოდში საქართველოში ასეთი რიტუალი არსებობდა: გასათხოვარ ან გაუთხოვარ ქალებს უფროსი ასაკის ქალბატონები ჭიამაიებს ხელზე ასვამდნენ და ამბობდნენ: „ჭიავ, ჭიავ, მაპოვნინე, მე შენ დედას გაპოვნინებ“. ამ ნატვრაში სწორედ იმ „ტურფას“ — ყველაზე სანუკვარი და ძვირფასი





ცხოვრება

რუსულ ტყვიას გამოქცეული ჩაჩენი ქალის აღსარება

„ვიღრა პანკისის ხეობაში შემოვიღოდით, ჩემი ბიჭუნა გარდაიხვალა“



ლალი პანკისკირი

— რუსეთ-ჩეჩნეთის პირველი ომის დროს 15 წლის ვიყავი. ჩვენთან გოგონები ადრეულ ასაკში თხოვდებიან და ტრადიციების თანახმად, ქალი მამაკაცის სურვილს მთლიანად ემორჩილება, სიცოცხლის ბოლომდე მისი ერთგული რჩება... მეც ტრადიციული ჩეჩნური ოჯახის შვილი ვარ და შეიძლება ითქვას, რომ მკაცრი წესების გათვალისწინებით გავეთხოვდი; უფრო სწორად, 14 წლის ვიყავი, როცა 18 წლის კარგმა ვაჟკაცმა და მეომარმა მომიტაცა... როგორც კი გროზნოში პირველი შეტაკება მოხდა, სხვებთან ერთად, რუსული მმართველობის წინააღმდეგ ისიც იბრძოდა და სახლში თითქმის ვერ მოდიოდა, ჩვენ კი, მისი ოჯახის წევრებს რუსული სპეცრაზმები

რამდენიმე დღის წინ თბილისის ერთ-ერთ სპორტულ დარბაზში ამოვყავი თავი, სადაც საშუალო ტანის გოგონა კიბონოში გამოწყობილ ბიჭებს მასტერკლასს უტარებდა... სპორტსმენს ძალიან სხარტი და მსუბუქი მოძრაობა ჰქონდა, დაახლოებით ისეთი, იაპონური და ჩინური ფილმების გმირებს რომ აქვთ. როგორც გავარკვიე, იგი შავი ქამრისა და 5 დანის მფლობელია, ახლა კი თბილისის ერთ-ერთ უბანში, პატარა დარბაზში აქვს დაქირავებული, სადაც ქართველ მოზარდებს წვრთნის... ჩემი რესპონდენტი სამშობლოდან 1990-იან წლებში, რუსეთის აგრესიას გამოექცა, მაგრამ ის, რისი ნახვაც ეროვნებით ჩეჩენმა ინა ჩარდიევამ მოასწრო, საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ მისი ცხოვრება ძირფსვიანად შეცვლილიყო...

გვითვალთვალდნენ; რამდენჯერმე ლამითაც შემოგვივარდნენ და სახლი გაჩხრიკეს... მეუღლე ბოლოს, 1992 წლის დეკემბერში, რუსული ჯარის ერთ-ერთი შეტევის დაწყებამდე ვნახე. იგი სახლში გვიან ლამით მოვიდა და გამაფრთხილა, — შეიძლება, ერთმანეთი ვეღარ ვნახოთ და შემპირდი, რომ შევილს ღირსეულად გამიზრდიო... ჩვენს მამაკაცებს მოსალოდნელ საფრთხეებზე ბევრი ლაპარაკი, ემოციების გამოხატვა არ სჩვევიათ და ჩემი მეუღლეს სიტყვაძვირი იყო.

— იმ პერიოდში თქვენი შვილი რა ასაკის იყო?

— მაშინ თვე-ნახევრის იქნებოდა... გროზნოში საომარი მდგომარეობა იყო და ვინაიდან რუსეთისთვის წინააღმდეგობის განწევაში ეჭვმიტანილი ოჯახები ვიდევნებოდით, სამშობლიაროში დანოლა ვერ გავრისკე, ამიტომაც სახლში, უფრო სწორად — სარდაფეში ვიმშობიარე.

— მშობიარე ქალისთვის ვის რა უნდა დაეშავებინა?!

— ომი იყო და უსაფრთხოების გარანტია არავის ჰქონდა... მაშინ ასაკითაც პატარა ვიყავი და სიმართლე გითხრათ, ძალიან მეშინოდა; უფრო იმის მეშინოდა, რომ მშობიარობას ვერ გადავიტანდი და ჩემი მეუღლისთვის მიცემულ სიტყვას ვერ

შევასრულებდი, მაგრამ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. გამუდმებით არასტაბილურ მდგომარეობაში ყოფნა ადამიანს თურმე სიმტკიცეს სძენს... მალე ჩვენი დეენა გაძლიერდა და ამიტომაც, ქალები სარდაფებში ვიმალებოდით; ჩვენთან ხშირად, დაჭრილი მეომრებიც მოჰყავდათ. ამის შესახებ ინფორმაციამ მალე გაჟონა. ეს ამბავი რუსეთის „ეფესბეს“ ყურამდეც მივიდა და ერთი თვის განმავლობაში თითქმის ყოველ ღამე, ზოგჯერ კი ერთ ღამეში სამჯერ მაინც გვინევდა თავშესაფრის შეცვლა... ერთხელაც, მორიგი სპეცოპერაციის დროს სამშვიდობოს გამოსვლა ვერ მოვასწარით, რადგანაც რუსებმა ჩვენს სამალავს წამებში შემოარტყეს ალყა. ზოგიერთ დაჭრილ მეომარს იარაღის გამოყენება შეეძლო და ისინი რუსებისთვის წინააღმდეგობის განწევას შეეცადნენ. ორმხრივი სროლისას, მე და ჩემი შვილი დაგვჭრეს...

— პატარას ბრმა ტყვია მოხვდა?

— არ ვიცი, მაგრამ როცა სიტუაცია ჩანყნარდა და მასთან მივედი, უკვე დაჭრილი იყო... შტურმის შემდეგ რუსულმა სპეცრაზმმა ქალებსა და ბავშვებს კორპუსიდან მშვიდობიანად გამოსვლის საშუალება მოგვცა.

— რომელიმე სამედიცინო პუნ-



ქტში ბავშვის მიყვანის საშუალება არ გქონდათ?

— ჩემი შვილის გარდა, იმ დღეს კიდევ უამრავი ადამიანი დაიჭრა, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ საავადმყოფოში წავსულიყავით, ყველამ ერთად, ჩეჩნეთის დატოვება გადავწყვიტეთ... საავადმყოფოში შვილის მიყვანა იქ დარჩენას, იმ საშინელ რეალობასთან შეგუებას ნიშნავდა, მე კი ეს არ გავაკეთე...

— მაპატიეთ, მაგრამ ასეთი საქციელით ხომ შვილის სიცოცხლე განირთ...

— მაშინ ძალიან ალელვებული და დაზაფრული ვიყავი... იცით, დღესაც მგონია, რომ დირსეული გადანყვებილება მივიღე.

— ბავშვი გზაშივე გარდაიცვალა?

— დიახ... გეზი საქართველოსკენ ავიღეთ და ვიდრე პანკისის ხეობაში შემოვიდოდით, ჩემი ბიჭუნა გარდაიცვალა... ამაზე ლაპარაკი არ მინდა. მესმის, რომ ჩვენი ადამი, ტრადიციები, ცხოვრების პრინციპები ბევრისთვის სასტიკი და მიუღებელია, მაგრამ ასეთია ჩვენი, ჩეჩნების ხასიათი...

— როგორ გაგრძელდა თქვენი ცხოვრება დევნილობის შემდეგ?

— იცით, არც ჩემი და არც უფროსი თაობის ჩეჩნები უზრუნველ მშვიდი და ლაღი ცხოვრებით განებივრებული არასდროს ვყოფილვართ, პირიქით — მუდმივად სტრესის ქვეშ ვცხოვრობდით... საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, ჩემი ცუდად ყოფნის მთავარი მიზეზი ცხელი კერძების ან თბილი გარემოს არქონა როდი იყო — ამას ხომ შეჩვეული ვიყავი; უბრალოდ, ჩემთვის უძვირფასესი ყველა ადამიანი იქ, იმ უთანასწორო ბრძოლის ქარცეცხლში მეგულებოდა და ვიცოდი, არც ერთი არ დაიხვედა უკან. სხვათა შორის, ბევრი მათგანის ცხედარი საკუთარი თვალთ ვნახე, მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებ, რომ ისინი ღირსეულად დაიღუპნენ... მერწმუნეთ, ჩეჩენი ადამიანის სული თავისუფალია, ის მონობას ვერ შეეგუება. მთავარია, ეს თავისუფლება არ წაართვან და ნებისმიერ გაჭირვებას იოლად გადალახავს... მამაჩემი, ჩემი ძმები და სიძეები იქ დარჩნენ და თავისუფლები-სათვის ბრძოლას შეეწირნენ კიდევც...

— საქართველოში მეუღლის ნათესავებთან ერთად ჩამოსვდით?

— დიახ, მეუღლისა და ჩემი ნათესავებიც აქ ჩამოვიდნენ, მაგრამ მერე სხვადასხვა ქვეყანაში მიმოიფანტნენ... ჩემი დები დღემდე საქართველოში ცხოვრობენ...

— ინა, თქვენს სპორტულ კარიერაზეც ვისაუბროთ. რატომ გადა-

წყვიტეთ, სპორტის ამ სახეობაში გაცდათ ბედი?

— ყოველთვის მინდოდა, ფიზიკურად და სულიერად ძლიერი ვყოფილიყავი. ერთი პერიოდი საქართველოდან მოსკოვში მომიხდა წასვლა, სადაც კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ნებისმიერ ადამიანს უნდა შეეძლოს საკუთარი თავის დაცვა. პირველად, როცა სპორტულ დარბაზში მივედი, არ ვიცოდი, რომელ სახეობაში მინდოდა ვარჯიშის დაწყება. იქ ყოფნისას ჩემი ყურადღება კარატისტების ვარჯიშმა მიიქცია და გადავწყვიტე, სპორტის ამ სახეობაში მეცადა ბედი. საბოლოოდ, როგორც ხედავთ, არჩევანი კიოკუშინკაის სტილზე გავაკეთე.

— ეს სტილი სხვებისგან რით

განსხვავდება?

— ბევრი რამით... ეს არ არის მხოლოდ კარატისტების ჩხუბი, თავდაცვა, დარტყმის მოგერიება ან იერიშზე გადასვლა. ამ სტილის მიმდევარი ადამიანი თანდათანობით, შინაგანად ხდება ძლიერი, განონასწორებული და მშვიდი, იმ პერიოდში კი სულიერი სიმშვიდე ყველაფერზე მეტად მჭირდებოდა. იმ ამბების შემდეგ, რაც მე და ჩემმა ოჯახმა გადავიტანეთ, მივხვდი, რომ აუცილებელი იყო, რაღაცებისთვის სხვა თვალთ შემეხედა, წინააღმდეგ შემთხვევაში, უკვე არა მხოლოდ საზოგადოებისთვის, არამედ საკუთარი თავისთვისაც საშიში ვიქნებოდი... თავდაპირველად მწვრთნელი ჩემმა ასაკმა დააფიქრა, — ვარჯიშის დაწყება შენთვის დაგვი-

„მსოფლიო დატაქტიკაის სიფი“
 ყოველ ორშაბათს! ჟურნალ „რეიტინგთან“ ერთად
 თითო კრიმინალური საქმე!

25 ოქტომბრიდან - 1 ნოემბრამდე
ფრედ პარბასი
 სამოღაპით მიცვალებულად
სამოღაპით მიცვალებულად

ფასი 2 ლარი! 1 ნოემბრიდან
 (ჟურნალთან ერთად 3 ლარი)

უკვე გამოსული წიგნები - საქმე №1-დან - №20-მდე
 (პაიფს კაღლი რეიზი, ართურ კონან დოილი, სიდნი შულდონი, აბათა კრისტო, ჯადსონ ფილიპსი, როს მაქლონალი, ჯონ ლიქსონ კარი, ჯო კორჯი, ლევილ კეპთი, ზორის აპუნინი, რარლ პ.სნოუ, ლიკ ფრანსისი, რაიმონდ ჩანდლერი, სეიტო მასუმოტო, სირილ კეირი, ფრიდრიხ ლიურენატი, ჟორჟ სიმენონი, ბუალ-ნარსაჟი და აქი ელიგაი)
 შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში

ეჟი - ელიგაი
 თვითმკვლელის ანდერჟი

ელბარ ალან კო
 მკვლელობა მოგვის
 თუჩაზა



ანებული ხომ არ არისო?.. მაგრამ შანსი მაინც მომცა და საბოლოოდ, ჩემით კმაყოფილი დარჩა.

— არ გაგჭირვებიათ რუსეთში ცხოვრება და იმ ხალხთან ურთიერთობა, ვინც ამდენი სიმწარე გაგვმათ?

— მოსკოვში რომ ჩავვედი, 5 თვე გარეთ არ გავსულვარ, ღრმა დეპრესია გარესამყაროს მიმართ აგრესიაში გადაამეზარდა. რამდენჯერმე ისევე საქართველოში დაბრუნება გადავწყვიტე, მაგრამ ოჯახმა და ჩვენი თემის უფროსმა გადაწყვიტეს, რომ რაღაც პერიოდის განმავლობაში მოსკოვში უნდა დავრჩენილიყავით, და მათი ნების წინააღმდეგ ვერ წავედი... მაშინ მთლიანად სხვაზე ვიყავი დამოკიდებული და, მკაცრი ჩეჩნური ტრადიციებიდან გამომდინარე, საკუთარი ცხოვრების შეცვლა არ შემეძლო... რაც შეეხება ჩემს მწვრთნელს, მან პირველივე შეხვედრისას მითხრა, — შენ ძალიან ცუდად ხარო, — მაგრამ 3 წლის განმავლობაში ერთხელაც არ უკითხავს, ეროვნებით ვინ ვარ. როგორც მასწავლებელი, ძალიან მკაც-



სპეცრაზმმა ქალებსა და ბავშვებს კორპუსიდან მშვიდობიანად გამოსვლის საშუალება მოგვცა

შემდეგ, რაც ვარჯიში დავინწყე, სულ სხვა ადამიანი გავხდი: ადამიანებთან ურთიერთობა და სწორად ცხოვრება ვისწავლე; მწვრთნელმა საკუთარი თავის რწმენა შემმატა და ისიც ვისწავლე, თუ როგორ უნდა ვიზრუნო ჯანმრთელობაზე... იყო დღეები, როცა მწვრთნელი ლექციებს გვიტარებდა ან იაპონურ მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებს ვუყურებდით, სადაც სპორტის ამ სახეობის ისტორია იყო გადმოცემული... საერთოდ, ვიდრე სპორტის ამ სახეობაში კარგად გავერკვეოდი, ყველაფერი ისეთი რთული მეჩვენებოდა, რომ მეგონა, წარმატებას ვერასდროს მი-

გავუგეტ“. ერთი სიტყვით, ბრძოლა წავაგე და ერთი თვე ტვიინის შერყევის დიაგნოზით ვინექი... სხვათა შორის, კიოკუშინკაი, კარატეში ყველაზე მძიმე სტილად მიიჩნევა და ქალები ამ სახეობას ამიტომაც ერიდებიან ან გათხოვების შემდეგ მაინც ანებებენ თავს.

— თქვენი ტრადიციებიდან გამომდინარე, ოჯახის სეულახლა შექმნა გვირძალებათ?

— არა, უბრალოდ, სასურველია, ჩემი მომავალი, ყოფილი მეუღლის ახლო ნათესავს დავეუკავშირო. მაგრამ ჯერჯერობით, მხოლოდ კარიერის აწყობაზე ვფიქრობ.

— რუსეთიდან ისე საქართველოში დაბრუნდით. რატომ?

— გარკვეული მიზეზების გამო, რუსეთში ცხოვრების გაგრძელება არ მინდოდა. პოდა, როგორც კი ფეხზე დავდექი და დამოუკიდებლად ცხოვრება ვისწავლე, მაშინვე აქეთ წამოვედი; საქართველოში ჩამოსულმა დარბაზი ვიქირავე და როგორც იცით, ახლა მოზარდებს კიოკუშინკაიში ვამზადებ.

— და როგორც ხედავ, შვეიბრებებშიც მონაწილეობთ.

— დიახ, მაგრამ ეს იშვიათად ხდება...

— თქვენ აღნიშნეთ, რომ სპორტის ეს სახეობა, უპირველეს ყოვლისა, თავდაცვისთვის აირჩიეთ. გამოგადგათ?

— არაერთხელ... არ მინდა, ტრახახში ჩამითვალოთ, მაგრამ წამოსვლის წინ მძიმე „შეხვედრა“ მექონდა რუს ახალგაზრდებთან, რომლებიც კიოკუშინკაის დახმარებით კარგად დავამინე. მანამდე, დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში, საცხოვრებელი ბინის რამდენჯერმე გამოცვლა მომიხდა, რადგანაც ხან კარი დამხვდა დაცხრილული, ხან ფანჯრები — ტყვით ჩამსხვრეული... ერთხელ, ვარჯიშიდან ვბრუნდებოდი, როცა მილიციელმა გამაჩერა, პირადობის მოწმობა გამომართვა და, როგორც კი ჩემი გვარი ამოიკითხა, მაშინვე პისტოლეტზე იტაცა ხელი. მისთვის იარაღის წართმევა მოვასწარი და სანამ საქმე გართულდებოდა, იქაურობას გავეცალე... ისე კი რუს კარატისტებთან ერთად, მთელი რუსეთი და პოსტსაბჭოთა ქვეყნები შემოვიარე; ორჯერ ვიყავით სამხრეთ აფრიკაშიც, სადაც დანები მივიღე.



იმის ნაცვლად, რომ საავადმყოფოში წავსულიყავით, ყველამ ერთად, ჩეჩნეთის დაგოვება გადავწყვიტეთ...

რი და მომთხოვნი იყო, მაგრამ როგორც ადამიანი — სანდო და კარგი მეგობარი. ხშირად, როცა შეჯიბრების ან ვარჯიშის დროს ემოციების მოთოკვა მიჭირდა და აგრესიული ვხდებოდი, მაშინვე მაჩერებდა და „ფსიქოლოგიურ გაკვეთილებს“ მიტარებდა. მეუბნებოდა: — ავი უნდა იყო, მაგრამ ზომიერად. ადამიანების მიმართ კეთილგანწყობილი თუ არ იქნები, ვერაფერს მიაღწევო...

— სპორტის ამ სახეობამ თქვენს ცხოვრებაში რა შეცვალა?

— ყველაფერი. მერწმუნეთ — მას

ვალწევდი. მაგრამ როცა პირველი ქაბარი მივიღე, მივხვდი, რომ მომდევნო ეტაპისთვის სულიერად ვიყავი მზად და მართალიც აღმოჩნდი — რამდენიმე თვის შემდეგ შავი ქაბარიც გადმომიცეს. მასსოვს, მაშინ თანატოლ ყაზახ გოგონას შევებრძოლე და მალევე დავამარცხე... მომდევნო შეჯიბრებისას, ჩეჩენ გოგონასთან მომიხდა ბრძოლა და წავაგე.

— თქვენზე ძლიერი იყო?

— ძალიან კარგ ფორმაში ვიყავი, მაგრამ ის სხვა სახეობის ოსტატი იყო და ერთმანეთს რაღაცებში „ვერ



ნივრით გაპოზრდილი პატარები და საკუთარ ჭერზე მოცხნება 9-შვილიანი დაღა

„ბედნიერი ქალი ვარ...“

43 წლის ირმა რუსიტაშვილი მეუღლესთან და 9 შვილთან ერთად გლდანში, ნაქარავებ ბინაში ცხოვრობს. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ოჯახს საწოლებიც კი არა აქვს. წლისა და 6 თვის წინაკის საწოლის მაგიფრობას პატარა საბავშვო ეტლი უწევს, რომელშიც ცხადია, თავს კომფორტულად ვერ გრძნობს; როცა იძინებს, დედიკოს ეტლიდან თავისთან — ბეტონის იატაკზე დაგებულ მატრასზე გადაჰყავს, რათა პატარას სერხემლის გამრუდება არ დაემართოს. ოჯახის უფროსი 10 წელია, დასაქმებას უშედეგოდ ცდილობს. მან კომპიუტერის შესასწავლი უფასო კურსებიც გაიარა, მაგრამ ჯერჯერობით, დასაქმების თაობაზე დანერგულ განცხადებას არც დადებითი და არც უარყოფითი პასუხი არ მოჰყოლია.



ეთო ყოვლანაშვილი

— ობლობაში გავიზარდე, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, რომ ამბობენ: — ობლის კვერი ცხვა, ცხვა და გვიან გამოცხვაო?! წლების შემდეგ ღმერთმა არაჩვეულებრივ ადამიანს შემახვედრა და მასთან ერთად ოჯახი შექმენი. ჩემი მეუღლე ძალიან კარგი პიროვნებაა, ჰოდა, 9 შვილი ამიტომაც გაუჩინე. ვინაიდან ძალიან გვიჭირდა და პატარაც ავად გაგვიხდა, 1997 წელს ერთოთახიანი ბინა გავყიდეთ, უსახლკაროდ დავრჩით... სხვათა შორის, ჩვენი უმცროსი შვილი — წლისა და 6 თვის წინო პატრიარქის ნათლულია.

— თქვენი მეუღლე პროფესიით ვინაა?

— ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში მუშაობდა და უკვე 10 წელია, უმუშევარია. ჩვენი ოჯახის შემოსავალი 222 ლარი გახლავთ, რომელსაც, როგორც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახი, ვიღებთ. გარდა ამისა, თითო ბავშვზე 20 ლარს გვაძლევენ, უფასო სასაბავშვოც ვსარგებლობთ... მოკლედ, ღვთის წყალობით, ვარსებობთ. ყოფილა შემთხვევა, როცა სახლში მხოლოდ ნიორი მქონდა და შეიძლება, არ დაიჯეროთ, მაგრამ ბავშვები ისე ჭამდნენ, თითქოს ძალიან ტკბილი იყო... პატარები ბეტონზე დადებულ მატრასზე წვანან — საწოლებიც არა გვაქვს. ამას წინათ

ჩემი 10 წლის ბიჭუნას ფილტვების ანთება დაემართა. მერიაში წავედი დახმარების სათხოვნელად, მაგრამ მითხრეს: ჩვენ ვერაფრით დაგეხმარებითო. გამწარებული გამოვედი, ვტიროდი... სახლში გაზეთ „სიტყვა და საქმის“ ძველი ნომერი მქონდა, სადაც შემთხვევით წავიკითხე განცხადება: საქველმოქმედო ფონდი „თანადგომა“ გაჭირვებულ ოჯახებს დაეხმარებაო. მეც, მაშინვე დავრეკე... ღმერთმა გააძლიეროს ის ხალხი! მათ ბავშვს დახმარება ადგილზევე აღმოუჩინეს, ნემსები გაუკეთეს...

— როცა ბინა გაყიდეთ, რამდენი შვილი გყავდათ?

— ხუთი. ამჟამად 2 ბიჭი ჯარში, სავალდებულო სამსახურშია; უფროსი გოგონა საღვთისმეტყველო აკადემიაში, ფსიქოლოგიურ-რელიგიურ ფაკულტეტზე სწავლობს; ვალენტინა, მიხეილი, როსტომი და მარიამი სკოლაში დადიან, ერთი კი — საბავშვო ბაღში. სკოლაში ბავშვები 10-იანებზე სწავლობენ. ძალიან ბედნიერი დედა ვარ, რომ ასეთი კარგები არიან.

— სასკოლო სახელმძღვანელოები აქვთ?

— კი, სახელმძღვანელოები სკოლაში დაურჩევს. დირექტორი — თეა პაპავა ყველანაირად გვიწყობს ხელს, არაჩვეულებრივი პიროვნებაა. ბავშ-

ვებს პედაგოგებზე დიდ ყურადღებას აქცევენ და მადლობა ღმერთს, ისინიც ზრდილობიანი, მოწესრიგებული, ბეჯითი მოსწავლეები არიან.

— ბინა რამდენ ლარად გაქვთ დაქარავებული? როგორ პირობებში ცხოვრობთ?

— ბინის პატრონს 200 ლარს ვუხდით. ორი ოთახი გვაქვს, მაგრამ ერთს ვერ ვიყენებთ, რადგან წყალი ჩამოდის. ოთახში ერთი მაგიდა, 6 სკამი, 4 მატრასი და ხატები გვაქვს, სხვა — არაფერი. ტელევიზორი 4 წლის წინ, საქველმოქმედო კლინიკამ — „გენეზისი“ — გვაჩუქა, რისთვისაც მის წარმომადგენლებს დიდ მადლობას ვუხდით. ბავშვთა მეორე პოლიკლინიკაში ექიმი აზა ადამია ძალიან თბილად მხვდება, ბავშვების დანახვისას ცრემლები მოსდის — გული სტკივა, ჩემი შვილები ასეთ მძიმე პირობებში რომ ცხოვრობენ... სამწუხაროდ, მთავრობა ყურადღებას არ გვაქცევს. ჩვენ ყველგან ხელიხელჩაკიდებულები მივდივართ, მაგრამ დახმარებაზე უარს გვეუბნებიან, — 7 მცირეწლოვანი ბავშვი უნდა გყავდეს, რომ მრავალშვილიანად მიგიჩნიოთო. არადა, არც ადრე იჩენდნენ ჩვენ მიმართ ყურადღებას, თორემ ბინას ხომ არ გავყიდდი?! ბავშვები დღედაღამ საკუთარ ჭერზე ოცნებობენ.



— ბინის გაყიდვამდე როგორ ცხოვრობდით?

— ძალიან კარგად. სხვათა შორის, მაშინ მეუღლე 2 ადგილზე მუშაობდა და შინ ისეთი დაღლილი ბრუნდებოდა, რომ ბევრჯერ მთვრალიც კი მეგონა (ილიმის). სამსახურიდან დაბრუნებულს შინ ცხელ კერძს ვახვედრებდი. ეჰ, კარგი დრო იყო...

— თქვენი დღე როგორ იწყება?

— როგორც კი გავიღვიძებთ, ვლოცულობთ; მერე ბავშვებს იმით ვანაყრებ, რისი საშუალებაც გვაქვს... მოკლედ, ასეთ ყოფას არავის ვუსურვებ.

— ტანისამოსით ვინ გამარაგებთ?

— მეზობლები, კეთილი ადამიანები გვეხმარებიან.

— პატარა ნინოს სად სძინავს?

— საბავშვო ეტლში, რომელიც გვაჩუქეს.

— ეტლში ძილს როგორ ეგუება?

— ღამით ეტლიდან ამომყავს და ჩემთან ვანვენ, რათა ხერხემლის გამრუდება არ დაემართოს. ძალიან მეშინია, მაგრამ უფალი არ გაგვწირავს — ეკლესიური ოჯახი ვართ და საღამოს ისე არ დავწვებით, რომ არ ვილოცოთ. ის კი არა, ვიდრე ლოცვას არ წაიკითხავს, მეუღლე პურსაც არ გატეხს. მოძღვარიც გვყავს, მაგრამ ამჟამად რაიონშია. მამა იოანე საოცარი ადამიანია; მიუხედავად იმისა, რომ თავადაც ძალიან უჭირს, მაინც გვეხმარება.

— შვილის გაჩენას კიდევ ხომ არ აპირებთ?

— ეს ღვთის ნებაა. თუკი ჩემი კერა მექნება, სიამოვნებით გავაჩენ... საქართველოში 9 შვილის დედა რომ ვერ გავიხარებ, ამაზე გულდასაწყვეტი რალა უნდა იყოს?!

— ბავშვები საოჯახო საქმეებში თუ გეხმარებიან?

— ძალიან! სკოლიდან დაბრუნების შემდეგ პატარები იმას ჭამენ, რაც ღვთის წყალობით გვაქვს, მერე გაკვეთილებს ამზადებენ, საღამოს კი იმ კერძის მომზადებაში მესმარებიან, რომელიც დილით უნდა მიირთვან.

— უფასო სასაძილოებით ხშირად სარგებლობთ?

— რა თქმა უნდა! იქ ყოველდღიურად, 3 პურს გვაძლევენ... ამას წინათ ერთი ცხრაშვილიანი დედა მეუბნებოდა, — თავი უნდა მოვიკლაო!.. მითხარით, 9 შვილის დედას ხელისუფლებამ ეს რატომ უნდა ათქმევინოს? მრავალშვილიან ოჯახებს ვილაცამ ყურადღება ხომ უნდა მოგვაქციოს?!

„სიბლარით გაბთხარი შინა“ — ფილმი ორ ომსა და დიდი ქართველების ოჯახზე

ამ ამბის კითხვისას (ორსერიანი ფილმის სცენარი ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე), ძნელად გააჩნევ, გამოგონილი ჭარბობს თუ სინამდვილე. ერთმანეთს ენაცვლებიან ეპოქები და გმირები, სიყვარული და ლალატი, ბატალური და რომანტიკული ეპიზოდები და ამბავსაც სიმძაფრე, ინტრიგა ემატება. ამას წინათ ყურნალ „ლიტერატურული პალიტრის“ ორ ნომერში დაიბეჭდა, ავტორს „სიმღერით გამთხარი შინა“ დაურქმევია და ისე ოსტატურად, მხატვრულად, დინამიკურად მოგვითხრობს ერთი ოჯახის სხვადასხვა თაობის თავგადასავალს პირველი და მეორე მსოფლიო ომების ფონზე, თანაც თითოეულ ბნეკარს გმირების სიცოცხლისა და მარადიულობის სიმბოლოდ „ვოისას“ — ქართულ ხალხურ სიმღერას მიადევნებს, უმაღლესი გითბება მკითხველს. ამბის ავტორი — მწერალი, ტელეჟურნალისტი, დოკუმენტური სცენარების, ტელეპროექტების ავტორი და მომღერალი თემურ ჭკუასელი გახლავთ. მან თქვენს სამსჯავროზე გამოიტანა თავისი პირველი მხატვრული სცენარი და ახლა „განაჩენს“ ელის — მკითხველის მხატვრულ შეფასებასა და გულშემატკივარს, რომელიც ეროვნულს შერწყმულ მსოფლიო მნიშვნელობის ამბავს ეკრანზე „გააცოცხლებინებს“.

ირმა ხარშილაძე

თემურ ჭკუასელი:

— ისეთი შეგრძნება მექონდა, ბნელ მღვიმეში მამხალად რომ მიიბიჯებ და გზადაგზა ახალ-ახალ გამონათებებს აწყდები. წერისას ყოველთვის ვიცოდი, რით დავინწყებდი და დავასრულებდი, ამჯერად კი ყველაფერი სხვაგვარად იყო. ემოციები თანდათან, წერის დროს მოდიოდა... გახსოვთ, ალბათ, რეჟისორ ნანა ჯანელიძესთან ერთად ფილმი — „გალობის რაინდები“ რომ გადავიღეთ. ქალბატონმა ნანამ მალევე მკითხა, — ხომ არ დავინტერესდებოდი კახი კავსაძის ნაამბობით მამასა და ბიძაზე — დათაშკა და გიგუშა კავსაძეების ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე?.. იმხანად თავადაც ვფიქრობდი, რალაც გამეკეთებინა მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდნილ ქართველებზე, რომლებიც გერმანიისა და ავსტრიის ქალაქებში ქართულ ხალხურ სიმღე-

რებს ასრულებდნენ. მათი თავგადასავალი ბატონი კახის ნაამბობსაც უკავშირდებოდა, მაგრამ ქალბატონი ნანას პროექტში აღარ ჩავბმულვარ და ამ თემაზე მხატვრული სცენარის დაწერას შევეჭიდე. სიუჟეტიც მოვხაზე: პირველ მსოფლიო ომში ტყვედ ჩავარდნილ მამაკაცს ქართული სიმღერა შეუნარჩუნებს სიცოცხლეს, დიდი ხნის შემდეგ კი — მეორე მსოფლიო ომის დროს — გერმანელთა ტყვეობაში ჩავარდნილ მის ვაჟსაც სწორედ ქართული სიმღერა იხსნის... იდეაზე ვფიქრობდი, როცა საფრანგეთიდან ჩემი მეგობარი, რამაზ პაპუაშვილი ჩამოვიდა და მიაამბო თავისი ებრაელი მეგობარის, ალბერ ბებერაკის მამის, საქართველოდან წასული პინას ბებერაშვილის თავგადასავალი: როგორ გადაარჩინა საფრანგეთში მიხეილ კედიამ ის და ათასობით ქართველი ებრაელი მეორე მსოფლიო ომის დროს. დოკუმენტური მასალაც ჰქონიათ და ალბერ ბებერაკი ცდილობდა, მიეღ-

„ქართული ლეგიონი“



ნია იმისთვის, რომ მიხეილ კედიამ ებრაელთა წმინდანად შეერაცხათ. მართალია, არ ვიცი, ალბერ ბებერაკის მცდელობა რით დასრულდა, — მას შემდეგ ერთი წელიწადი გავიდა, — მაგრამ იმხანად თვითონ გავეცანი დოკუმენტურ მასალას მიხეილ კედიამ და წერილსაც, რომელსაც ბებერაკის ოჯახში უჭვირფასეს რელიკვიად ინახავდნენ: „ბატონ პინას ბებერაშვილი! მე, ქვემოთ ხელისმომწერი



თემურ ჭკუასელი ჟურნალისტიკა, ანსამბლიკ შექმნა, გელესენარტისა წერდა, პირველ არხზე მუშაობისას, რამდენიმე რომანი დაწერა

ყოზევ ელიგულაშვილი, საფრანგეთში მოსეს აღმსარებლობის ქართველთა გაერთიანების პრეზიდენტი, ვადასტურებ, რომ საოკუპაციო ხელისუფლების გადანაცვლების თანახმად, მოსეს აღმსარებლობის ქართველები არ ითვლებიან ებრაელებად. შესაბამისად, ყველა ის ზომა, რომელიც ხორციელდება ებრაელთა მიმართ, მათ, როგორც ქართველებს, არ ეხებათ. გაერთიანების წევრთა სია გადაეცა საოკუპაციო ხელისუფლებას. თქვენ და თქვენი ოჯახი ამ სიაში ხართ 28-ე ნომრით. გამომდინარე აქედან, საოკუპაციო ხელისუფლება თქვენ გთვლით არიელად... პარიზი, 1942 წლის 25 თებერვალი“. ამ შინაარსის ნერილი ალბათ, ბევრი ებრაელის ოჯახს „ესტუმრა“ და სიცოცხლე უწყალობა. ასე გაუცურებიათ ნაცისტები კომუნისტური რეჟიმისგან დევნილ, ემიგრაციაში მყოფ ქართველებს და ამ საქმეში უდიდესი წვლილი სწორედ მიხეილ კედიას მიუძღვოდა. ასე რომ, ჩემს სცენარში გამოგონილთან ერთად, რამდენიმე რეალურ პიროვნებას შეხვდებით, მაგალითად: ქართული ფოლკლორის შესწავლით დაინტერესებულ, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორს, გივი გაბლიანს, შალვა მაღლაკელიძეს, დათაშკა კავსაძეს, ამბავს ქართულ ლეგიონსა და ხალხური სიმღერის გუნდის პარიზულ კონცერტზე და ასე შემდეგ. ისე კი მხატვრული სცენარის დაწერა საკმაოდ რთული აღმოჩნდა: მართო ამბავი ხომ არ იყო? — ვითვალისწინებდი თანამედროვე კინოს წარმატების განმსაზღვრელ ნიუანსებსაც: ინტრიგას, შურისძიებას, სექსს, სიყვარულს, რაინდობას, ლალატს და მგონი, შევქელი, ყველაფრისთვის მომეყარა თავი.

— თქვენი ფილმი ძვირად ღირებული იქნება...
— ბუნებრივია, დიდებული იქნება ფილმი. ბრწყინვალე რეჟისორები

გვეყავს საქართველოში, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ უცხოელმა უნდა გადაიღოს, უახლესი ტექნოლოგიაა საჭირო; მაგრამ აუცილებელია, ქართველი თანარეჟისორი — საქართველოში გადასაღები კადრებისთვის. საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ რეჟისორებზეც ვფიქრობ, მაგრამ ჯერ არაფერი გადამიწყვეტია. ჯერჯერობით, ასე ვთქვათ, საპროდუქციო პაკეტს ვამზადებ. დღევანდელი ინტერვიუს მოსამზადებელი ეტაპის ერთ-ერთი ნაბიჯია, მაგრამ თუკი სერიოზული დაფინანსება არ მექნა, პროექტი ვერ განხორციელდება.

ნანა არაბოშვილი, ლიტერატორი:
— კინოსცენარი, რომლის ავტორიც თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ასეთი განცდითა და სიტყვის მოულოდნელი სიღრმისაღებოთ შემოსული მწერალი თემურ ჭკუასელია, მრავალხმიან ქართულ სიმღერას მაგონებს. არა იმიტომ, რომ მისი ავტორი თავდაპირველად, სწორედ ასეთი სიმღერით გაიცნო საზოგადოებაში, არც იმიტომ, რომ ნაწარმოების სათაურიც ამავეს მიგვანიშნებს. უპირველესად, თხრობის პოლიფონიისა და მკითხველზე ისეთივე ზემოქმედების გამო, რასაც ქართული მრავალხმიანობა იწვევს. თითქოს გულისში ერთ სიმღერას ეხება, ერთ მარადიულ თემას ამუშავებს, რომლის სახელიც საქართველოა, თავისი სულიერი მემკვიდრეობითა და ტყვილით, ღირსების განცდითა და მოყვასის სიყვარულით. დროსა და სივრცეში განფენილი ამბები სამშობლოს ირგვლივ ტრიალებს და ფიქრს აწრიალებს იმ ავბედითი ხანის გამო, რომელიც ერთი ღირსეული გვარის სამი თაობის თვალთა დანახულ-შეფასებულს. თეოფილეთომა-თომასი — სამივე, სამშობლოს მონატრებული და ამავდროულად, სამშობლოდაკარგული ვაჟკაცია. კინოსცენარში უამრავი თემაა გააზრებულ-დამუშავებული. ვინ არის მტერი და ვინ — მოყვარე?! ქართული სიმღერა გადაარჩენს გამძვინვარებულ გერმანელთა ბანაკში მყოფ ქართველ ბიჭებს ორ მსოფლიო ომში და ტაშს დააკვრევინებს უცხოტომელებს, ხოლო სიკვდილის წინ თეოფილეს ნამღერი „ვოისა“ არ ესმით ქართველ „ჩეკისტებს“, რომელთა გულისკარი დახშულია... საოცარია თომას — მოზარდი ბიჭის განცდები და საქციელი მამის სიკვდილის შემდეგ. პატარა თომას სევდიანი და ვაჟკაცური თავგადასავალი ყველაზე სულისშემძვრელია და აღარ გვიკვირს, როცა უკვე დავაჟაკებულს, სიკვდილთან პირისპირ დარჩენილი, შემზარავად ლამაზი ხმით იწყებს სიმღერას... თემურ ჭკუასელის გმირები სიკეთით გამოირჩევიან. კინოსცენარი საესეა ღირსებისა

და თავდადების მაგალითებით: მიხეილ კედი, შალვა მაღლაკელიძე, გივი გაბლიანი, დათაშკა კავსაძე — გმირები, რომლებმაც ცხოვრების მღვლელოვრე ტალღებში სანუგეშო ნაპირამდე ვერ გააღწიეს, თუმცა ასეულობით ქართველი და არაქართველი გადაარჩინეს. ერთი და იგივე ადამიანი ზოგისთვის გმირია და ზოგისთვის — ნაძირალა. მთავარი მსაჯული კიდროა, რომელიც ყველას თავის ადგილს მიუჩენს ხოლმე... საინტერესოა, რა ბედი ეწევა ამ მრავალხმიანი სიმღერით გაჯერებულ კინოსცენარს, ვინ შეეჭიდება ან დაინახავს მის გმირებს ეკრანზე გასაცოცხლებლად?.. კადრები თვალწინაა, დახვეწილი და გადასაღებად გამზადებული; თემატიკა ყველაგაუსვლელი და საშურია — ეს იქნება ფილმი, ქართული ენერჯით, მუსიკით, ტრადიციით, იმედით დატვირთული; ფილმი, რომელიც დაგვაფიქრებს, შეგვძრავს და სიყვარულს დაგვიბრუნებს.

ნუზარ ნარაიანი, ლიტერატორი:
— თემურ ჭკუასელის შემოქმედებას აქამდეც ვიცნობდი, მაგრამ ამ სცენარმა ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა. შესანიშნავი რამ



შალვა მაღლაკელიძე

დაუნერია მხატვრულად, საინტერესოდ. თვითონ მუსიკოსია და არაჩვეულებრივად აქვს გადმოცემული მუსიკის ნამყვანი როლი ტყვეების ცხოვრებაში. მოქმედება კი მართლაც, კინოს პრინციპით ვითარდება. ამ სცენარის მიხედვით ფილმიც საუკეთესო გამოვა და საუცხოო რომანიც დაინერება. გულწრფელად რომ გითხრათ, დიდი სიამოვნებით ნავიკითხავდი ამ სცენარს კიდევ ერთხელ.
— თქვენი აზრით, რა აჯობებს ამ სცენარით ქართველმა რეჟისორმა გადაიღოს ფილმი თუ უცხოელმა?

— უნიჭიერესი რეჟისორები გვყავს და რა აუცილებელია, უცხოელმა გადაიღოს? ვფიქრობ, ქართველი თუ გადაიღებს საქართველოშიც, გერმანიასა თუ საფრანგეთშიც, ძალიან მაღალი დონის ფილმი გამოვა, მაგრამ ამას დიდი ფული დასჭირდება.



სანდრო, დათაშვილი და გიგუშა კავსაძეები

მანანა კარტოჯია, ჟურნალისტი:

— 25 წლის წინ, 1985 წელს, იმ დროისთვის ყველაზე პროგრესულ ქართულ გამოცემაში — გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ იბეჭდებოდა წერილების სერია სათაურით — „სეზამ, გაიღე!“ ამ წერილების ავტორს, ახალგაზრდა კაცს, პროფესიით ჟურნალისტსა და მონოდებით მომღერალს გაუჩინდა სურვილი, ქართული სიმღერის საგანძურში შეედინა და ჩვენთვისაც დაენახებინა იქ დაცული თვალმარგალიტი. ჰარმონიათა განძთსაცავში ყველას არ მიესვლება, ალბათ ალალი გულითა და დიდი მგრძობელობით უნდა გამოირჩეოდეს, შენს შეძახილზე „სეზამის კარი“ მართლაც რომ გაიღოს. 25 წლის წინ შეაღო თემურ ჭკუასელმა ეს კარი და მას აქეთ გამოაქვს სამზეოზე სიმღერების ისტორია, ნამღერების ისტორია, კონცერტების ამბები. ჯერ იყო და, დაინერა საგაზეთო წერილები, მერე შეიქმნა წიგნები, გაკეთდა აუდიო და ვიდეოჩანაწერები. მერე ქართული პოლიფონიის გადარჩენის ლეგენდა შეიქმნა. ქართველმა საზოგადოებამ ქართული საგალობლების ნოტებზე გადატანისა და გადარჩენის შესახებ დაუვიწყარი მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი მიიღო და თურმე, წინ კიდევ ნამდვილი ეპოპეა გველის. უკვე დასრულებულია კინოსცენარი ორსერიანი მხატვრული ფილმისა ქართველთა მომღერალი გენის სასწაულებრივი სიცოცხლისუნარიანობის შესახებ; ქართველი და ებრაელი ერების უდიდესი მეგობრობისა და გატანის შესახებ; ქართული კოსმოპოლიტიზმისა და იმავდროულად, ეროვნული ფესვების ერთგულების შესახებ. ქართველი საზოგადოებისთვის უკვე მთელი ეპიზოდები და პასაჟები

ცნობილი ამ სცენარიდან, რადგან ის კომპიუტერიდან კომპიუტერში შეუფერხებლად გადადის და გულშემატივართა, დაინტერესებულ პირთა მთელი არმია შეიძინა. ფილმის მთავარი გმირი — თომა კადრიდან კადრში დაუვიწყარ მონუმენტურ ფიგურად ყალიბდება და ალბათ, ქართველი კაცის ახალ იდეალად გადაიქცევა... თემურ ჭკუასელის გმირები — ნიჭიერი, ღვთისნიერი ადამიანები სიმღერისთვის კი არ ცხოვრობენ, არამედ სიმღერით ცხოვრობენ. მათ იციან თავიანთი სიმღერის ძალაცა და ფასიც და ამყებენ არაინ ამით. ქართული სიმღერა ნამდვილი განძია, ქონებაა, რომელსაც ვერავინ წაგართმევს, ვერავინ შეგეზიარება. ქართული სიმღერა უდიდეს სასწაულებს ახდენს ადამიანურ ურთიერთობებში. თემურ ჭკუასელი თავადაც მრავალგზის ყოფილა ამ სასწაულის მონაწილე, ამიტომ არის მისი თხრობა ასეთი დამაჯერებელი და სულისშემძვრელი. დარწმუნებული ვარ, ამ კინოსცენარით გადაღებული კინოფილმი უდიდესი ძალის მქონე იქნება. მაგრამ მინდა ვურჩიო ბატონ თემურს, ვიდრე კინოსცენარი სერიოზულ სადადგეო ჯგუფსა და პროდიუსერს ელოდება (არადა, ვფიქრობ, მისი კინოსცენარი, „შინდღერის სისია“ და „პიანისტის“ შემქმნელთა რანგის შემოქმედებს უნდა ჩაუვარდეთ ხელში), — იქნებ რომანადაც „გადანეროს“ ეს მშვენიერი ფაბულა. ფრაზის არაჩვეულებრივი გრძობით შესრულებული უამრავი მონაკვეთი და კინოსცენარის ფინალი იმის გარანტიაა, რომ მას მართლაც, ერთი ხელისგაკვრა სჭირდება, რომ რომანი ბესტსელერად იქცეს. თუმცა, რა თქმა უნდა, საბოლოოდ, როგორც შემოქმედმა ჩაიფიქრა, ისეც უნდა მოხდეს — თემურ ჭკუასელის კინოგმირები არა მარტო ქართულ ენაზე უნდა აღაპარაკდნენ, მსოფლიომ გაიგოს ის საზოგადოებრივი ფაქტები, რომლებიც ქართველთა და ებრაელთა ურთიერთობას უდიდეს საფუძვლად, რამაც ორივე ერი გადაშენებასა და გადაგვარებას გადაარჩინა.

პასტანა მამალაძე,

ტელეჟურნალისტი:

— თემურ ჭკუასელი ძალიან ნიჭიერი კაცია. ჟურნალისტიცაა, ანსამბლიც შექმნა, ტელესცენარებსაც წერდა, პირველ არხზე მუშაობისას, რამდენიმე რომანიც დაწერა და ახლა მხატვრულ კინოსცენარსაც

შეეჭიდა. თქვენი არ იყოს, მეც ძალიან მომეწონა ეს სცენარი. აქ გადმოცემული ამბავი მხოლოდ ქართული არ არის, ეს შეიძლება, ყველა ერმა გაითავისოს. ყველა ქვეყანაში შეიძლება, ასეთი რამ მოხდეს; მით უმეტეს, მსოფლიო ომის ამბებს უკავშირდება. ეს ლიტერატურული სცენარია და ამ თვალსაზრისით, ძალიან კარგია. როდესაც მას რეჟისორი მოჰკიდებს ხელს, ის სხვაგვარად დახვეწის. ვფიქრობ, თუ მას რომელიმე დიდი რეჟისორი მოჰკიდებს ხელს, აჯობებს, რომ არაქართველი იყოს. წარმოგიდგინაო, „შინდღერის სია“ რომ არ გადაეღო სპილბერგს და გადაეღო თენგიზ აბულაძეს?..

— ძალიან საინტერესო ვერსია იქნებოდა...

— საინტერესო, მაგრამ უფრო ქართული იქნებოდა, არადა, ასე არ უნდა იყოს — ეს ზოგადსაკაცობრიო უნდა იყოს, თემიდან გამომდინარე.

— მაინც, ვის სურვებით, თქვენ ნება რომ იყოს?

— „შინდღერის სია“ ხომ ძალიან განსხვავებულია სპილბერგის სხვა ფილმებისგან, მაგრამ რა მაგარი ფილმი გამოვიდა! ეს სურათი ძალიან ახლოსაა თემურის სცენარის თემასთან, ასე რომ, ძალიან მინდა, „სიმღერით გამოთბარი მინა“ სწორედ ასეთმა მრავალმხრივმა რეჟისორმა გადაიღოს. უცხოელ რეჟისორს კი იმიტომ ვარჩევდი, რომ ქართული სულიც არ დაიკარგებოდა და ნაწარმოებიც მეტად გამდიდრებოდა: ამას მოინდონებდა ქართველიც, ამერიკელიც, გერმანელიც და ინდოელიც. თანაც, აქ ხომ ისტორიული ფაქტებიცაა მოტანილი. ქართველები, რომლებიც გერმანელების სამსახურში იყვნენ, მონსტრები გვეგონენ, არადა, ასე არ ყოფილა. რასაკვირველია, მათ შორის სისხლისმსმელებიც იყვნენ, მაგრამ, მაგალითად, მიხეილ კედიას და გენერალ შალვა მალაკელიძეს ათასობით კაცი გადაურჩენიათ და არა მარტო ქართველი, — ებრაელიც, სომეხიც, აზერბაიჯანელიც ანუ ყველა, ვისაც საქართველოში არათუ უცხოვრია, არამედ რამით დაჰკავშირებია ოდესმე, ყველა გადარჩინეს. ამის შესახებ, სამწუხაროდ, ცოტამ თუ იცის... პრობლემა ის არის, რომ საქართველოში თითზე ჩამოსათვლელია იმ ადამიანების რიცხვი, ვისაც ამ ფილმის გადაღების დაფინანსება შეუძლია. არადა, ამ პროექტის განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანია: ამით ქართული საქმეც გაკეთდება და ზოგადად — დიდი საქმეც.



„ქართული ლეგიონის“ სამხედრო ფორმა



ჯონ ლენონი — ყველაზე პოპულარული „სოჭო“

იმ მკითხველს, რომელმაც 40 წელს გადააბიჯა, შეუძლია, მშვიდად გადავიდეს სხვა მასალის კითხვაზე, რადგან არ მეგულება ამ ასაკის (და მათზე უფროსი) ადამიანი, რომელმაც უამრავი რამ არ იცოდეს ჯონ ლენონისა და „ბითლზის“ შესახებ და შესაძლოა, ახალი ვერაფერი ვუთხრათ მათი თაობის კერაზე — მაშინ ხომ „რკინის ფარდამაც“ ვერ დაფარა დასავლეთიდან შემოჭრილი გრიგალი, რომელსაც „ბითლზი“ ერქვა.

ამ დღეებში ჯონ ლენონს 70 წელი შეუსრულდება...

ზვიად გურული

ათასწლეულის ბოლოს „ბიბისი“ ჩაატარა გამოკითხვა თემაზე — ყველა დროის უდიდესი ბრიტანელი. მეფეებს, პოეტებსა და პრემიერ-მინისტრებს შორის, მე-8 ადგილზე ერთადერთი მუსიკოსი გავიდა — ჯონ ლენონი და ამით ბევრი რამ არის ნათქვამი. უფრო მეტიც — ლოგიკას მოკლებული არ არის ამ სიის კომენტატორთა მოსაზრება, რომლებიც ერთხმად აღნიშნავენ — ლენონს იოკო ონო რომ არ მოეყვანა ცოლად და ამერიკაში არ გადასახლებულიყო, „საპრიზო სამეულში“ მოხვედრა გარანტირებული ექნებოდაო.

ლენონის მეორე ცოლის, იაპონელი იოკო ონოს მიმართ პრეტენზიები და „ბითლზის“ მრავალი მილიონი თაყვანისმცემლის წყენა ალბათ, ბუნებრივიც არის — რამდენიც უნდა უარყოთ იოკოსაც და თვით ჯონსაც, ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ ყველა დროის ყველაზე პოპულარული ჯგუფის დაშლის მიზეზი სწორედ ეს ოდიოზური ქალი გახდა... ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთი „რეფერენდუმის“ შედეგებს გაგაცნობთ და მერე „საქმზე გადავალთ“: „ბითლზის“ ერთ-ერთმა ლიდერულულმა ფანკლუბმა თავის წევრებს შორის ასეთი გამოკითხვა ჩაატარა: „ვინ უფრო გეშოთ — ჩემპენი (ლენონის მკვლელი. — ავტ.) თუ იოკო ონო?“ — 70%-ზე მეტმა „მისის ლენონი“ დაასახელა...

არადა, იოკოს მიზეზით ჯგუფის დაშლას მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, როდესაც „ლივერპულური ოთხეული“ საბოლოო შემადგენლობით ჩამოყალიბდა — ბრიტანეთის უძველეს საპორტო ქალაქში დაბადებულმა ბიჭებმა ინგლისელი მეკობრეების პრინციპი („ქალი გემზე — უბედურების მომტანია“) თავიანთ საქმეშიც დააკანონეს: „არავითარი ქალი რეპეტიციასა და ჩამწერ სტუდიაში!“ და ყველაფერი კარგად მიდიოდა...

ისე მოხდა, რომ ჩვენი რუბრიკის წინა სტატიაც დიდ ინგლისელს (უინსტონ ჩერჩილს) მიეძღვნა; ისიც საინტერესოა, რომ ჯონ ლენონის მეორე ოფიციალური სახელიც სწორედ უინ-



სტონი (და სწორედ ჩერჩილის პატივსაცემად დარქმეული) გახლდათ, მაგრამ კიდევ უფრო უცნაური ის არის, რომ ჩერჩილისა არ იყოს, ლენონიც ნაადრევი მშობიარობის შედეგად მოევილინა სამყაროს: 1940 წლის 9 ოქტომბერს, დილის 7 საათზე, ალფრედ ლენონის მეუღლეს — ჯულიას, ლივერპულის დასაბომბად შემოფრენილი გერმანული თვითმფრინავების გუგუნისაგან გულგახეთქილს, ნაადრევი მშობიარობა დაეწყო და ქვეყანას მოევილინა ჯონ უინსტონ ლენონი, მათი პირველი და ერთადერთი შვილი.

ოთხიოდე წლისა იყო ჯონი, როდესაც ერთ დილას დედამ ლოგინიდან წამოაგდო და მისაღებ ოთახში გაიყვანა, სადაც ჩემოდანთან მჯდარი, დალონებული მამა დახვდა:

— ჯონ, მამა ახალ ზელანდიაში მიემგზავრება სამუდამოდ, შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ და თავად უნდა გადაწყვიტო: ან მამას უნდა გაჰყვე, ან ჩემთან უნდა დარჩე...

პირველი რეაქცია მამისკენ გაქცევა და მის გვერდით დადგომა იყო, მაგრამ როცა აცრემლებულ დედას მოჰკრა თვალი, რომელიც ოთახიდან გადიოდა, ჯონი ისევ მას გაეკიდა და ძახილით — „დედიკო, მიყვარხარ“, — ჯულიას ჩაეხუტა... ალფრედი ახალ ზელანდიაში წავიდა, ბავშვი დედასთან დარჩა, თუმცა „დედასთან დარჩენა“ მთლად ზუსტი ნათქვამი არ

არის: დედამისს უკვე ნაპოვნი ჰყავდა „ახალი მამა“, რომელმაც არ მოისურვა სხვისი შვილის აღზრდა (მალე წყვილს ორი საკუთარიც შეეძინა) და ასე მოხვდა ჯონი უშვილო დეიდასთან — მიმისთან, რომელიც გადამეტებული სიმკაცრით ზრდიდა. სამაგიეროდ, მეგობრული ურთიერთობა ჩამოუყალიბდა მის ქმართან — ჯორჯ სმიტთან, სწორედ ამ კაცისგან იგრძნო პირველად ნამდვილი მამობრივი სიყვარული და სიტბო.

ჯონი 13 წლის იყო, როდესაც საყვარელი ბიძა გარდაეცვალა ეს ბიჭისთვის უდიდესი დარტყმა იყო და სწორედ მაშინ, ისევ „იპოვა“ დედა — ჯულიამ ქმრის პრეტენზიებს ყური აღარ უგდო და მართალია, ჯონი ისევ დეიდასთან ცხოვრობდა, მაგრამ დედასთან ყოველდღიური კავშირი ჰქონდა, მშობელთა კრებაზეც ის დაჰყავდა და ჯიბის ფულსაც მისგან იღებდა...

სკოლაში სიარული კი, მართლაც ხშირად უნევედა ჯულიას — მისი შვილი ხომ, მიუხედავად იმისა, რომ თავიდან კარგად სწავლობდა, მალე კლასში ერთ-ერთ ყველაზე უარეს მონაწილედ მიიჩნეოდა. ვერც სკოლის გამოცვლამ უშველა — „ქუორიბენქის“ საშუალო სკოლაშიც ისეთივე „წარმატებით“ განაგრძობდა ზარმაცობას... სამაგიეროდ, შემოქმედებითი ნიჭი გამოავლინა — სკოლის გუნდშიც მღეროდა, ხელნაწერ ჟურნალსაც გამოსცემდა და თავადვე ხატავდა ილუსტრაციებსაც, მათ შორის საკუთარი მასწავლებლების კარიკატურებს, რომელთაც არა მხოლოდ ჟურნალში, არამედ უფრო ხშირად, მერხებსა და სკოლის კედლებზეც აღებქდავდა.

ეს ის დრო იყო, როდესაც როკ-ენ-როლი თანდათან იპყრობდა მსოფლიოს, ელვის პრესლის გამოჩენამ კი საბოლოოდ „გაამეფა“ ეს მიმდინარეობა მაშინდელ ახალგაზრდებში. ინგლისში განსაკუთრებით პოპულარული, სკიფლი გახდა — 1900-იან წლებში ამერიკაში დანერგილი და შემდეგ როკზე „დამყნობილი“ ამ სტილის მთავარი „ღირსება“ ის გახლდათ, რომ აუცილებელი არ იყო, რაიმე ინსტრუ-




დედასთან ერთად

მენტზე პროფესიულ დონეზე დაკვრა: სამიოდე აკორდი გიტარაზე, ქვაბის ორი თავსახური ან ქალაღდადარული სავარცხელი და ხმაშენყობილი სიმღერა — სკიფლ-ჯგუფისთვის სრულიად საკმარისი იყო. რომ არ ვაჭარბებთ, ამას ლენონისა და მისი სკოლის მეგობრების მიერ 1956 წელს ჩამოყალიბებული მათი პირველი სკიფლ-ჯგუფის შემადგენლობაც ადასტურებს: ჯონი და კიდევ ერთი, გიტარაზე უკრავდნენ (და თან კონცერტიდან კონცერტამდე სწავლობდნენ); ორნი — დასარტყამ ინსტრუმენტებზე, ერთი — ბანჯოს აუღარუნებდა და ერთიც (ჯონის საუკეთესო მეგობარი პიტ შოტონი) სარეცხ დაფაზე „უკრავდა“(!) ჯგუფს „ქუორიმენს“ — თავიანთი სკოლის პატივსაცემად დაარქვეს. ერთი წლის შემდეგ ლენონმა პოლ მაკარტნი გაიცნო და ჯგუფში მიიწვია, მან კი თავისი მეგობარი — ჯორჯ ჰარისონი მოიყვანა. ბიჭებმა სერიოზულად მოჰკიდეს ხელი საქმეს და სხვა აღარაფერი ახსოვდათ. ამის ბრალი იყო თუ სხვა რამისა (არც მანამდე იკლავდა სწავლით თავს), ჯონი გამოსაშვებ გამოცდებზე ჩაიჭრა და სკოლის დამთავრების დამადასტურებელი დოკუმენტი ვერ აიღო, მაგრამ (როგორც ამბობენ, დედის გავლენიანი ნაცნობების დახმარებით) ლივერპულის სამხატვრო კოლეჯში მოხვედრა მაინც მოახერხა. სწორედ იქ გაიცნო მომავალი მეუღლე — სინტია პაუელი და აგრეთვე, სტიუარტ სეტკლიფი, რომელიც მამინვე ჩარიცხა ლივერპულში უკვე საკმაოდ პოპულარულ „ქუორიმენსში“ (ამ დროისთვის ჯგუფს მეორე სახელითაც მოიხსენიებდნენ — JOHNNY AND THE MOONDOGS, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს: „ჯონი და მთვარის ძაღლები“, ალბათ იმიტომ, რომ ხშირად, ღამის კლუბებში გამოდიოდნენ).

1958 წლის ზაფხულში ლენონს ტრაგედია დაატყდა თავს: დედამისი, რომელთანაც მისი „მეორედ მოსვლის“ შემდეგ განსაკუთრებული სიახლოვე ჩამოყალიბდა, ავტოკატასტროფაში დაიღუპა — ფეხით

...გომარამი ცოლთან ერთად მჯდომი ან ლოგინში მწოლი იბლოდა ინგერეიუებს



შეუწყო ხელი; ჯონ ლენონმა ჰამბურგშივე გასინჯა პირველად ნარკოტიკი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე მისი ცხოვრების „თანამგზავრი“ იყო; აქვე დარჩა საცხოვრებლად სტიუ სეტკლიფი და მალე იქვე გარდაიცვალა, ტვინში სისხლის ჩაქვევით (ამის შემდეგ, ჰამბურგულ გასტროლოგებზე ისევ ჰარისონი დადიოდა, რომელიც უკვე სრულწლოვანი გახდა); სწორედ ჰამბურგში და სწორედ ახალი მენეჯერის მოთხოვნით შეიცვალა „ბითლზმა“ იმიჯი და როკერების ტყავის ქურ-

გადადიოდა ქუჩაზე, როდესაც მანქანით მთვრალი პოლიციელი დაეჯახა... ჯონს რამდენიმე თვე აღარც დაუკრავს და აღარც უმღერია, ხოლო 1959 წელს ჯგუფმა სახელი შეიცვალა და ჯერ „სილვერ ბითლზ“, მალევე კი უბრალოდ „ბითლზ“ (ხოჭოები) დაირქვა...

„ბითლზი“ ლივერპულში ძალიან პოპულარული იყო და თანაც, მამინდელი ინგლისური ახალგაზრდული ჯგუფებისგან განსხვავებით, ისინი მხოლოდ უკვე პოპულარულ სიმღერებს კი არ ასრულებდნენ, არამედ ლენონი და მაკარტნი თავადაც წერდნენ ახლებს. ჯგუფი უკვე მზად იყო საერთაშორისო ასპარეზისთვის. პირველ საგასტროლო ქალაქად გერმანული ჰამბურგი აირჩიეს და ხუთკაციანი შემადგენლობით გაემგზავრნენ: ლენონი, მაკარტნი, ჰარისონი, სეტკლიფი და პიტ ბესტი, რომელმაც ამ გასტროლამდე ცოტა ხნით ადრე შეცვალა „მედოლფ“ ტომი მური. პირველ მოგზაურობას კიდევ სამი მოჰყვა და 1960 წლის განმავლობაში ჯგუფმა 30 კონცერტი ჩაატარა ჰამბურგში — როგორც ყველაზე პოპულარულ ღამის კლუბ „რეპერბანში“, ასევე უბრალო ლუდხანებშიც.

ყველაფერმა კარგად ჩაიარა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ჯორჯ ჰარისონი, რომელიც ჯგუფში ყველაზე უმცროსი იყო და არც საშუალო ვიზა გააჩნდა, დღევანდელი თბილისური ტერმინით რომ ვთქვათ — გერმანიიდან „გამოადეპორტეს“ და „ბითლზი“ ოთხი კაცის შემადგენლობით დარჩა. ცხადია, ლივერპულში დაბრუნებულები, ისევ ჰარისონთან ერთად აგრძელებდნენ გამოსვლებს.

ჰამბურგმა მართლაც, დიდი როლი ითამაშა როგორც ჯგუფის, ასევე თვით ლენონის ცხოვრებაში: „ბითლზი“ ზედიზედ 4 წლის განმავლობაში მართავდა იქ კონცერტებს; გარდა ამისა, სწორედ ჰამბურგში გადაიკვეთა მათი გზები ასევე ლივერპულელ ბრაიან ეშტაინთან, რომელიც „ბითლზის“ მენეჯერი გახდა და მათი პოპულარობის კიდევ უფრო გაზრდას დიდად

თუკების ნაცვლად, ულაცკანო პიჯაკები ჩაიცვეს, ხოლო გაჩენილი თმა „ხუთოსანი ბიჭებივით“ დაივარცხნეს...

ცხადია, ჰამბურგულ გასტროლებს შორის ლივერპულურ კლუბებში გამოსვლებიც იყო, თავისი ღამიური ცხოვრებით, ჩსუბებითა და ნარკოტიკებით — ლენონი ამ ამბებშიც „ყურებამდე“ იყო ჩაფლული და შარაც არაერთხელ აუკიდებია: ასეთ ჩსუბში მიიღო თავის ტვინის დაზიანება სტიუ სეტკლიფმა, რომელიც მაშინ ჯონმა კი გამოათრია ზედახორიდან, მაგრამ მოგვიანებით, მისი დაღუპვის მიზეზი მაინც ეს გახდა; მაკარტნის დაზიანების დღეს კი, 1963 წელს, ჯონმა პოპულარული დიჯეი ბოპ ვულერი ისე სცემა, რომ რამდენიმე წევი ჩაუმტვრია და საქმის „მისაფუჩეჭებლად“ 200 გირანქა სტერლინგი გადაიხდა, მიზეზი კი ის იყო, რომ ვულერმა წამოაყრანტალა — ლენონი მენეჯერი ეშტაინის საყვარელიაო (ეშტაინი მართლა პედერასტი იყო!) არადა, ამ დროს ლენონს უკვე ცოლიც ჰყავდა და პატარა ჯულიანიც, რომელსაც სახელი დედის ხსოვნის პატივსაცემად დაარქვა; ერთი სკანდალი მაღალი წრის საზოგადოებაშიც მოახსო ლენონმა — როდესაც სამეფო ოჯახის წინაშე გამოდიოდნენ, მათი საკმაოდ ცივი რეაქციის გამო, მორიგი ნომრის გამოცხადებისას გესლიანად დასძინა: „ვინც იაფფასიან ადგილებზე ზის, ვთხოვთ, ტაში დაგვიკრან, დანარჩენებს შეუძლიათ, მხოლოდ თავიანთი ძვირფასეულობა ააუღარუნონ!“

1963 წელს ჯერ კიდევ მხოლოდ ლივერპულსა და ჰამბურგში ცნობილი ჯგუფი, უკვე 1964 წელს მთელ მსოფლიოში პოპულარული გახდა და ამაში ბიჭებთან ერთად უდაო წვლილი მათ მენეჯერსაც მიუძღვის. პო, კიდევ ერთი: 1962 წელს, ლენონმა, ჰარისონმა და მაკარტნიმ გადაწყვიტეს, რომ პიტ ბესტი, როგორც „მედოლფ“, მათ მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებდა და მის მაგივრად რინგო სტარი მოიწვიეს, ლივერპულში პოპულარობით მეორე ჯგუფიდან (ROR STORME AND THE HURRICANES). ბოროტი ენები ამბობდნენ, — ამით „ორი კურდღელი დაიჭირეს“ — კონკურენტებიც დასაუსტეს და „ბითლზის“ სექსიმიზმოდ აღიარებული პიტ ბესტიც მოიშორეს...



მათი საერთო შეილის ამქვეყნად მოვლინების შემდეგ, ლენონს საბოლოოდ აკრიალდა უკროსი შეილის (პირველი ქორწინებიდან) ნახვა



ბინძური ჭორები ხომ ნიჭიერი ხალხის მუდმივი თანამგზავრია...

პირველ ამერიკულ გასტროლებში იქაურმა კომპანიამ მხოლოდ 50 ათასი დოლარი ჩადო, მაგრამ „ბითლზს“ აეროპორტში რამდენიმე ათასი ფანი დახვდა — ისინი, ვისაც უკვე მოსმენილი ჰქონდა ევროპული კონცერტები ან ამერიკაში გაყიდული ფირფიტები. მოკლედ, წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: უკვე ერთ თვეში მათმა ხუთმა სიმღერამ ამერიკული ჰიტ-ალბუმის პირველი ხუთი ადგილი დაიკავა! ხოლო ნიუ-იორკის სტადიონზე შეკრებილი 55 ათასი მსმენელით, მანამდე არსებული ყველა რეკორდი მოიხსნა. ეს ტრიუმფის დასაწყისი იყო, რომელმაც მალე მსოფლიოს მასშტაბს მიაღწია...

შეამჩნევდით, რომ უფრო მეტს „ბითლზზე“ ვსაუბრობთ, ვიდრე თვით ლენონზე, მაგრამ ეს ბუნებრივია — იმ პერიოდში ლენონი ჯგუფის გარეშე არ არსებობდა, მაგრამ მერე მის ცხოვრებაში იოკო ონო გამოჩნდა...

ჯონს უკვე ყველაფერი ჰქონდა: ბევრი ფული, საკუთარი კუნძული ირლანდიასთან ახლოს, მსოფლიო დიდება... თუმცა „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ დიდად არასოდეს სწყალობდნენ არც სამშობლოში და არც ამერიკაში: დედოფლის მიერ მისთვის (და დანარჩენი „ბითლზებისთვის“) იმპერიის ორდენის გადაცემამ ინგლისის არისტოკრატიული წრეების აღშფოთება გამოიწვია და ამ ორდენის ზოგიერთმა მფლობელმა, პროტესტის ნიშნად, მაშინვე უკან დააბრუნა თავისი ჯილდო, თვით ლენონმა კი, რამდენიმე წლის შემდეგ, ეს ვიქტორიის ომის საწინააღმდეგო კამპანიის ფარგლებში დემონსტრაციულად ჩაიდინა; მოგვიანებით, ამერიკაში გადასვლის შემდეგაც „წინამართლობა“ და ამიტომ ვერ ეღიბა იქაური ხელისუფლებისგან ვერც ამერიკაში მუდმივად ცხოვრების უფლებას და ვერც ისეთ ვიზას, რომ ქვეყნიდან გასულს უკან დაბრუნება შესძლებოდა, ამიტომ ბოლო წლებში, მშობლიურ ინგლისშიც კი არ ჩასულა.


სწორედ დიდების ზენიტში ყოფნისას შეხვდა ჯონი იოკოს. ცხადია, ბედნიერი იყო ის თუ უბედური, სჭირდებოდა მას ამ ქალის სიყვარული თუ არა, ეს მხოლოდ მისი პირადი საქმე იყო, მაგრამ დიდი ადამიანების პირადი ცხოვრება ხომ ხშირად, საზოგადოების განსჯის საგანი ხდება, მით უმეტეს, თუკი ეს პირადი ცხოვრება მათ შემოქმედებაზეც ახდენს უარყოფით გავლენას. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ჯონმა მოგვიანებით აღიარა, — იოკოს რომ არ შევხვედროდი, უკვე თავის მოკვლა მქონდა გადაწყვეტილი...

1966 წლის 9 ოქტომბერს ლენონმა ლონდონში, მოდურ გალერეა „ინდიკაში“ შეიარა, სადაც მეორე დღეს იაპონელი მხატვარ-მოდერნისტის, იოკო ონოს გამოფენა უნდა გახსნილიყო... საქმიანმა და მიზანდასახულმა იაპონელმა ქალმა „შეტევა“ წამოიწყო. „აღყა“ ნელინად-ნახევარს გაუგრძელდა და ერთხელაც, ესპანეთიდან შინ დაბ-

რუნებულ სინტია ლენონს, ქმარი და უცხო ქალი სამზარეულოში შილიფად ჩაცმულები დახვდნენ, ჩაის მიირთმევდნენ...

„ეს ჩემთვის დიდი პრიზის მოგებას ჰგავდა“, — ამბობდა ჯონი იოკოზე, მაგრამ ასე არ ფიქრობდნენ მისი მეგობრები: ახალი მისის ლენონის მუდმივი ყოფნა ჩანერგება და რეპეტიციებზე, ჯონის სოლო-კონცერტების მენეჯერობა და ამ კონცერტების თარიღების შერჩევისას საერთო საქმის სრული იგნორირება მათ უკმაყოფილებას იწვევდა...

მეყვარებულმა თავიანთი განქორწინების საქმეებიც მოაგვარეს — სხვათა შორის, იაპონელმა ქმარმა იოკო ონოს შვილი ნაართ-



ლენონი ისე „გაგიჟდა“, რომ თავისი მეორე ოფიციალური სახელი, უინსტონი ონოთი შეიცვალა

ვა და ქალი ამოდ ცდილობდა მის დაბრუნებას — ლენონმა ვილაცას ფულიც კი გადაუხადა, რომ გერი მოუტაცებინა, მაგრამ — უშედეგოდ... ლენონი ისე „გაგიჟდა“, რომ თავისი მეორე ოფიციალური სახელი, უინსტონი ონოთი შეიცვალა. მეგობრები ცოცხლებს ყრიდნენ, ჯონი კი ბედნიერი იყო ან ეგონა, რომ ბედნიერი იყო.

ქორწინების ცერემონია 1969 წელს, გიბრალტარში შედგა (ბრიტანეთში იოკოს სავიზო პრობლემა ჰქონდა), მანამდე კი ჯონმა და იოკომ ერთობლივი ალბომი გამოუშვეს, რომელსაც „ორი უბინო“ უწოდეს, ხოლო გარეკანზე მათი ფოტო იყო, რომელზეც სრულიად შიშვლები იყვნენ ალბექდილინი. ამის გამო მაკარტნიმ ლენონს მწარედ „უკბინა“: გარეკანისთვის მანაც შეგერჩია ვინმე ლამაზი ქალი, მაგრამ ლენონი უკვე „ყურებამდე იყო ჩაფლული“ ონოს სიყვარულის მძლავრ მარწმუნებში და როდესაც საბოლოოდ დადგა (უფრო ზუსტად, მაკარტნიმ დააყენა) არჩევანის წინაშე — „ბითლზი“ თუ იოკო ონო, — უყოყმანოდ, საყვარელი ქალი აირჩია...


ეს 1971 წლის დასაწყისში მოხდა. იმავე წელს ლენონი მუშაობდა ნიუ-იორკში ნაიდა და სიცოცხლის ბოლომდე იქ დარჩა. 1973 წელს ისინი მთელი 18 თვით დაშორდნენ ერთმა-

ნეთს, უფრო სწორად, როგორც ლენონი ამბობდა: ცუდად მოვიქცევი და იოკომ გამომავდოო(!) ალბათ მართალიც იყო: ონო სახლში დარჩა, ხოლო ლენონი კალიფორნიაში „გადაასახლა“ და თან, მარტო კი არა — საკუთარი მდივანი, ჩინელ-ამერიკელი მეი პენგი გააყოლა!


ამ ნელინად-ნახევრის განმავლობაში იგი ისევ ძველ ლენონად იქცა (რამაც კიდევ ერთხელ დაარწმუნა ონოს ბრალმდებლები თავიანთ სიმართლეში): წერდა შესანიშნავ მუსიკას, თანამშრომლობდა ელტონ ჯონთან და სხვა ცნობილ მუსიკოსებთან, კიდევ უფრო მეტი ფული იშოვა, სვამდა, სკანდალს ხშირად აწყობდა, აღარც პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებდა და აღარც ტომარაში ცოლთან ერთად მჯდომი ან ლოგინში მწოლი იძლეოდა ინტერვიუებს (ეს იოკო ონოს ერთ-ერთი „შედეგრი“ იყო), მაგრამ „ბოროტი ჯადოქარი“ („ბითლზის“ უამრავი თყვანისმცემელი უკვე ღიად, ასე მოიხსენიებდა მის ცოლს) ისევ გამოჩნდა და „დაეპატრონა“, ხოლო მათი საერთო შვილის ამქვეყნად მოვლინების შემდეგ, ლენონს საბოლოოდ აეკრძალა უფროსი შვილის (პირველი ქორწინებიდან) ნახვა და ისიც კი განაცხადა, — ჯულიანი ზედმეტი ვისკის შედეგია, ხოლო ეს შვილი — დიდი სიყვარულისო(!); აღარ წერდა მუსიკას, აღარ იძლეოდა ინტერვიუს, ქონების მართვაც ცოლმა გადაიბარა...

ამ „გაბრუებამ“ 5 წელი გასტანა და 1980 წელს ლენონმა ისევ დაიწყო მუსიკის წერა; იოკოსთან ერთად ჩანერა ალბომი „DOUBLE FANTASY“ და გამოაცხადა, რომ 40 წლისას „მეორე სუნთქვა“ გაეხსნა, მაგრამ... ამ დროს ყველაფერი დასრულდა — როგორც მისმა მკვლელმა დაკითხვაზე განაცხადა, მან ლენონი „დასაჯა იმისთვის, რომ არასწორად ცხოვრობდა და ხალხს მასთან სიახლოვის საშუალება მოუსპო“... არაფინ იცის, ჭორია თუ სიმართლე, მაგრამ ამბობდნენ, — ამის გამგონე პოლიციელს, ასევე ლენონის ფანს, მისთვის უთქვამს: „იდიოტო, მერე მისულთქვამი და მისი ალქაჯი ცოლი მოგველა“

რამდენიმე დღის წინ მშობლიურ ლივერპულში ჯონ ლენონის ძეგლი გაიხსნა...



40 წლისას „მეორე სუნთქვა“ გაეხსნა, მაგრამ... ამ დროს ყველაფერი დასრულდა



სამყარო

კრწანისის ბრძოლა და რუსული ინტრიგა

მიხეილ ლაბაძე

საქართველოს ისტორიაში კრწანისის ბრძოლა, რომელიც 1795 წლის 11 სექტემბერს, ქართლ-კახეთის და სპარსეთის არმიებს შორის გაიმართა, უდავოდ უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. მის შესახებ ბევრიც დაწერილა, თუმცა საბჭოთა კავშირის დანგრევამდე ქართულ ისტორიოგრაფიაში ალა მაჰმად ხანის შემოსევის ძირითად მიზეზად, 1783 წელს, ერეკლე II-ს მიერ რუსეთთან „გეორგიევსკის ტრაქტატის“ დადება და პროსპარსულ ორიენტაციაზე უარის თქმა მიიჩნეოდა. არადა, XVIII საუკუნის 80-ანი წლების ბოლოს, ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთთან მოკავშირეობა უკვე აღარც კი იყო პოპულარული, რადგან ჯერ ერთი, კავკასიაში გეოპოლიტიკური სიტუაცია შეიცვალა და მეორეც — რუსებმა 1785 წელს ტრაქტატი თავადვე დაარღვიეს. აქედან გამომდინარე, მეფე ერეკლეს მათი იმედი აღარ ჰქონდა და გამოსავალს სხვა მხრივ ეძებდა.

სხვათა შორის, კავკასიაში გეოპოლიტიკური სიტუაციის შეცვლით (რაც რუსეთის წინააღმდეგ ოსმალეთისა და სპარსეთის გააქტიურებით გამოიხატებოდა) საქართველოს ერთიანობის მომხრეებმა ისარგებლეს, რომელთა მთავარი თეორეტიკოსი იმ დროს სოლომონ ლიონიძე იყო და ერეკლე II-ს იმერეთის სამეფოს მიერთება მოსთხოვეს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პატარა კახი ამ მოთხოვნამ აშკარად დააფრთხო, რადგან იმერეთი ოსმალეთის სულთნის ვასლად მიიჩნეოდა; ქართლ-კახეთი — რუსეთისა; ერეკლემ გაერთიანებაზე უარი კი თქვა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ — 1790 წელს, როცა დაინახა, რომ სანქტ-პეტერბურგში ქართლ-კახეთის ბედი არ აღელვებდათ, ერთიანობის მომხრეთა სასარგებლოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა — იმერეთის მეფესთან, ასევე ოდიშ-გურიის მთავრებთან ერთად „ივერიელთა ტრაქტატს“ მოაწერა ხელი. ეს ტრაქტატი შემდგომში საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის საფუძ-

ველი უნდა გამხდარიყო და ცხადია, პატრიოტები მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ.

ამავდროულად, ერეკლე II-მ ახალციხის საფაშოს მესვეურებთან — გამაჰმადიანებულ მთავარ ჯაყელებთან მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა. XVI-II საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე ქართლ-კახეთის სამეფოსა და ახალციხის საფაშოს შორის რამდენიმე მნიშვნელოვანი ხელშეკრულება დაიდო; მათ შორის, საიდუმლო კავშირის თაობაზეც, რომლის თანახმად ახალციხის ფაშა სულეიმან ჯაყელი ერეკლე II-ს აღუთქვამდა, რომ ოსმალეთთან ან სპარსეთთან ვითარების შესაძლო გართულების შემთხვევაში ქართლ-კახეთის მხარეს დადგებოდა. ფაქტობრივად, ეს საქართველოს გაერთიანების მომხრეთა დიდი გამარჯვება იყო, რადგანაც მუსლიმანი ქართველობაც, სულეიმან ფაშა ჯაყელის ხელმძღვანელობით, უკვე პროქართულ პოზიციაზე იდგა.

ერეკლე II-მ, რომელიც საგარეო პოლიტიკაში საქართველოს ერთიანობის მომხრეთა აზრს ითვალისწინებდა, სპარსეთის შაჰობის ახალ კანდიდატთან, საჭურის ალა მაჰმად ხანთანაც ურთიერთობის დარეგულირება სცადა. ეს უკანასკნელი იმხანად დღევანდელი ირანის ჩრდილოეთ ნაწილს ფლობდა და ერეკლე მეფის ელჩები სიხარულითაც მიიღო, თუმცა 1794 წლიდან, როდესაც ალა მაჰმად ხანმა მთელი სპარსეთი ხელში ჩაიგდო, მასა და ერეკლე II-ს შორის ურთიერთდამოკიდებულება შეიცვალა — სპარსეთის ახალ გამგებელს (ალა მაჰმად ხანმა შაჰის ტიტული 1795 წელს მოიპოვა) ქართლ-კახეთის მეფის სახელის გაგონებაც აღარ სურდა და რუსებთან კავშირის გამო მას სამაგალითო დასჯით ემუქრებოდა. რასაკვირველია, ურთიერთდამოკიდებულების შეცვლა უცებ არ მომხდარა — ალა მაჰმად ხანი ერეკლე II-ს წინააღმდეგ უცხოელებმა ნააქეხეს.

აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს რუსეთის იმ-



ალა მაჰმად ხანი, XVIII საუკუნის სპარსული მინიატიურა

პერატრიცამ, ეკატერინე II-მ მრჩეველებს ინდოეთის დაპყრობის საიდუმლო გეგმა შეადგინა, რომლის თანახმადაც, პირველ ეტაპზე რუსეთს სპარსეთის კასპისპირეთი და შუა აზია უნდა დაეკავებინა, შემდეგ ისპაჰანიც აეღო და იქიდან ინდოეთზე გაელაშქრა. ბუნებრივია, რომ ერეკლე II-ის „განდგომა“ და, განსაკუთრებით კი საქართველოს გაერთიანება, რუსების ინტერესებს პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა, რადგანაც სპარსეთის კასპისპირეთისაკენ მოკვება თანამედროვე აზერბაიჯანზე გადიოდა; იქ არსებული სახანოები ერეკლეს ემორჩილებოდა და ცხადია, საქართველოს გაერთიანების შემთხვევაშიც, ქართველები ამ ტერიტორიებს აღარ დათმობდნენ. ერთი სიტყვით, სანქტ-პეტერბურგი იმედოვნებდა, რომ თუ კი ალა მაჰმად ხანს ქართლ-კახეთის აოხრების ნებას მისცემდნენ, ერეკლე II-ს გავლენა ამიერკავკასიაში მნიშვნელოვნად შესუსტდებოდა, საქართველოს ერთიანობის იდეა დასამარდებოდა და აზერბაიჯანში კი რუსებს ხელფეხი გაეხსნებოდათ.

ამავდროულად, ამიერკავკასიასთან დაკავშირებით, თავისი გეგმები ჰქონდათ ასევე ინგლისელებსაც — ისინი



ის-ის იყო, ინდოეთში დამკვიდრებას იწყებდნენ და ამის გამო აზიაში რუსების გაძლიერება დიდად აშფოთებდათ. ლონდონში ფიქრობდნენ, რომ თუ რუსეთი ამიერკავკასიას დაიკავებდა, მაშინ მას სპარსეთში გაბატონებაში ხელს ვეღარ შეუშლიდნენ და შესაბამისად, ინდოეთში ინგლისის სამფლობელოებს აშკარა საფრთხე დაემუქრებოდა. აქედან გამომდინარე, ინგლისელებს ამიერკავკასიაში გაბატონება და რუსეთისათვის ინდოეთისაკენ მიმავალი გზების ჩაკეტვა სურდათ, სპარსეთი კი ერთ-ერთ მოკავშირედ ესახებოდათ. თუმცა XVIII საუკუნის ბოლოს, საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ მათი გეგმები შეცვალა — ლონდონში შეეშინდათ, რევოლუციური იდეები მათთანაც არ გავრცელებულიყო და რუსეთთან ურთიერთობები სწრაფად დაარეგულირეს; ამის შედეგად, რუსეთს ამიერკავკასიაში შესაჭრელად და გასაბატონებლად იდეალური შესაძლებლობა მიეცა — რუსული გეგმების ბოლომდე განსახორციელებლად მხოლოდ ქართლ-კახეთის დაჩოქება იყო საჭირო.

სპარსეთის შაჰის ტახტზე ასული, საჭურისი ალა მაჰმად ხანი იმჟამად მსოფლიოში არსებულ საერთო ვითარებაში ასე თუ ისე, ერკვეოდა; საკუთარი შესაძლებლობებიც კარგად ჰქონდა გათვითცნობიერებული და გრძობდა, რომ ამიერკავკასიაში რუსეთის დამკვიდრება გარდაუვალი იყო. სხვათა შორის, ალა მაჰმად ხანი შინაგანად თანახმა იყო, რომ ქართლ-კახეთი და ჩრდილო აზერბაიჯანი რუსებს წაეღოთ, მაგრამ განჯის, ერევნის, მულანისა და ნახჭევანის სახანოებს ვეღარ თმობდა, რადგან ასეთ შემთხვევაში სპარსეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვრები მოშიშვლებული რჩებოდა. ამის გამო, იგი გამალებული ცდილობდა ევროპაში მოკავშირეთა გამოწვევას, რათა რუსები შეეჩერებინა. ალა მაჰმად ხანს უპირველეს ყოვლისა, ინგლისელების იმედი ჰქონდა და 1795 წლის ზაფხულში, როცა ქართლ-კახეთზე თავდასასხმელად ემზადებოდა, მიიჩნევდა, რომ ლონდონი მასა და რუსეთს შორის არბიტრის ფუნქციას იკისრებდა, კონფლიქტში ჩაერეოდა და კავკასიაში სპარსეთისთვის მისაღებ საზღვრებს დაადგენდა.

თავის მხრივ, ინგლისელები ალა მაჰმად ხანს ალუთქვამდნენ, რომ თუ ის მართლაც შეძლებდა ამიერკავკასიის სახანოთა შენარჩუნებას და იქ ქართლ-კახეთის გავლენის მოსპობას, ლონდონი სანქტ-პეტერბურგს აიძულებდა, ქართლ-კახეთს დასჯერებოდა და სხვა პრეტენზიებზე უარი ეთქვა. აღსანიშნავია ისიც, რომ ინგლისელებს აშფოთებ-

დათ, რომ თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული სახანოები ქართველებს ემორჩილებოდნენ. ლონდონში ფიქრობდნენ, რომ რაკი ქართლ-კახეთი უკვე რუსეთის მფარველობაში იყო, სანქტ-პეტერბურგს შეეძლო, სახანოებზე პრეტენზიები სულ იოლად დაესაბუთებინა; ამიტომაც, ინგლისის მთავარ ამოცანას სსენებული სახანოების სპარსეთისთვის შენარჩუნება შეადგენდა.

ამდენად, რუსეთისა და ინგლისის ინტერესები ერთ საკითხში მაინც თანხვედბოდა ერთმანეთს — ქართლ-კახეთის გაძლიერება (საქართველოს გაერთიანებაზე რომ არაფერი ვთქვამთ) არც ერთს არ აწყობდა. რა საკვირველია, ალა მაჰმად ხანსა და ერეკლეს შორის ურთიერთობის გაფუჭების მთავარი მიზეზიც ეს გახლდათ; თუმცა, მიუხედავად ამისა, 1795 წლის ზაფხულში სპარსეთის გამგებელი ჯერ კიდევ ყოყმანობდა, ელაშქრა თუ არა ქართლ-კახეთში. ის ხვდებოდა, რომ ამ ქვეყნის დაპყრობას ვერც შეძლებდა და არც რუსეთი დაუშვებდა ამას; არადა, აზერბაიჯანული სახანოების საკითხი აწუხებდა და ცხადია, არ სურდა იქ რუსების გაბატონება, რაც, როგორც ითქვა, სპარსეთს მერე დიდ პრობლემებს შეუქმნიდა. ამიტომ, ალა მაჰმად ხანს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა — ქართლ-კახეთზე აუცილებლად უნდა გაელაშქრა. მან გადაწყვიტა, რომ ბედი ეცადა და ამავდროულად, მხოლოდ მარბიელი ლაშქრობით დაკმაყოფილებულიყო.

საინტერესოა, რომ ალა მაჰმად ხანმა ქართლ-კახეთში მოსალოდნელი

ლაშქრობის თაობაზე საკუთარ ჯამუშებს თავიდანვე გაავრცელებინა ხმა და შესაბამისად, ერეკლე II-მ შეიტყო,



კრწანისის ბრძოლა; მხაგვარ ს. მაისაშვილის ნახატი

რას აპირებდა სპარსეთის გამგებელი. ცნობილი ინგლისელი დიპლომატი, სერ ჯონ მალკოლმი თავის ნაშრომში „სპარსეთის ისტორია“ წერს, რომ წინასწარ ხმის დაყრა უფრო იმისთვის იყო გამიზნული, რომ ერეკლეს ქვეშევრდომი, მუსლიმანი ხანები დაშინებულნიყვნენ და თავისი ნებით ელიარებინათ ალა მაჰმად ხანის უზენაესობა; ამის შემდეგ, რუსეთი სახანოებზე პრეტენზიების წამოყენებას იოლად ვეღარ გაბედავდა და იძულებული გახდებოდა, გაპარტახებული ქართლ-კახეთითა დაკმაყოფილებულიყო.

ინგლისელთა გაანგარიშებისამებრ, აზერბაიჯანელმა ხანებმა შეიტყვეს რა ალა მაჰმად ხანის განზრახვა, ერეკლე II-ს მაშინვე უღალატეს და სპარსეთის გამგებელს ერთგულება აღუთქვეს. საჭურისმა საბოლოოდ მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტა ქართლ-კახეთში შეჭრა „ურჩი ირაკლი ხანის“ დასასჯელად. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია თვალსაზრისი, რომ ალა მაჰმად ხანს თბილისზე ლაშქრობისას 35 ათასი ჯარისკაცი ჰყავდა, მაგრამ ეს ცნობა დაზუსტებას საჭიროებს — სპარსული ლაშქრის შემადგენლობაში ერევნის, განჯისა და ყარაბაღის სახანოთა ჯარისკაცებიც შედიოდნენ. სერ ჯონ მალკოლმის ცნობით, მათი რაოდენობა დაახლოებით 15 ათას კაცამდე მერყეობდა. აქედან გამომდინარე, გამოდის, რომ სპარსულ ჯარისკაცთა რაოდენობა იქნებოდა 20 ათასი კაცი.

ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ ალა მაჰმად ხანს ქართლ-კახეთზე სულაშქროდ საკმარისი სამხედრო ძალა არც კი ჰყავდა და, ფაქტობრივად, აზერბაიჯანელი ხანების იმედად იყო.



რუსი გრაფი პლატონ შუბოვი



უფეველია, ეს ყველაფერი ეცოდინებოდათ ქართველ მსტორებსაც, მაგრამ ერეკლე II-მ სხენებული ინფორმაციის განალიზებისას დიდი შეცდომა დაუშვა — მიიჩნია, რომ რუსე-

სხვათა შორის, რუსების ჩაურევლობამ სპარსეთის გამგებელი გაათამაზა და ყოველგვარი შიში გაუფანტა.

1795 წლის 8 სექტემბერს, როცა სპარსული ჯარები სოღანლუდ-იალლუჯის ახლოს გამოჩნდნენ, მეფე ერეკლეს სასახლეში განგაში ატყდა — სამეფო კარზე რუსთა იმედი ჰქონდათ და საომრად მხოლოდ 5 ათასამდე კაცი ჰყავდათ; ახლა, რაკი რუსები არსად ჩანდნენ, ბრძოლა უთანასწორო პირობებში უნდა დაეწყოთ. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გავრცელებული იყო მოსაზრება, თითქოს ერეკლე II-ს უფლისწულებმა უღალატეს და ხალხი არ მიაშველეს, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. როგორც ითქვა, პატარა კახი რუსებს ელოდა და მრავალრიცხოვანი ლაშქრის შერყევას არც აპირებდა. თანაც, ცნობა იმის თაობაზე, რომ ალა მაჰმად ხანს აზერბაიჯანელი ხანებიც შეერთდნენ, მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა.



ინგლისელი რეზიდენტები ალა მაჰმად ხანის კარზე, XVIII საუკუნის სპარსული მინიატიურა

ბი არ მიატოვებდნენ და მათი შიშით, ვეღარც ვასალი ხანები გაბედავდნენ განდგომას. სხვათა შორის, 1795 წლის ზაფხულში თბილისიდან სანქტ-პეტერბურგში რამდენჯერმე გაიგზავნა მაცნე, რომელსაც ეკატერინე II სპარსელების მოსალოდნელი ლაშქრობის შესახებ უნდა გაეფრთხილებინა და ჯარი გამოეთხოვა, მაგრამ რუსეთის იმპერატრიცა მას საერთოდ არც სჩვენებია — ერეკლე მეფის წარგზავნილები გრაფმა პლატონ ზუბოვმა მიიღო, ტყუილებით თავგზა აუბნია და კონკრეტული დაპირებების გარეშე გაისტუმრა უკან. აქვე დავეჭვით იმასაც, რომ სწორედ პლატონ ზუბოვი გახლდათ ქართლ-კახეთის დაჩოქების გეგმის ავტორი და ბუნებრივია, ამიერკავკასიის საკითხებს იმპერატრიცასთან შეთანხმებით, ის წყვეტდა. ზუბოვმა ეკატერინე II-ს დანვრილებით მოახსენა ქართველთა თხოვნის შესახებ, მაგრამ ურჩია, ჯერჯერობით თავი შეეკავებინა.

თავის მხრივ, ალა მაჰმად ხანმა ერეკლეს სამხედრო შესაძლებლობების შესახებ დაზუსტებით არაფერი იცოდა. ის ფიქრობდა, რომ ქართული არმია რუსული იარაღით იქნებოდა აღჭურვილი, ამიტომ 9 სექტემბერს, დილით, შეტევა გაუბედავად დაიწყო — სპარსელთა ავანგარდი სოღანლუდიდან ორჯერ გადავიდა იერიშზე. ქართველთა მენინავე რაზმმა მტერი ორჯერვე ახლოს მიუშვა, შემდეგ კი ერთბაშად ცეცხლითა და მოულოდნელი იერიშით უკუაქცია. 10 სექტემბერს მტრის მენინავე რაზმმა (3 ათასი კაცი) მძლავრად შეუტია ქართველთა გამაგრებულ ხაზს ტაბახმელასა და შინდისს შორის. ამ ბრძოლებში ქართველებმა გაიმარჯვეს.

პირველი ბრძოლით დაშინებული ალა-მაჰმად-ხანი უკან გაბრუნებას აპირებდა, მაგრამ ღამით ციხიდან მოღალატეთა ხელშეწყობით გაპარულმა სპარსელთა ჯაშუშმა იგი ქართველთა სისუსტეში დაარწმუნა. 11 სექტემბერს, დილის 7 საათზე, ირანელთა ლაშქარი მტკვარ-შაფნაბადის ვიწროებით თბილისისაკენ დაიძრა და საათ-ნახევრის შემდეგ ქართველთა საბრძოლო დაცვის პირველ პოზიციას შეუტია. 5 ათასზე მეტი კაცი თბილისისთვის ზურგიდან მოსაველეად თელეთის მიმართულებით გაგზავნეს. ქართველთა ლაშქარმა ეს შეტევა მოიგერია, მაგრამ მტრის გაძლიერებული ცეცხლის შემდეგ იძულებული გახდა, თავდაცვის მეორე

პოზიციაზე გადასულიყო. ამ პოზიციის გადასალახავად სპარსელებმა ერთ საათში რამდენიმე ასეული მეზრძოლი დაკარგეს, მაგრამ მათ ბრძოლაში ახალ-ახალი ძალები შეჰყავდათ და უპირატესობის მოპოვება შეძლეს. ერთი საათის მერე კი თბილისში შეიჭრნენ და ბრძოლები ქალაქში გაჩაღდა. ამ დროს ერეკლე II ამაღლსთან ერთად უკვე ბრძოლის ველს გარიდებული იყო და ანაწურისკენ მიიქაროდა. ალა მაჰმად ხანმა თბილისი დაიკავა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ შემდგომი წინსვლისათვის ძალები აღარ ჰყოფნიდა. ამას დაემატა ისიც, რომ ერევნის, განჯისა და ყარაბაღის სახანოებშიც მძლავრი ანტისპარსული გამოსვლები დაიწყო.

ერთი სიტყვით, საბოლოოდ ყველაფერი გაცილებით უფრო სხვაგვარად განვითარდა, ვიდრე ეს ინგლისელებს წარმოედგინათ — აზერბაიჯანულ სახანოებში ალა მაჰმად ხანმა უბრალო ხალხის მხარდაჭერა ვერ მოიპოვა, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად, მათი წინამძღოლები ისევე ვასლებად გაიხადა; ქართლ-კახეთი კი დაარბია, მაგრამ მეფე ერეკლეს ვერაფერი მოუხერხა; სამაგიეროდ, ახალი სიტუაცია ყველაზე მეტად რუსეთის ნისქვილზე ასხამდა წყალს — ერეკლე II-ს ძლიერებაზე საუბარიც არ შეიძლებოდა, აზერბაიჯანელი ხანებიც თავიანთ სახანოებში ანტისპარსული განწყობილების ზრდით შემოფოთებულნი იყვნენ და რაც ყველაზე მთავარია, სპარსეთში ალა მაჰმად ხანის მტერებაც წამოყვეს თავი — მას ხორასნელები აუჯანყდნენ. სხვათა შორის, დღეს უკვე კარგადაა ცნობილი, რომ 1795 წლის სექტემბრის ბოლოს ხორასანში დაწყებულ დიდ აჯანყებაში გრაფ პლატონ ზუბოვის ხელი ერია. იგი იმედოვნებდა, რომ ალა მაჰმად ხანის სანიშნავი დევნა გამოვლავლავდა სპარსეთის ყველა კასპისპირა რეგიონს მოიცავდა და შემდეგ რუსეთი სამხედრო ძალით ჩაეროდა.

რუსი გრაფს ჩანაფიქრი მალე გაუცრუვდა — ალა მაჰმად ხანმა ხორასანში აჯანყების ჩაქრობა უცებ მოახერხა და რუსებმა ინტერვენცია ვეღარ განახორციელეს. ამის შემდეგ საჭურისმა შაჰინშაჰის ტიტული მიიღო, შუაგულ სპარსეთში დიდძალი არმია მოაგროვა და კვლავ ამიერკავკასიისაკენ გამობრუნდა — ამჯერად მას ქართლ-კახეთის მთლიანად დაპყრობა სურდა; შაჰინშაჰის გვერდით იყვნენ ასევე ინგლისელი რეზიდენტებიც, თუმცა ყარაბაღის სახანოში, ქალაქ შუშაში მოსული ალა მაჰმად ხანი შეთქმულების მსხვერპლი გახდა — მისივე ამაღლის ნევერებმა საიქიოს მაშინ გაისტუმრეს, როცა დილის ლოცვისთვის ემზადებოდა. გადმოცემით, შაჰინშაჰს პირველმა წარმოშობით ქართველმა მცველმა, ვინმე სადყმა ესროლა.



ბათუმის შთაბრუნებით შექმნილი მოდელები და უსსოელების დაკვირვების ქვეშე მყოფი ღიზაინერი

ახალგაზრდა ბათუმელმა დიზაინერმა, გომბა ნიძაბაძემ გაზაფხულზე გამართულ მოდის კვირეულზე უცხოელი ექსპერტების დიდი მონონება დაიმსახურა. მას ბათუმში, შემოდგომის მოდის კვირეულზე ვესტუმრე. დიდ განამანიაში გახლდათ, მაგრამ სასაუბროდ დრო მაინც გამოძებნა.

ელენე ბასილია

— 4 წლის ვიყავი, როცა მოდელების ხატვა დავიწყე... დედაჩემი დრამატულ თეატრში მუშაობდა და მსახიობების გარემოცვაში ვიზრდებოდი. ჩემი გემოვნების ჩამოყალიბებაში ლომის ნილი სწორედ მათ მიუძღვით... დიდი დრო რომ არ დამეხარჯა, ბავშვობაში მოდელებს ოთხ სავარაუდო სახელს ვუხატავდი და შემდეგ მათგან საუკეთესოს ვარჩევდი. შემდეგ ბათუმის ხელოვნების ინსტიტუტი დავამთავრე, ტანსაცმლის მოდელირების განხრით.

— პირველი ჩვენება როდის მოაწყვეთ?

— 14 წლის ასაკში. ჩემი პირველი ჩვენება „სატელევიზიო ვერსია“ იყო, რომელიც „პირველმა არხმა“ დილის გადაცემისთვის გადაიღო. მას მერე, პირველ კოლექციას რამდენიმე მოდელი დავამატე და ბათუმის „თითების თეატრში“ დიდი ჩვენება გავემართე. საღამო ლიკა ქავარაძეს მიჰყავდა, რომელსაც იმ პერიოდში საკუთარი სამოდელიო სააგენტო ჰქონდა და ჩემს ჩვენებაზე თავისი რამდენიმე მოდელიც გამოიყვანა. კოლექცია პოდიუმზე ძირითადად ჩემმა მეგობრებმა წარადგინეს; მათ შორის იყო სოფო ხალვაშიც. მას შემდეგ უკვე 10 წელია, სამოდელიო სფეროში ვმოღვაწეობ.

— საკმაოდ გაბედული ნაბიჯი გადაგიდგამს, როცა 14 წლის ასაკში ჩვენება გამართე.

— კი, ეს საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობა და ჩემი მხრიდან სერიოზული განაცხადი იყო. თანაც, საზოგადოებას საკმაოდ თამამი, ღია და გამჭვირვალე მოდელები წარუდგინე. სხვათა შორის, ჩემს მეგობრებს ასეთი „ღია“ ტანსაცმლის ჩაცმა არ გაუპროტესტებიათ და პოდიუმზე უპრეტენზიოდ გამოვიდნენ. ეს ერთგვარი შოკი იყო ბათუმისთვის.

— ბათუმში ერთ-ერთი ცნობილი დიზაინერი ხარ.

— ყველაზე სასიამოვნო ისაა, რომ ხალხისგან დიდ სითბოს და პატივისცემას ვგრძნობ. ალბათ, მოსწონთ ჩემი ნამუშევრები (ილიმის). ათი წლის განმავლობაში საკმაოდ ბევრი კლიენტი შევიძინე, რომლებიც ჩემთან იკრავენ ტანსაცმელს... ყოფილა შემთხვევა, ტურისტები შემთხვევით შემოსულან მალაზიაში და იმდენად მოსწონებიათ მოდელები, მეორე ნელსაც ჩამოსულან და მთელი წლის კოლექციაც კი შეუკრევეთ... ბათუმელი კლიენტებიც მყავს. მიყვარს ისეთი ადამიანები, რომლებსაც ჩემი ახალი იდეების მიღება შეუძლიათ და მენდობიან...



— როგორც ვიცი, ბათუმში გაიხსნა მალაზია, სადაც საკმაოდ ბევრი ქართველი დიზაინერის ტანსაცმელია წარმოდგენილი.

— კი, ეს გვანცა ჯანაშიას იდეა იყო. უნდოდა, რომ ყველა ქართველ დიზაინერს ბათუმში ერთად გაგვესწრა მალაზია და თითქ-

სადაც ყველა ქართველმა დიზაინერმა თეთრი ფერის თითო კაბა წარმოადგინა. რაც შეეხება ქართული მოდის კვირეულს, მასში მონაწილეობას დიდი სიამოვნებით დავთანხმდები. ადრე არასოდეს მიფიქრია, საკუთარი თავისთვის რეკლამა გამეკეთებინა, ყოველთვის სალონურ, ვინრო წრეში ვატარებდი ჩვენებებს. გაზაფხულზე გამართულ ქართული მოდის კვირეულზე კი შემოდგომა-ზამთრის კოლექცია წარვადგინე, რომელიც პასტელის ფერებში იყო გადამწყვეტილი და კრიტიკოსების ერთ-ერთ ფავორიტად დაგვასახელდა. მთგან საკმაოდ კარგი შეფასება მივიღე როგორც ამჟამინდელ, დიდ პოდიუმზე პირველივე ნაბიჯი საკმაოდ წარმატებულად გადავდგი.

— გოგა, შემოდგომის მოდის კვირეულზე რას წარადგენ?

— შემოდგომის მოდის კვირეულის თემა „არტია“. მე ბოშური თემა ავირჩიე. საკმაოდ ეფექტურ ჩვენებას ვგეგმავ... იქნება ძალიან ლამაზად დადგმული შოუ და აბსოლუტურად ყველა დეტალს გამოვიყენებ, რომელიც ბოშებთანაა დაკავშირებული. ეს იქნება ჩიბუხები, ბავშვები, ქალების ზურგზე მიკრული პატარები... კოლექციაში აქტიურად იქნება წარმოდგენილი თხელი, ბოშურ ფერებში შექმნილი თექის შარფები. ჩემს კოლექციაში უამრავი ფერის სინთეზი იქნება, ოღონდ, არა — გადატივრებული და დამძლეული.

— იოლია სამოდელიო სფეროში ფეხის მოკიდება?

— დღეს საქართველოში ყველაფრის გაკეთება რთულია. ხშირად, წინ მიმავალ ადამიანს ყველა უკან „ექაჩება“ და წარმატე-



ბაში ხელს უშლიან. თუ საცოდავი და საბრალო ხარ, ყველას ეცოდები და გულისხმიერებით გკვიდებიან, მაგრამ ოდნავ თუ წამოინიე და წინ წახვედი, გძირავენ. აქ ადამიანების შეფასების ცოტა უცნაური კრიტერიუმებია (ილიმის). თუ უცხოელი არ იტყვის შენზე, რომ მაგარი ხარ, ისე არ გაღიარებენ. ვინც საზღვარგარეთ წავიდა, თავი დაიკვივდრა და აღიარება მოიპოვა, აქაც ოვაციებით დახ-

ბაში ხელს უშლიან. თუ საცოდავი და საბრალო ხარ, ყველას ეცოდები და გულისხმიერებით გკვიდებიან, მაგრამ ოდნავ თუ წამოინიე და წინ წახვედი, გძირავენ. აქ ადამიანების შეფასების ცოტა უცნაური კრიტერიუმებია (ილიმის). თუ უცხოელი არ იტყვის შენზე, რომ მაგარი ხარ, ისე არ გაღიარებენ. ვინც საზღვარგარეთ წავიდა, თავი დაიკვივდრა და აღიარება მოიპოვა, აქაც ოვაციებით დახ-



ვდნენ. რაც უფრო მეტი ნიჭიერი დიზაინერი ეყოლება საქართველოს, მით უკეთესი. საკმაოდ ძლიერი ვარ, რადგან ძალიან ბევრი დაბრკოლება გადავლახე და იმედია, ყველაფერი კარგად იქნება (ილიმის).

— **ნინა მოდის კვირულის შემდეგ რაზე თუ შეიცვალა შენს ცხოვრებაში?**

— თბილისში გაცილებით მეტმა ადამიანმა გაიძინო. ბათუმში სწორად ჩამოდიან და ჩემთან იკრავენ ტანსაცმელს. ჩემი ბრენდი უფრო ცნობილი გახდა, ვიდრე ადრე იყო. ის უცხოელი დიზაინერები და კრიტიკოსები, რომლებმაც ნინა მოდის კვირულებზე რამდენიმე დიზაინერი საკუთარ ფავორიტებად დაგვასახელეს, ერთგვარ დაკვირვებას აწარმოებენ ჩვენზე. შეფასებენ მოდის კვირულის ყველა სეზონს, გააკვივვენ, თუ ვინ რისი მაქისია და დასკვნებსაც გააკეთებენ. მათ თავისი სავიზიტო ბარათები მომცეს და მითხრეს, რომ როცა ეს კვირულები დამთავრდებოდა, დამიკავშირდებოდნენ. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები (ილიმის).

— **გოგა, რა არის ამ სეზონზე მოდში?**

— ეს სეზონი ძალიან მიყვარს. შემოდგომა საშუალებას გვაძლევს, რომ ყველა აქტუალური დეტალი გამოვიყენოთ. ძალიან მოდურია ხაკისფერი, აგრეთვე ლეოპარდის ტყავისმაგვარი მასალა, შავისა და თეთრის კომბინაციები... ამ სეზონზე ერთი მცირე დეტალის გამოყენებაც კი მოგვცემთ საშუალებას, რომ ძალიან მოდური იყოთ.

— **შემოდგომაზე შენი საფირმო დეტალი რა იქნება?**

— ბოშური შარფებით გავორმებული ფეხსაცმელები. ეს იქნება ბატკანი და მუშავებული ყვავილების კომპოზიცია, რომელიც ფეხსაცმელებზე მაგრდება ბოშურ, ფოჩიან შარფებთან ერთად. რაც შეეხება ტანსაცმელს, აქტუალურია ფერთა მრავალფეროვნება. მოდშია რამდენიმე ქსოვილის მემკვიდრით შექმნილი მატერიები... მაგალითად: თუ ჭრელ ქსოვილს გამჭვირვალე ქსოვილს ზემოდან „დავადებთ“, ძალიან ლამაზი იქნება. რუშებიც ლამაზია, მაგრამ ტანსაცმელი არ უნდა იყოს გადატვირთული. ოქროს შუალედი უნდა დავიცვათ. თუ სადა ყავისფერ პალტოზე მხოლოდ ლეოპარდის ტყავის მაგვარ შარფს მოვიხვევთ, ჩვენს ჩაცმულობას ესეც ძალიან მოდურს გახდის.

— **როგორც ვიცი, მაღაზიის გახსნას აპირებდი თბილისში.**

— ჯერ კიდევ მოლაპარაკებები მიმდინარეობს და ვნახოთ... იმედია, ჩემი მაღაზიით თბილისელებსაც გავახარებ. ბათუმში მაძლევს იდეებს. გვიან ღამით გარეთ რომ გახვალ, შეუქმნებელია, შემოქმედებითად არ დაიშუსტო. სხვაგან რომ ვცხოვრობდე, ვერ მივიღებდი იმ მუხტს, რომელსაც ზღვა მაძლევს; მე კი მაყურებელს გადავცემ. შესაბამისად, არსად წასვლას არ ვაპირებ. ჩემი თვითმიზანი აღიარების მოპოვება არ არის. ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი სპონტანურად ხდება და ამ ჩვენების შემდეგ მომავალი კვირულისთვის ვაპირებ მომზადებას (ილიმის).

მსკლუშიური ქაბაბი, მოდური სამკაულები და ქალი, რომელიც დიდი ზომის რკინის იარაღს მოხერხებულად იყენებს

ინბა გილაშვილი პროფესიით მხატვარ-დიზაინერია. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, მხატვრული ნაწარმის ფაკულტეტი. წლების განმავლობაში დაგროვებულ გამოცდილებას სტუდენტებსაც უზიარებს. ამბობს, რომ მინანქარზე მუშაობა თავისმა საყვარელმა პედაგოგმა გელა გიორგაძემ შეასწავლა და შეაყვარა.


დაკო გუსთაიშვილი

— **ინბა, როდის დაინტერესდი მინანქრით?**

— ჩემს კათედრაზე ასწავლიდნენ მინანქარზე მუშაობას. ერთადერთი კათედრაა აკადემიაში, სადაც ტიხრულ მინანქარს — ხის, ლითონის (და სხვა მასალის) მხატვრულ დამუშავებას ასწავლიან. უზომოდ მადლიერი ვარ ჩემი პედაგოგის — დღესდღეობით ჩემი კოლეგისა და მეგობრის, გელა გიორგაძის. სწორედ მან მაზიარა მინანქრის ხელოვნებას და შემეყვარა ეს საქმე.

— **ვიცი, რომ ძირითადად ვერცხლის სამკაულებზე მუშაობ, მაგრამ ოქროს ნაკეთობებიც დაგიზრდებია. ოქროზე უფრო გიადვილდება მუშაობა თუ ვერცხლზე?**

— ოქროზე მუშაობა უფრო იოლიცაა, გაცილებით სასიამოვნოც და მეტად ეფექტურიც, რადგან მასზე აბსოლუტურად განსხვავებულ ფერებს იღებ. მაგალითად, ეგრეთ წოდებული ღვინისფერი ტონები ვერცხლზე გაცილებით რთული მისაღებია. საერთოდ, ადრე საქართველოში უმეტესწილად, ოქროზე შესრულებული ნამუშევრები იქმნებოდა, მოგვიანებით დაიწყეს ვერცხლსა და სპილენძზე მუშაობა. თანაც, ვერცხლის ნაკეთობები უფრო პრეტენზიულიცაა, მეტი გაფრთხილება უნდა — შეიძლება ფერი შეიცვალოს, ამიტომ ტემპერატურულ რეჟიმში დაცვა და ისე გამოწვა სჭირდება... თუმცა დღესდღეობით მოთხოვნა ვერცხლზე მაინც უფრო დიდია, რადგან ოქროზე შესრულებული მინანქარი გაცილებით ძვირი სიამოვნებაა.



„სერგო ფარაჯანოვის პრიმი ავტორები: გელა გიორგაძე და ინბა გელაშვილი“



— **ესე იგი, მოოქრულ ვერცხლის ნაკეთობებს ფერი მალე გადასდის?**

— ასეც ვერ იტყვი... მაგალითად, გულსაკიდი (ვინაიდან კანს უშუალოდ ეხება) შედარებით მალე კარგავს ფერს. ბუქედსაც მოფრთხილება უნდა, წყალი არ უხდება. ყველაზე დიდხანს საყურე ძლებს — პრაქტიკულად არ უფერულდება. კუსტარულად მოოქრულ ნივთებზე მაქვს ლაპარაკი (ოქროს წყალში ამოვლებს რომ ეხახან), თორემ ქარხნული წესით დამუშავებულს ეს არ ეხება.

— **ხელახლა მოოქროება თუა შესაძლებელი?**

— რა თქმა უნდა, რამდენჯერაც გსურს...

— **ნამუშევრების რეალიზაციას როგორ ახდენ — სადმე აპირებ?**

— ჩაბარებით არასდროს არსად ჩამიბარებია. მყავს მუდმივი მყიდველები, რომელთაგანაც შევკეთას სისტემატურად ვიღებ. მათი რიცხვი უფრო და უფრო იზრდება.

— **დიზანს შენ თვითონ ურჩევ?**

— კი, ძირითადად მე ვურჩევ, ზოგჯერ მათ გემოვნებას ვითვალისწინებ. თუმცა სწორად კარგად ვერც მისხნიან, რა უნდათ... მახსენებ სოლმე (იციინის). მაგალითად, ითხოვენ პასტელის ტონებს. პასტელის ტონებში ყველა ფერი შედის, დომინანტი ფერი უნდა მითხრან...

— **რა კატეგორიის მყიდველები გყავს?**

— ყველანაირი. ბევრია ისეთი, რომელსაც კარგად ესმის, რა არის ტიხრული მინანქარი და ნამუშევარს სათანადოდ აფასებს კიდევ. ასევე არის კატეგორია, რომელსაც მხოლოდ იმიტომ სურს ატაროს მომინანქრებული სამკაული, რომ მოდურია. ასეთ



ადამიანს შეიძლება ფასიც ეძვიროს.

— ნამუშევრების ფასი საშუალოდ როგორია?

— 70 ლარიდან ზემოთ.

— საინტერესოა, მუშაობის პროცესი რამდენად რთულია და ტექნოლოგიურად როგორ მიმდინარეობს... რამდენი ადამიანი მუშაობს?

— ძირითადად ვმუშაობ იუველიერთან ერთად, ვუხატავ ესკიზს და ის აწყობს ფორმას, რაშიც მინანქარი ჯდება. ესკიზის მიხედვით დამზადებული ფორმის შემდეგ მზადდება მინანქრის ფუძე, რომელიც მუშავდება, უკეთდება გრავირება. მერე იწყება ესკიზის დამუშავება. გრაფიკული მხარე მოიქმნება ფანქარში და გადადის ტიხარში. გამზადებული და გამომწვარი ტიხარი მაგრდება ფუძეზე. უკვე დამატებულ ტიხრებს კი ფურჩვე ფერებს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, მე ესკიზის გრაფიკულ მხარეზე ვმუშაობ. ესკიზი დასრულდება თუ არა, უკვე ვიცი, რომელ გამაში უნდა შევასრულო ნამუშევარი.

— რამდენი ფენის გამოწვავა საჭირო ნამუშევრის საბოლოო სახის მიღებამდე?

— რამდენიმე ფენის გამოწვის შემდეგ საჭიროა ალმასის ქლიბით დამუშავება — ჩემს ნაკეთობებს მაქსიმუმ 5-6-ჯერ გამოწვა სჭირდება (ეს ინდივიდუალურია).

— რამდენად შრომატევადი საქმეა? რამდენ საანში შეგიძლია შეკვეთა დაამზადო?

— საშუალოდ, 2-3 დღე თავისუფლად მყოფნის. თუმცა, განსაკუთრებულ შემთხვევებში შეკვეთა ერთ დღეშიც დამისრულებია. საერთოდ, ძალიან სწრაფი ვარ (ილიძის).

— პერსპექტივაში რაიმე ახალი თუ გაქვს?

— ძალიან დიდი სურვილი მაქვს, ნამუშევრები საზღვარგარეთ გავიტანო. იტალიაში არის ამის პერსპექტივა, მაგრამ ჯერ ბოლომდე დაკვალიანებული არ ვარ... ისე, ამერიკიდან სისტემატურად ვიღებ შეკვეთას გარკვეული რაოდენობის ნამუშევარზე.

— უტყუარების ინტერესდებიან მინანქრით?

— კი, საკმაოდ ხშირად. მაგალითად, მე მყოლია ამერიკის საელჩოდან ბევრი სტუმარი, რომლებიც დღესდღეობითაც სისტემატურად მირეკავენ და უკვე შექმნილი ნამუშევრების მიხედვით, ახალ შეკვეთას მაძლევენ — რათა ჩამოსვლისთვის გამზადებული დავახვედრო. შარშან გუდაურში,

სასტუმროს სალონშიც მქონდა დანყობილი ნამუშევრები (ეს ერთადერთი გამონაკლისი იყო, როცა ნამუშევრები გასაყიდად სალონს ჩავაბარე) და წარმატებით გაიყიდა.

— მოსწავლეები თუ გაყავს?

— მაყავს კერძო მოსწავლეები. ასევე ვასწავლი მოსე თოიძის სახელობის პროფესიულ ცენტრში (ამჟამად ეკუთვნის აკადემიას), კვირაში 3 დღე. სწავლების პროგრამა 6-თვიანია. ძალიან ნასიამოვნები ვარ ბავშვებით,

მიუხედავად იმისა, რომ სულ სხვადასხვა ასაკისანი არიან. შარშან ანალოგიური 6-თვიანი კურსი გაიარეს ბავშვთა სოფლის

— „კინდერ დორფის“ ბავშვებმა და გაზაფხულზე „რედისონში“ გამოფენა მოაწყვეს. 6-თვიანი პროგრამის კვალობაზე არაჩვეულებრივი გამოფენა გამოვიდა. რაც მთავარია, ყველა ძალიან კმაყოფილი იყო.

— შენ თვითონ თუ მოგწყვია გამოფენა?

— ერთხელ მქონდა „ფეშენ ბარში“...

— ულამაზესი და ძალზე ორიგინალურია შენი დამზადებული მინანქრისბალითიანი ქაშრები... მათი შექმნის იდეა როგორ დაგებადა?

— მისი შექმნის იდეა სწორედ ზემოთ ნახსენებ გამოფენას უკავშირდება... ამ გამოფენის მოწყობამდე ჩემთან მოდიოდა ერთი პიროვნება, მოჰქონდა ესკიზები, რომელთაც თავიდან ბოლომდე ვუსრულებდი — ეს იყო ლოგოები, სხვადასხვა კომპანიის ბრენდები... მათაც თავიდან ბოლომდე — ფერში ვაკეთებდი. ერთი სიტყვით, ზოგის ესკიზი მოჰქონდა, ზოგის — არა, და ნამუშევრების სიმცირის გამო, შემომთავაზა, ერთად მოგვეწყო გამოფენა (მე იმ დროს უბრალოდ შემსრულებელი ვიყავი). სწორედ მაშინ დამებადა სურვილი, რაღაც ახალი, ექსკლუზიური შექმენა და იდეაც დაიბადა. ეს არის ნაჭედი — ქაშარში ჩასმული მინანქარი და აბსოლუტურად ეყრდნობა ძველ ქართულ სტილს, ოღონდ გათანამედროვებული რეტრო-ვარიანტია.

— რომელიმე მათგანი თუ გაგიყვია?

— როგორც გითხარი, ეს ქაშრები ექსკლუზივია, ჩემთვის შეუფასებელია და არასოდეს გამიყიდა. ამდენად, სიმართლე გითხრა, არც მის ფასზე მიფიქრია. თუმცა, თუკი ვინმე დაინტერესდება, ალბათ 400-500 დოლარზე ნაკლებს არ დავაფასებ, რადგან საკმაოდ შრომატევადი საქმეა. ოღონდ უკვე დამზადებულთაგან ვერც ერთს ვერ შეველევი, მსურველს ახალს დავუმზადებ.

— შენ თუ ატარებ ამ ქაშრებს? რატომღაც მგონია, სატარებლად მძიმე იქნება...

— ვატარებ, როგორ არა! მძიმე სულაც არ არის. ჩემს მეგობრებსაც ჰკეთებით სადღესასწაულო დღეებში და არავის უთქვამს, მძიმე ან მოუხერხებელია სატარებლად.

— ვიცო, რომ ხეზეც მუშაობ...



— ხეზე შესრულებული ნამუშევრები ძირითადად სტუდენტობის პერიოდისაა. რამდენიმე განათების საშუალება მაქვს დამზადებული — ერთ-ერთი თუთაშია გათლილი, ერთიც სადილომომ ნამუშევარია. ასევე დამზადებული მაქვს ტორშერი (შიდა ინტერიერისთვის), რომელიც ხეშია გათლილი და რკინაშია დაჭედვლილი. მინდა აღვნიშნო, რომ ავტოგენს (ლითონის გასაცხელებლად გამოიყენება) და დიდი ზომის რკინის იარაღებს არაჩვეულებრივად ვმზარობ.

— ამ ზაფხულს პაროზში იყავი... იქ ყოფნისას რაიმე იდეა ზომ არ გაგიჩნდა?

— არა, იდეა პაროზში წასვლამდე მქონდა: მინდა მინიპლასტიკები (ქანდაკებები) გავაკეთო — ზოგი ხეში, ზოგიც ლითონში. მაქვს ასეთი საკურსოები შემორჩენილი — პლასტილინიში გამოქერხილი. იმედია, მათ ჩამოვასხამ და საბოლოო სახეს მივცემ. ალბათ ბრინჯაოს, ლატუნს ან სპილენძს გამოვიყენებ. მასზე შეიძლება მინანქრის აქუსუარებიც გავკეთდეს, ასევე ფერწერული ნამუშევრები ოღონდ — უტიხროდ, და რა თქმა უნდა, ისევ მივაკითხავ ჩემს ძველ პედაგოგს გელა გიორგაძეს. ის ამჟამად აკადემიაში კათედრის გამგეა.

— მატერიალური კუთხით, კმაყოფილი ხარ შენი საქმიანობით?

— არ მაქვს წუნუნის უფლება, კმაყოფილი ვარ იმის, რასაც უფალი მაძლევს.

— წარმატებებს გისურვებ.

— გმადლობ.



ეს ქაშრები ექსკლუზივია, ჩემთვის შეუფასებელია და არასოდეს გამიყიდა

ეგზოტიკური სასმელები და გრანდიოზული ღოთობა



შედემა მწარმოებელმა, ბორიე კარლსონმა (მასვე ეკუთვნის არაყი „აბსოლუტი“) 2004 წელს პირველად დაამზადა კარტოფილის 40-გრადუსიანი არაყი (არსებობს ნაკლებალკოჰოლიანი, 25-გრადუსიანიც). სასმელს 40 დოლარად ნიუ-იორკის მოდურ ბარებში დააგემოვნებთ. კარლსონი კარტოფილს „შედეტის მინის ოქროს ყურძენს“ უწოდებს.

იაპონიაში უამრავი უჩვეულო სასმელია. მხოლოდ ამ ქვეყანაში გასინჯავთ კიტრის „პეუსისა“ და მწვანე სალათის „კოკა-კოლას“. არსებობს ღორის პლაცენტაზე დამზადებული, გაზიანი სასმელი, რომელიც, იაპონელების აზრით, სახის კანს ახალგაზრდავებს. იაპონიაშივე უშუალოდ ლუდს ბავშვებისთვის. ზემოთ ჩამოთვლილი სასმელების გარდა, იაპონიაში დიდი პოპულარობით სარგებლობს 5-გრადუსიანი რძის ლუდი — „ბილიკი“. პირველი ასეთი სასმელი 2006 წლის მარტში, კომპანია Abashiri Beer-ის ლუდსახარში ჩამოასხეს. რძის ლუდის გარდა კომპანია ფერად — ცისფერ, მწვანე და ნიჟელ სასმელს ასხამს.

2002 წელს ამერიკულმა ლუდსახარშმა 27-გრადუსიანი (ყველაზე მაღალგრადუსიანი ლუდი მსოფლიოში) სასმელი, „უტოპია“ გამოუშვა. თითო ბოთლი 150 დოლარი ღირს, მაგრამ მაღალი გრადუსის გამო სასმლის გაყიდვა ამერიკის 14 შტატში აკრძალულია.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე კომპანია ცდილობდა „ყველაზე მაღალგრადუსიანი ლუდის“ ტიტული მოეპოვებინა. ამის გამო გერმანულმა ლუდსახარშმა — Schorschbrau — შარშან 40-გრადუსიანი ლუდი, Brew Dog ჩამოასხა, შემდეგ — 41-გრადუსიანი Sink the Bismarck და ბოლოს — 43-გრადუსიანი Schorschbock, მაგრამ ლუდის მოყვარულები ამ სასმელებს არ აღიარებენ.

ილინოისის შტატში (აშშ) ტომ და ალენ სიფურტები 4,6-გრადუსიან, პიცის არომატიან ლუდს უშუბენ. სასმლის დამზადების იდეა ჩიკაგოელი დიზაინერისა და ლუდის მხარშველის, რენდი მოშერის ავტობიოგრაფიის წაკითხვის შემდეგ გაუჩნდათ, რომელიც წიგნში ნი-ნაკის, მარისუანის, თაფლისა და ნივრის

ლუდებს ასხენებდა.

ნაძვის 5-გრადუსიანი ლუდი XX საუკუნიდანაა ცნობილი. მას ამერიკაში, კანადაში, შოტლანდიასა და სკანდინავიის ქვეყნებში ხარშავდნენ. XVIII საუკუნეში ნაძვის ლუდს სამხედროებს ასმევდნენ. შემონახულია 1775 წლით დათარიღებული, ბრიტანეთის ვიცე-ადმირალის, სემუელ გრევისის წერილი, რომელშიც იგი მეზღვაურებს რომის ნაცვლად ნაძვის სასმლის დალევას ურჩევდა. დღეს ნაძვის ლუდს ახალზელანდიური ლუდსახარში 1773 წლის რეცეპტით ხარშავენ.

ლათინურ ამერიკაში ჩიჩას ხარშავენ. მისი გრადუსი (3-დან 50-მდე) და ფერი სასმლის ასახვა და დანამატებზეა (მიხაკი, დარიჩინი, ანანასი) დამოკიდებული. პოპულარობის მიუხედავად, სასმლის დალევა ბოლივიაში აკრძალულია. ნამდვილი ჩიჩას დალევა, რომელიც დაღერლილი ხორბლისგან მზადდება, ეკვადორის, კოლუმბიისა და კოსტა-რიკის მაღალმთიან სოფლებში შეიძლება. ქალაქებში ბოთლში ჩამოსხმული ყურძენის, ვაშლისა და სიმინდის ჩიჩა იყიდება.

ინდოეთსა და ნეპალში 6-8-გრადუსიანი ტონგბას ხარშავენ. სასმელს თიხის ფიალებიდან, ჩალის ლეროთი სვამენ.

მექსიკის ეროვნულ სასმელს, „პულკეს“ (5-8 გრადუსი) საუკუნეების მანძილზე აგავის წვენიდან ამზადებენ. ძველად მას წმინდანთა სასმლად მიიჩნევდნენ. ლეგენდის თანახმად, აცტეკებს სასმლის დამზადება აგავის ქალღმერთმა, მაიახუელმა ასწავლა. მას 400 შვილი ჰყავს. თითოეული თრობის სხვადასხვა სტადიას განაგებს.

ჩოტა ნაგპურში (აღმოსავლეთ ინდოეთი) მცხოვრები მანდილოსნები ბრინჯის, ბალახებისა (ექვსი სამკურნალო ბალახი, რომელიც ევროპელებისთვის უცნობია) და ჩალისგან 8-10-გრადუსიან ჰანდიას ამზადებენ. აღსანიშნავია, რომ სასმლის დამზადების პროცესში ქალებს სუფთა, ახალი სამოსი უნდა ეცვათ და რაც მთავარია, ლაპარაკი ეკრძალებათ. ინდურ სასმელებს შორის ჰანდია ყველაზე პოპულარულია. ადგილობრივებს მიაჩნიათ, რომ იგი ადამიანს სხვადასხვა დაავადებისგან კურნავს და შიმშილის გრძნობას უკლავს. ევროპელი ტურ-

ისტები ხშირად მონამულან ამ ეგზოტიკური სასმლით.

დაბოლოს, ჩინეთსა და კორეაში, გაბედულებსა და ცნობისმოყვარეებს ვირთხის არყით უმასპინძლებიან. ახალდაბადებულ ვირთხებს არაყს ასხამენ და ერთი წლით კასრში ინახავენ. ჩინელებს მიაჩნიათ, რომ 40-57-გრადუსიანი სასმელი ყველა დაავადებას კურნავს და ადამიანს სიცოცხლეს უხანგრძლივებს.

ახლა კი ყველაზე გრანდიოზული ღოთობა:



XVII საუკუნეში ბრიტანელმა ადმირალმა, ედვარდ რასელმა გიგანტური კოქტეილის დამზადება გადაწყვიტა. 946 ლიტრი ბრენდი, 473 ლ ღვინო, 635 კგ შაქარი, 2500 ცალი ლიმონი, 75 ლ ლიმონის წვენი და 2 კგ ჯავზი მხოლოდ უზარმაზარ აუზში ჩაეტია. წვეულება მის საბოლოო ამოშრობამდე, რამდენიმე კვირას გაგრძელდა. წვიმის დროს აუზს ტენტს აფარებდნენ. ბარმენები აუზში სპეციალურად დამზადებული კანოეებით გადაადგილდებოდნენ და სტუმრებს ჭიქებს უვსებდნენ.

1814 წელს, ლუდსახარშ Meux's Horse Shoe Brewery-ის მეპატრონე 4 ათასი (სიმბალით 6, დიამეტრით — 18 მეტრი) გიგანტური კასრი დაამზადებინა. სამწუხაროდ, ცუდად დამაგრებულმა რკინის რგოლებმა კასრების სიმძიმეს ვერ გაუძლო და ლუდი 8 კმ-ის რადიუსში დაიღვარა. სასმლის ნაკადმა 2 სახლი დაანგრია. 10 ადამიანი დაიღუპა, ასზე მეტი დაშავდა, ათასზე მეტი ადამიანი ლუდს ქუჩაში, ძირიდან სვამდა.

1609 წელს, პოლანდიელი მკვლევარი, ჰენრი ჰადსონი ახალი მიწების აღმოსაჩენად გამგზავრა, მაგრამ გეზზე ამბოხის გამო კურსიდან გადაუხვევს და მეზღვაურები ახლომდებარე კუნძულთან შეჩერდნენ. ინდიელთა ტომის, დელავარის ბელადის გულის მოსაგებად ჰადსონი მას ბრენდით გაუმასპინძლდა. გონზე მოსვლის შემდეგ ბელადმა სთხოვა, მოგზაური ტომის სხვა წევრებსაც გამასპინძლეობა სასმლით. მას შემდეგ ინდიელები კუნძულს Manahachatanienk-ს ეძახდნენ, რაც „მოთვრალ





მსხვერპლად შეწირული გოგონები

ინდოეთსა და ნეპალში პატივს მიაგებენ ქალღმერთ კალის, რომლის პატივსაცემად მსხვერპლშენიშნის რიტუალი ტარდება. ძველად მხოლოდ ადამიანებს სწირავდნენ, ახლა კი ძირითადად — პირუტყვს.

ქალღმერთ კალის ტაძარში მხოლოდ ბუდისტებს უშვებენ და რიტუალში მონაწილეობისთვის მსურველებს გრძელ რიგში დგომა უწევთ. ტაძარში მისული ადამიანი ფეხშიშველი უნდა იყოს და თეთრი სამოსი ეცვას. ყოველდღიურად ათასზე მეტი ცხოველი ეწირება კალის. ცხოველებს თავს აჭრიან, სისხლს კედლებზე ასხამენ, თავებს სარიტუალო ცეცხლთან ალაგებენ, ტანი ტაძრიდან გააქვთ. მისი წაღება ნებისმიერ მსურველს შეუძლია. ტაძრის კედლები და მლოცველები სისხლით არიან მოსვრილები. ტაძრის იატაკსა და კედლებს ყოველ საღამოს წყლის ჭავლით რეცხავენ.

ადამიანთა მსხვერპლშენიშნის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ოფიციალურად აიკრძალა, მაგრამ ზოგიერთ რეგიონში მაინც ტარდება. კალის მხოლოდ გოგონებს სწირავენ. რიტუალამდე ბავშვს საძილე საშუალებას ასმევენ. ზოგჯერ, კალისთვის



განწირულ გოგონებს ჩვილობაში ყიდულობენ და გარკვეულ ასაკამდე ზრდიან. მსხვერპლს ყელს სჭრიან და მის სისხლს ვერცხლით მოვარაყებულ ბავშვის თავის ქალაში აგროვებენ. მსხვერპლის თავის ქალისგან ისევ სასმისებს ამზადებენ. ტანი ტაძრიდან გააქვთ.

კუნძულს“ ნიშნავს. ამბობენ, რომ მანჭეტენს ღრუობა დაუბედა და იქ დღემდე იმართება მსოფლიოში ყველაზე დიდი წვეულებები.

1805 წელს, ბრიტანელი ადმირალი ნელსონი ესპანეთში, ტრაფალგარის ბრძოლის დროს დაიღუპა. უბრალო მეზღვაურები ზღვაში „დაკრძალეს“, მაგრამ ნელსონი ადმირალი იყო და წესით, იგი სამშობლოში უნდა დაეკრძალათ. გვამი რომ არ გახრწნილიყო, გემის მეთაურის ბრძანებით, იგი რომით საჯერ კასრში მოათავსეს და მეზღვაურებს სასმლის დაღვევა აუკრძალეს. ინგლისში გაირკვა, რომ კასრში ერთი წვეთი რომი აღარ იყო. აკრძალვის მიუხედავად, გემის ეკიპაჟი მთელი მოგზაურობის მანძილზე მაინც წრუპავდა სასმელს. მას შემდეგ გემის რომს „ნელსონის სისხლსაც“ ეძახიან.

რუბრიკა მოამზადა რუსუან ბელაშვილმა

ქართული პრემიის საგანძურა

ტომი №35
კოტე ჯანდიარი

კოტე ჯანდიარი
გალოგალიზაციის

35


თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის!

ყოველ ზეშაბათს, ჟურნალ „გზანთქან“ ერთად შეთანხმებულ ცნობილ ქართველ მწერლებს თითო ტომს

ლივან სანთაძე
ტომი I



ლივან სანთაძე
ტომი II



თამაზ ჭილაძე



უკვე გამოცემული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში

- | | |
|-------------------------------|--------------------------------------|
| №1 ზურაბ ფოჩხაძე | №18 პაპ გორჩილაძე |
| №2 მიხეილ ჯანაშიანი | №19 ვასილ ბარნოვი |
| №3 ნოდარ ფუჩხაძე | №20 თამაზ გივიშვილი |
| №4 ილია ჭავჭავაძე | №21 რეზა ივანიშვილი |
| №5 ზურაბ რამიშვილი | №22 ნიკოლოზ |
| №6 ვაჟა-ფშაველა | №23 ზურაბ ფანჯიქიძე |
| №7 რამიშვილი | №24 კონსტანტინე ზამსახურაძე (პარი-1) |
| №8 აბაშიანი | №25 კონსტანტინე ზამსახურაძე (პარი-2) |
| №9 ზურაბ ზამსახურაძე | №26 კონსტანტინე ზამსახურაძე (პარი-3) |
| №10 ფაჩიშვილი | №27 თეიმურაზ მუხომანი |
| №11 ომიანი | №28 ლავროვიჩი არაგვიანი |
| №12 გრიგოლ აბაშიანი (ფიგონ-1) | №29 გიორგი ილიოშვილი |
| №13 გრიგოლ აბაშიანი (ფიგონ-2) | №30 ალექსანდრე ჭავჭავაძე |
| №14 არჩილ სულაბაძე | №31 ნუგზარ ზატაძე |
| №15 ნიკოლოზ ფანჯიქიძე | №32 შარვაში (კონფრანკო თათაროვილი) |
| №16 ზურაბი რეზაძე | |
| №17 ლევან გომიანი | |

წიგნის ფასი **3 ლარი!**

28-ოქტომბრიდან - 4 ნოემბრამდე!

გამოიწერეთ **გზა** და საგანძურის ყველა ტომს ადგილზე მოგართმევთ „**გზა**“ ბელ: 38 26 73; 38 26 74



ქალური მომხიბვლელობის საიდუმლო...

დაფიქრებულხარო
ოდესმე, რატომ ხდება,
რომ თითქოსდა უნაკლო
გარეგნული მონაცემების
მქონე ლამაზმანის მი-
მართ მამაკაცი ხშირად
გულგრილი რჩება მაშინ,
როცა ერთი შეხედვით
არაფრით გამოირჩეულ,
უბრალო გარეგნობის
ქალს თავვანისმცემლები-
სგან მოსვენება არა
აქვს?! სწორედ ეს
გახლავთ ქალური შარ-
მის საიდუმლო — ის,
რასაც, შესაძლებელია,
თავად ქალი ვერც კი
აცნობიერებდეს, მამაკა-
ცის ყურადღების მიღმა
არასოდეს დარჩება.



თუმცა არსებობენ მამაკა-
ცები, რომელთაც მხოლოდ
ერთი, გარკვეული სტილის
ქალები მოსწონთ. მაგალი-
თად, მარლონ ბრანდოს მხო-
ლოდ და მხოლოდ ეგზოტიკური სისხ-
ლის ქალბატონები ხიბლავდნენ და
ვერანაირი ქერა ლამაზმანი მას გე-
მოვინებას ვერ შეუცვლიდა.
თანამედროვე მამაკაცების გამოკ-
ითხვის შედეგად გაირკვა, რომ მათი
უმეტესობა მხიარულ, კარგად მოვ-
ლილ, ამავე დროს უშუალო, გულლია
ქალებს ანიჭებს უპირატესობას. კიდევ

უფრო მეტი პოპულარობით სარგე-
ბლობენ სპორტული, მეზრძოლი სუ-
ლის, მატერიალურად ფეხზე მყარად
მდგარი, ოპტიმისტი ქალბატონები,
რომელთაც მამაკაცისთვის ღირსეუ-
ლი მეგობრობის განწევა შეუძლიათ
და მისგან გადაამეტებულ ზრუნვას
და ყურადღებას არ მოითხოვენ.

საინტერესოა, რომ გამოკითხვისას

ერთი, კონკრეტული თმის ფერისა ან
აღნაგობისთვის უპირატესობა არავის
მიუნიჭებია. ზოგადად კი მამაკაცებს
არ მოსწონთ გარეგნულად (განსა-
კუთრებით ვერ იტანენ თმის ლაკს
და „მრავალსართულიან“, მოუხერხე-
ბელ ტანსაცმელს) თუ შინაგანად ხე-
ლოვნური, ანგარებიანი, ინფანტილ-
ური და მენჯრილმანე ქალები.

ქალური მომხიბვლელობა ძალზე
ინდივიდუალურია და არანაირ სტან-
დარტს არ ექვემდებარება. გამოხედ-
ვა და შესტები, ღიმილი და ხმის
ტემბრი — მამაკაცი ამ ყველაფერს
ერთიანობაში აღიქვამს და მისთვის
სასურველი ქალიც სახეზეა. ალბათ
ამიტომაც არის ასეთი ძნელი, იპოვო
ადაშიანი, რომელიც ალფრთოვანე-
ბული დარჩება შენი მცირედი უცნაუ-
რობებით და შენი პატარა ფიზიკური
ნაკლიც კი ეყვარება.

ასე რომ, სიყვარული მხოლოდ
ლამაზმანთა ხვედრი როდია. ნების-
მიერ ქალს შეუძლია ვიღაც ერთის-
თვის იმაზე უკეთესი იყოს, ვიდრე —
სხვისთვის. ამიტომ, არ ღირს სრუ-
ლყოფილებასთან მიახლოებულ,
იდეალურ ქალთან მსგავსებაზე იოც-
ნებით და ძირფესვიანად გარდაქმ-
ნათ საკუთარი ნატურა. ამგვარი გზით
მიღწეული სრულყოფილება წარმატე-
ბას ნაკლებად მოგიტანთ. ის ხიბლი
კი, რაც სწორედაც რომ თქვენს ინ-
დივიდუალობაშია, შესაძლებელია,
სამუდამოდ გაქრეს.

სასიყვარულო უპრობლემო უპრობლემო უპრობლემო რომ მიღწეული...




1. უნდა გჯეროდეთ თქვენი პარტნიორის;
2. პატივი ეცით მის სურ-ვილებს, მაგრამ არც საკუთარი დაივიწყოთ;
3. უნდა შეგეძლოთ მისი ყურადღებით მოსმენა.
4. გამოავლინეთ მის მიმა-რთ მზრუნველობა.
5. გამოიჩინეთ ინტერესი მისი გატაცებების მიმართ, იქ-ნებ ეს თქვენთვისაც საინტე-რესო აღმოჩნდეს.
6. სიყვარული არა მხოლოდ სიტყვებით, საქციელითაც გა-მოხატეთ.
7. ისწავლეთ არა მხოლოდ მიღება, არამედ გაცემაც.
8. არასდროს გამოცადოთ მისი ერთგულება, თორემ შემ-დეგ სანანებელი გაგიხდებათ.

9. არ მოუწყოთ ნებისმიერ წვრილ-მანზე სკანდალი.
10. არ დაუსვათ სულელოური შე-კითხვები და არც ისეთი — რომლე-ბზე პასუხის მოსმენაც თავადვე არ გასურთ.
11. არ მოუყვეთ თქვენს ყოფილ რომანებზე.
12. არ ესაუბროთ საკუთარ ნაკ-ლოვანებებზე.
13. შეეცადეთ დაუთმოთ ბევრი დრო, თუკი ეს შესაძლებელია.
14. არასდროს უსაყვედუროთ, თუკი გარკვეული მიზეზების გამო, თვი-თონ სათანადო დროს ვერ გითმობთ.
15. იყავით გულწრფელი მასთან.
16. არ გამოამყლავნოთ ეჭვიანო-ბის გრძნობა (ის ძირითადად უმნიშ-ვნელო ფაქტორებითაა გამოწვეული).
17. გამოიჩინეთ მოთმინება.



10 მხდარი მოსაზრება ბრებნული მონაცემების შესახებ



1. ივარჯიშეთ და წონაში დაიკლებთ

მხოლოდ ჩვეულებრივი ტანვარჯიშითა და დილის გამამხნეველები ვარჯიშით გახდომა შეუძლებელია. იმისთვის, რომ წონაში 1 კგ დაიკლოთ, დღეში 8000 კალორია მაინც უნდა დახარჯოთ — მაშინ, როდესაც ნახევარსაათიანი ვარჯიშის შედეგად ორგანიზმი მხოლოდ 300 კალ-ს კარგავს. თუმცა, ტანვარჯიში სხვა სპეციალურ საშუალებებთან ერთად, გახდომაში ნამდვილად დაგეხმარებათ.

2. საუნაში ზედმეტ წონას დაკარგავთ

საუნაში ოფლის გამოყოფის ხარჯზე მართლაც კარგავთ დაახლოებით 2 კგ-მდე წონას, რაც ორგანიზმიდან წყლის აორთქლების ხარჯზე ხდება. სამწუხაროდ, „ზედმეტი კილოგრამები“ ძალიან მალე — რამდენიმე საათში აღდგება.

3. არსებობს ისეთი დიეტები, რომელთა საშუალებით ერთხელ და სამუდამოდ გახდებით

ნებისმიერი დიეტა ნიშნავს ადრენალინის გამოყოფის შემცირებას, რომელიც ცხიმების წვის ხელშემწყობია. ასე რომ, დიეტის კურსის გავლის შემდეგ წონაში მალევე მოიმატებთ, თუ არ აკონტროლებთ კვების რაციონი, არ შეზღუდეთ ცხიმებისა და შაქრის მიღება.

4. რაც უფრო იშვიათად ჭამთ, მით მალე იკლებთ

ადაშიანი დღეში 3-ჯერ მაინც უნდა იკვებოს. თუ მან საუზმე გამოტოვა, მაშინ სადილად 2-ჯერ მეტს შეჭამს;

ხოლო თუ სადილის გამოტოვებაც ხშირად უნევს, ამ ყოველივეს რეჟიმიდან ამოვარდნა მოსდევს, ორგანიზმი ვეღარ ახერხებს ზედმეტი კალორიების დაწვას და მას ცხიმის სახით ინახავს. მღრღნელებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ 3-ჯერადი კვებისას მათი წონა უცვლელი დარჩა, მაშინ, როცა ერთჯერადი კვების შედეგად იმავე რაოდენობის საკვების მიღებისას, წონის შესამჩნევი მატება დაეტყოთ.

5. ხილი არ ასუქებს

ნებისმიერი ხილი შეაქარს შეიცავს, ე.ი. ორგანიზმს კალორიებით ამარაგებს. ზოგი სახეობის ხილი, მაგალითად, ბანანი, ყურძენი, გაცილებით აქტიურად „ეხმარება“ ორგანიზმს წონის მომატებაში, ვიდრე ცომეული და საკონდიტრო ნაწარმი. ამიტომ თუ ხილის დიეტაზე ხართ, მიირთვით საზამთრო, გრეიპფრუტი, ყოლო, მარ-



წყვი, ქლიავი, ანანასი. სხვათა შორის, ანანასიც საკმაოდ მდიდარია შაქრით, მაგრამ წონისთვის უსაფრთხო ხილია, რადგან შეიცავს ბრომელინს — ნივთიერებას, რომელიც ცხიმებს წვას უწყობს ხელს.

6. ხალებისა და პიგმენტური ლაქების მოცილება არ შეიძლება

თუ ხალები და პიგმენტური ლაქები, სხეულის ისეთ ადგილებში გაქვთ, სადაც ხახუნის დიდი ალბათობაა; ან ისინი ფერსა და ზომას იცვლიან, აუცილებლად უნდა მოიცვილოთ, მაგრამ არა დამოუკიდებლად, არამედ სპეციალისტის დახმარებით.

7. დეკორატიული კოსმეტიკა კანს აფუჭებს

მაკიაჟი არანაირად არ მოქმედებს კანის მდგომარეობაზე, თუ რასაკვირველია, ხარისხიან კოსმეტიკას იყენებთ. კარგი კანი, პირველ რიგში, მემკვიდრულ ფაქტორზეა დამოკიდებული, შემდეგ — ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, და ბოლოს — ასაკზე. ჯანმრთელ, მოვლილ კანს კოსმე-

ტიკური საშუალებები ვერაფერს დააკლებს.

8. ტონალური კრემი და მაკიაჟის ქვეშ გაკეთებული დამცავი საფარი, კანს სუნთქვის საშუალებას არ აძლევს


თანამედროვე საშუალებები იმდენად დახვეწილია, რომ წარმოდგენილია, კანს სუნთქვაში ხელი შეუშალოს. ჯანმრთელი კანი შესანიშნავად უძლებს ასეთ საფარს. პირიქით, მისი შემვეობით კანი საიმედოდაა დაცული ქარისა თუ მზის მაცნე ზემოქმედებისგან; გარდა ამისა, დამცავი საფარი ხელს უწყობს კანის ტენიანობის შენარჩუნებას.

9. A ვიტამინი ხარისხიანი ნამზეურის გარანტიაა

სინამდვილეში A ვიტამინს ნამზეურთან არანაირი კავშირი არა აქვს. ეს მცდარი აზრი შესაძლებელია იქიდან წარმოიშვა, რომ კაროტინის გადაჭარბებული რაოდენობით მიღებისას კანი მოყვითალო ელფერს იღებს.

10. სახის კუნთების ვარჯიში ნაოჭების წარმოქმნას უშლის ხელს

ნაოჭები, უპირველეს ყოვლისა, კანის დაბერების ნიშანია და გამოწვეულია კოლაგენის ნაკლებობით. ამ პროცესის შეჩერება არაფერს — მათ შორის არც ვარჯიშებს შეუძლია. სამაგიეროდ, ვარჯიში კანს ელასტიკურობის შენარჩუნებაში ეხმარება და მიმიკური ნაოჭების წარმოქმნას უშლის ხელს. ■



რუბრიკა მოამზადა
ქვა გუნთაიშვილმა



ინტერიერის დიზაინერის რჩევები ზედმეტ პრობლემებს თავიდან აგასილავთ

სახლის მშენებლობის ან მისი კოსმეტიკური შეკეთებისას დიზაინერის რჩევების გათვალისწინება საკმაოდ აქტუალური გახდა. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ამა თუ იმ ფორმას მიმართავს, მაგრამ მათ, ვისაც შესაძლებლობა არა აქვთ, დამატებითი თანხა ამ საქმის სპეციალისტებს გადაუხადონ, დიზაინერის რჩევებს ვთავაზობთ. ამჯერად კონსულტაციას **ინნო ჯიქურაშვილი** გაგვიწევს:

თათა დაღვაძელი

— პროფესიით მხატვარი ვარ. სამხატვრო აკადემიაში გამოყენებით-დეკორატიული დიზაინის ფაკულტეტი დავამთავრე. 5-6 წელია, რაც ამ სფეროში ვსაქმიანობ. თავიდან კერძო პრაქტიკა გავიარე, უფრო მეტად ახლობლებს ვეხმარებოდი, შემდეგ კი არქიტექტურულ კომპანიებში ვმუშაობდი. ამჟამად ერთერთ სტუდიაში ვარ დასაქმებული. ინტერიერის დიზაინის გარდა არქიტექტურულ ფასადებსაც ვაკეთებ.

ხშირად მიმართავს ქართველი მომხმარებელი დიზაინერს, გემოვნებიანად და პრაქტიკულად რომ დააპროექტოს და მოაწყოს თავისი სახლი?

— საკმაოდ ხშირად მოგვმართავენ; თავისუფალი დრო თითქმის არ მაქვს. ეს იმაზეცაა დამოკიდებული, თუ რა ღირს დიზაინერის მომსახურება. ჩვენს სტუდიაში საკმაოდ რეალური ფასებია და ამიტომაც მომხმარებლის სიმცირეს არ ვუჩივით. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ჩვენთან ბოლომდე არ არის ის კულტურა ჩამოყალიბებული, რომ რემონტის დაწყების წინ დიზაინერს მიმართო. ამის გამო ბევრ შეცდომას აწყდებიან არასწორი დაგეგმარების გამო და ხელისხებით უკმაყოფილონი რჩებიან. როცა დიზაინს აკეთებ, აუცილებლად უნდა გაითვალისწინო დამკვე-



თის გემოვნება — როგორი ფერები, სტილი მოსწონს; მთავარია გათვალაო, რა სიამოვნებს კლიენტს და არა — შენ. მან თავის სახლში კომფორტულად უნდა იგრძნოს თავი. დიზაინერს მხოლოდ ოთახის ლამაზად მოწყობა არ ევალება. სწორად უნდა იყოს განაწილებული ელექტროგაყვანილობა, განათებები, რაც ინტერიერის დიზაინში ძირითად როლს თამაშობს.

როგორი უნდა იყოს სწორად დაგეგმილი განათება?

— სპეციალისტებმა ზუსტად იცინა, ოთახის ფართობიდან გამომდინარე, სადა და რა რაოდენობითაა საჭირო ნერტილოვანი თუ სხვაგვარი განათება. ნათურები ისე უნდა განაწილდეს, რომ ქერი გადატვირთული არ გამოვიდეს. ნათურებს შორის დაშორება 60 სმ მაინც უნდა იყოს. სანამ ავეჯის განლაგებას, ფარდების ფერსა და ფაქტურას საბოლოოდ არ დაადგენ, მანამ განათებას ვერ დაგეგმავ.

კედლების დიზაინზე რას გვეტყვი?

— ჩვენს ბაზარზე შპალერის არჩევანი საკმაოდ დიდია. შპალერი ბევრად გამძლე და უკეთესია, ვიდრე შეღებილი კედლები; ეფექტიც სხვაგვარია. ნორმალური შპალერის ფასი 35 ლარიდან იწყება.

— რომელია საუკეთესო ხარისხის?

— კლასიკური სტილისთვის იტალიური ჯობია, მისი ფასი 100 ლარზე მეტია. თანამედროვე სტილისთვის კი გერმანული უნდა შეარჩიოთ. კლასიკური შპალერი ნახატებით, ყვავილებით ან სხვადასხვა დეკორითაა გაფორმებული, რომლებიც სიმეტრიულად ვითარდება. კედლები ვერტიკალურად ან ჰორიზონტალურად იყოფა, კარნიზებითაა გამოყოფილი და 2 ფერის შპალერის „თამაში“ მიდის. ავანგარდს ასეთი ორნამენტები არ უხდება, უფრო აბსტრაქციულია.

როგორი ფერებია აქტუალური?

— ადრე უფრო მეტად კრემისფერი და ყავისფერი და მათი გრადუცია იყო აქტუალური. ახლა კი ვამჩნევ, რომ რუხი, თეთრი და შავი ტონები უფრო მოდურია, რაც ჩემი აზრით, ცოტა მოსაწყენია. თუმცა ასე ცალსახადაც ვერ იტყვი. ამ დროს მნიშვნელობა ენიჭება ოთახს; ოჯახს — რამდენი სული ცხოვრობს, რა ასაკისანი არიან და ა.შ. მაგალითად, ახლა სადაც ვმუშაობ, არიან მშობლები, 23 წლის გოგონა და 10 წლის ბიჭი. ყველას სურვილი და გემოვნება უნდა გაითვალისწინო. სახლი ერთ სტილში არ გამოვიდა, სხვადასხვანაირია, მრავალფეროვანი. გოგონას ოთახი მხიარულ ფერებშია, თანამედროვე. ბიჭის — სადა, რაც შეიძლება მეტი თაროთი. აღსანიშნავია, რომ ძირითადად, საქართველოში დამზადებულ ავეჯს ყიდულობენ ან უკვეთენ, რაც ძალიან კარგია. კაბინეტში კომპიუტერი დგას, პატარა პუფები, თავისი მაგიდი; კედელზე კი ბევრი ღია თაროა. ყველა კედელი სხვადასხვა ფერშია გაკეთებული, თავისივე დეკორებით.

რა მასალისა და დიზაინის უნდა იყოს ქერი?

— მოთხოვნა ძირითადად ე.წ. თაბაშირ-მუყაოს ქერზეა. სააბზანოში ან საზზარეულოში „ბარისოლის“ მოჭიმულ ქერს ვურჩევ ხოლმე. ფრანგულია, ეფექტური და სველ ნერტილებში მეტად გამძლე. შეიძულ ქერს ეს სჯობია. 1 კვმ-ის ფასი დაახლოებით 50 დოლარიდან იწყება. სხვა ოთახებში შეეთერებულნი, სადა ქერი ჯობია, მაგრამ ბევრი ფიქრობს, რომ თუ რაიმე დიზაინი, ფიგურები არ არის, ქერი უბრალოა. დიზაინი მხოლოდ ამით არ განისაზღვრება. შესაძლოა, ისე კარგად ეხამებოდეს ერთმანეთს ფერები, იატაკი, ავეჯი და ქალი, რომ ქერზე ფიგურები სულაც არ იყოს საჭირო.

იატაკის ხარისხსა და ნყობაზე რას გვირჩევთ?

— უმეტესობა ლამინატის პარკეტს აგებს, რომლის ფასიც საშუა-





ლოდ, 35 ლარიდან იწყება. მუქი ფერის, ყავისფერ-მოშავო პარკეტია აქტუალური. ყველაზე ძვირფასი ბამბუკის იატაკია.

— როგორ უნდა იყოს თანამედროვე სტილის სამზარეულოს კარადები?

— თუ ოჯახს ცალკე სათავსი ოთახი აქვს, მაშინ სამზარეულოს დაგეგმარება სხვაგვარად ხდება. ქართველებს მეტი მოთხოვნა გვაქვს და დიასახლისებს ბევრი სათავსი სჭირდებათ. ვურჩევ ხოლმე, რომ კარადების ქვედა ნაწილი ორად იყოს გაყოფილი და გამოსაწევი უჯრები ჰქონდეს, რაც უფრო ტევადიცაა და პრაქტიკულიც.

— ღია თაროებს თუ უკეთებთ?

— შეიძლება დეკორის სახით ჩაერთოთ, მაგრამ ადრე რომ ძვირფას სერვიზებს ვიტრინებში ალაგებდნენ, ახლა ასე აღარაა. სამზარეულოს კარადების ზედა ნაწილი დახურულია, ან ოდნავ დაბურული მინით განყოფილი.

— რის მიხედვით ხდება კაფელ-მეტლასის შესამება?

— არჩევანი იმდენად დიდი და მრავალფეროვანია, ხშირად მეც მიჭირს ხოლმე რომელიმე კონკრეტულზე ყურადღების შეჩერება. ესპანური და იტალიური კარგი

ხარისხისაა. მაგალითად, სააბაზანოში ყოველთვის ვცდილობ ღია ფერები შევარჩიო. თუ კლიენტის მოთხოვნით მუქ ფერს ვაკეთებ, ვცდილობ, ერთი კედელი ხალისიანი დეკორით გავაფორმო. ზოგს შავი ფერი მოსწონს, — ინტიმურ გარემოს უქმნის.

— როგორ უნდა იყოს სამზარეულო ოთახის კარი?

— არ არის აუცილებელი მეტალო-პლასტმასის კარი. მინიანი უფრო მსუბუქია. როცა პოლში შედისარ, ბევრი კარი არ უნდა გხვდებოდეს თვალში. სამზარეულოში, მისაღებში ან სასადილო ოთახში მოდამია ბარის „სტილიკის“ დადგმა. გაზქურა, ჭურჭლის სარეცხი მანქანა და ნიჟარა ჯობს სამზარეულოს კარადებში იყოს ჩადგმული. 20 კვმ ფართობი მინცაა საჭირო (თუ სადილობაც იქვე გინდათ), რომ სამზარეულო ლამაზად, თანამედროვედ მოეწყოს და რაც გჭირდება, ყველაფერი მოათავსო. ძალიან ცდებიან, როცა ტიხრების დაპროექტებისას სამზარეულოსთვის პატარა ადგილს გამოყოფენ ხოლმე და მისაღებ ოთახს დიდს აკეთებენ, რაც სწორად არ მიმაჩნია. ახალაშენებული ბინები სრულიად განსხვავებულადაა დაპროექტებული, ვიდრე გასულ საუკუნეში აშენებული კორპუსები. ახლა უფრო კორიდორული სისტემაა, ყველა ოთახს ცალკე შესასვლელი აქვს.

— როგორ განათება უნდა იყოს სამზარეულოში?

— 1 გრძელი ჭალი და ზემო კარადებს აცილებლად უნდა ჰქონდეს ცალკე განათება, რომელიც დიასახლისს სამუშაო ადგილს გაუნათებს. შესაძლოა ნერტილოვანი განათებაც გაკეთდეს.

— ფანჯარა ოთახის ინტერიერს და ექსტერიერს სხვაგვარ ეფექტს აძლევს. რა მასალას ურჩევთ ხოლმე მომხმარებელს?

— თუ ხედი კარგია, დიდი ვიტრაჟები ჯობია. ძვირფასია ხის მასალა, მაგრამ კარგად უნდა იყოს გამოშრალი, რომ მერე პრობლემები არ შეექმნათ. მეტალო-პლასტმასი უფრო ჰერმეტიულია და შედარებით იაფი ჯდება.

— რა ღირს დიზაინერის მომსახურება სახლის დაგეგმარების დროს?

— მხოლოდ ტიხრების დაგეგმარებაში საშუალოდ 5 ლარს ვიღებთ. დიზაინის ფასი საქართველოში 8-10 დოლარიდან

ზემოთაა. საკმაოდ შრომატევადი სამუშაო — ნახაზები, ელექტროობის, ჩამრთველების, იატაკის, ჭერის გეგმა და ა.შ.

— მისაღებ ოთახში დიდი ჭალები მოდურია?



— თუ მომხმარებელი კლასიკურ სტილს ირჩევს, ამ შემთხვევაში მისაღები, მაგრამ ამ შემთხვევაში ისიც უნდა გაითვალისწინო, რომ მასალა აუცილებლად ძვირფასი უნდა იყოს, სხვაგვარად სასურველ ეფექტს ვერ მიიღებ. საერთოდ, მომხმარებელს ვურჩევ, რემონტის დანებების წინ აუცილებლად მიმართოს რომელიმე კომპანიას ან ინტერიერის დიზაინერს. ამით თავიდან აიცილებენ ხელოსნებთან „ჭიდაობას“ და ნერვებსაც დაზოგავენ. ხელოსნები კომპანიას მიჰყავს, კეთდება მთლიანი ხარჯთაღრიცხვა, მასალას ერთად ყიდულობენ და ფორმდება ხელშეკრულება. შესაძლოა, ცოტა მეტი ან იმდენივე დაუჯდეთ, მაგრამ გაცილებით მაღალ ხარისხს მიიღებენ. ■



გზაში საკითხავი კოლაჟი

ჰელმუტ ლიხტენბერგი ივანიძე

1. ბარაკ ობამა ცაციაა.
2. თეთრი სახლი 8 წელიწადი შენდებოდა.
3. „გაჭედოლი“ სოფელია მარტვილის რაიონში.
4. ჰენრი ბასკრევილი დევონშირელი დიდებული იყო.
5. ავტომობილ „ტომფსონს“ განგსტერები „ჩიკაგოურ საბეჭდ მანქანას“ ეძახდნენ.
6. ქორწილის წინაღობას სასიძოს ქეიფს ამხანაგებთან ერთად, მემზანაგობა ჰქვია.
7. გურჯაანის „ყველაწმინდა“ ერთადერთი ორგუმბათიანი ეკლესიაა, მთელ საქართველოში.

8. მიხეილ თუმანიშვილი თეატრალურ სეზონს ტრადიციულად, „ბაკულას ღორებით“ ხსნიდა.

9. ანა ქალის ყველაზე პოპულარული სახელია მსოფლიოში. ამ სახელს 100 მილიონი ქალი ატარებს.

10. ოქროს სუფთა სახით, ყოველგვარი მინარევის გარეშე იმდენად რბილია, რომ მისი ხელით დაჭყლეტა შეუძლებელია.

11. იაპონიაში კრემაცია გარდაცვლილთა 93 პროცენტს უტარდება, ინგლისში — 67 პროცენტს, შვედეთში — შტატებში — მხოლოდ 12-ს.

12. ადამიანის მიერ დაფიქსირებული ყველაზე მაღალი ტალღა 1971 წელს იაპონიის კუნძულ იშიგაკისთან წარმოიშვა. მისი სიმაღლე 85 მეტრი იყო.

13. 1901 წლიდან მოყოლებული დღემდე, 16-მა ადამიანმა გაბედა, კასრში ჩამძვრალიყო და ჩანჩქერ ნიაგარაზე დაშვებულიყო. თერთმეტი მათგანი ცოცხალი გადარჩა.

14. ილიკო სუხიშვილი ფრონტზე არ გაუწევიათ. იგი სამხედრო ნაწილებსა და პოსპიტლებში მართავდა კონცერტებს.

15. გიორგი შენგელაიას „ფიროსმანში“ მთავარ როლს ავთო ვარაზი ასრულებს. მსახვრის ყველა ნაცნობი და ახლობელი ერთხმად გაიძახის, რომ ვარაზს თამაში არც კი დასჭირდება, მან საკუთარი თავი ითამაშაო.

16. ვიეტნამის ომში, როცა ამერიკული შენაერთი ჩასაფრებულ მტერს სრულიად მოულოდნელად გადააწყდებოდა, ოფიცერი ბრძანებდა აძლევდა ჯარისკაცებს, გაენადგურებინათ ყველა მისამართიანი და დათარიღებული ნერილი.

ბრაზილიური სუპერკარო

ბრაზილიური კომპანია Rossin-Bertin 2011 წლისთვის წარმოებაში საკუთარი კონსტრუქციის სუპერავტოს, — Vorax, — ჩაშვებას გეგმავს. ამ მანქანის დებიუტი სულ მალე, სან-პაულუს ავტოსალონზე შედგება, ხოლო გაყიდვა 2012



წლიდან დაიწყება. ბრაზილიური სუპერავტოს საფუძველს მილისებური კარკასი წარმოადგენს, ალუმინისა და ფოლადის დეტალებით, ხოლო სიახლის ძარას პანელები კარბონისგან დამზადდება. ავტომობილის სრული მასა შემქმნელთა ვარაუდით 1300 კგ-ს არ გადააჭარბებს. უკანა აქვრის მანქანის აღჭურვა წინა თაობის BMW M5-ის V10 მობოტორით იგეგმება. საბაზო მოდელს ამ ძრავას 570 ცხმ-იანი ვარიანტი დაუმონტაჟდება, ხოლო ტოპ-ვერსია 750 ცხმ-იანი აგრეგატით გამოვა. წულიდან 100 კმ/სთ სიჩქარეს სიახლე 3,6 წამში (სტანდარტული ვერსიით) ან 3,6 წამში (ფორსირებულით) განავითარებს. უცნობია, თუ საიდან იშოვის მასობრივად კომპანია Rossin-Bertin BMW V10 ძრავებს, რომელთა წარმოება ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს შეწყდა. უფრო ადრე სპორტავტოების სხვა მწარმოებელი, კომპანია Wiesmann, რომელიც ასევე ყიდულობდა BMW-ს ცილინდრულ ძრავებს, იძულებული გახდა, გერმანული მარკის მიერ წარმოებულ, 8-ცილინდრიან ტურბომობოტორებზე გადასულიყო. წელიწადში 500-დან 1000-მდე ბრაზილიური სუპერავტოს გამოშვება იგეგმება. გარდა ამისა, Rossin-Bertin სერიულად Vorax-ის ღია ვერსიის გამოშვებასაც გეგმავს.

სიახლე „ფიატისგან“

სან-პაულუს საავტომობილო გამოფენაზე, რომელიც 27 ოქტომბერს დაიწყო და 7 ნოემბრამდე გასტანს, კომპანია „ფიატი“ კომპაქტურ როდსტერსა და მოდელის, — Uno, — სპორტულ ვერსიას წარად-

ცა ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრებით, ანალოგიური ავტომობილი უფრო ნაკლებად აგრესიული გარეგნობით, კონვეიერზე უახლოეს მომავალში აღმოჩნდება. „ფიატი უნოს“ ახალი მოდიფიკაცია 185/60 ზომის საბურავების მქონე, 15-დუიმიანი ბორბლების დისკებით, ასევე წინა და უკანა სპოილერით აღიჭურვება. იგი ექსკლუზიურ სტაილინგსა და შეილება. „უნოს“ კამოტეჟე 85 ცხმ-ის სიმძლავრის, 1,4-ლიტრიანი ძრავა იმუშავებს. ახალი თაობის მცირე ლიტრაჟიანი „ფიატი უნოს“ შესახებ ოფიციალური ინფორმაცია მიმდინარე წლის მაისში



გენს. როდსტერი ახალი თაობის მცირე ლიტრაჟიანი „უნოს“ ბაზაზე აწყობილი. მას დიდი ჰაერშემავსებლები და დღის შუქდიოდური ფარები აქვს. პროტოტიპი ბენზინის, 1,4-ლიტრიანი ტურბინირებული 152 ცხმ-ის სიმძლავრის ძრავითა და 17-დუიმიანი ბორბლების დისკებითაა აღჭურვილი. ჯერჯერობით არაფერია ცნობილი ასეთი როდსტერის სერიულ წარმოებაში ჩაშვების ალბათობის შესახებ, თუმ-

გავრცელდა. ამ ეტაპზე იგი მხოლოდ სამხრეთ ამერიკის ბაზარზე გაიყიდება, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ მომავალში ევროპული ბაზრისთვის მას სერბეთში მდებარე ქარხანა Zastava-ში ააწყობენ. ამჟამად მანქანა 1,0 და 1,4-ლიტრიანი ძრავებით აღიჭურვება, რომლებიც ორ მოდიფიკაციად იქნება ხელმისაწვდომი — ჩვეულებრივ ბენზინზე და ეკოლოგიურად სუფთა სანვავზე მომუშავე.

„ბაივეს“ ელექტრონული ნოვასია

კონცერნი „ბეემე“ ახალი ელექტრონული სისტემების შექმნაზე მუშაობს, რომლებიც კომპანიის წარმომადგენელთა თქმით, ავტომობილის ნებისმიერ საგზაო სიტუაციაში „ინტელექტუალურად“ წარმოჩენის შესაძლებლობას მისცემს. ამ ტექნოლოგიების მთავარი დანიშნულება სანავის ეკონომიურობის გაუმჯობესება, ასევე მგზავრთა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოების გაზრდა იქნება. პირველი ასეთი სისტემები უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში, მომავალი თაობის 3 და 6-Series-ზე გამოჩნდება. საგზაო პირობებს ავტომობილები რამდენიმე წყაროდან მიღებული ინ-

მარშრუტის ამორჩევას. ახალ სისტემებს შორის, რომლებსაც BMW თავისი ავტომობილებისთვის ამზადებს, ასევე შედის SMS-შეტყობინებების ან ელექტრონული წერილების ხმოვანი კრებულის ტექნოლოგიები, სრულიად ავტომატური პარკირებისა (მძღოლს მანქანიდან გადმოსვლა და პროცესის გარედან პულტით მართვა შეეძლება) და ავარიის თავიდან აცილების (ავტომობილის გარშემო დამონტაჟებული ლაზერული რადარების მონაცემების საფუძველზე, „ელექტრონიკა“ საჭის მდგომარეობას ისე განსაზღვრავს, რომ მანქანა შეჯახებას გადაურჩეს) სისტემები. გარდა ამისა, „ბეემეს“ მოდელს „ეკოდინებათ“, თუ რამდენ ხანს ენთება გზის ყოველი კონკრეტული მონაკვეთის შუქნიშნზე წითელი შუქი და მულტიმედიაური სისტემის ეკრანზე სიახლეების ლენტას ან მინითამაშებს გამოიტანენ. ადრე გავრცელებული ცნობით, მომავალი თაობის BMW 3-Series ორი წლის შემდეგ გა-



ფორმაციების საფუძველზე შეეწყობიან. კომპიუტერი ანალიზს გაუკეთებს პარკინგის სენსორებს, ადაპტური კრუიზ-კონტროლის კამერას, შუქისა და წვიმის მრიცხველს, ასევე სათანამგზავრო ნავიგაციით მიღებულ ლანდშაფტის სამგანზომილებიან გამოსახულებებს. გათვალისწინებული იქნება მართვის სტილი და საცობების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც სისტემა ინტერნეტის მეშვეობით მიიღებს. შედეგად, მანქანა თავისით შეძლებს მაგალითად, კონკრეტულ, წვიმიან ამინდში ნავიგაციისთვის ყველაზე ხელსაყრელი

მოჩნდება. „სამიანი“ ახალ პლატფორმაზე აიგება, თუმცა უკანა აძვრისა იქნება (სრული აძვრის სისტემა კვლავ ოპციის სახით დარჩება), ასევე სიჩქარის გადაცემათა 8-საფეხურიან კოლოფს მიიღებს. ახალი 6-Series-ის მსოფლიო პრემიერა კი მომავალი წლის იანვარში, დეტროიტის მოტორშოუზე შედგება. აღსანიშნავია, რომ Audi A7-სა და A8-ზე უკვე გამოიყენება ინტელექტუალური სისტემა, რომელიც კარტოგრაფიული მონაცემების საფუძველზე სიჩქარის გადაცემათა კოლოფის მუშაობის რეჟიმს ცვლის.

ამერიკელები ღამით საქანთან სხლომას პრიღებთან

ყოველი მეხუთე ამერიკელი მძღოლი ცუდი ხილვადობის გამო ღამით სიარულს ერიდება. ამასთან, ქალბატონები ღამით მამაკაცებზე 2-ჯერ უფრო იშვიათად სხდებიან საქანთან. აშშ-ის 1000 მოქალაქის გამოკითხვის შედეგად ასეთ დასკვნამდე მივიდნენ კომპანია Sylvania-ის მკვლევრები. რესპონდენტთა 51%-მა აღიარა, რომ ცუდი ხილვადობის გამო ღამით სიარული მისთვის არასასიამოვნო პროცესია. ღამით ავტომობილის მართვა ყველაზე მეტად 55 წელზე უფროს ამერიკელებს მოსწონთ. 18-34 წლის ასაკის გამოკითხულთა ნახევარმა განაცხადა, რომ ღამით ავტომობილის მართვისას თავს უსაფრთხოდ იმ შემთხვევაში იგრძნობდა, მანქანის შუქფარებს უკეთესად რომ გაენათებინა გზა. 2009 წელს საქველმოქმედო ორგანიზაციამ, — Brake, — 1000 ბრიტანელი გამოკითხვა, რომლის მსვლელობის დროსაც თითქმის ყველა რესპონდენტმა ღამით საქანთან ჯდომა სახიფათოდ მიიჩნია.

გზაში საკითხავი კოლაი

ქელერელი თქუბ ივანიძე

17. ოხრახუშის ფოთლები, ყველი „მაცარელა“ და პომიდვრის სოუსი იტალიური პიცის აუცილებელი კომპონენტებია. მათ არა მარტო კულინარიული, არამედ სიმბოლური დანიშნულებაც აქვს. ეს სამი კომპონენტი იტალიური დროშის ფერთა გამას ქმნის.

18. შტატ ვირჯინიაში მცხოვრები რაღდი და კაროლინა კამინსების ოჯახში შვიდი ბავშვია, რომელთაგან ხუთი ერთსა და იმავე დღეს, 20 თებერვალს, ზეიმობს დაბადების დღეს. ეს ხუთი დედამამიშვილი ტყუილი არ არის. საოცარი დამთხვევით, ყველა მათგანი სხვადასხვა წელს, ერთსა და იმავე დღეს არის დაბადებული. ამგვარი დამთხვევის ალბათობა ოც მილიარდში ერთხელ არის შესაძლებელი.

19. კბილის პასტის მწარმოებელი კომპანია „კოლგეიტი“ ესპანურენოვან ქვეყნებში საკუთარი პროდუქციის ექსპორტირებისას უეცარ დაბრკოლებას გადააწყდა. საქმე ის არის, რომ ფირმის სახელწოდება „კოლგეიტი“ ესპანურ ენაზე „ნადი და თავი ჩამოიხრჩვეს“ ნიშნავს.

20. ზოგიერთი გომბეშოს შხამი იმდენად ძლიერ პალუცინოგენს შეიცავს, რომ ამერიკის პოლიციამ ეს ნივთიერება ჰეროინის გაუთანაბრა და იმ ადამიანებზე დაიწყო ნადირობა, რომლებიც ამ გომბეშოებს ლოკავენ და ამ გზით აღწევენ ნარკოტიკულ თრობას.

21. ახალ გენეაში არსებობს ქრისტიანული მიმართულება, რომლის მიმდევრებს მტკიცედ სწამთ, რომ თეთრკანიანებმა ახალი აღთქმიდან განგებ ამოშალეს ის ადგილები, სადაც ეწერა, რომ იესო ქრისტე პაპუასი იყო. მათი რწმენით, მეორედ მოსვლის შემდეგ ყველა პაპუასი ბატონი გახდება, ყველა თეთრკანიანი კი — მათი მონა.

22. ერნესტო ჩე გევარას მთელი ცხოვრება ასთმა სტანჯავდა. ამ დაავადების გამო იგი სამხედრო სამსახურისათვისაც კი დაინუნეს. მიუხედავად ამისა, ბუნეს-აირესის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლისას, ჩე გევარა გულმოდგინედ ვარჯიშობდა რაგბიში. რკინის ნებისყოფისა და უდრევი ხასიათის წყალობით, იგი თავისი გუნდის ცენტრალური თავდასხმელიც კი გახდა. იმავე წელს ჩე გევარამ ჟურნალი TACKLE დააარსა, რომელშიც წერილებს „ჩაჩოს“ ფსევდონიმით აქვეყნებდა, რაც ქართულად „ლორს“ ნიშნავს. მომავალ „კომანდანტს“ თავი მოჰქონდა, რომ ტანს იშვიათად იბანდა და შეეძლო, სპორტული ფორმა 25 კვირის განმავლობაში გაურეცხავად სცმოდა.





ათონელი მამების საქართველოსთვის დაწერილი „დედა ღვთისას ხატი“, კონსტანტინოპოლიდან გაუჩინარებული სიწმინდა და წმინდა ვასილის ვედრება

შორენა მერაბილაძე

კოლხეთის ღვთისმშობლის ხატი

კოლხეთისად ნოდებუი ღვთისმშობლის ხატი ათონის მთაზე დაწინებული ლუკა მახარებლის მიერ დაწერილი ღვთისმშობლის „ოდიგიტრიად“ — გზის მაჩვენებლად ნოდებუი ხატის ასლია. ხატს „ოდიგიტრია“ გზის მაჩვენებელი ეწოდება, რადგან მის წინაშე მლოცველთ განსაკუთრებით სწორი, მართებული გზის არჩევში შეეწევა. „ოდიგიტრის“ ღვთისმშობლის ხატის — კოლხეთის ღვთისმშობლის ხატს, რომელიც საგანგებოდ საქართველოსთვის ათონის წმინდა მთაზე დაიწერა, მთელი ხატის გარშემო დართული აქვს 16 მცირე ზომის ხატი, რომლებზეც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წმინდანები არიან გამოსახული.

კოლხეთის ღვთისმშობლის ხატი ათონის წმინდა მთაზე, ევსტიგმენის მონასტრის ყოველადწმინდ და ღვთისმშობლის სენაკში დაიწერა; ათონელმა მამებმა იგი ფოთისა და ხობის მიტროპოლიტის, გრიგოლის თხოვნით შექმნეს. 2007 წლის 1-ელ ნოემბერს სინდინდე საქართველოში ათონზე მოღვაწე მამებმა, მღვდელმონაზონმა ფერემა და ბერმა ტიმოთემ ჩამოაბრძანეს.

საქართველოში ჩამოაბრძანებულ ხატს აეროპორტში მღვდელმთავრებსა და სამღვდლოებსთან ერთად უამრავი მორწმუნე ადამიანი მიეგება. დედა ღვთისას ხატი პირველად სამების საპატრიარქო ტაძარში გადააბრძანეს. სინდინდეს ტაძრის კარიბჭესთან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მიეგება. მანვე ალაგინა ხატის წინაშე ერისა და ქვეყნის კეთილდღეობისთვის სავედრებელი პარაკლისი... ორი კვირის შემდეგ კოლხეთის ღვთისმშობლის ხატი ფოთისა და ხობის ეპარქიაში, ყოველდწმინდა ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარში გადააბრძანეს.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის მონათხრობის თანახმად: ხატის შექმნის იდეა ფოთისა და ხობის ეპარქიაში გაჩნდა, საქართველოს პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევის საფუძველზე, რომლის თანახმადაც ყველა ეპარქიას უნდა გააჩნდეს მთავარი ხატი, მთავარი სინდინდე

და თუ ასე არ არის, უნდა შეიქმნას... გადამწყვეტილება პატრიარქს აუწყეს და ლოცვა-კურთხევა სთხოვეს, რომ ათონის მთაზე გამგზავრებულიყვნენ და ათონელი ბერებისთვის ხატის დაწერა ეთხოვათ. რადგან ხატი ეპარქიის ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარში უნდა დაბრძანებულიყო, გადაწყდა, რომ სწორედ წმინდა ქალწულის ხატი შეეკეთათ.

ათონზე გამგზავრების წინ საქართველოს პატრიარქს რჩევა ჰკითხეს, ღვთისმშობლის რომელი ხატის ასლი დაწერილიყო: „ჩაღთი ათონზე, გაესაუბრეთ ბერებს და რასაც ისინი გირჩევენ, ღვთის ნებად მიიჩნიეთ“ — უბრძანებია პატრიარქს...

წმინდა მთაზე ჩასულ ქართველ სასული-



ერო პირთა და ერისკაცთა მცირე ჯგუფს ყოველდწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის სენაკის ბერებმა უმასპინძლეს. მათივე რჩევით გადაწყდა, რომ საქართველოსთვის საგანგებოდ დაწერილიყო ღვთისმშობლის „ოდიგიტრიად“ ნოდებუი ხატის ასლი. ათონზე მყოფმა ქართველებმა ათონელი მამების რჩევა ღვთის ლოცვა-კურთხევად მიიჩნიეს და თანხმობა განაცხადეს, მაგრამ ხატმწერ ბერებს, რომელთაც ხატი უნდა დაეწერათ, სთხოვეს, რომ ხატის გარშემო დაწერილიყო მცირე ხატები, რომლებიც ეტაპობრივად ასახავდნენ საქართველოს ეკლესიის ისტორიას (მაგალითად, ხატის არმიის ზედა ზოლზე, ცენტრალურ ნაწილში გამოსახულიყო კათოლიკოს-პატრიარქის მიერ შესრულებული, ყოველდწმინდა სამების ხატის ასლი, მის გვერდით ორი მთავარი წმინდანი, რომელთაც კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ აღსაყდრებისას საქართველოს ეკლ-

სია შეავედრა — წმინდა ნიკოლოზი და წმინდა გიორგი. მათ გვერდით — მარჯვნივ და მარცხნივ ქართველთა განმანათლებლების — წმინდა ანდრია პირველწოდებულისა და წმინდა ნინოს ხატები).

ამგვარად, სრულიად ახალი კომპოზიცია შეიქმნა, ამიტომაც ათონელმა ბერებმა გადაწყვიტეს, რომ რადგან დედა ღვთისას კოლხეთის ღვთისმშობლის ხატი ისტორიული კოლხეთის მიწაზე უნდა დამკვიდრებულიყო, მისთვის კოლხეთის ღვთისმშობლის ხატი ეწოდებინათ...

ტიხვინის ღვთისმშობლის ხატი

ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ტიხვინის ღვთისმშობლის სახელწოდებითაა ცნობილი, გადმოცემის თანახმად, ლუკა მახარებლის მიერაა დაწერილი. მას „მოციქულთა საქმეებთან“ ერთად, სინდინდე ანტიოქიის ახლადმოქცეული მმართველისთვის — თეოფილესთვის გაუგზავნია. თეოფილეს გარდაცვალების შემდეგ ხატი რომში გადააბრძანეს. იქვე იმყოფებოდა V საუკუნემდე. შემდეგ კი ბერძენი მეფის, თეოდოსი უმცროსის მეუღლემ, ევდოკიამ კონსტანტინოპოლში წააბრძანა და მის სახელზე საგანგებოდ აგებულ ვლადქერნისად ნოდებულ ტაძარში დააბრძანა. ბიზანტიის იმპერიაში ხატმებრძოლობის ერესის დაწყებისას, ღვთისმშობლის გამოსახულება პანტიკორის საფარში გადაამალეს. როდესაც ხატთაყვანისცემა აღდგა, კვლავ კონსტანტინოპოლის ვლადქერნის ტაძარში დააბრუნეს.

დიდი რუსი მთავრის, დიმიტრი ივანე ძე დონელის და მიტროპოლიტ პიმენის დროს, ცარგრადის დაცემამდე 70 წლით ადრე, ღვთისმშობლის ხატი კონსტანტინოპოლიდან გაუჩინარდა. სინდინდე ნოვგოროდის საზღვართან გამოჩნდა...

იმ პერიოდში ნოვგოროდელი ვაჭრები კონსტანტინოპოლში იმყოფებოდნენ და შექმნევიან კონსტანტინოპოლის პატრიარქს შეხვდნენ. პატრიარქმა საუბრისას მათ ჰკითხა — „რაიმე ხომ არ გაქვინათ ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის შესახებ, რომელიც უგზო-უკვლოდ დაიკარგა?“ ვაჭრებმა ტიხვინისად ნოდებუი ღვთისმშობლის ხატის გამოჩინების შესახებ უამბეს. ხატის ვლადქერნის ტაძრიდან გაუჩინარებისა და გამოჩინების დრო ერთმანეთს დაემთხვა...

მატიანე შემდეგნაირად აღწერს ღვთისმ-



შობლის ტიხვინისად ნოდებული ხატის გამოჩენის ამბავს: „1383 წელს ღვთისმშობლის ხატი, რომელზეც მას ყრმა ღმერთი მარცხენა ხელში უჭერია, ლადოგის ტბის წყალზე გამოჩნდა, სინწინდეს საოცარი ნათელი ადგა. უხილავმა ძალამ იგი წყალზე გამოაგრა და ქალაქ ტიხვინთან, მდინარე ტიხვინის ნაპირზე შეჩერდა. სინწინდემ მოგზაურობა განაგრძო. თავისი მოგზაურობის დროს ხუთ ადგილას გამოუჩნდა მორწმუნეებს. ამ ადგილებში ტაძრები აიგო. სადაც ღვთისმშობლის ხატი საბოლოოდ შეჩერდა, ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ხის ტაძარი ააგეს და სასწაულმოქმედი ხატიც იქ დააბრძანეს, მას ტიხვინის ღვთისმშობლის ხატი ეწოდა. რამდენიმე წლის შემდეგ ტაძარში ხანძარი გაჩნდა და ყველაფერი ფერფლად იქცა, ტიხვინის ღვთისმშობლის ხატი კი უვნებლად გადაჩრჩა. ამგვარი რამდენჯერმე განმეორდა. 1510 წელს დიდმა მთავარმა ვასილი ივანეს ძემ ღვთისმშობლის ხატისთვის ქვის ეკლესია ააგო. მალე იქ მამათა მონასტერიც დაარსდა. ხატი აურაცხელ სასწაულს აღასრულებდა. მის წინაშე რწმენითა და სასოებით მლოცველები სწეულბათაგან იკურნებოდნენ, ბრძებს თვალისჩინი უბრუნდებოდათ“...

**ღვთისმშობლის გამოსახვა
მნათე გიორგის წინაშე და
მოსაუბრად ნოდებული
ღვთისმშობლის ხატი**

ტიხვინის ღვთისმშობლის ხატის სასწაულებრივი გამოჩენების შემდეგ, 1383 წელს, ღვთისმშობლებმა ღვთისმოყვარე მნათე გიორგი მიმდებარე დასახლებაში ხატის გამოჩენების დღესასწაულის მოსახსენებლად და მარხვის საქადაგებლად გაგზავნეს. როდესაც ტიხვინში ბრუნდებოდა, გზაში წმინდა ქალწული გამოეცხადა — ფიჭვის მორზე იჯდა და გამოუთქმელი შუქით ბრწყინავდა. ხელში მენაშული კვერთხი ეყრა, წინ კი წმინდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედი ედგა. სწორედ იმ პერიოდში, ახალგაზრდული ღვთისმშობლის ხატის პატივსაცემად ხის ეკლესიას აშენებდნენ. ღვთისმშობელმა გიორგის აუწყა, სამღვდელთებისთვის გადაეცა, რომ მის სახელზე აგებული ტაძრისთვის სახურავზე რკინის ჯვრის ნაცვლად, ხის ჯვარი დაედგათ. გიორგიმ თაყვანი სცა წმინდა ქალწულს და გზა განაგრძო.

ადგილზე მისულმა ყოველივე უამბო ღვთისმშობლად, მაგრამ მისი ნათქვამი არ დაიჯერეს და უკვე გამზადებული ჯვრის აღმართვას შეუდგნენ. მუშაობისას მოულოდნელად, ქარიშხალი ამოვარდა და ოსტატი ტაძრის თავიდან რკინის ჯვრისად გადმოაგდო, თუმცა არაფერი დაშავებია. ტაძარს ხის ჯვარი დაადგეს.

იმ ადგილზე კი, სადაც ღვთისმშობელი მნათე გიორგის გამოეცხადა, წმინდა ნიკოლოზის სახელობის სამლოცველო ააგეს, საგანგებოდ დაინერა ღვთისმშობლის ხატიც, რომელზეც ეს სასწაულია ასახული.

ტიხვინის ღვთისმშობლის ხატისთვის

საგანგებოდ აგებულ ხის ტაძარში კურთხევიდან რამდენიმე წლის შემდეგ ხანძარი გაჩნდა და ერთიანად დაინვა. ღვთისმშობლის ხატი სასწაულებრივად გადაურჩა ხანძარს. იგი ახლომასლო მდებარე ღვთის ბუჩქში იპოვეს. იმავე დროს დაინვა ღვთისმშობლის გამოცხადების ადგილზე აგებული წმინდა ნიკოლოზის სამლოცველოც, მაგრამ ჯვარი, რომელიც იმ ჯირკისგან იყო გამოთლილი, ღვთისმშობელი რომ იჯდა, ასევე სასწაულებრივად განმეორა ხანძარს — უხილავმა ძალამ ისიც ღვთის ბუჩქში გადასტყორცნა, სადაც ღვთისმშობლის ხატი იპოვეს. დამწვარი ტაძრისა და სამლოცველოს ნაცვლად ახალი ააგეს და სინწინდებზე კვლავ თავიანთ ადგილებზე დააბრუნეს, მაგრამ ხუთი წლის შემდეგ ზუსტად იგივე განმეორდა. ხის ტაძარი და სამლოცველო მესამეჯერაც აგეს, 105 წლის შემდეგ ტაძარსა და სამლოცველოში კვლავ გაჩნდა ცეცხლი. სამლოცველოში ღვთისმშობლებმა ცეცხლის ჩაქრობა მოახერხეს და ჯვარი გადაარჩინეს. ეკლესია მთლიანად დაინვა. ტიხვინის ღვთისმშობლის ხატი კი ისევ უვნებლად გადაურჩა ხანძარს.

ტიხვინის ღვთისმშობლის სასწაულების შესახებ ხმებმა დიდ მთავარ — ვასილი ივანეს ძემდე მიიღწია. როდესაც ხის ტაძარი მესამედ დაინვა, მთავარმა ბრძანა, რომ ქვის ეკლესია აეგოთ. როდესაც მშენებლობა დასრულდა და კარიბჭის გამოკვეთას შეუდგნენ, უეცრად თალი ჩამოინგრა და მუშები ნანგრევების ქვეშ მოყვნენ. ისინი ყველას დახოცილები ეგონა, მაგრამ ნანგრევების გასუფთავების შემდეგ ყველანი ცოცხლები აღმოჩნდნენ. ხალხმა განადიდა ზეციური დედოფალი.

მთავარ ვასილის ბრძანებით, წმინდა ნიკოლოზის სამლოცველოს ადგილზეც ქვის ტაძარი აიგო. მასში დაბრძანებულ ხატს, რომელზეც ღვთისმშობლისა და წმინდა ნიკოლოზის მნათე გიორგის წინაშე გამოცხადებაა ასახული — მოსაუბრე ეწოდა. ტაძართან მალე მამათა მონასტერიც დაარსდა, რომელიც ასევე მოსაუბრედ იწოდა.

**მურომის ღვთისმშობლის ხატი —
წმინდა ვასილის ვედრება**

ღვთისმშობლის ხატი, რომელიც მურომის ღვთისმშობლის ხატის სახელწოდებითაა ცნობილი, კიევიდან მურომში შემდგომში წმინდანად შერაცხილ მთავარს — კონსტანტინე მურომელს ჩაუბრძანებია. ამის შემდეგ ეწოდა მას მურომისა. კონსტანტინე დიდხანს ცდილობდა, მურომში მცხოვრები წარმართი მოსახლეობის ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევას. ამის გამო კერპთაყვანისმცემლებმა ღვთისმოსავი მთავრის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყვეს და მისი მოკვლა განიზრახეს. კონსტანტინემ ამის შესახებ შეიტყო, გულმხურვალედ ილოცა მურომისად ნოდებული ღვთისმშობლის ხატის წინაშე, ზეციურ დედოფალს შეწევობა სთხოვა, შემდეგ ხატიც ხელში გაემართა შეთქმულ წარ-



მართებთან სასაუბროდ. როგორც კი სინწინდით მათკენ მიმავალი მთავარი დაინახეს, წარმართები წინ მიეგებდნენ მას და თვითონვე ითხოვეს ნათლისღება...

XIII საუკუნეში მურომის ეპარქიას წმინდა ვასილი მღვდელმთავრობდა. ხალხმა მას გარყვნილ ცხოვრებაში დასწამა ცილი და წმინდა ეპისკოპოსის მოკვლა გადაწყვიტა. აღშფოთებული ბრბო ეპარქიას მიადგა. მამა ვასილი მათ წინაშე გამოვიდა და სთხოვა, დილაძე დაეცლიათ მისთვის...

მამა ვასილი მთელი ღამის მანძილზე ლოცულობდა ტანჯვათა დამთმენელთა — წმინდა ბორისისა და გლეხის წინაშე, შემდეგ ლიტურგია აღასრულა და ხარების ტაძარში წავიდა, სადაც მურომისად ნოდებული ღვთისმშობლის ხატი იყო დაბრძანებული. მის წინ პარაკლისი აღასრულა. პარაკლისის დასრულების შემდეგ, რაღაც უხილავი ძალით სინწინდე ზეცში აიღო და ტაძრიდან მდინარე ოკამისკენ გაემართა. სანაპიროსთან მანტია მოისხნა, წყალზე დაფინა, შემდეგ მანტიაზე შედგა და ხატთან ერთად, ძლიერი ქარის დახმარებით დინების სანაპირამდეღო, მდინარის ზედაპირზე გაცურა. დილით რიაზანში ჩავიდეს, სადაც იმ დროს ღვთისმოსავი მთავრები — თეოდორე და კონსტანტინე მმართველობდნენ. როდესაც მთავრებმა ამ სასწაულებრივი მოვლენის შესახებ შეიტყვეს, სამღვდელთაბასთან ერთად წმინდა მამის წინაშე შესახვედრად გაემართნენ. პატივი მიაგეს წმინდა ქალწულის ხატს და სანაპიროდან გადააბრძანეს. რაკი სინწინდემ რიაზანში ინება მიბრძანება, მურომიდან საუკისკოპოსო კათედრა რიაზანში გადმოიტანეს. იქვე დარჩა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატიც, რომელსაც ამ სასწაულის ნიშნად წმინდა ვასილის ვედრებაც ეწოდა.

სამი წლის შემდეგ წმინდა ვასილი სამოღვაწეოდ ახლა რიაზანში გადავიდა, რადგან გაცილებით ხელმეწიფე მოქმედი და მიუყვანილი ადგილი იყო. 1291 წელს აქვე დააარსა ახალი საეპისკოპოსო კათედრა და მურომის ღვთისმშობლის ხატიც ახალ რიაზანში გადააბრძანა.



სამფაზიანი სუნთქვის სამკურნალო კალა

თავის ტკივილი, წნევის ხშირი ცვალებადობა, თავბრუს ხვევა... ეს ვეგეტოსის-ლქარლოვანი დისტონიის სიმპტომებია. შეიძლება თუ არა მათგან თავის დაღწევა? რასაკვირველია მეცნიერებმა, ამ პათოლოგიის მკურნალობისა და პროფილაქტიკის მიზნით ვარჯიშების უნიკალური კომპლექსი შეიმუშავეს.

ამ მეთოდს საფუძვლად XX საუკუნეში მცხოვრები, ამერიკელი ოპერის მომღერლის, შემდგომ კი მედიცინის, პროფესორ ლეო კოფლერის მიერ შექმნილი სისტემა უდევს. სასიძველე კარიერის გაფურჩქნის პერიოდში იგი ყელის ტუბერკულოზით დაავადდა. ექიმები ვერაფრით შევლოდნენ და კოფლერი იძულებული გახდა, მრისხანე დაავადებისგან ხსნის გზა თავად ეპოვა. მან „სწორი სუნთქვის“ სისტემა შეიმუშავა, რომელიც მეტად ეფექტური აღმოჩნდა: კოფლერმა ამ სასიკვდილო დაავადების დამარცხება სამ კვირაში შეძლო და ათასობით სხვა ავადმყოფსაც უშველა.

დღეს ამ მეთოდს ვეგეტოსისლქარლოვანი დისტონიის, გულის იშემიური დაავადების, სტენოკარდიის, გულის უკმარისობის, ფილტვების დაავადების (ასთმა, ტუბერკულოზი, ბრონქიტი) გრიპის, ანგინისა და ზემო სასუნთქი გზების კატარის სამკურნალოდ გამოიყენებენ. „სწორი სუნთქვა“ პრაქტიკულად ყველა ორგანოს ფუნქციას აუმჯობესებს, იმუნიტეტსა და ფიზიკურ გამძლეობას ამაღლებს, ორგანიზმს აახალგაზრდავებს. ადამიანები სამფაზიანი სუნთქვის საშუალებით, სტრესებსა და გადაღლას ადვილად უშკლავდებიან. მათ არ იციან რა არის თავის ტკივილი და ყოველდღიურად ყელის ძლიერი დაძაბვის შემთხვევაშიც კი, ხმა არ ეკარგებათ.

ამ სისტემის შესწავლა დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს და არც ბევრი დრო სჭირდება. საათობით ვარჯიშების შესრულება აი იქნება საჭირო. „სწორად“ სუნთქვა პრაქტიკულად ყველგან შეიძლება და თან გარშემო მყოფთათვის აბსოლუტურად შეუმჩნეველი დარჩება.

სამფაზიანი სუნთქვას უკუჩვენება არ აქვს. ვარჯიშის დაწყება ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, ასაკისა და ავადმყოფობის მიუხედავად.

ერთადერთი, რაც მოგვეთხოვება, სუნთქვის პროცესის მიმართ ყურადღების კონცენტრირება და რეკომენდაციების სწორად შესრულებაა.

„სწორი სუნთქვის“ საბი საიღვრო

სხვა სახის სუნთქვისგან განსხვავებით სამფაზიანი სუნთქვის ამომაჯავლი ნერტილი ამოსუნთქვის ფაზაში მდგომარეობს. ის საზღვრავს სუნთქვის რითმს და ფილტვებში შემაჯავლი ჰაერის რაოდენობას. ამასთან, ამოსუნთქვისთანავე უნდა გაკეთდეს პაუზა და მხოლოდ ამის შემდეგ — ჩასუნთქვა. ასე რომ, მთელი სასუნთქი ციკლი 3 ფაზისგან შედგება:

ამოსუნთქვა; მცირე პაუზა — შესვენება; ცხვირით უხმაურო ჩასუნთქვა. გასათვალისწინებელია, რომ პაუზა მხოლოდ ამოსუნთქვის შემდეგ გაკეთდეს (და არავითარ შემთხვევაში ჩასუნთქვის შემდეგ). ადამიანისთვის სამფაზიანი სუნთქვა ყველაზე ბუნებრივი პროცესია. ამგვარად ვსუნთქავთ მშვიდ მდგომარეობაში და ძილის დროს. მთავარია, სუნთქვითი ციკლის სამივე ფაზის სწორი შესრულება.

პირველი საიღვრო: თავდაპირველად ამოსუნთქვაა საჭირო.

სუნთქვითი ვარჯიშების დროს ამოსუნთქვა მოკუმული ტუჩებით ხორციელდება. ჰაერი უნდა გამოდიოდეს წვრილი, თანაბარი ნაკადის სახით. ამის მიღწევა ოდნავ გახსნილი და მოკუმული ტუჩებითაა შესაძლებელი (იხე, რომ ტუჩებს შორის დარჩეს მხოლოდ ვიწრო ხვრელი). ჰაერი მშვიდად უნდა ამოისუნთქოთ 1-2 წამის განმავლობაში, თან არ მოდუნდეთ და ტუჩები და კბილები მაგრად არ მოუჭიროთ, რადგან ასეთ მდგომარეობაში ჰაერის ნაკადი პირიდან ერთნაირი ინტენსივობით არ გამოდის.

შემომხმეთ, სწორად ასრულებთ თუ არა ამოსუნთქვის ფაზას. ამისათვის, მაგიდაზე, სახიდან 15-20 სანტიმეტრის მოშორებით დადეთ ანთებული სანთელი და მის ალს შეუბერეთ: ის სანინაალმდეგო მხარეს უნდა გადაიხაროს, ასეთ პოზიციაში დარჩეს მთელი ამოსუნთქვის პერიოდში და არ უნდა იქანაოს.

ამოსუნთქვა არა მარტო თანაბარი, არამედ მკვრივი და ძლიერი უნდა იყოს. ამას მიაღწევთ, თუ წარმოიდგინთ, რომ ვინმეზე გაბრაზდით და ამ სიბრაზეს ამოსუნთქვით გამოხატავთ.

შეიძლება სხვა მაგალითის მოყვანაც. წარმოიდგინეთ, როგორ გამოდის ფეხბურთის ბურთიდან ჰაერი მისი დაჩუტვის დროს. თავდაპირველად ჰაერი თანაბარ, ძლიერ ნაკადად გამოვა, შემდეგ თანდათანობით შესუსტდება, ჰაერის ნაწილი კი საერთოდ არ გამოვა. ამოსუნთქვის დროს ყურადღება მიაცხიეთ, რომ პირიდან გამომაჯავლი ჰაერის ისეთი ნაკადი იყოს, როგორც ბურთიდან გამომაჯავლი ჰაერი, მისი დაჩუტვის დასაწყისში.

არავითარ შემთხვევაში არ ეცადოთ ფილტვებიდან ჰაერის მთლიანად „გამოქვება“: იქ მისი მოცულობის ნახევარი მინც უნდა დარჩეს (ასეა საჭირო შემდგომი, პაუზის ფაზის სწორი განხორციელებისთვის). თავდაპირველად ამოსუნთქვის სიძლიერე ტუჩების დაძაბვის ხარისხზე იქნება

დამოკიდებული. შემდგომში კი, სასუნთქი აპარატის განვითარებასთან ერთად, მუშაობაში ნეკნათუა, ზურგის, მხრის კუნთები და რაც მთავარია, დიაფრაგმა ჩაერთვება, მაგრამ ეს რამდენიმეთვიანი მუშაობის შედეგად მიიღწევა. გაუვარჯიშებელი სასუნთქი აპარატის სწრაფად აქტივიზება უბრალოდ შეუძლებელია.

მეორე საიღვრო: გააკეთე პაუზა! სუნთქვის ციკლის მეორე ფაზაა პაუზა ანუ სუნთქვის შეჩერება. ეს მეტად მნიშვნელოვანი ეტაპია, რადგან პაუზის შედეგად ჩასუნთქვის ბუნებრივი სურვილი ჩნდება. სწორედ პაუზა განსაზღვრავს ჩასუნთქვის დროს ფილტვებში შესასვლელი ჰაერის რაოდენობას.

პაუზის ხანგრძლივობა ორგანიზმის მდგომარეობასა და ფიზიკურ აქტიურობაზეა დამოკიდებული და სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა ხანგრძლივობის შეიძლება იყოს. ზოგჯერ კი შეიძლება არც არსებობდეს (მაგალითად, სირბილის დროს). ნებისმიერ შემთხვევაში სუნთქვის შეჩერება ბუნებრივად უნდა მოხდეს და დისკომფორტი, ჰაერის უკმარისობა არ უნდა გამოიწვიოს. ამიტომ პაუზის ძალით გახანგრძლივება არ შეიძლება. პირველ ხანებში პაუზის კონტროლირება იქნება საჭირო, მაგრამ 2-3 კვირიანი ვარჯიშის შემდეგ თქვენ მას ავტომატურად გააკეთებთ.

მესამე საიღვრო: ჩასუნთქვა მესამე ფაზაა ჩასუნთქვა, ანუ სუნთქვის გაგრძელება. ის ყოველთვის ცხვირით უნდა შესრულდეს, სწრაფად, უხმაუროდ და ყოველგვარი დაძაბვის გარეშე. ამის გაკეთება არ არის ძნელი, რადგან ჩასუნთქვის „კომენდანტი“ პაუზაა, რომელიც თავად გვიკარნახებს, თუ რამდენი ჰაერი უნდა ჩაუშვათ ფილტვებში.

ბევრი ადამიანი, როცა ეუბნებიან, „ღრმად ჩასუნთქეო“, ფილტვებში ჰაერის ძლიერ შესუნთქვას იწყებს. ამასთან, მკერდი და მხრები მაღლა ადის, ხოლო ცხვირის სასუნთქი გზები იხურება. ასე არასდროს მოიქცეოთ! თუ ღრმა ჩასუნთქვის გაკეთება საჭირო (მაგალითად, წყალში ჩახტომის ნიშ), თავდაპირველად მშვიდად და ნელა ამოისუნთქეთ, შემდეგ გააკეთეთ პაუზა და ფილტვებში თავისთავად, ყოველგვარი დაძაბვის გარეშე იმდენ ჰაერს შეუშვებთ, რამდენიც საჭიროა.

ახლა, როცა იცით, როგორ ამოისუნთქოთ, გააკეთეთ პაუზა და ჩასუნთქოთ, შეეცადეთ, სუნთქვის მთელი ციკლი ამ წესების მიხედვით შეასრულოთ. ეს საკმაოდ საპასუხისმგებლო მომენტია, რადგან სწორედ ამ წუთიდან იწყებთ „სწორ სუნთქვას“. ეცადეთ, სუნთქვის სამივე ფაზა შეიგრძნოთ. თქვენს მთავარ ამოცანას ყოველთვის, ნებისმიერ სიტუაციაში სამფაზიანი სუნთქვის შესრულება წარმოადგენს. ამის მიღწევა შესაძლებელია, თუ რეგულარულად, დღეში 3-4-ჯერ სპეციალურ, სუნთქვით ვარჯიშებს შეასრულებთ.

პარკიზი №1

უმჯობესია, პირველ ხანებში ეს ვარჯიში დამჯდარ ან დაწოლილ მდგომარეობაში შეასრულოთ. დროთა განმავლობაში კი



მის განხორციელებას ფეხზე დგომისა და სიარულის დროსაც შეძლებთ.

დაჯექით სკამზე ან სავარძელში, მოდუნდით. ზურგი გამართეთ, მხრები გაასწორეთ. ფეხები ოდნავ გაშალეთ, ხელები მუხლებზე დაინყვით. დანოლილ მდგომარეობაში ვარჯიში სრულდება ზურგზე, ფეხები შეტყუებული უნდა გქონდეთ, ხელები კი ტანის გასწვრივ.

ტუჩებს ისეთი მდებარეობა მიეცით, თითქოს თქვენი სახიდან 15-20 სმ-ის მოშორებით მდებარე, ანთებული სანთლის ჩაქრობას აპირებთ, მაგრამ წინ კი არ გამოსწიოთ ისინი, არამედ ოდნავ გახსენით და კბილებს არ მოაშორით. შემდეგ გამოეცით ბგერები „პფ-ფ-ფ“ („პ“ მხოლოდ ამოსუნთქვის დასაწყისში უნდა ისმოდეს). ამასთან, ტუჩები კბილებს უნდა ეკვროდეს და მცირედ დაძაბული გქონდეთ. ასე პირიდან ჰაერი მცირე ნაკადად გამოვა. ტუჩები არ მოადუნოთ, ლოყები არ გაბეროთ, ასე გამოსული ჰაერი იქნება უწყვეტი, მკვრივი და თანაბარი.

არავითარ შემთხვევაში არ ამოისუნთქოთ მთელი ჰაერი. როცა იგრძნობთ, რომ ფილტვებიდან ჰაერის მხოლოდ ნახევარი გამოვიდა, პირი დახურეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში პაუზას კარგად ვერ გააკეთებთ და ჩასუნთქვის ფაზაც არათანაბრად განხორციელდება. მოადუნეთ ტუჩები და მშვიდად დაელოდეთ, როდის მოგინდება ჩასუნთქვა. ამის შემდეგ ჰაერი ცხვირით ჩაისუნთქეთ. ეს ვარჯიში 3-4-ჯერ გაიმეორეთ.

პირველი 2-3 თვის განმავლობაში ვარჯიში დღეში 8-10-ჯერ შეასრულეთ, მისი ხანგრძლივობა 2 წუთს არ უნდა აღემატებოდეს.

ყურადღება!!! სამფაზიანი სუნთქვითი სისტემის შესრულების დროს არ შეიძლება გადაძაბვა და ფილტვების ჰაერით ძალით ავსება: ასეთ შემთხვევაში ვარჯიში ზიანის მომტანი იქნება.

პარჯიმი №2

დანეჭით ზურგზე, თავქვემ პატარა ბალიში დაიდეთ. ამ ვარჯიშის შესრულება სკამზე დამჯდარს (ამასთან უნდა მოდუნდეთ, თავი ოდნავ უკან გადაწიოთ, ხელები კი მუხლებზე დაინყვით) ან სავარძელში, ნახევრად მწოლიარე მდგომარეობაშიც შეგიძლიათ.

შეასრულეთ ვარჯიში №1, შემდეგ ტუჩები მიღისებურად მოკუმეთ, დაძაბეთ და წარმოთქვით შემდეგი ბგერები: „მუხ-ხ-ხ“. პირველი მარცვალი (მუ) უნდა იყოს მოკლე, შემდეგ ტუჩები მოადუნეთ და რაც შეიძლება დიდხანს (დისკომფორტის შექმნამდე) წარმოთქვით ბგერა „ხ-ხ-ხ“. ამას მოჰყვება ბუნებრივი პაუზა და შემდეგ ჩასუნთქვა.

ეს ვარჯიში ხშირად აკეთეთ.

პარჯიმი №3

ეს ვარჯიში მხოლოდ დამჯდარ მდგომარეობაში სრულდება. მაგრად დაკრიჭეთ კბილები, ტუჩები კი დიდზე გახსენით ისე, რომ კბილები კარგად გამოჩნდეს. წარმოიდგინეთ, რომ გაგაბრაზებს და ეს მაქსიმალურად დაბალი, მაგრამ გაბრაზებულად წარმოთქმული ბგერით — „ჟ-ჟ-ჟ“ გამოხატეთ. თუ იგრძნობთ, რომ თქვენ მიერ წარმოთქმული ბგერა „ჟ“ გულმკერდის რხევებთან რეზონანსში მოდის, ე.ი ვარჯიშს სწორად ასრულებთ.

ბიპური შხალოვახი:

1) ბგერა „ჟ“-ს არასწორად გამოცემთ, თუ ის ხან ძლიერდება, ხანაც სუსტდება. ამის მიზეზი ორი რამ შეიძლება იყოს: ან ბგერას ძალიან ხმამალა გამოსცემთ; ან თქვენ მოადუნეთ ტუჩები, ან კბილები ერთმანეთს დააშორეთ.

2) თუ ბგერა „ჟ“ გულმკერდის რხევებთან რეზონანსში არ მოდის, ამ შემთხვევაში ვარჯიში აზრს კარგავს. თუ ცხვირზე ხელის მოჭერისა და გახსნილი ნესტოების შემთხვევაში ბგერა „ჟ“ ერთნაირად ყლერს, მაშინ გულმკერდზე ხელის დადებისას ვიბრაციას შეიგრძნობთ.

სამფაზიანი სუნთქვა 2-3-კვირიანი, რეგულარული ვარჯიშის შემდეგ ჩვევად გადაგექცევათ. კარგად შეითვისეთ სამფაზიანი სუნთქვა თუ არა, შეგიძლიათ იოლად შეამოწმოთ. ხმამალა წარმოთქვით რამდენიმე წინადადება და თუ თქვენ ამ დროს ცხვირით სუნთქავთ, ე.ი. მიზანს მიაღწიეთ.

ყურადღება!!! თუ ამ ვარჯიშის დაწყებიდან პირველ ხანებში ჰაერის უკმარისობას შეიგრძნობთ, არ შეშინდეთ, ეს დროებითია და სასუნთქი აპარატის გაძლიერებასთან ერთად, დაახლოებით 4-6 მეცადინეობის შემდეგ გაგივლით. ■

თქვენი ოჯახის მკურნალი



ადამიანი



საბუნა ბახტურიძე

— ბატონო რამაზ, თქვენი ლექსები კრებულის სახითაც ხომ არ არის გამოცემული?

— ჩემი ახალგაზრდობის დროს ლექსების კრებულის გამოცემა არც ისე ადვილი იყო. მაშინ წერაზე შეყვარებული ახალგაზრდები — მე, ლაშა თაბუკაშვილი, მამუკა სალუქვაძე, ნინო რამიშვილი — პიონერთა სასახლეში ვიკრიბებოდით და ერთმანეთს საკუთარ შემოქმედებას ვუზიარებდით.

— ლექსები დღემდე შენახული გაქვთ?

— კი, სადღაც არის...

— ალბათ, მუზაც გყავდათ.

— რა თქმა უნდა, მყავდა და დღეს ის ჩემი მეუღლეა. ერთმანეთი რომ გავიცანით, ჯერ კიდევ მონაფეები ვიყავით და ლექსები გაცნობის პირველსავე დღეებში მივუძღვენი.

— ლექსებს ისიც წერდა?

— არა, ის ჩვენი, პოეტების ერთგული მსმენელი იყო და პიონერთა სასახლეში, სხვა გოგონებთან ერთად ხშირად მოდიოდა. მოკლედ, პოეზიაზე შეყვარებულ მანდილოსნებს ისე დავუმეგობრდით, რომ ექსკურსიაზეც მათთან ერთად დავდიოდით.

— რატომ დაანებეთ თავი ლექსების წერას?

— სხვათა შორის, კარგა ხანს მე-

პოლიტიკოსად ქცეული ფსიქოლოგის აღიარება

„სტუდენტობისას ჰიპნოზითას ვიყავი დაკავებული...“

საზოგადოება მას პოლიტიკური ექსპერტის სტატუსით იცნობს. პროფესიით ფსიქოლოგი რამდენიმე წლის წინ პარლამენტის წევრიც იყო და პრეზიდენტის მრჩეველიც, მაგრამ ამბობს, რომ მისი ცხოვრება გაცილებით საინტერესო მაშინ გახლდათ, როდესაც მხოლოდ ლექსების წერითა და ხატვით იყო დაკავებული. რამაზ საჩხარაძემ ჯერ კიდევ 11 წლის ყოფილა, პირველი ლექსი რომ დაუწერია — სამშობლოზე, ყაყაჩოებსა და ქართველი გმირების დაღვრილ სისხლზე... საკუთარი მამის, ცნობილი მსახიობის — ტარიელ საყვარელიძის შემოქმედებით მოხბულულს, ერთ დროს რეჟისორობაც ნდომებია, მაგრამ აზრი ისევ მშობლის რჩევით შეუცვლია და არქიტექტორობაზე დაუწყო ფიქრი, თუმცა გამოცდებამდე რამდენიმე თვით ადრე მოსაზრება შეუცვლია და ფილოლოგიურზე ჩაუბარებია. ოჯახს მისთვის ამჯერადაც დაუჭერია მხარი, მაგრამ მესამე კურსის დასრულების შემდეგ, როცა ეს ფაკულტეტიც მიუტოვებია და ფილოსოფიის შესწავლა დაუწყო, უთქვამთ, — შენ პროფესიით მოხეტიალე ხარ და ჩვენი იმედი აღარ გქონდეს...

გონა, რომ ჩემი მონოდება ლექსების წერა იყო და იმასაც ვფიქრობდი, რომ ფსიქოლოგიის შესწავლა წერაში არ შემიშლიდა ხელს, მაგრამ შევცდი — გონებამ როგორც კი ფსიქოლოგიაზე დაიწყო ფიქრი, მუზა მაშინვე გაქრა. როგორც ჩანს, მეცნიერული და პოეტური აზროვნება ერთად ვერ „ძივს“.

— მშობლებმა რეჟისორობა რატომ გადაგაფიქრებინეს?

— როდესაც ლექსს წერ ან მოღბერტზე ხატავ, წარმატებაც და წარუმატებლობაც მხოლოდ შენზეა დამოკიდებული, თეატრში კი გჯუფური სამუშაოა ანუ რეჟისორის წარმატება უმეტესწილად, მსახიობებზეა დამოკიდებული. თეატრი ძალიან მიყვარდა. გოგოლა ლაფერაძის გიასთან, ელენე ყიფშიძის ზურასთან, მედეა ჯაფარიძის ლაშასთან და ტრიპოლსკის ბიჭებთან ერთად, ბავშვობა კულისებში გავატარე. და კიდევ, ერთ-ერთი გასტროლის დროს „ურიელ აკოსტა“ თხუთმეტჯერ მაინც ვნახე. სპექტაკლის ყურება არასდროს მბუზრდებოდა, მაგრამ ვფიქრობ, მამა

მართალი იყო, როდესაც მირჩია, რეჟისორობაზე უარი მეთქვა.

— როგორ ფიქრობთ, მამას ჰგავხართ?

— მშობლებს ისე არ ვგავდი, როგორც მინდოდა. მაგალითად, დედა საოცრად შრომისმოყვარე იყო, მამა — კონტაქტური...

— რას ამბობთ, ბატონო რამაზ, კონტაქტური ნამდვილად ხართ, თქვენთან ურთიერთობა ძალიან სასიამოვნოა.

— (იცინის) მამა უფრო მაგარი იყო! თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ მას საერთოდ არ ვგავარ. სხვათა შორის, გარკვეულწილად, არტისტული ნიჭიც მაქვს, რაც საჯარო გამოსვლების დროს ძალიან გამომადა. ისე, ყმანვილკაცობისას ვერც წარმოვიდგენდი, თუ პოლიტიკური მოღვაწეობა მომიწევდა. ამ სფეროში თქვენ, ჟურნალისტებმა და პოლიტიკოსებმა ჩამითრეით.

— ეს როგორ?

— გიამბობთ. ფსიქოლოგი პროფესიულ საკვებს იმ ადგილას პოულობს, სადაც ადამიანები მათთვის



უჩვეულო სიტუაციაში ხვდებიან და ისეთ თვისებებს ავლენენ, რომელთა არსებობის შესახებ არათუ სხვებმა, თავადაც კი არ იციან. ასეთი უჩვეულო სიტუაცია ჩვენს ქვეყანაში 90-იან წლებში ანუ მაშინ დადგა, როდესაც ქართველებმა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა დაიწყეს. ჰოდა, გავიგებდი თუ არა, რომ სადმე მიტინგი იმართებოდა, მაშინვე იქ „დავერჭობოდი“ და მიმდინარე პროცესებთან ერთად, აქციის მონაწილეთა სახეებს ვაკვირდებოდი. შენმა კოლეგებმა პირველად სწორედ მაშინ მიამბოვნენ, პოლიტიკური მოვლენები ფსიქოლოგის თვალთ შემეფასებინა, მოგვიანებით კი ჩემით პოლიტიკოსებზე დაინტერესდნენ და როგორც „ქართია-91“ წევრი, პარლამენტში აღმოვჩნდი, ბოლოს კი შევარდნაძის პრესმდივანიც გავხდი... მოგვიანებით, გენეტიკამ თავისი ქნა და მივხედა, რომ პოლიტიკა ჩემი საქმე არ იყო.

— რატომ, წარმატებას ხომ სწორედ არტისტული ხასიათის პოლიტიკოსები აღწევენ?

— კი, მაგრამ პოლიტიკა ყველაზე რთული სცენაა. იმისთვის, რომ წარმატებული პოლიტიკოსი იყო, მხოლოდ არტისტული ხასიათი არ კმარა, მიზნის მისაღწევად არაკეთილშობილური ნაბიჯების გადადგმაც უნდა შეგეძლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, რიგითი პოლიტიკოსი ანუ სხვისი დავალების შემსრულებელი იქნები.

— თქვენ არაკეთილშობილური ნაბიჯის გადადგმა არ გინდოდათ თუ სხვისი დავალების შესრულება?

— არც ერთი მინდოდა და არც — მეორე.

— თქვენ აღნიშნეთ, რომ საპროტესტო აქციებზე მომიტინგეთა სახეებს აკვირდებოდით. თქვენთვის, როგორც ფსიქოლოგისთვის, რომელი პოლიტიკური დავალებების მომხრეები უფრო საინტერესო იყვნენ?

— იმ პერიოდში ძირითადად, ორი მხარე აქტიურობდა — ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები და კომუნისტები. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ძალზე საინტერესო იყო კომუნისტების რეაქცია „ეროვნულების“ მიერ გადადგმულ ამა თუ იმ ნაბიჯზე. კომუნისტები, რომლებმაც პრადას და ბუდაპეშტს ტანკებით გადაუარეს, თბილისში, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლების მიმართ ძალზე მორიდებულები და ზრდილობიანები იყვნენ.

— როგორ ფიქრობთ, ამის მიზეზი რა იყო?

— სწორედ ეს მიზეზი იყო ჩემი ინტერესის საგანი: როდესაც ადამიანი რაღაც ახალს, მისთვის უჩვეულოს აკეთებს, ეს იმაზე მეტყველებს, რომ მას რაღაც აქვს ჩაფიქრებული. ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები უჩვეულოს არაფერს აკეთებდნენ, მაგრამ კრემლის კონტროლის ქვეშ მყოფი კომუნისტების საქციელი, როდესაც ისინი „ეროვნულებს“ ეუბნებოდნენ, — თქვენი კარგად გვესმის, ჩვენც პატრიოტები ვართო, — უდავოდ, უჩვეულო იყო. იმ პერიოდში, როგორც ფსიქოლოგიური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისითაც, კიდევ ერთი ძალზე საინტერესო რამ მოხდა: ალბათ იცით, რომ 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ თბილისში შეიქმნა კომისია, რომლის წევრებმაც მაღალი თანამდებობის პირები დაჰკითხეს. საზოგადოებაში მალევე გავრცელდა დაკითხვის ვიდეოჩანაწერები. ერთ-ერთი ჩანაწერში, საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირი (სახელსა და გვარს ვერ დავასახელებ) ამბობს, რომ კრემლის მითითებით ცდილობდა, დაებლოკა ისეთი ზომიერი ორიენტაციის პოლიტიკური მოძრაობები, როგორც „რუსთაველის ორგანიზაცია“ ან „სახალხო ფრონტი“, სამაგიეროდ, მწვანე გზა უნდა გაეხსნა რადიკალებისთვის. თუ ამ ამბავს კომუნისტების „ზრდილობიან“, „მორიდებულ“ ადამიანებად გადაქცევის ფაქტთან დავაკავშირებთ და იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ზვიად გამსახურდიამ არჩევნებზე გაცილებით მეტი ხმა მიიღო, ვიდრე თავად ელოდა და ის ხელისუფლების გადასაბარებლად მზად არ აღმოჩნდა, ყველა მიხვდება, რაც მოხდა.

— თქვენ საუბრიდან გამომდინარე, რაღაც ვერსია უკვე მაქვს, მაგრამ იქნებ, დაგვიკონკრეტოთ, რა მოხდა?

— აუცილებლად დავაკონკრეტებ

ერთი საინტერესო ამბის საშუალებით: 70-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირის არმია ნელა-ნელა, ისლამური ხდებოდა. ამის მიზეზი დემოგრაფიული საკითხი გახლდათ ანუ თუ რუსები, ხშირ შემთხვევაში, ერთ შვილს სჯერდებოდნენ, მუსლიმანებს შორის საკმაოდ ბევრი იყო 11-შვილიანი ოჯახი. მოსკოვში 70-იან წლებშივე გამოქვეყნდა ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც ეწერა: თუ ამ მხრივ არაფერი შეიცვლება, რუსულ არმიას გენერალიტეტის უმაღლესი შემადგენლობა მუსლიმანური გახდება. ასე რომ მოხდარიყო, საბჭოთა კავშირი ავტომატურად გადავიდოდა მუსლიმანური რესპუბლიკების ხელში, რუსეთი კი ერთ-ერთ რიგით ქვეყნად იქცეოდა. ჰოდა, ამის თავიდან ასაცილებლად, საბჭოთა კავშირის დაშლა გახდა აუცილებელი.

— გინდათ თქვათ, რომ საბჭოთა კავშირი თავად მოსკოვმა დაშალა და არა ვაშინგტონმა?

— რა თქმა უნდა, ეკონომიკური კრიზისის მომწინებებს ამერიკამაც შეუწყო ხელი, მაგრამ ეს ისეთი კრიზისი არ იყო, რომელსაც საბჭოთა კავშირი ვერ გაუძლებდა (შეგახსენებთ, რომ რუს პოლიტიკოსებს, ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით, არაერთი ქალაქია თუ სოფლის მოსახლეობა ამოუწყვეტიათ შიმშილით). ვფიქრობ, რომ ამერიკაზე მეტად, მოსკოვი რუსულ არმიას მუსლიმანების მომრავლებამ და მოძლიერებამ შეამინა.

— ფსიქოლოგიურად რით ახსნით იმ ფაქტს, რომ რუსულ არმიას კარგიერის აწყობას მუსლიმანები ცდილობდნენ, ქართველები კი, რომლებიც ისტორიულად საუკეთესო მებრძოლებად მიიჩნეოდნენ, სამხედრო სავალდებულო სამსახურს თავს არიდებდნენ? ალბათ დამეთანხმებით, რომ ამ მიზნით ქართველები თეთრ ბილეთსაც იღებდნენ.

— ამაშიც დაგეთანხმებით და იმასაც შეგახსენებთ, რომ დავით აღმაშენებელმა, დიდგორის ომის წინ, „ზურგი“ ჩახერგა. მერწმუნეთ, მთავარსარდალი, რომელიც ფიქრობს, რომ ჯარი არ გაექცევა, ამას არ გააკეთებს. აქედან დასკვნა: ქართველებისთვის ბრძოლისთვის თავის არიდების მცდელობა უცხო არ არის. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ სწორედ ქართველებს შეუძლიათ, უპრეცედენტო და უმაგალითო გმირობის ჩადენა. როდესაც ქართველი ასეთი არჩევანის წინაშე დგას: ან თავის უაზროდ განირვა ან



არტისტული ნიჭი მაქვს, რაც საჯარო გამოსვლების დროს ძალიან გამომადგა



არსებულ სიტუაციასთან შეგუება, აუცილებლად, მეორეს აირჩევს. არ იფიქროთ, რომ ეს ცუდი თვისებაა, პირიქით — ისეთი პატარა ვრი, როგორც საქართველოა, სწორედ ამ მეთოდის წყალობით არ ქრება, უაზროდ არ კვდება.

— კი, მაგრამ საქართველოს ისტორიაში ხომ უხვადაა ისეთი ფაქტი, როცა ქართველები თავს უაზროდ სწირავდნენ?

— არა, ქართველს თავი უაზროდ არასდროს გაუწირავს, აი, სახელისთვის კი — რამდენჯერაც გნებავთ. „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა“, — მერწმუნეთ, რუსთაველს ეს ტყუილად არ უთქვამს. თუ ქართველს დაარწმუნებ, რომ ბრძოლა გამარჯვებას თუ არა, სახელს მაინც მოუტანს, ისეთ გმირობას ჩაიდენს, მსოფლიოს გააოცებს, მაგრამ თავს საზარბაზნე ხორცად არ გამოგაყენებინებს. ხომ გახსოვთ, აფხაზეთის ომის დროს, ტამიშთან, რა უქნეს ქართველებმა რუსებს, თანაც — შიმშველი ხელებით (ნორმალური იარაღი მათ არ ჰქონდათ და ტექნიკა)?! იმასაც შეგახსენებთ, რომ რუსეთის ისტორიაში საუკეთესო გენერალი პეტრე ბაგრატიონი იყო. ერთი სიტყვით, ქართველებს მხედრული ნიჭი ბუნებრივად აქვთ, მაგრამ ბრძოლას ნებისმიერ დროს მოინდომებენ თუ არა, ეს სხვა საკითხია.

— ბატონო რამაზ, თქვენი პროფესია ანუ ადამიანებზე ფსიქოლოგიური ზეწოლის ნიჭი პოლიტიკური მოღვაწეობის დროს არ გამოგიყენებიათ?

— მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტობისას ჰიპნოზითაც ვიყავი დაკავებული და ისეთი რალაცებიც ვიცი, რაზეც ბევრ ჩემს კოლეგას წარმოდგენაც არა აქვს, ეს ცოდნა პოლიტიკაში არასდროს გამომიყენებია. საინტერესოა, მოგინდებათ საყვარელ ადამიანთან ცხოვრება, თუკი გეცოდინებათ, რომ მის მოსახიბლავად ჰიპნოზი გამოიყენეთ ან მასზე ფსიქოლოგიურად იმოქმედეთ? ამ ცოდნის გამოყენებით სიამოვნებას მხოლოდ მაშინ იღებ, როდესაც ადამიანს დაავადებისგან განკურნებაში ეხმარები.

— ერთხელ მაინც არ გაგჩენიათ სურვილი, რომ თქვენი ცოდნა ედუარდ შევარდნაძეზე, მასთან პრესმდივანად მუშაობის დროს გამოგეყენებინათ?

— არ მეგულება ადამიანი, ვინც შევარდნაძეზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას მოახდენს, რადგან მას თავად აქვს ამის ნიჭი, თანაც — ბუნებრივად. საჯარო გამოსვლებისას ქარიზმატული არ იყო, მაგრამ კაბინეტში ყოფნისას სხვებზე აშკარა ფსიქოლო-

გიურ ზეგავლენას ახდენდა, მასთან კამათი თითქმის შეუძლებელი იყო. მახსოვს, რეზო შავიშვილი ჩიოდა, — სულ არ ვაპირებდი, კონტროლის პალატის ხელმძღვანელის პოსტზე დავთანხმებულიყავი, მაგრამ უარის თქმა ვერ მოვახერხეო. სხვათა შორის, არც მე მინდოდა მისი პრესმდივანობა, მაგრამ უარი ვერ ვუთხარი.

— ეი. შევარდნაძე ცრუობს, როდესაც ამბობს, — აფხაზეთის ომის დროს ელცინმა და არძინბამ ქართული არმია მოტყუებით განმაიარალებინესო?

— არა მგონია, ცრუობდეს. სხვათა შორის, ის ერთდროულად პრაგმატულიც იყო და რომანტიკოსიც; შეცდომას სწორედ მაშინ უშვებდა, როდესაც პრაგმატიზმზე ამბობდა უარს. შევარდნაძე რომანტიკული იყო, როდესაც ფიქრობდა, რომ აფხაზეთის ომში მის დასახმარებლად დასავლეთი რაიმე ნაბიჯს გადადგამდა, რომ საქართველოს ნეიტრალურ ქვეყნად აქცევდა; რომანტიკული იყო მაშინაც, როცა ეგონა, რომ კიტოვანი რუსეთისთვის არ იმუშავებდა...

— თუ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა თქვენი პოლიტიკური პროგნოზი არ გამართლებულა?

— კი, იყო ასეთი შემთხვევა და ეს მწარედ მახსოვს. პროგნოზს ყოველთვის რაღაც ლოგიკაზე დაყრდნობით ვაკეთებ, მაგრამ ვერანაირი ლოგიკა ვერ მოვუძებნე ამერიკის მხრიდან „ვარდების რევოლუციის“ მხარდაჭერას და ხელისუფლებიდან შევარდნაძის ჩამოცილების სურვილს. ვფიქრობდი, რომ ამერიკას შევარდნაძის პრეზიდენტობა აწყობდა, რადგან ამ ადამიანს რუსეთისკენ მიმავალი გზა მოჭრილი ჰქონდა და მხოლოდ ამერიკის ინტერესების მიხედვით ითამაშებდა. ის აღარ გავითვალისწინე, რომ შესაძლოა, რუსეთი და ამერიკა შეთანხმებულიყვნენ.

— თქვენს უმთავრეს შეცდომად რას მიიჩნევთ?

— იმას, რომ ჩემს ერთადერთ ქალიშვილს მეტი დრო არ დავუთმე და მასთან ურთიერთობისას მენტორის როლს ვთამაშობდი. დღევანდელი გადმოსახედიდან ვფიქრობ, რომ სჯობდა, ქალიშვილისთვის მეგობარიც ვყოფილიყავი.

— თქვენგან სიურპრიზს კიდეც ხომ არ უნდა ველოდოთ ანუ პროფესიის შეცვლას ისევ ხომ არ აპირებთ?

— სხვათა შორის, ეს გამოორიცილებული არ არის. მე ფსიქოლოგი ანუ ნახევრად ექიმი ვარ და ისეთ სფეროში ვმუშაობ, რომ შესაძლოა, მიმართულება იოლად შევიცვალო.

მარი ჯაფარიძე

სრულიად შემთხვევით, ხელში ჩამივარდა გაყვითლებული ფურცლები, რომელიც უემოციოდ ვერ წავიკითხე. ეს გასლავთ შეყვარებული ქალის მიერ გასული საუკუნის 40-50-იან წლებში დაწერილი ფრცული ბარათი. თურმე ეს ქალბატონი უპასუხო სიყვარულზე დარდმა დაასწულა და გარდაიცვალა. მას სიკვდილის წინ, საყვარელი მამაკაცისთვის მიუწერია ბარათი და თავს უფლებას ვერ მივცემ, მასში თუნდაც მცირედი ცვლილება შევიტანო. წერილი აკროსტიქით იწყება — ლექსის თითოეული ტაეპის სანწყისი ასოებისგან ანგლინას სათაყვანებელი მამაკაცის სახელი და გვარი იკითხება (სტილი დაცულია):

„ფინვი, სული მესუთება, აღარა მაქვს მოსვენება, წახვა მინდა შენი ერთი, იქნებ ამით ვიგრძნო შევა, ჩქარობს გული, უნდა, განახოს, ქრება ჩემთვის ყველაფერი, აღარ ვიცი, რა ვიღონო, სადა წავიდე, უბედური. უბედური შენ გეძახი, რა-ათ არ გესმის, ჩემია, გული ტოკავს, გრძნობა ხელობს, უშენობა ძნელია. ლალობ ქვეყნად, ბედნიერი, არ გასურს ერთხელ მაინც მნახო, ძ-გრეს ეს გული, გრძნობით საგსე, ერთხელ სადღაც დაგინახო. ს-ული იწვის, იწვის გული, გული ჩემი მგზნებარე, ს-ად წავიდე, ვის მივმართო, სად მენება შევა მე. ა-ლი ცეცხლის, გულს მეღება, ხ-ელობს გრძნობა და გიჟდება, ს-ული, შენგან დაჩაგრული, ო-ხ, რარაგად იტანჯება, ვანტრობ, მხოლოდ ერთხელ განახო, რ-ად გაქვს აგრე გული ცივი, ა-მისრულე ერთი ნაჭვრა, დ-ამაჲმე გულის წყალუღი.

და ეხლა გრძნობს უბედური, სევდით სავსე ჩემი გული, რომ საფლავში თან ჩამყვება, მხოლოდ შენი სიყვარული.

გესაუბრები ფიქრით მეტს, ვიდრე წერილით გადმოგცემ, მაგრამ ეხლა ყველაფერი გვიანია. დამრჩენია სულ რამოდენიმე დღე სიცოცხლე. ოხ, როგორ მინდა, უკანასკნელად განახო...

ჩემი სიცოცხლის უამი მიწურა, მხოლოდ ნალვლიანი მოგონებები შემოიჩა სსოვნას. ვიგრძნობ ბახმაროს, გამსაკუთრებით ერთი დღის შემთხვევას.

გამოვედი ბინიდან იმ ფიქრით, რომ შენ მენახე, გამოვიარე ბაზარი, მოვედი მოედანზე, თვლები შენ გეძებდა, ამისთა ოცნება, მოედანზე გაზეთის ჯიხურთან იყავი ჩემსკენ ზურგით. გული მიცემდა, ვიფიქრე, თუ ვერ დამინახე და ისე წახვედი. გამბედაობა არ მყოფინდა, რომ მოკსულეყავი შენთან, მეთქვა სალამი. გული ტოკავდა. ნაბიჯს ვუკელი. ვიფიქრე, იქნებ მოიხედოს-თქო და ასეც მოხდა, შემთხვევით შენ მოიხედე, დამინახე, მომესალამე, ოხ... როგორი ბედნიერი ვიყავი, ამის გადმოცემა არ შემოძლია. ოცნებით ჩემთვის უცხო სამყაროში დავქროდი, თითქოს სიხარულის დაუღვეველი წყარო იყო ჩემს არსებაში, მაგრამ ეს ჩემი ბედნიერება ნუთიერე გამოდგა. ამ დროს ვილაც კაცი გამაცანი, ჩვენ დაგვტოვე და შენ წადი. როგორი იქნებოდა ეს ჩემთვის... დაგ-



ასე უყვარდათ წინათ...



ავადმყოფობა მოვიმიზეზე, ლოგინში ჩაეწევი, რომ დამეფარა უბედურ დედისთვის ჩემი ნაღვლიანი სახე

ინახე, იქვე, ახლოს, მოედანზე იყავი... მინდოდა, მოესულიყავი შენთან, ის კაცი არ მშორდებოდა. შემდეგ მოვიმიზეზე სახლში წასვლა. არც მაშინ მომეშვა, „უნდა გაგაცილოო“. მე იძულებული გავხდი, რომ მისთვის გამეცნო ჩემი ამხანაგი ქალი და ისინი დამეტოვებინა. დავტოვე ისინი, მე წავედი. სად წავსულიყავი, არ ვიცოდი, ქვეყანა ვინრო მჩვენა, მეძახთენ, არ მესმოდა, მეკითხებოდნენ, მუნჯი ვიყავი.

გულდანყვეტილი, სასომისთილი, გაოგნებული, თვალცრემლიანი, ბედის მორჩილი ნავედი ბინაზე.

ავადმყოფობა მოვიმიზეზე, ლოგინში ჩაეწევი, რომ დამეფარა უბედურ დედისთვის ჩემი ნაღვლიანი სახე და ცრემლიანი თვალეები. ის საღამო და ღამეც სიყვარულის ბურანში გავატარე. განა ის ღამე? მრავალი ღამეები უძილო და მტირალი, შენ კი გულდამშვიდებული იყავი. ვიგონებ გენიოსი შოთას სიტყვებს:



იძულებული გახვითი, რომ მისთვის გამეცნო ჩემი ამხანაგი ქალი და ისინი დამეტოვებინა

„თუმცა მართებს დედაკაცსა მამაკაცის დიდი კრძალვა, მაგრამ მეტი უარეა არა თქმა და ჭირთა მალვა“.

ბინაზე არ უნდა წავსულიყავი, უნდა მყოფონდა გამბედაობა, მოესულიყავი შენთან, დავმჯდარიყავი შენს გვერდით, მეგრძნობინებინა ჩემი გულისტკივილი, მაგრამ... ერთხელ გზაში მიმატოვე. ასე მითხარი, „ნადი მე შენ არ გაცილებ“. მე სიყვარულით ვიყავი გაბრუებული და ვერ გავრკვეულიყავი, რა იყო ამის მიზეზი. მე გადალლილი ვიყავი შენზე ფიქრით და არ მქონდა სალი აზროვნების უნარი. ბოლოს ვცთილობდი დამევიწყებინე, მაგრამ ეს გვიანი იყო. ჩემ გულში შენს სიყვარულს ღრმად ჰქონდა ფესვები გაბმული ისე, როგორც ასწლოვან მუხას და ჩემს ძალას აღემატებოდა ამ ფესვების მოსპობა, გულის განშენდა და შენი დავიწყება.

არ ვიცი ახლა ამას რატომ გწერ, რა საჭიროა, მაგრამ ვგრძნობ, ჩემი უშინაარსო, განამებული და გაუბედურებული სიცოცხლის დასასრულს.

გთხოვ, გთხოვ და კიდევ გთხოვ, უკანასკნელათ მოდი და მნახე. ვფიქრობ, თუ რამე ტანჯვა-მწუხარება მინახავს ჩემს ცხოვრებაში, ყველას დამავიწყებს შენი ერთი საათით ნახვა. თუგინდ 10 წუთი იყოს და მე წავალ ამ ქვეყნიდან დამშვიდებული. ნუ დამამადალი. ისეთს არაფერს გთხოვ, რომ შეუძლებელი იყოს, ჩემთვის კი ყველაფერია.

ბოდიში, გწერ აბდაუბდას, მაგრამ მე წარსულის მოგონებით ვსულდგმულვობ. წლებს განმავლობაში მარტო ცხოვრებამ მიმაჩვია ჩემი დარდის გულში შენახვას, ვიყო თავისთვის და ვცთილობდი არავინ შემეწუხებინა, მაგრამ დღეს სულ სხვა ხასიათზე ვარ. ხომ ხედავ, რას მოვიტხოვ. განუხებ. ვიცი ეს შენთვის დიდ სიძნელეს წარმოადგენს, მაგრამ გთხოვ, გეხვეწები, გადალახე ყოველივე დაბრკოლება და უკანასკნელათ მნახე.

შენ წერილებს დღიურის სახით ყოველდღე ვსწერ და შემდეგ ჰხვებ, ალბათ ამასაც ეს ბედი ელის, მე ამით ვირთობ თავს. წარსულის მოგონებით ვსულდგმულვობ და შენი წერილების წერით მიმყავს დრო. შენი მოგონებით და შენზე ფიქრით ვერთობი. ალბათ ეს წერილიც როგორც სხვა დანარჩენი, დარჩება ჩემთან და ბოლოს ცეცხლი ფერფლად აქცევს.

ოხ, როგორ მინდა ერთხელ, ერთხელ გნახო უკანასკნელათ. აი ჩემი უკანასკნელი ნატვრა, მაგრამ ეს წერილი შენამდე არ მოაღწევს, ისე, როგორც სხვა დანარჩენი წერილები. რომც მოაღწიოს, მაინც...

როდესაც მაროს შენი

წერილი წავაკითხე, მან რამოდენიმეჯერ წაიკითხა და ბოლოს ასე თქვა: არსად არ წერია ცოლად შეგირთავო. შენ რომ გცოდნოდა, ეს სიტყვა ჩემთვის ნათქვამი ჰქონდა, დარწმუნებული ვარ, ჩემდამი დამოკიდებულებას ასე არ მოინწერდი. შეგეძლო, ეს ყველაფერი სხვა სიტყვით გამოგეტყვა. შენი წერილი რომ მივიღე და განმეორდა ეს თავზარდამცემი სიტყვა შენგან, მას შემდეგ ჩემი ჯანმრთელობა შეირყა, ვცადე თავის სიკვდილი, რის გამოც საზუამოდ ინვალიდი დავრჩი; მიზანს მაინც ვერ მივაღწიე, არც სიცოცხლის ვარ და არც სიკვდილის.

„ოხ... ღმერთო ჩემო, რატომ დამტანჯე, მე ვინც მალაღატობს, რომ იგი მიყვარს, ჩემში არასდროს ვკვება წარსული, ისევე და ისევე ცოცხლობს და მასხოვს“.

ითვლება თუ არა ის ოჯახი ბედნიერად, სადაც ცოლს ქმარი არ უყვარს? ამ შემთხვევაში ცოლი უბედურია, ქმარიც უბედურია. ცოლი ცხოვრობს უსიხარულოთ და უსიყვარულოთ, ამ დანაკლისს ცოლი ჩაცმა-დახურვით იტყებს.

ერთხელ ნუნუ მეუბნება, შენი წერილ-



ოხ, როგორ მინდა ერთხელ, ერთხელ გნახო უკანასკნელათ. აი ჩემი უკანასკნელი ნატვრა

იאו და ირონიულათ იცინის. ცუდათ მენიშნა, მოვთხოვე წერილი და მითხრა, ჩემთან არ არისო. დავბრუნდი სახლში. მეორე დღეს ვლებულობ შენს წერილს ღიათ, უკონვერტოთ. ასე რომ, ჩემთან მოსვლამდის რამოდენიმეს ხელში გამოიარა და შინაარსი ჩემს წავიკითხვამდე თითქმის ყველამ იცოდა. რა იქნებოდა წერილი ფოსტით გამოგეტყავნა.

„ცა იცრემლება წვიმით, გული დაბურა ნისლმა და მოლოდინი შენი ვერ აიტანა გულმა. ზეცას ცვარნამსა შევთხოვდი, მზეს სხივებს ვევედრებოდი, აღარ მისმინა არც ერთმა, არ მომცა, რასაც მე ვთხოვდი. დამჩაგრა მე...“

ჯანი გამიხთა დალილი გულს მიკლავს ჩემი სიცოცხლე, ასე ამგვარად ნაშლილი“.

მარტოობა ფიქრისა, ოცნების მეტ გასაქანს მაძლევს, დარდს მიქარავს და შვებას ვნახულობ. ანო“.



საქართველოში ასრულებული ოცნება ანუ თურქი დიჯაის ბათუმური ცხოვრება

22 წლის ოზბურ ბი თურქეთიდან საქართველოში მეგობრებთან ერთად, სასწავლებლად ჩამოვიდა. ასლა იგი ბათუმის საზღვაო აკადემიაში სწავლობს, პარალელურად კი ერთ-ერთ დისკოთეკაზე დიჯეიდ მუშაობს. იმის გასარკვევად, თუ რატომ გადაწყვიტა, სწავლა მაინცდამაინც საქართველოში გაეგრძელებინა, მასთან ინტერვიუს ჩანერა განვიზრახე, მაგრამ ვინაიდან ოზგურმა არც ინგლისური იცის გამართულად, არც — რუსული და ქართულადაც გაჭირვებით ლაპარაკობს, თარჯიმანს დავუწყე ძებნა; ვიპოვე კიდეც, მაგრამ ინტერვიუს დროს მას რაღაც საქმე გამოუჩნდა, ბოდიში მოგვისადა და მე და ჩემი რესპონდენტი მარტო დავგეტოვა. ჰოდა, თავადაც მიხვდებით, რა დღეშიც ჩავცვივდებოდით...

ელენე ბასილიაძე

ალბათ ჩვენი ინტერვიუ ჩაიშლებოდა, რომ არა ერთი ლეთისნიერი ადამიანი — ლაშა ანთაძე, რესტორან „ბაკურიანის“ მენეჯერი, რომელსაც ჩვენი საცოდაობის ყურებისას გულმა ვერ გაუძლო და თარჯიმნობაზე დაგვთანხმდა.

ოზბურ ბი

— ქალაქ ტრაპიზონიდან ვარ. ბათუმში საზღვაო აკადემიის მეორე კურსზე ვსწავლობ. ჰოდა, როცა სასწავლებელს დავამთავრებ და კაპიტანი გავხდები, მერე ჩემი გემითაც გაგასეირნებ (იცინის).

— იმედია. გემის კაპიტნობაზე ბავშვობიდან ოცნებობ?

— კი, მეზღვაურობა ჩემი ბავშვობის ოცნებაა. ვფიქრობდი, — როცა დიდი გავიზრდები, გემის კაპიტანი ვიქნები-მეთქი და ამ ოცნების ასასრულებლად საქართველოში ჩამოვედი.

— რატომ მაინცდამაინც საქართველოში?

— საქართველო მაგარი ქვეყანაა. თან — აქ სწავლა უფრო იოლი და იაფია... სხვათა შორის, აქაურობა ჩამოსვლისთანავე მომეჩონა. ნუთუ შეიძლება, ბათუმში ცხოვრობდე და ეს ქალაქი არ გიყვარდეს?! თანაც, მე და ჩემი მეგო-

ბრები აქ უფრო თავისუფლად ვგრძნობთ თავს, მეტად გახსნილები ვართ, თურქეთში კი ოჯახის წევრები გვაკონტროლებდნენ, თუ შინ გვიან მივიდოდით, ასსნა-განმარტებების მიცემა გვინევდა: სად ვიყავით? როგორ? რატომ? ვისთან ერთად?... საქართველოში კი არავინ არაფერს გვიშლის, ვმუშაობთ, ვსწავლობთ და ახალგაზრდობას ვირგებთ (იცინის). ყველა ამ სიკეთესთან ერთად, თურქეთისგან განსხვავებით, საქართველოში კრიმინალური შემთხვევა იშვიათად ხდება და თავს დაცულად ვგრძნობ, აქ არაფრის მეშინია.

— მშობლებმა უცხო ქვეყანაში როგორ გამოგიშვეს?

— მათგან პრობლემა არ შემქმნია. იციან, რომ აქ ვსწავლობ და მიზნის მიღწევაში თავადაც მინცობენ ხელს... ჩემი სამუშაო და სასწავლებელი ძალიან მიყვარს. რაც შეეხება ქართველების ჩემდამი დამოკიდებულებას, ვერ ვიტყვი, რომ უარყოფითად არიან განწყობილები; რაც მთავარია, ისე კი არ მიყურებენ, როგორც ვიღაც გადამითელ თურქს, არამედ — როგორც ადამიანს. სხვათა შორის, ბევრ ქართველთან მეგობრობაც მაკავშირებს. მოკლედ, მაგარი ხალხი ხართ, რა... ბათუმში თავს კარგად ვგრძნობ და ვიმედოვნებ, რომ ჩემი აქ ყოფნით არავის ვანუხებ (იღიმის).

— დიჯეიდ მუშაობა რატომ გადაწყვიტე?

— მუსიკა ძალიან მიყვარს, ბავშვობიდან „ვიმქისავდი“. ადრე ქალაქ ალანიაშიც დიჯეიდ ვმუშაობდი, სადაც საკმაოდ დიდი გამოცდილება დამიგროვდა. ერთ დღეს „ინტურისტის“ მენეჯერმა მითხრა, — ლამის კლუბში დიჯეიდ გვჭირდება. გადავწყვიტე, საქართველოშიც მეცადა ბედი; მივედი კლუბში, დაფუკარი და ძალიან მოეწონათ. უკვე 4 თვეა, დისკოთეკაზე ვუკრავ და ეს საქმე ძალიან მომწონს. როგორც დიჯეის, კლუბში პრობლემა არასდროს შემქმნია.



— ნელან აღწნე, რომ ბათუმში მეგობრებთან ერთად ცხოვრობ...

— კი, ასე! მათ ბავშვობიდან ვიცნობ და ერთმანეთს ასე მივმართავთ — „მშაო“. ბათუმში 4 მეგობარი ვცხოვრობთ, ბინაც ერთად გვაქვს დაქირავებული და აკადემიაშიც ერთად ვსწავლობთ. მე და სემიპი კლუბში ვუკრავთ, მუზო კი გოგონებს „უკრავს“ (იცინის). მოკლედ, საქმესაც ვაკეთებთ და კარგადაც ვერთობით.

— დისკოთეკაზე ღამით მუშაობ. საინტერესოა, ღამითვე აკადემიაში წასვლას როგორ ახერხებ?

— რა ვიცი, ჯერ ახალგაზრდა ვარ და ასეთ რეჟიმში ცხოვრებას ვიტან (იცინის). ჩემი საქმე ისე მიყვარს, რომ დაღლას ვერც კი ვგრძნობ.

— საოჯახო საქმეებს როგორ უმკლავდებით?


— მამაცურად (იცინის)! სხვათა შორის, ყველაფერს თავად ვაკეთებთ: სადილს ვამზადებთ, სახლს ვალაგებთ, ვრეცხავთ და ვაუთოებთ.

— შეგიტყვე, რომ გოგონებში დიდი პოპულარობით სარგებლობ...

— ჰო, ხანდახან ჩვენ გამოც მოდიან ხოლმე. ქართველი გოგონები ძალიან საინტერესოები, ღამაზები და ჭკვიანები არიან. მიუხედავად იმისა, რომ გარს მართლაც მშვენიერი მანდილოსნები მახვევია, შეყვარებული არ ვარ. არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ჩემი მომავალი მეუღლე ქართველი იქნება, თურქი თუ გერმანელი; მთავარია, შემიყვარდეს... ჩემი სახელი — „ოზგური“ თავისუფლებას ნიშნავს. ჰოდა, ალბათ, სახელის გავლენაცაა, რომ თავისუფლების მოყვარული ვარ და ოჯახის შექმნას ამიტომაც არ ვჩქარობ (იღიმის).

— ოზგურ, საქართველოში დარჩენას ხომ არ აპირებ?

— საქართველოში კი არა, თურქეთში დარჩენაზეც არასდროს მიფიქრია. მინდა, სულ გემზე ვიყო, ბევრი ვიმოგზაურო... მართალია, საქართველოში ცხოვრება არ დამიგვიტყდა, მაგრამ ვერაფერს ვინიანსანარმეტყველებ.



უკვე 4 თვეა, დისკოთეკაზე ვუკრავ და ეს საქმე ძალიან მომწონს



თინეიჯერული მოდა

ახუ ჩაანაცვლა თუ არა კადი გალაქუსლიანაა ფახსაყელმა

ნელს რა არის მოდაში? რის მიხედვით უნდა შევარჩიოთ სამოსი? გასწვდება თუ არა ზოგიერთი მშობლის საკმაოდ თხელი ჯიბე ისეთი სამოსის შეძენას, როგორც მოდურად მიიჩნევა და როგორ უნდა გაუსვან ხაზი თავიანთ გარეგნობას იმ მოზარდებმა, რომლებსაც ძვირად ღირებულ სამოსით ტრამპანი არ შეუძლიათ? — ამ და სხვა „პრობლემებზე“ მსჯელობდნენ მოზარდები ერთ-ერთ საიტზე. ვინაიდან მათი საუბარი დაფარული სულაც არ იყო, მეტიც — „სასტავში“ ჟურნალისტიც მიმიღეს, თავს უფლებას ვაძლევ, მათი მოსაზრებები გამოვაქვეყნო.

ლიკა ჯაჯაია

პირველ რიგში, ჩემს ასე ვთქვათ, რესპონდენტებს გაგაცნობთ. **წინა** 15 წლის გახლავთ. მას ძალიან უნდა, მომავალში დიზაინერის პროფესიას დაეუფლოს.

— მინდა, ჩემი საქმის პროფესიონალი გავხდე და უკვე ცნობილი დიზაინერები დაგწრიდო, გავაკვირვო. ვერ გეტყვით, რომ რომელიმე ქართველი კუტიურიეს ხელოვნება განსაკუთრებულად მომწონს. პოპულარული ავთანდილი საკმაოდ კარგ რაღაცებს კერავს, მაგრამ მისი შემოქმედება ჩემთვის საოცრება ნამდვილად არაა, როგორც ამას სხვები აღნიშნავენ. როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, მირჩევნია, თამუნა ინგოროყვას სამოსი შევიძინო, ვიდრე ავთანდილის და იცით, რატომ? — ჩემი აზრით, თამუნა უფრო შრომისმოყვარეა, ხარისხს დიდ ყურადღებას აქცევს, მე კი მიმაჩნია, რომ უხარისხო ოქროს ალუმინი სჯობს და თუ გინდათ, აქვე ჩამოვლეთ...

ბაიკო სულ რაღაც, 13 წლის გახლავთ, მაგრამ ლამაზი ტანისამოსი იმდენად უყვარს, რომ დედ-მამას 5 წლიდან ეურჩება და ყოველთვის იმას იცვამს, რაც თავად სურს. მის მშობლებს თურმე, თხელი ჯიბე ნამდვილად არა აქვთ, ამიტომ გოგონას უფლებას აძლევენ, სამოსი სადაც უნდა, იქ შეიძინოს.

— წლებს წინ დედიკო ტანსაცმელს ზალიკო ბერგერის სალონში იკერავდა, რადგან იქვე ვცხოვრობთ, მაგრამ მერე ვიპოვეთ „ტოჩკა“, სადაც ბევრად იაფად კერავენ ისეთ სამოსს, რომლის შესაძენადაც სხვაგან საკმაოდ სოლიდური თანხის გადახდა მოგივინებდა. სხვათა შორის, ჩემს დედიკოს არაჩვეულებრივი გემოვნება აქვს, მაგრამ მე მაინც ვეჯიუტები — მინდა, გემოვნება დამოუკიდებლად ჩამომიყალიბდეს, მისი ზეგავლენის ქვეშ არ მოვექცე.

თაქო 16 წლის გახლავთ და ამბობს, რომ სამოსს სხვადასხვა სამკერვალო სალონში იკერავს. ამოჩემ-



ბული დიზაინერი არ ჰყავს და მიაჩნია, რომ საქართველოში ყველა ერთ დონეზე ჭრის და კერავს, — „უბრალოდ, ზოგი მეტად პოპულარულია, ზოგი — ნაკლებად, ეს ყველაფერი კი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი პიარი გაიკეთა თავის დროზე“.

— მართლაც, ვერც ერთ დიზაინერს ვერ გამოვყოფ, რადგან ჩემთვის ავთანდილ ცქვიტინიძის, ზალიკო ბერგერის, ინგოროყვას ან თეონა თავართქილაძის ნამუშევრები ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდება. ისინი სტილს ვილაცისგან იპარავენ, მერე კი რაღაც დეტალის დამატებით მას სახეცვლილად წარმოგვიდგენენ. რა ვიცი, შეიძლება ვცდები, მაგრამ ასე მგონია და... ამიტომაც ვცდილობ, ყოველთვის მზა პროდუქცია შევიძინო, მაგრამ ზოგჯერ იძუ-

ლებული ვარ, დიზაინერს მივაკითხო, რათა ის კაბა შემიკეროს, რომელიც ამა თუ იმ ჟურნალში ვნახე და ძალიან მომეწონა. ჰოდა, ასეთ დროს ნაკლებად პოპულარულ, მაგრამ კარგ მკერავეებს ვაკითხავ ხოლმე.

თოქო 15 წლის გახლავთ და გული სწყდება, რომ ქართველი დიზაინერები მამაკაცებზე ნაკლებად ზრუნავენ. მისი აზრით, ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ არაპროფესიონალები არიან, ამ საქმის გაგებაში არ არიან.

— აბა, როგორ შეიძლება, დიზაინერი გერქვას და მამაკაცის სამოსის ხაზი არ გკონდეს? რა თქმა უნდა, კაბის შეკერვა უფრო ადვილია, ვიდრე ვთქვათ, მამაკაცის კოსტიუმის, მაგრამ ჩვენც ხომ გვინდა ჩაცმა? ჰოდა, იძულებული ვართ, უკვე მზა სამოსი შევიძინოთ, მაგრამ ხელსაყრელ ფასად მხოლოდ მდარე ხარისხის საქონელს თუ შეიძენ, კარგი „ტავარი“ კი მხოლოდ ერთეულებით ვიშოვებთ. მაგალითად, ამას წინათ ერთ ძალზე პოპულარულ მაღაზიაში შევედი, რადგან ეწერა: „70%-იანი ფასდაკლება“, მაგრამ იქ დიდხანს არ გაგჩერებულვარ და არც არაფერი მიყიდა. რატომ? — იმიტომ, რომ 70%-იანი ფასდაკლებით ჩვეულებრივი წინდა 50 ლარი ღირდა, პერანგი — 199 ლარი, შარვალი — 239 ლარი და ა.შ. რომ არა ეს ფასდაკლება, ნეტავ, წინდა რა ელირებოდა? ან საერთოდ, ასეთ ძვირად ღირებულ „ნასკს“ ვინ ყიდულობს? რა, უცვეთია?..

ბაშუკა 17 წლის გახლავთ და როგორც ამბობს, ტანსაცმლის მაღაზიებში სიარული ძალიან უყვარს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ფასდაკლებები ცხადდება. რაც შეეხება დიზაინერებს, მამუკა მათ არ სწყალობს.

— კოსტიუმის შეკერვა ერთხელ დამჭირდა და მაშინაც თავზედი ვინყევლე. მეგობრის მეჯვარე უნდა ვყოფილიყავი (ეს დაახლოებით, 1 წლის წინ მოხდა), ჰოდა, ბიჭმა თავი გავიგე, მშობლებს მაყუთი გამოვართვი და ე.წ. პოპულარული დიზაინერის სამკერვალო სალონს მივადექი. საოცრად კარგად შემხდნენ, ამზომ-დამზომეს, მერე მკითხეს, — აბა, როგორი კოსტიუმი გნებავსო? კოსტაპრუნა დიზაინერმა მისმინა, მისმინა, მერე კი ჩემი მონახაზი დაინუნა და საკუ-



თარი, ვითომ ძალიან „ფეშენი“ შემომთავაზა. მითხრა, — ძალიან მოგიხდება, ასეთ-ისეთი იქნებიო. მოკლედ, თავგზა ამიზნია. რამდენიმე დღის შემდეგ „პრიმერკაზე“ მივედი. მართალია, რალაც ჩამაცვეს, მაგრამ ვერ აღვიქვი, ამ ნაკუნ-ნაკუნ აგებულ სამოსიდან, საბოლოო ჯამში რა გამოვიდოდა. გულმა კი მიგრძნო რალაც ცუდი, მაგრამ უკან დახევაც არ ივარგებდა — ბოლოს და ბოლოს, ამ ყველაფერში უკვე 590 დოლარი მქონდა გადახდილი. ბოლო დღეს, როცა ნანატრი ტანსაცმლის წამოსაღებად მივედი, გული შემიძლიდა. არა, არ ვკაიფობ, მართლა ცუდად გავხდი და „კაპლით“ მომასულიერეს. მერწმუნეთ, მანამდე და მას შემდეგაც გული არასდროს წამსვლია. მოკლედ, საშინელება იყო — გეების ჩასაცმელი, გამოკვართულგამოხლართული, თასმებიანი რალაც ჩამაცვეს. ავტებე ერთი ვაი-უშველებელი, მაგრამ აბა, ვინ დამიგდო ყური? პირიქით, შარი მომდეს: ხომ იცოდი, რასაც გიკვრავდით და თუ არ გინდოდა, ეს მაშინვე უნდა გეტქვა, ან ი გვიანიო. მოკლედ, გამამაიმუნეს და გამომიშვეს...

ვა, რა საინტერესოა... პირადად მე, ამ ამბის დასასრული ძალიან მინტერესებს.

— რალა დასასრული გინდა, ისედაც ყველაფერი ვთქვი...

ქორწილში ის საოცარი კოსტიუმი გეცვა? მშობლებს მოეწონათ?

— დამცინი, არა?! მშობლებმა ჩემი „არჩევანი“ გააპროტესტეს, მაგრამ უკან არ დავიხიე — რას ამბობთ, მოდის ბოლო „კვილია“, თქვენ ამის რა გაგეგებათ-მეთქი? მამა გადარიცხა: ასეთი საშინელება კაცმა როგორ უნდა ჩაიცვას? თუ ამით წახვალ, იცოდე, თავს მოვიკლავო!

თაქო:
— ამ სიტყვების შემდეგ მაინც თუ დაიხიე უკან?

ბაშუა:
— არა, რას ამბობთ, მამაჩემს სიმართლე რომ გაეგო, იმ დიზაინერს მიუვარდებოდა, კარგად მიყუჟავდა, ფულს უკან მოსთხოვდა, ის კი მამას უჩივლებდა და ჩემი მშობელი დღემდე ციხეში იჯდებოდა. ამას მერჩივნა, ის დაწყველილი ენ. კოსტიუმი ჩამეცვა და ერთი დღე დაცინვაც ამეტანა.

თაქო:
— ანუ ჩაიცვი?
ბაშუა:

— ჰო, რა, ჩავიცვი... უნდა გენახა, ჩემმა მეგობრებმა როგორ იკაიფეს, მაგრამ სიმართლე გითხრა, ბევრს მოეწონა, ვილაც „ფეშენებმა“ კომპლიმენტებით ამავსეს (კაცმა არ იცის, რა მოეწონათ)... მოკლედ, ქორწილი

ჩამშხამდა, უჟმურ ხასიათზე ვიყავი და ბოლმა ღვინით გავიქარვე, მერე ცოტა შეზარხოშებულმა, ტანსაცმელზე ღვინო სპეციალურად გადავისხი და „იძულებული გავხდი“, ყველაფერი გამომეცვალა. სიძის მშობლებმა სასწრაფოდ მომიტანეს სუფთა სამოსი, ჰოდა, მეც ამოვისუნთე :))...

თაქო:
— და ახლა ამ ყველაფერზე გეცინება, არა? რა გინდა, ტკბილი მოგონება დაგრჩენია... რომ არა ის დიზაინერი, ახლა არაფერი გექნებოდა მოსაყოლი...

ბაშუა:
— დაცინვას კაცი არ მოუკლავს. ისე, მგონი, შენ წუნუნებდი, — დიზაინერი ვერ ვიპოვე, ვისთანაც მივალ და ტანსაცმელს შევიკვრავო. თუ გინდა, იმ კუტიურის ნომერს მოგცემ, ვინც მე „გამაბედნიერა“.

თაქო:
— დიდი მადლობა, შენთვის შეინახე, რა იცი, კიდევ როდის გამოგადგება. თანაც — ჩემს მშობლებს ნამდვილად არა აქვთ იმის საშუალება, რომ „ერთჯერად“ ტანსაცმელში 590 დოლარი გადაიხადონ...

ინო:
— ბიჭებო, ნუ ნერვიულობთ, ცოტა ხანიც მაცალეთ და მე შეგიკვრავთ ტანსაცმელს. თან — მერწმუნეთ, „ცისფერები“ არ მომწონს და მათ შესაფერის კოსტიუმებსაც არ შევკვრავ.

თაქო:
— შენ რომ გელოდოთ, დაებრდებით და მერე კოსტიუმი კი არა, შესაძლოა, შვილიშვილის გამონაცვალაც სანატრელი გაგვიხდეს.

ბაიკო:
— რატომ, ბაბუას შენს გამოცაცვალსაც არ აძლევ, ასეთი „ჟმოტი“ ხარ?

თაქო:
— როგორ არ ვაძლევ, მაგრამ ის გოლიათივით კაცია, მე კი ბეჩავი, ჩია ტანით დედას დავემსგავსე. ჰოდა, ხომ წარმოგიდგენია, ჩემს შარვალში გამოწყობილი ბაბუ როგორი სასაცილოც იქნება :)).

თაქო:
— ისე, რა მაგარი იდეაა — ახლა ბებოს მივცემ ჩემს ტანისამოსს და ვეტყვი, — შენ ჩაიცვი-მეთქი... ამას რომ ვწერდი, თან ბებო წარმოვიდგინე კედში, გიძელ მაისურსა და ბრიჯში, ჰოდა, სცილით ლამის გავიგუდე...

ინო:
— მოკლედ, რა „ჟმოტი“ ვართ, რა. მოხუცებისთვის არაფერი გვემეტება, არა? ბოლოს და ბოლოს, მათთვის სამოსის შექმნა „მეორადებშიც“ შეიძლება და იქ მაინც უყიდეთ ისეთ რალაცები, რომ სასაცილოდ არ გამოიყურებოდნენ.

ბაშუა:
— ჩვენი წინაპრები ლელვის ფოთოლაფარებულები დარბოდნენ და ამით რა უჭირთ, ვითომ, თინეიჯერულად რომ გამოეწყონ? — ასე ცხოვრებასაც გაიხალისებენ და ჩვენც მოგვემატება წლები, სიცილისგან...

ინო:
— თქვენც მალე დაბერდებით და მერე ვნახოთ, თუ იქნებით სიცილის გუნებაზე, როცა თქვენი შვილიშვილებიც ასე ილაპარაკებენ.

ისე, ძალიან მინტერესებს, როგორ იმოსება თითოეული თქვენგანი და რამდენად მისდევთ მოდის ტენდენციებს?

ბაშუა:
— პირადად მე, მოდას ნამდვილად არ მივედუ. ძირითადად, ჯინსის შარვალსა და მუქი ფერის მაისურში გამოწყობილს თუ მნახავ. რაც შეეხება ფენსაცმელს, უპირატესობას კედს ან ბოტას ვანიჭებ. ვერ ვიტან ნანვეტებული ცხვირის მქონე „ტუფლებს“ და ვერც სქელლანჩიან საშინელ „ბათინკებს“.

ინო:
— თუ ის, რაც მოდაშია, მომიხდება და მის შესაძენად თანხაც მექნება, აუცილებლად ვიყიდი, მაგრამ ხშირად, ისეთ სამოსს ვანიჭებ უპირატესობას, რაც შესაძლოა, იმწუთას მოდაში არ იყოს, მაგრამ ძალიან მიხედბოდეს.

ბაშუა:
— ვფიქრობ, ასე ჩაცმული უგემოვნოდ „ჩაზმანულ“ მოდის მიმდევრებს აუცილებლად „დააჩოჩებ“.

ინო:
— ჰო, ზოგჯერ ასეც ხდება... მე კლასიკურ სტილს ვანიჭებ უპირატესობას, ამიტომ კედით ან „ჩაჩებით“ სკოლაშიც კი არ მივდივარ. პრინციპში, „ჩაჩი“ არც არასდროს ჩამიცვამს, ამის სურვილი არ გამჩენია...

თაქო:
— აი, მე კი ძალიან მომწონს, გოგონებს „ჩაჩები“ რომ აცვიათ და პრინციპში, ამ სტილს თავადაც ვიხდენ. ეტყობა, რეპი არ მოგწონს :)).

ინო:
— რეპი რა შუაშია? უბრალოდ, ასე მგონია, რომ ასეთი შარვალი ქალს ფორმას უკარგავს, მის სილამაზეს აფერმკრთალებს.

ბაშუა:
— პრინციპში, მართალი ხარ. „ჩაჩიან“ გოგოს ისე ვუყურებ, როგორც დაქალს, მაგრამ მალაქქუსლიან ფენსაცმელსა და მინიკაბაში გამოწყობილ ტანკენარს რომ დავინახავ, დორბლები მომდის...

ბაიკო:
— უკაცრავად, თქვენც ცოფი გჭირთ?



მამუა:

— იშვიათად ვცოფდები :))...

ბაიკო:

— მე კიდეც, „ქუსლოჩკებს“ ვერ ვიტან. ძირითადად, კედები მაცვია, ზამთარში კი — დაბალძირიანი ჩექმა. რაც შეეხება ტანისამოსს, ვცდილობ, მოდის ტენდენციებს ავუსწოფებ. მოდის სფეროში დედაჩემი საკმაოდ გარკვეულია და ის მეუბნება, რაა მოდური და რა — ძველმოდური, მერე კი თავად ვირჩევ, რა შეიძლება მომიხდეს და რა — არა.

თაქო:

— მეც ვცდილობ, მოდას ავყვე, მაგრამ ეს ზოგჯერ გამომდის, ზოგჯერ — არა. მაგალითად, როცა ვიგებ, რომ ვთქვით, მოდაშია მწვანე, ამ ფერის მაისურს ვყიდულობ, მაგრამ უკვე შინ მისული, სარკის წინ თუ ვხვდები, რომ ის საჩემო არაა, მეგობარს ვაჩუქებ... ზოგჯერ ძალიან ძველ ჟურნალში აღმომიჩენია ისეთი კაბა, რომელიც მომწონებია. ასეთ შემთხვევაში, ჟურნალი მკერავთან მიმაქვს, ის კი ცდილობს, ზუსტად ასეთივე სამოსი შემეიკეროს. ერთხელ კლასელებთან ერთად რესტორანში ვიყავი, ახალ წელს ერთად შევხვდით. მინდოდა, იმ დღეს ჩემი მოდას აყოლილი მეგობრებისგან რადიკალურად განსხვავებული ვყოფილიყავი, ამიტომ ძველი ჟურნალიდან შევარჩიე კაბა და მეზობელს შევაკვირინე. რესტორანში ყველა მე დამდევდა: რა მაგარი კაბაა, როგორ შეარჩიე, სად იყიდე, რომელმა დიზაინერმა გირჩიაო?..

— ამ ბოლოს დროს ხშირად ვხვდავ თინეიჯერებს, რომლებიც მაღალქუსლიან ფეხსაცმელს ანიჭებენ უპირატესობას...

ბაიკო:

— ეს იმიტომ, რომ მოდაშია. ჰოდა, ამიტომ იმტრევენ ფეხებს. ნეტა მათ,

რა. მერეც ვყოფათ, „მაღლებით“ კაკუნით რომ მოუწევთ.

ნინო:

— მე კი ეს ყველაფერი მომწონს ანუ შეიძლება ითქვას, რომ წლევანდელი მოდის ტენდენციამ ჩემს ნისქვილზე დაასხა წყალი.

თაქო:

— პირადად მე, კედიც მომწონს და „ქუსლოჩკებიანი“ ჩექმაც. ასე რომ, პრობლემა არა მაქვს — როცა საჭიროა, სპორტულად ვიცვამ, როცა საჭიროა, კლასიკურისკენ ვიქაჩები.

მამუა:

— პრინციპში, ქალი კლასიკურ ფორმაში უფრო ქალურია.

თოქო:

— თუ ქალი კარგი გარეგნობისაა, მნიშვნელობა არა აქვს, რას ჩაიცვამს, როგორ სტილს აირჩევს, მაინც ძალიან მაგარ „ვიდზე“ იქნება.

— რომელიმე თქვენგან თუ ცდილობს, სხვებისგან იმიჯით, ჩაცმულობით გამორჩეული იყოს?

მამუა:

— არა, მე ასეთი სულელური აზრი თავში არც მომვლია...

თოქო:

— და რატომღა სულელური? ქორნილში რომ იყავი გამორჩეული, არ მოგწონდა?

ბაიკო:

— ნუ ამომიყვანეთ ყელში ეს ქორნილი, რა... ოღონდ ამათ სალაპარაკო მიეცი და... ვაფშე, თქვენთან ურთიერთობა არ ღირს, „პრაშჩაიტე“...

თოქო:

— მოიცა, კაცო, რამ გაგაბრაზა, ვლადაობ... აუ, იუმორის გაგებაში არა ხარ, რა.

ნინო:

— ნეტა, რა გაჩხუბებთ? ახლა გინდათ, საკუთარი გამორჩეულობა დაგვიმტკიცოთ? გოგომ იკითხა, —

გარეგნულად თუ ხარო სხვებისგან გამორჩეული?.. პირადად მე, ვცდილობ, სხვებისგან გამორჩეული ვიყო, მაგრამ ამისთვის პირსინგს არ ვიკეთებ და არც დახეულ ან დასვრილ ტანსაცმელს არ ჩავიცვამ. მე ის სტილი ავირჩიე, რაც თინეიჯერების უმეტესობას, როგორც წესი, არ მოსწონს. ჰოდა, გამოდის, რომ ისედაც გამორჩეული ვარ.

ბაიკო:

— მე გამორჩეული ჩემი თმის ფერით ვარ — ამ ზაფხულს თმა ნითლად შევიღებ.

— კი, მაგრამ ჯერ ხომ 13 წლის ხარ?

— მერე რა მოხდა? ამაში პრობლემას ვერ ვხედავ...

— მასწავლებლებმა არ გისაყვედურეს ან მშობლებმა არ მოგცა შენიშვნა?

— დედამ კი მთხოვა, — ეს არ გააკეთო, მაგრამ არ დაუფუჯერე. რაც შეეხება მასწავლებლებს, მათი აზრი არ მაინტერესებს. მთავარია, ვისწავლო, უზრდელურად არ მოვიქცე და ვინ ეკითხებათ, რას ჩავიცვამ ან ჩემს სხეულს, თმას რას ვუზამ?!

ნინო:

— მე კი თმის შეღებვის სურვილიც არ მაქვს...

ბაიკო:

— რაც შეეხება ჩაცმულობას, ამ მხრივ სხვებისგან დიდად არ გამოვიჩრჩევ...

თაქო:

— გამოგიტყდებით და ზოგჯერ, სამოსს „მეორადებშიც“ ვყიდულობ. ჰოდა, იქ ისეთ მაგარ რაღაცებს ვჩინავ, რომ ყველას ვაკვირვებ; არავინ მიჯერებს, რომ ესა თუ ის მაისური „ძონძეში“, თანაც — ძალიან იაფად შევიძინე. ვფიქრობ, ბევრი კუდაბზიკასაგან ამითაც გამოვიჩრჩევ... მერწმუნეთ, ჩემს მშობლებს ისე არ უჭირთ, რომ ვთქვით, მაღაზიაში „სეილზე“ მაინც ვერ მიყიდონ ტანსაცმელი, მაგრამ იქ ისეთ რამეს ვერ იყიდი, რაც შეიძლება, „სექენდჰენდში“ გაჩითო.

თოქო:

— მართალია, „მეორადების“ სუნზეც ალერგია მაქვს და იქ არასდროს შევდივარ, მაგრამ ვიცი, რომ თავო არ იტყუება. ჩემი ძმაცა, გიოსულ „ძონძეში“ ყიდულობს რაღაცებს და ხშირად გვაკვირვებს.

ბაიკო:

— მე კი იქ არასდროს არაფერს ვიყიდი! არ მესმის, რატომ უნდა ჩავიცვა სხვისი გამოწვავალი? თანაც, იქ ყველაფერი „ვადაგასულია“. ხალხნო, ქართველებო, რატომ უნდა ჩავიცვათ ვიღაც ამერიკელის ან რუსის გადაგებული სამოსი? ვფიქრობ, ეს ჩვენი სირცხვილია!..





გიგლუსი

გიგლუსი — იკივია, რაც პავირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია



მენაც იქ მოვშავდებოდი

ნეტავ, ფრინველად მაქცია, ღამსვა მალალსა მთაზედა,
 ქალო, შენს წამამყვანელსა, გამედგებოდი ევალზედა.
 მენაც იქ მოვშავდებოდი, სადაც შენ დაგსმენ ჯარზედა!
 საკმისას ჩამოვხედნებდი, თვალს შავავლებდი ტანზედა.
 რარიგად შავიხდებოდა, ვის დაგინვენდნენ მხარზედა!
 ჩემ სწორებ უარგებ ვაყები, დასხდება ღვინის სმაზედა.
 მამერევთან ტირილნი, ქედს მივიფარებ თვალზედა.
 მე ხომ ეგ აღარას მარგებს, ისევ თუ წავალ ცხვარზედა.
 გუნებას შავახალისებ იკვლივ-იალნოს მთაზედა.
 მამიგონოდით, სწორებო, რომ ჩამაჰსხდებით სმაზედა!

ხალხური

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
 არნოდ ჩიქობავას რედაქტორობით
 1982 წელს გამოსცემული
 ქართული ენის
 განმარტებითი ლექსიკონის
 ერთტომეულის მიხედვით
 შამღგენელი თეგურ ივანიძე

თ

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-42

თათარზნი თურქ. — მოხარული ძროხის ხორცი, წვინანი, ხახვითა და ნიახურით შეზავებული. სახელდახელოდ მოხარული ხორცი; 2. გადატ. (საუბ.) წინასწარ მოუშვადებლად, სახელდახელოდ.

თათმანი — 1. უთითო ხელთათმანი, წინდასავით ნაქსოვი; 2. იგივეა, რაც ხელთათმანი.

თაია — ერთად დადგმული რამდენიმე ურემი ძნა (იცინ ქიზიყში).

თაკილი — თავისთვის შეუფერებლად, სასირცხოვად მიჩნევა რისამე.

თალათინი სპ. — თხელი და რბილი ტყავი, ხვედროვანი ზედაპირის მქონე; 2. ტყავის თასმა (ქალამნის ამოსასხმელი, აგრეთვე სამართებლის და მისთანათა პირის ასაწყობი).

თალამი — ფინლით ერთ ჯერზე ასაღები (თივა და მისთ).

თალარი — 1. ვაზის ხეივანი; 2. იგივეა, რაც ფანჯატური (ცოცხალი მცენარის ტოტებითა და ფოთლებით გადახურული საჩრდილობელი).

თალია (საუბ.) — ერთი ხელი (ითქმის რისამე თამაშის შესახებ); 2. ერთხელ, ერთი პირობა (ერთი თალია შეჭოჭმანდა).

თალიში — ახალი ფოჩიანი ხახვი, რომელსაც ჯერ ბოლქვი განვითარებული არა აქვს.

თალფაქ — ხუფი, სახურავი.

თალზი — შავი, სამგლოვიარო ფერი, ასეთი ფერის ტანსაცმელი.

თამსა — ვინრო და თხელი ფიცარი, ფირფიტა.

თანგი — დურგლის ქახრაკებიანი ხელსაწყო (ქახრაკი — ხრახნიანი მოსაჭერი ხელსაწყო).

თანგირა — სპილენძის მოზრდილი ქვაბი, ფართოძირიანი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



რეზო ინანიშვილი



ამიანის აზრს გამოხატავს.

მწერალი რეზო ინანიშვილი 1926 წლის 20 დეკემბერს, საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშში დაიბადა. ხუთი კლასი მშობლიურ სოფელში დაამთავრა. 1937 წელს ოჯახთან ერთად, საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ომის წლებში (1943-1945) 31-ე ქარხანაში მუშაობდა. იქიდან სასწავლებლად საავიაციო ტექნიკუმში გადავიდა. 1947 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე შევიდა, მაგრამ დის ოჯახის სიდუხჭირის გამო, უნივერსიტეტი მიატოვა და სამუშაოდ სამგორის არხის მშენებლობაზე წავიდა. მოგვიანებით უნივერსიტეტში დაბრუნდა, რომელიც 1956 წელს დაამთავრა. წლების განმავლობაში მუშაობდა გამომცემლობა „ნაკ-

ადულში“, კინოსტუდია „ქართულ ფილმში“; იყო მწერალთა კავშირის მდივანი. 1989 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე, უურნალ „დილას“ რედაქტორობდა. მისი პირველი მოთხრობა 1950 წელს დაიბეჭდა. პირველი წიგნი კი 1953 წელს გამოიცა.

წიგნისთვის — „შორი თეთრი მწვერვალი“ რუსთაველის სახელობის პრემია მიენიჭა. მწერალს არაერთი წიგნი აქვს გამოცემული. მისი სცენარების მიხედვით გადაღებულია ფილმები — „ნატვრის ხე“, „ქვიშანი დაერჩებინა“, „არდადეგები“, „დედუნა“, „ჩირიკი და ჩიკოტელა“, „კაცები“... ინანიშვილის ნოველები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, გერმანულ, ბულგარულ და სომხურ ენებზე..

მწერალი 1991 წლის 26 დეკემბერს გარდაიცვალა. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

„როდესაც რევაზ ინანიშვილს ვკითხულობ, შინაგანი სულიერი სისუფთავის შეგრძნება მეუფლება. მის ლიტერატურულ ენას არანაირი სამკაული არ ესაჭიროება, მშვენიერი რომ ჩანდეს... მისი მეტყველება სისადავითა და მოხდენილობით სულხან-საბას ლიტერატურულ წყობას მაგონებს. ინანიშვილი ენას არასდროს აწვალებს და არც ზედმეტად ეფერება. აზრი და სიტყვა იოლად პოულობენ ერთმანეთს. თხრობა ძალდაუტანებლად მოედინება. მისი ლიტერატურული ენის ბუნებრივი თავისთავადობა ერთგვარ სიამაყეს აღმიძრავს, რადგან კიდევ ერთი განსახიერება ჩვენი ენის დაუღველობისა“, — აღნიშნავს ნოდარ გაბუნია და იგი არაერთი ად-

რების შემდეგ, ომის წლებში (1943-1945) 31-ე ქარხანაში მუშაობდა. იქიდან სასწავლებლად საავიაციო ტექნიკუმში გადავიდა. 1947 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე შევიდა, მაგრამ დის ოჯახის სიდუხჭირის გამო, უნივერსიტეტი მიატოვა და სამუშაოდ სამგორის არხის მშენებლობაზე წავიდა. მოგვიანებით უნივერსიტეტში დაბრუნდა, რომელიც 1956 წელს დაამთავრა. წლების განმავლობაში მუშაობდა გამომცემლობა „ნაკ-

მეუღლეჯთან, რძალთან და შვილიშვილებთან ერთად



„ჩემი ნაწერები ნამცეცხვად გაბნეული სიკეთის ამოკენკვის ცდაა“



„მთის ჩაბნელებულ ხეობიდან რომ ამოდიან ხოლმე ნისლები — ისე ამოდიოდნენ ფიქრები საიდანღაც“...



გლობალიზაცია

(ნაწყვეტი)

კოტე ჯანდიერი

ანეკდოტი ხო გაგიგიათ — კამეჩანთ-კარელი კაცი ალაზნის პირას რო წამოწოლილა და ვირებს გასცქერის, დაშლამულ რიყეზე მოსეირნე ვირებსა და თან იძახის — „სოჩაა, მა რა არი!“ გაგახსენდა-ათ?! რაღა მინცადამინც კამეჩანთკარელი და არა საზოგადოდ კახელი? ეხლავე გეტყვიო. ჯერ იქიდან დავიწყოთ, რო სადღეისოდ აბა, სხვა რომელ სოფელში-ლა ჰყვანთ ამდენი ვირი რო ეგრე თავის ნებაზე მიუშვან ნაპირ-ნაპირ საბალახოთ. რაც ბენზინი და სალიარკა გაძვირდა, ტაჩკაშუებელი ან საპალნედაუდებელი სახედარი, გენაცვა, კახეთის სხვა სოფლებში მე არ მინახამს, დაუსაქმებელი და უდარდელად გაგორებული კაცი კი — იცოცხლე! თანაც ხო არა გგონიათ, უქმე დღეებსა და დღესასწაულებზე ვიძახდე? არა კაცო! ჩვენში ყოველ ცისმარე დღესა ნახამ წოლისგან გვერდებდაბუფე-ბულ მხვრინავებსა. მერე და, სად აღარა კოტრიალებენ მამაცხონებულები: ზვარში, პურში, კანტორის უკანა ბაღში, ექსკავატორის ჩრდილში. თივის ზვინზე, კაკლი ძირსა და ბალკომის ტახტზე უკვე აღარას ვამბობ! ეგ არი ჩვენი ხალხი დღევანდელ დღესა! კამეჩანთკარი მინც თელ კახეთში პირველია, როგორც რო გრილ ადგილას წამოწოლის მსურველთა რაოდენობით, იგრე უქმად მოცდენილი და ჩასუქებული ვირების სიმრავლითაცა. ვირებია ამ ჩვენ სოფელში — როგორიც გინდა, სულო და გულო: მზეზე შავად მოზიბზიბე, ჯანიანი ჩოკინები; რუსხურგა და თეთრომუცელა წლოკები; ჯავარაბურდული, დაწოლახებული ბებერი სახედრები; გვერდებგაბერილი, მაკე დედლებს აკიდებული მუტრუკები...

რა არი? პლიონკა გათავდა-ა? ხო, კარქი, დეგელოდები... თქვენა, შვილო, ეგ სად უნდა გაუშვან? რადიოში-ი?... და როდის?... აჰა!.. თამარ! გესმის, ქალო, ე ბალლები რას იძახიან? „პარასკევ დილას, ეგ ემ ასოცი და შვილიო“. გაიგე-ე? მე ვერ დავინახსოვრებ, შენ ჩასწერე მაგ პრიხოდ-რასხოდის რვეულში. ნეტა ეგ „ეფ ემი“ რა უნდა იყოს? რა ვენა, კაცო, ძველი რადიოებისა მესმოდა, „ესტონიაც“ კი გვედგა ზალაში; მემრე „სპიდოლა“ მაიტანა ცხონებულმა ანიჩკამ, ჩემმა დამ; ვიჭერდით თბილისსა და მოსკოვს... ამ ახალ რადიოებს კი ჯერთ ალლო ვერ აუულე.

ისე, მე რო მკითხოს კაცმა, საზოგადოდ, რადიო სჯობია ტელევიზორსა. უსმენ ადამიანების ხმებსა და თვალდახუჭულად, თუ დაუხუჭველადაც იგრეთს

ნარმაიდგენ, როგორიც გეგეხარდება... შენ ჭკუაზე, რა! არ მეგეწონება — მააძრობ თავსა და ახალს დაადგამ. ტანისამოსსაც, როგორსაც გინდა, იგეთს ჩააცმე... ტელევიზორში კი რასაც მოგისჯიან, იმას უნდა უცქირო, ნერვები მეშლება, კაცო-ო! მერე შინაარსითაც უფრო ბოროტული და ავეყია ე ოხერი! ახლა დენი უნდა... დენი კი, ხო იცით, კახეთში როგორი იშვიათობაა? ხოოდა, მე რადიო მირჩენია — ფული ფულად მეზოგება და ნერვები ნერვებად... თამარ, მოდი, გენაცვა, ამით კიდე ყავა მოუდუღე, მე კიდევ პივა და ჩიფსები მამიტანე... მიდი, ქალო, ნულა ინმანენები, ჩასწერე ჩემ ანგარიშზე... ნუ გეშინიან, ჩასწერე, მარინა გაფრთხილებული მყა-ამ!

რა ვენა, გავაგრძელო?... ხო-ო, ვირებზე მოგახსენებდით. ისე კი, ვირი რა მოსატანია — ჩვენა, გენაცვა, ადრე კამეჩებით ვიყავით განთქმული. აქა იგრეთი ჰაერია, რო კამეჩი ზორბა და ჯანიანი იზრდება. პატარაობაში ბებერ ხარკამეჩზე გადამჯდარი სოფლის ჯოგს მოვერეკებოდი ხოლმე სამხრიჯვრის იალალებიდან ალაზნის ქალებისკენა. მაღლა, ბინებში დარჩენილი კაცები კი კამეჩის რძისაგან მანონს ადებდებდენ და ყველი ამოჰყამდათ. კამეჩანთ-კარის ყველი თელავის ბაზარზე განთქმული იყო. თბილისიდანაც მოდიოდნენ იმის საყიდლად. დღესა, გენაცვა, თელი მსოფლიო რო მაიარო, კამეჩის ყველს ვერსად იშოვნი. პაპაჩემმა მინც ისე-ნონებულნი! დიდხან არ აჩერებდა ნაკში. ახლადმარლიგამჯდარ, რბილ-რბილ თავებს ამბიდებდა და ე, ამოვღელა ბრტყელ ფიქალზე დაწყობდა. მერმე ემაგ ფიქალს კრამიტდახურული საჩრდილობლის თავზე შემოსდგამდა, რო ღორი ან ძაღლი არ მიჰპარვოდა და მზეზე სდებდა. როცა ყველი გარედან შეხმებოდა და ნეკის სიმსხო ქერქს მაიდებდა, ხურჯინებში ჩავაწყობდით, ვირს ავეიდებდით და სოფელში ჩავზიდამდით ხოლმე. იმავე დღეს გრილ სარდაფში ხის თაროებზე ვალაგებდით და ზამთრამდე ეგრე ვაჩერებდით... როცა მზეზე გამთბარ და კანშემომხმარ ყველს სიგრილეში დადებ, შვილო, ჯერ სუ დაოფლამს, მერე კი, ნელა-ნელა თელ ამ ცხიმს უკან შაინომს და თეთრი თავი თანდათან ქარვისეფ ყვითელი ხდება. უჰ, მაგი ჭამას რა სჯობია, ბიჯო-ო! რომელი გუდა და სულგუნი! ეგ ყველი, გენაცვა, ყველას კი არ უნდა აჭამო. სიტყვაზე რო ვთქვით, ხეცსური და მეგრელი კი ვერ გაიგებს მაგის გემოსა. ვერც ამერიკელი დააფასებს... ვერც რუსი და თათარი. ეგა, შვილო, უფრო ფრანგს, ან



გერმანელს უნდა გააშინჯო, ანდა იტალიის ხალხსა...

რა-ა? არა, არც საფრანგეთში ვარ ნამყოფი და არც არსად, ნავარასისკს არ გავცილებივარ... საიდან ვიცი და იქიდან რომა, თავის დროზე, ილიკო ჯანდიერმა ეგრე თქო, იმას კი არ შეეშლებოდა. ილიკო ჯანდიერი გაგიგიათ?... არა, აბა საიდან!.. ეგა, გენაცვა, დიდი ზოოტექნიკოსი იყო, ჯერთ რიგაში, მემრე კი გერმანიაში და ხოლანდიაში ნასწავლი. ოცდათორმეტი თუ ოცდაცამეტი წელი იყო. მე მაშინ 12-13 წლისა ვიყავი და კარქა მახსომს. მამაჩემმა, ტიტემ ჩამაიყვანა თბილისიდან. მაშინ ილიკო თელ საქართველოში დადიოდა, რძისა და ყველის ხალხურ ტენოლოგიებსა, თუ რალაც ეგეთსა სწავლობდა, თანაც მთავრობისაგან ყველის ფაბრიკების გამართვა ჰქონდა დავალებული. მამაჩემი კი სოფლის მექანიზაციაში მუშაობდა და ილიკოს ეხმარებოდა. ზაფხული იდგა, მე და ანიჩკა მაღლა, სამხრიჯვრის ბინებზე ვიყავით ვანა პაპასთან, როცა ილიკო და ტიტე ამოვიდნენ. ცხენებით იყვნენ. მამიჩემი უნფრო ზორბა ტანისა იყო, ილიკო კი — ჩია და დაბალ-დაბალი. გალიფე შარვალი ეცვა, ქამრიანი ფენჯაკ-ტუჟურკა და წვრილი გალუსტიკი. თავზე კეპკა ეხურა. ვანა პაპა გემეგებათ. სხვა მწყემსებიც მოვიდნენ. ილიკო გალიმებული ხელს ართმევდა ყველას სათითაოდ. ტიტე და ვანა დაატარებდნენ სტუმარს, აჩვენებდნენ, უსხნიდნენ, ის კი ლურჯი კარანდაშით რალაცას ინერდა პატრა ბლოკნოტში. ჩვენც დაგვასაქმეს — კოცონის დანთება დაგვავალეს რო მერე ნვადები შეენვით მოგვიანებითა. მე და ანიჩკა თან ნაკვერჩხალს ვალვივებდით, თანაც თვალს ვაპარებდით ჩამოსული კაცისაკენ, რომელიც პირებ უღებდა ჩვენ კამეჩებსა და შიგ ისე დაკვირვებით ჩასცქეროდა, თითქო ვარსკვლავიან ცასა ხედამდა მაგათ ბნელ ხახაში.



მემრე ნაკიან სათლებს ჩამოუარა, ხელი ჩაყო, სიმკვრივე მოუშინჯა ყველის თავებსა. ამასობაში ვანა პაპამ დიდ ფიქალზე პურები, ბოლოკი, ნიორი და ორნაირი ყველი დააღაგა: ერთი ახალი, ჯერ გამოუყვანელი, მეორე კიდე — შარშანდელი, მკვრივი და ყვითელი. ბებერმა სარქალმა მანონი გადმაიტანა, ახალგაზრდებმა ზაქი დაკლეს. მამიჩემმა ღვინის ტიკი ჩამოხსნა ცხენს. გაიმართა ქეიფი. ხოდა, მაშინ როცა ილიკომ ვანა პაპას ყველები გამოიწვია, ყველანი გაყურდნენ და მიაშტერდნენ, ისა კიდე ნელა და საგანგებო გულყურით ღეჭამდა, თვალები ფიქრიანი და სხვაგან მაცქერალი გაუხდა, გეგონება მეფე ერეკლეა და ქვეყნის ბედსა სწყვე-ეტსო. ანიჩკას გეეცინა კიდეც: ის იყო, ტიტე უნდა გასწყრომოდა, რო ილიკომ გაიღიმა და თქო: „ერძიპა! თქვენი ნახელავით მთელი ევროპა შეიძლება, გავაკვირვოთ. ამ ყველის ფასს შვეიცარლები, ხოლანდიელები და ფრანგები გაიგებენ“. დაახანა და მერე დაამატა: „იტალიელებიცა, ალბათ“.

მე და ანიჩკა ქეიფის გახურებას ველოდით, ტიტეს სიმღერას. იცით, როგორა მღეროდა? ცაში გაფრენილი ტოროლები ჩერდებოდნენ მოსასმენადა, მა-ამ. მაგრამ ეგ არის, დედიჩემის სიკვდილის მერე იშვიათად თუ მოვიდოდა ხოლმე სიმღერის იშტაზე, ისიც ღვინო როცა დასძლემდა — მარტო მაშინა. არც ილიკო იყო ურიალი მომღერალი, ლევან ჯანდიერის შვილი მა რა იქნებოდა! მაგრამ იმ დღეს ქეიფი მაინც არ გამოვიდა — ცოტ-ცოტასა სვამდნენ ხანგამოშვებით, უფრო კი ყველზე ლაპარაკობდნენ: მინსახკომს მივწეროთ, მათიკაშვილსა და გვარამიასაო; მოსკოვში რაღაცა ქალღებები გავაგზავნოთო; ახლა ვანას აიძებდნენ: „გაისად, აპრილში რო სოფლის მეურნეობის ფესტივალი იქნება პარიჟში, შენი ყველი იქ უნდა მოვახვედროთ და ოქროს მენდალი ჩამოგიტანოთო“. ვანა კი იცი-ნოდა და ეგრე იძახდა: „რავი, შვილო, დაღვევით კი თითქო არაფერი დაგიღვევითაო რო ეგრე აცა-ბაცადა ლაპარაკობთო. რა მენდალი, რი მენდალი — აბა, ამ გაგანია კომუნისტობაში ჯერ თქვენ ვინ გაგიშვებთ ფრანციაში და მერე ამ ჩემ ყველსაო“. ეგრე აგისდა ყველაფერი!

წერა-კითხვის უცოდინარი იყო ვანა, მაგრამ ალლოიანი. ჭკუითა და გამჭრიახობით ნასწავლ ტიტესა და ილიკოს, ორთავეს ერთად აღებულსა სჯობდა. მაგრამ ეგ მერე გამოჩნდა, რამდენიმე წელიწადში. იმ დღეს კი დაბინდებას არ დალოდებინა, დაილოცნენ, ბალები დაგვკოცნეს, შესდნენ ცხენებზედ და ჯერ კიდე წითლად განათებული იალაღიდან დაბლა, ავად ჩაშავებული ღოღუ-აანთ ხევისკენ დეეშენენ. ხოდა, კაცო, უცნაური რამე მოხდა... არც ისე უცნაური, მაგრამ დამანახსოვრდა კია: იმ

დღეის სტომაქივით ჩანყვდიადებული ხევიდან სიმღერა არ მოგვესმა-ა?! ეტყო-ბა, უნაგირზე რწევა-ჯანჯღარში ღვინომ თავისი ქნა და ე ჩვენი მხედრები აგვიმღერა. მგონი, „გაფრინდი, შავო მერცხალოსა“ მღეროდნენ. თვალით ველარა ვხედავდით, შორ იყვენენ, მაგრამ ხმა ისე კარქა ისმოდა, თითქო სამხრიჯვარს არც გასცილებიანო. ჩემი და, ანიჩკა უცბათ მოსწყდა ადგილსა, მიწვერის ბოლოს, ფრიალოების თავზე გადაკიდულ გოდორა ლოდზე შეხტა და ფრთხილად გადაიხედა ხევეში. პატარა ვიყავ, მაგრამ მასსოვს, სუყველას გულები გადაგვიფრიალდა — მე და ვანა პაპაც იქით გავრბივართ, ანიჩკასკენა, გვემინიან, ემანდ არ გადავარდეს. ის კი არხეინათა დგაა ლოდზე და თავის წკრიალა ხმას იმით სიმღერას აყოლებს. ესლაც თვალწინ მიდგა, კაცო, თმააბურძნულცი, თითის წვერებზე შემდგარი გოგოცუნა, მოჯაჯული ბამბაზიის კაბიდან კნაჭა ფეხები რო მოუჩანს... გაგიკვირდება, ამ ორი წლის წინ

მატნისა და ლალისყურის ტყეებში იმალებოდნენ მაგისი ბიჭები. ამ ჩვენი სამხრიჯვრიდან ნახევარი დღის სავალცი არ არის მატნამდე. ხოდა, თურმე, პაპაჩემი აბგაში ხმიადებს, ყველსა და მანონს ჩაუწყობდა ხოლმე ანიჩკასა და გადაღმა ხეობაში ატანდა ქაქუცას რაზმელებისთვინა. ენდობოდა და იმიტომა, იცოდა მაგისი ჭკუის ამბავი. ერთხელაც მდეგარს გადასწყდომია ე ჩემი და. ავი გითხარით, პატარაა, კაცო, რვა წლისა. სამხრიჯვარი გედეველო, ბექობს ჩაპყოლოდა, სამოტრე ჩემთავრებინა, ხოდა, ის არი ტყეში უნდა შავიდეგს და აბგა სამალავში მიიტანოს, რო ფლოქვების თქარათქური მეესმა. არ დაბნეულა ე თითისტოლა გოგო — სანოვაგე სადღაცა ქვის ქვეშ დაუშალამს, როგორც პაპამ დაარითა, ზედ ხმელი ფოთლები მიუყრია, თითონ კი წკეპლამომარჯვებული დახვედრია მილიციასა. ათნი ყოფილან. წინ დიდ, შავ ცხენზე გადააჯდარი მალაქია ინაკავაჟე მოუძღვით, კახეთის მილიციის

თურმე, პაპაჩემი აბგაში ხმიადებს, ყველსა და მაწონს ჩაუწყობდა ხოლმე ანიჩკასა და გადაღმა ხეობაში ატანდა ქაქუცას რაზმელებისთვინა

რო დამეღუპა, სუ ეგრე ლოდზე მომღერალი მედგა თვალწინა... მაშინ პირგამეხებული ვიყა, სიტყვა არ დამცდენია... ესლა რა მამდის, არ ვიცი...

კარქი, ნუ მიყურებთ... გამივლის... ამ სიბერეში დამჩემდა... განა ვტირი, მაგრამ ე ხოერი ცრემლები თავისთავად ჩამამდიან, გაგიგონია, კაცო?! ცრემლის გარდა ყველაფერი გამიხმა: ხელები, ფეხები, ტვინი... ისე, მართალი რო ვთქვათ, დიდი ტვინისა არც არასდროსა ვყოფილვარ. ანიჩკა ხო-ო; წარჩინებული ნიჭისა იყო, მე კიდე არა. თელი ჩემი ცხოვრება ქაქანსა და ჩიტირეკიობაში გავატარე. წერა-კითხვა ძლივ მასწავლა ანიჩკამა. როგორა? არა, გენაცვა, დედა საიდან? დედაჩემი ჩემ მშობიარობას გადააპყვა და დავრჩით ეგრე ობლადა. ჩემთვინ ეგ იყო დედაცა და ყველაფერიცა. ოთხი წლით იყო ჩემზე დიდი. მე ოც წელში ვაარ დაბადებული, ეგა კიდე — თექვსმეტში. პატარობიდან ცქვიტი და მაუსვენარი იყო, უცნაური — ეგრეთი ჭკუიანი და სწავლის მოყვარე როგორ გამოვიდა ე მამაძალი!

ანიჩკა რვა წლისა იყო, მე კი ოთხისა, როცა კახეთში აჯანყება დაიწყო. ქაქუცა ხო გაგიგიათ? ხო, ქაქუცა ჩოლოყაშვილი. თავდაპირველად უფრო

უფროსის მოადგილე, ორმეტროიანი, ცალთვალა პირუტყვი. მაგისი გამოჩენა შიშის ზარსა სცემდა თელ აქაურ მოსახლეობასა. დგაა ანიჩკა, გამხდარი, გაკნაჭული და უყურებს ბაყბაყდევი-ით თავს წამომდგარ ინაკავაძესა. ის კიდე, ტყავის ლაპლაპა, შავ ტუფურკაში გამოწყობილი, უნაგირზე წამოხორხილი და თავისი ცალი თვალით ზემოდან ბურღამს შამინებულ ბაღლსა. „აქ რას აკეთებ, პატრონი არა გყამსო?“, — ასე უკითხამს. „ჩემი პატრონი ვანა პაპაა, მე კიდე დაკარგულ ხბორებს ვეძებო, — ანიჩკას უთქვამს, — სამხრიჯვრიდან გაგვექცენენ და უნდა ვიპოვნოო“. „ვერა გყოლია კარქი პატრონიო, — გასცინებია ინაკავაძესა და მაგისი შავი ცხენიც ახვიხვინებულა, — ამ სიმორეზე როგორ გამოგიშვა პაპაშენ-მაო?“ ისევ ახვიხვინდა ოდროგელა ულ-აყი. „საშინელი ცხენი იყოო, — მერე ყვებოდა ანიჩკა, — შავი, შავი, კუნაპეტი, კისერზე ირიბი ნაჭრილობევიო, თანაც გიჟურად ატრიალებდა წითელ თვალებს და ბრაზიანად სცემდა ტამ-ტისხელა ფლოქვებასო“. საღამოთი ჩაფსმულ-ჩასველებული დაგვიბრუნდა პატარა გოგო, მაგრამ ვანას გატანებული სანოვაგე მილიციის წასვლის მერე მაინც მიეტანა სამალავში და იქ დეეტოვებინა. მამაშ! ეგრეთი ბაღლი იყო.



ნანარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com

ინტირვი მიცვალებულთან

დასაწყისი იხ. „გზა“ №24-42

რუსუდან პერიკა

უცნობმა ლანას ტაქსით ლამის მთელი ქალაქი მოათარა და მძღოლს ერთ პირქუშ შენობასთან სთხოვა მანქანის გაჩერება. შენობას ჭუჭყიანი ფასადი და ჩამტვრეული მინები ჰქონდა. ამის შემხედვარე გოგონამ ერთი კი გაიფიქრა, აქაურობა სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის გარდა ყველაფერს ჰგავსო, მაგრამ უცნობმა ისევ სწრაფად გამოსდო ხელკავი და ახლა შენობის კედლებჩამოტყავებულ და სამშენებლო ნაგვით სავსე ვესტიბიულში შეარბენინა. ლანას გულმა რეჩხი უყო და ის იყო, კითხვის დასასმელად პირი დაალო, რომ უცნობმა დაასწრო:

— ხომ იცი ჩვენი მშენებლების ამბავი... აქაურობის დროზე გარემონტება ვერ მოასწრეს, მაგრამ ოთახები თითქმის უკვე განაწილებულია და ერთ-ერთი შენც სასწრაფოდ უნდა დაიკავო.

— დიას... როგორც იტყვი... — ძლივს წამოიკნავლა დამფრთხალმა გოგონამ, რომელსაც ფეხები უკან რჩებოდა.

ამასობაში შენობის მეორე სართულზე ავიდნენ. მამაკაცმა ჯიბიდან გასაღები ამოიღო და ერთ-ერთი ოთახის კარი ხმაურით გააღო. იმან, რაც ოთახში დაინახა, ლანა საბოლოოდ შოკში ჩააგდო: ცარიელი ოთახის შუაგულში, პირდაპირ იატაკზე, ერთადერთი დაჭმუჭნილ ზენარგადაფარებული ლეიბი იდო, გისოსებში ჩასმული ჭუჭყიანი ფანჯრებიდან კი სანახევროდ დანგრეული შენობის ყრუ კედელი ჩანდა. ლანას თავში საშინელმა აზრმა გაუელვა და სწრაფად შებრუნდა კარისკენ, რომელიც მაშინვე ფართოდ გაიღო,

ოთახში სამი ნახევრად შიშველი მამაკაცი ბოროტი ხარხარით შემოვარდა და ნამდვილი ჯოჯოხეთიც დაიწყო...

ლანა ძრწოლის გარეშე ვერასდროს იხსენებდა იმ სამ თვეს, რომლის გატარებაც ციხედ ქცეულ ამ საშინელ ოთახში მოუხდა და საიდანაც მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის წყალობით დააღწია თავი. მოხდა ისე, რომ ერთ დღესაც, მორიგი კლიენტის გასტუმრების შემდეგ, უბედური გოგონას სასტიკ ზედამხედველს კარის გარედან დაკეტვა დაავიწყდა. ლანა დანამდვილებით ვერაფრით იხსენებდა, ქუჩაში როგორ აღმოჩნდა. ან სად და როგორ გადააწყდა მას ერთი ღვთისნიერი ქალი, რომელმაც უპატრონა. შემდეგ იყო საკუთარ სოფელში დაბრუნებისა და დედასთან შესვედრის უმძიმესი წუთები. მაგრამ დრო მაინც ყველაფრის მკურნალია და გაუბედურებული დედა-შვილიც ნელ-ნელა ბედს შეურიგდა. ის კი არა და, ორი წლის გასვლის შემდეგ გოგონას რატომღაც, ისევ ქუთაისისკენ გაუწია გულმა. დიდი წინააღმდეგობა აღარც დედას გაუწევია და მალე ლანა ისევ მისი დამლუპველი ქალაქის ქუჩებში დააბიჯებდა. თუმცა ახლა ის აღარ იყო ის გულუბრყვილო გოგონა, რომელიც ამ ქალაქში პირველად ჩამოვიდა. მწარე ცხოვრებანანას უკვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ რადაც უნდა დასჯდომოდა, საქირო თანხა დაეგროვებინა, პატარა ბინა ეყიდა, შემდეგ დედაც თავისთან წაეყვანა და ერთად დაეწყოთ ბედნიერი ცხოვრება.

— ეს სკამი თავისუფალია? — უცრად მოგონებების ძაფი გაუნყვიტა ლანას მამაკაცის ხმამ.

გოგონამ მაშინვე თავი ასწია და მის წინ მდგარი უცნობი გულმოდგინედ აათვალიერ-ჩაათვალიერა. „მგონი, მაინც გატყდა ნავსი და მეშველა“, — გაიფიქრა მან და მამაკაცს ჯერ მომხიბვლელად გაუღიმა, შემდეგ თავიც დაუკრა; ამ დროს, ვითომ შემთხვევით, გულამოღებული კაბის ბრეტელი ჩამოუვარდა და ლამაზი მკერდი გამოუჩნდა.

— ბოზი ხარ? — ჯიქურ ჰკითხა მამაკაცმა და გვერდით მდგარ სკამზე სრულიად უცერემონიოდ დაჯდა.

ლანას პასუხის გაცემა არ უჩქარია. მას ხომ არასდროს მოსწონდა ასეთი უხეში მამაკაცები, რომლებიც არათუ წარმოიყვებით, არამედ ზედმეტი ლაპარაკითაც კი არ იწუხებდნენ თავს და პირდაპირ „საქმეზე გადასვლას“ ცდილობდნენ.

— ბოზი ხარ-მეთქი? — კითხვა გაუმეორა უცნობმა.

ლანამ ამ უზრდელი მამაკაცის მიმართ უკვე ზიზღიც კი იგრძნო, მაგრამ გარეგნულად მაინც არაფერი შეიმჩნია, მერე კი მორცხვადაც დახარა თვალები და ისე წარმოთქვა:

— ლამის პეპელა ვარ.

— ცალ ფეხზე მკიდიო, პეპელა ხარ თუ ჭიამაია. წამომყევი! — სწრაფად ადგა უცნობი.

— მაგრამ ძალიან ძვირი რომ ვლირვარ?! — ფეხი არ მოცივალა ლანამ და თან მამაკაცს თვალი თვალშიც გამომცდელად გაუყარა.

— მაინც რამდენი? — აგდებულად ჰკითხა მან.

„აჰ, ასე, ხომ, ვაჟბატონო?!“ — ახლა კი მართლა გაბრაზდა ლანა და უცნობისთვის ჭკუის სწავლება გადაწყვიტა:

- ხუთასი.
- ხუთასი რა?
- დოლარი.

— თანხმა ვარ. წავედით! — ისევ მოკლედ მოუჭრა უცნობმა და ბარიდან უკანმოუხედავად გავიდა. ლანა კი წამით შეყოვნდა... „ბიზნესმენს არ ჰგავს... — ფიქრობდა ის გზადაგზა. — დიდი ჩინოვიკიც არ უნდა იყოს... ვითომ ბანდიტია?... მაგრამ ბანდიტსაც რომ არ ჰგავს?!. ისე, ნეტავ ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს? ფული გადამიხადოს და თუნდაც ეშმაკი იყოს“... — დასკვნა მან ბოლოს და ფეხს აუჩქარა.

როგორც კი სასტუმროს ნომერში ავიდნენ, გოგონამ მაშინვე გახდას მიჰყო ხელი. „საქმე — საქმეა, — ფიქრობდა იგი, — და მეც ეს დასაწყველი ხუთასი დოლარი უნდა გამოვიმუშაო. ასეთი ფული ხომ ქუჩაში არ ყრია“.

— გაჩერდი! — შეუღრინა მას მამაკაცმა.



„ალბათ გადახრილია, — გაუელვა თავში ლანას, — ესლა მკლდა. ახლა რამე საზიზღრობის გაკეთებას მომთხოვს“...

— სწრაფად ჩაიცივი ეგ შენი ძონძები და ყურადღებით მომისმინე, — განაგრძო უცნობმა. — მე სპეცსამსახურის თანამშრომელი ვარ, — ჯიბიდან რაღაც საბუთი ამოიღო და გოგონას თვალებზე ააფარა.

ამის გამგონე ლანას შიშით გული გადაუქანდა. „არა, დღეს ასე მაინც ვინ დამთარსა?! — ტირილის დანყებას აღარაფერი უკლდა მას. — ჩავევარდი და ეს არის... მაგრამ ახიკია ჩემზე! ასე მაინც რამ გამომაშტერა, რომ ორგანოს თანამშრომელი ვერ შევიცანი?“

— ხომ იცი, რომ სულ თავისუფლად შემიძლია შენი ციხეში ჩაყუდება? — თითქოს ფიქრს მიუხვდავო, ისე შეუტია გოგონას უცნობმა. — მაგრამ ძალიან ახალგაზრდა ხარ და იქნებ, ჯერ კიდევ შეიძლება შენი გზაზე დაყენება.

— მაპატიეთ, მეტს აღარ ვიზამ, — საცოდავად წამოიკნავლა ლანამ.

— რა თქმა უნდა, აღარ იზამ, — მშვიდად მიუგო მამაკაცმა. — და ამაში მე დაგეხმარები.

— თქვენ? — გაოცებისგან თვალები დაჭყიტა ლანამ.

— ჰო.

— თქვენ როგორ?..

— როგორ და საქმიანი წინადადება მაქვს შენთან.

— რა წინადადება? — მეტი გაოცებით მიაშტერდა მამაკაცს გოგონა, რომელიც ვერ მიმხვდარიყო, რა საქმიანი წინადადება შეიძლებოდა, ჰქონოდა მასთან ამ კაცს.

— თუ ჯერ კიდევ ვერ მიხვდი, მაშინ უფრო გასაგებად აგიხსნი, — თითქოს ისევ ლანას აზრები წაიკითხაო, ისე დაიწყო მამაკაცმა. — მე კონტრდაზვერვაში ვმუშაობ. იცი, ეს რას ნიშნავს?

— დიახ, ვხვდები... — ისევ წამოიკნავლა ლანამ.

— მაგრამ მე რა შუაში...

— მოკვებე! — გაანყვეტინა უცნობმა, მერე ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და ოთახში გაიარ-გამოიარა. — მოკვებე-მეთქი და ყურადღებით მომისმინე.

— დიახ, გგისმენთ, — შიშისგან უკვე ენაც დაება გოგონას.

— ჩვენს ქალაქში რუსი ჯაშუში მოქმედებს, — გოგონას ბლუკუნისთვის ყურადღება არ მიუქცევია მამაკაცს. — ჩვენ ის უკვე

გამოვთვალეთ, მაგრამ დაპატიმრების უფლება არ გვაქვს, რადგან უცხო ქვეყნის მოქალაქეა. თანაც, მისი დანაშაულებრივი საქმიანობის დამადასტურებელი პირდაპირი მტკიცებულებებიც არ გავაჩნია. თუმცა აბსოლუტურად სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, რომ რუსეთში რეგულარულად გზავნის საიდუმლო ინფორმაციას.

ამ სიტყვების გამგონე ლანას უკვე გაძრევსაც კი შეეშინდა.

— ჰოდა, — განაგრძო მამაკაცმა და თან, გოგონას გამომცდელად დააკვირდა, — ქართული სახელმწიფოს სახელით გეკითხები: თანახმა ხარ, რუსი ჯაშუშის მხილებაში დაგვეხმარო?

— მაგრამ მე რა შემიძლია? — წამოიკვნესა ლანამ. — მე ხომ ერთი უბრალო...

— დაივინე, აქამდე ვინ იყავი! — გაანყვეტინა მამაკაცმა. — ამ წუთიდან სახელმწიფო სამსახურში დგები. ისიც გაითვალისწინე, რომ შენი დახმარება აუნაზღაურებელი არ დარჩება.

— მართლა?! — საკუთარ ყურებს არ დაუჯერა ლანამ.

— რა თქმა უნდა, — შეტქმულივით, ჩურჩულზე გადავიდა უცნობი.

— თანაც, მარტო ფულზე როდია ლაპარაკი. იმ პირობის წასახალისებლად, ვინც უცხოელი ჯაშუშების დაჭერაში განსაკუთრებით აქტიურად გვეხმარება, სპეციალური სახელმწიფო პროგრამა მოქმედებს და, ათიათასდოლარიანი ფულადი ჯილდოს გარდა, საქართველოს დიდ ქალაქებში ოროთახიანი ბინების გადაცემაცაა გათვალისწინებული.

— ქუთაისშიც? — თვალები სიხ-

არულით ანთო გოგონას.

— რა თქმა უნდა.

„ასეთი ჯილდოსთვის, რაც ქვეყანაზე ჯაშუშები არიან, ყველას ერთადაც კი ვამხელდი“, — გაიფიქრა ლანამ.

— ჰა, რას იტყვი? — ჩაეკითხა უცნობი.

— რა თქმა უნდა, თანახმა ვარ, — წელში ამაყად გასწორდა ლანა. — მითხარით, რა უნდა გავაკეთო?

— ძალიან კარგი, — მხოლოდ ტუჩის კუთხეებით გაელიმა კმაყოფილ უცნობს, — მაშინ ყურადღებით მისმინე...

ნიკა ბერდიაშვილი სასტუმროს ნომერში იჯდა და ყურადღებით უსმენდა მის მიერ მოპოვებული საუბრის ბოლო ჩანაწერს. გაირკვა, რომ ლაფაურს რაღაც წამოწყება ჩაუვარდა და მეცნიერი კვლავ გაუჩინარდა.

„არა უშავს, — კმაყოფილი დიმილი სახიდან მაინც არ მოსცილებია ნიკას, — ეს ყურნალისტი ნამდვილი მამბარია და ადრე თუ გვიან, არეშიძეს მაინც მიაკვლევს. დანარჩენი კი მე ვიცი“.

როცა ლაფაური არეშიძის შემლილობაზეც აღაპარაკდა, ბერდიაშვილი თავიდან შეცბა, მაგრამ მალევე დამშვიდდა, რადგან ნათქვამი სერიოზულად არ მიუღია. ვინ-ვინ და, ის მართლა კარგად უწყოდა, რომ დიდ მეცნიერებს შორის მთლად ნორმალური ადამიანები უბრალოდ არ არსებობენ; რომ ყოველ მათგანს ერთი ისეთი უცნაურობა მაინც სჭირს, რომელსაც ზოგი სიციფედ, ზოგი — გადახრად, ზოგი კი სულაც განსაკუთრებულ აღმფრენად უთვლის.

„ასეც რომ არ იყოს, — ფიქრობდა ბერდიაშვილი, — მე რა მენალვლება?! მთავარია, მეცნიერი ხელში ჩაეიგდო და სარფიანად გაეციდო. დანარჩენზე კი იმათ იმტვირონ თავი, ვის ხელშიც ის საბოლოოდ აღმოჩნდება“.

ჩანაწერიდან ნიკასთვის ისიც გახდა ცნობილი, რომ ლაფაური მეორე დილით, რომელიც მთის სოფელში გამგზავრებას აპირებდა, რაც ჭკუაში როდი დაუჯდა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა და დილით ისიც გზას უნდა გასდგომოდა. „მაგრამ ეს — დილით, ახლა კი ცოტა ამოსუნთქვაც შემიძლია, — გემრიელად გაიზმორა ნიკა და უეცრად აუტანელი შიმშილი იგრძნო. ან კი აქამდე როგორ გავძელი? დღეს ხომ ჯერ პირში ლუქმა არ ჩამსვლია!..





კარგად უნდა ვივასშმო. ხვალ გრძე-
ლი გზა მელის“.

ნომრიდან გასვლამდე ბერდიაშვი-
ვილმა დიქტოფონი ჯერ ბალიშის
ქვეშ შემალა, მცირეოდენი ფიქრის
შემდეგ კი ჩართო კიდეც: „სანამ
ვივასშმებ, ხომ შეიძლება, ჟურნალ-
ისტმა კიდეც რამე ახალი გამოთხ-
აროს“.

ნიკამ ნომრის კარი ჩაკეტა და
რესტორანში ჩავიდა. გვიანი სალა-
მო იყო და რესტორანში იმდენ ხალხს
მოეყარა თავი, რომ ოფიცინტმა
ძლივს მოახერხა მისთვის ადგილის
პოვნა. თუმცა ნიკას დაჯდომა და
მაგიდასთან მსხდომი, ლაქლაქში
გართული რამდენიმე მაჰაკაცის აშლა
ერთი იყო. „კიდეც უკეთესი — ვერ
ვიტან, როცა ჭამას არ მაცლიან“, —
გაიფიქრა კმაყოფილმა ბერდიაშვილმა
და მენიუ გაშალა. მერე ოფიცინტს
უხმო და სწორედ ამ დროს ქალის
სასიამოვნო ხმაც გაიგონა:

— ბოდიშს გიხდით, შეიძლება,
თქვენს მაგიდასთან დაჯდეთ?

ბერდიაშვილმა გვერდზე მიიხედა
და საკმაოდ მიმზიდველი გარეგნო-
ბის ახალგაზრდა ქალი დაინახა,
რომელიც მას მორცხვად უღიმოდა.

— რა თქმა უნდა, გთხოვთ... —
სკამი შესთავაზა ქალს და თან მაშინვე
მუშტრის თვალითაც შეაფასა:
„არა უშავს, „დესერტად“ ნავა“.

— დღეს აქ იმდენი ხალხია, რომ
ნემსიც კი აღარსად ჩავარდება, —
მომხიბლავი ღიმილით მიუჯდა მაგ-
იდას ქალი. — შევეცდები, ძალიან
არ შეგანუხოთ.

— რას ბრძანებთ, რა შენუხე-
ბაა?! — ასევე მომხიბლავი ღიმილი
შეაგება ნიკამ და ქალს მენიუც მი-
ანოდა. — შეუკვეთეთ, რაც გნებავთ.

— არა, არა! — იუარა მან. — აქ
პირველი მოხვედით, ამიტომ ჯერ
თქვენ შეუკვეთეთ, მე კი მოვიცდი.

ამ სიტყვების შემდეგ ქალმა ნაზი
თითები ერთმანეთს გადააჭდო და
ბერდიაშვილს უმაღლესი ბრილიანტების
ბრწყინვალეობამ მოსჭრა თვალი. ქალს
თითქმის ყველა თითზე უძვირფასესი
ბეჭედი ეკეთა. თუმცა ნიკას მათზე
მეტად მაინც, სხვა რამის დანახვამ
გაუხარა გული — ეს ქალის
არათითზე მოელვარე, საქორწინო
ბეჭედი იყო. ბერდიაშვილზე ეს ისე
მოქმედებდა, როგორც ხარზე —
წითელი ქსოვილის ცხვირწინ აფ-
რიალებდა. კოხტა ქალის დანახვა, მით
უმეტეს, მაშინ, თუ ის გათხოვილიც
აღმოჩნდებოდა, ბერდიაშვილს ნამ-
დვილი მონადირის აზარტს უღვი-
ძებდა.

მაგრამ თუ ქალი გათხოვილი არ
იყო, თუნდაც მისი მამიკო მილიო-
ნერიც ყოფილიყო, ნიკა მისით არ
ინტერესდებოდა. აი, მდიდარი მა-

მაკაცის გულუბრყვილო ცოლის
გაბრყვილება კი მართლა განსაკუთრე-
ბულად ალაგზნებდა და ამიტომაც,
ყოველთვის ერთი სული ჰქონდა,
რომელიმე ბიზნესმენის ან დიდი
თანამდებობის პირისთვის რქები
დაედგა. თუმცა ეს ადვილი საქმე
არ იყო და მისგან არცთუ მცირე
შეუპოვრობასა და ხშირად, გა-
მომგონებლობასაც კი მოითხოვდა.
სხვა რომ არაფერი, ასეთი ქალები-
ის უმეტესობა, როგორც წესი, ქმრის
ლაღატს, მთელი ცხოვრება ოქროს
გალიაში ჯდომას ამჯობინებს,
წინააღმდეგ შემთხვევაში ხომ, გან-
ქორწინება და უფულობელი ემუქრე-
ბათ. ცხადია, ბერდიაშვილს დიდად
არც ეს გარემოება აფრთხობდა და
შეუპოვარ ბრძოლაში თავით გადა-
საშვებადაც მუდმივად მზად იყო.
მოკლედ, ნიკამ იცოდა, რომ ასეთი
ქალის ლოგინში შესატყუებლად
კარგად უნდა გარჯილიყო და ირ-
ჯებოდა კიდეც. და როცა, ბოლოს
და ბოლოს, ყველაფერი მაინც მისი
სცენარის მიხედვით ხდებოდა, კიდეც
ერთი დიდი ბრძოლის მომგები მხე-
დართმთავარივით გრძნობდა თავს.
არადა, ეიფორიიდან საკმაოდ
სწრაფადაც გამოდიოდა და მეორე
დილიდანვე ისეთ სულიერ სიცარ-
იელეს გრძნობდა, რომლის ამოვსე-
ბაც მხოლოდ მორიგ გამარჯვებას
შეეძლო.

— მაშინ, ნება მომეცით, რამეთი
გაგიმასპინძლდეთ, — იერიშზე გა-
დასვლა გადანყვიტა ბერდიაშვილ-
მა.

„მართალია, ხვალ მძიმე დღე მე-
ლის, მაგრამ თუ ამაღამ ამ სულელს
ლოგინში ჩავიგორებ, ეს მხოლოდ
ენერჯის შემმატებს“, — ფიქრობდა
იგი.

— არა, რას ბრძანებთ, ძალიან
მეუხერხულემა... — მორცხვად დახ-
არა თვალეზი ქალმა.

— სულ ტყუილად. მე ხომ ეს
მხოლოდ უზარმაზარ სიამოვნებას თუ
მომანიჭებს!..

— მართლა?.. — კიდეც უფრო
დაიმორცხვა ქალმა.

— რა თქმა უნდა.

— თუ ასეა, მაშინ ცოტა შამპა-
ნურზე უარს მართლაც არ ვიტყვი.

— შამპანურიც ჩემზე იყოს და
ყველა სხვა სიკეთეც... — მხრები
გაშალა ნიკამ: — მაპატიეთ, მაგრამ
შეიძლება გკითხოთ, აქ მარტო, ქმრის
გარეშე რატომ ხართ?

— ოჰ, ჯანდაბა იმის თავს! —
თავი უკმაყოფილოდ გაიქნია ქალმა.
— ჩამომიყვანა და სასტუმროში
„დამაგდო“. თვითონ კი რაღაც სიმ-
პოზიუმს ესწრება.

— საიდან ჩამოხვედით?

— ბათუმელები ვართ. ჩემს ქმარს

იქ დიდი ბიზნესი აქვს. ყოველ შემთხ-
ვევაში, თვითონ ასე ამბობს, მაგრამ
მე ამის ბევრი არაფერი გამეგება.

— დიდი ბიზნესი კარგია, მაგრამ
არც ასეთი მშვენიერი ცოლის უყურა-
დლებოდ დატოვება ვარგა.

— არა, ისე, არც მთლად მისი
ბრალია ყველაფერი, — მაინც გამოე-
სარჩლა ქმარს ქალი. — პირველ
სხდომაზე მეც წამიყვანა, მაგრამ
კინალამ მთქნარებით მოვკვდი და
ისევე სასტუმროში დარჩენა ვამ-
ჯობინე. ბოლოს და ბოლოს, როცა
მინდა, მაშინ გავალ ქალაქში და
ხანდახან ამ რესტორანშიც შემოვი-
ვლი.

— თქვენც მართალი ხართ. თუმ-
ცა ბიზნესის კეთება ადვილი საქმე
ნამდვილად არ არის და გარკვეულ
მსხვერპლსაც მოითხოვს, მით უფრო
— ჩვენს ქვეყანაში. სიტყვამ მოიტანა
და მაინც — რისი ბიზნესი აქვს
თქვენს მეუღლეს? — ფრთხილად
შეაპარა ნიკამ ქალს.

— ხომ გითხარით, ზუსტად არ
ვიცი-მეთქი, — თავი მოიკატუნა
ქალმა, — მაგრამ იმას კი ხშირ-
ხშირად გაიძახის, — ბათუმში უჩე-
მოდ კენჭიც ვერ იცვლის გვერდსო.

— ყოჩაღ! — შეაქო ნიკამ თავისი
უხილავი მეთოქე. — მაშინ ალბათ,
ძალიან მდიდარიც იქნება...

— ზუსტად ვერ გეტყვი... ალ-
ბათ — კი, რადგან ძალიან ძვირფას
რამეებს მჩუქნის.

— გაგიმართლათ. ძალიან ჰყვარე-
ბიხართ.

— აი, ამაში კი ეჭვი მეპარება..
— უცბად მოინყინა ქალმა. — რომ
უყვარდეთ, თავისუფალ დროს ჩემთან
გაატარებდა და არა თავის გატყე-
ვლარჭულ თანამშენსთან, — ამ-
ოიოსრა მან და მაშინვე ცრემლებით
აეგსო თვალეზი.

— ნუ ტირით, ძალიან გთხოვთ,
— საკუთარი ცხვირსახოცი მზრუნ-
ველად გაუნოდა ბერდიაშვილმა ქალს.
— იქნებ, მე შემიძლია რამეთი თქვე-
ნი დაგეხმარება?

— და მერე იცით, ის თანამშემ-
ნე რა ლამაზი ქალია?! მოდელი
გეგონებათ, — კვლავ სლუკუნს
აგრძელებდა ქალი. — ეჭვიც არ
მეპარება, რომ ჩემი ქმარი ამ
წუთშიც იმასთანაა, — აბა,
ოცდაოთხსაათიანი სიმპოზიუმში
ვის გაუგონია?

— იქნებ, ეს მაინც, უბრალოდ
ეჭვია და სხვა არაფერი?

— ეჭვიო? — შუბლი შეიჭმუნა
ქალმა. — „საროჩები“ რომ მუდმი-
ვად პომადით აქვს მოსვრილი, ესეც
მხოლოდ ეჭვის ბრალია?.. იცით,
ხანდახან როგორ მინდა, მეც რაღაც-
ით გავამწარო?

ბერდიაშვილს ეშმაკურად გაელი-



მა. თევი თავისით ებმებოდა მის ბადეში.

— მერედა, ამის გაკეთებას რა უნდა?!

— რის გაკეთებას? — გულუბრყვილოდ იკითხა ქალმა.

— თუნდაც საყვარლის გაჩენას, — დაჟინებით მიანუბრებდა მას ბერდიაშვილი.

— საყვარლის?.. არა, რას ამბობთ?! — თავი ნაზად გადააქნია ქალმა. — ეს მეტისმეტი იქნებოდა. მე ხომ ქმარი ჯერ ისევ მიყვარს...

თანაც, რომ გაიგოს, მამინვე მომკლავს. მაგრამ თუ...

— სათქმელი რატომღაც, აღარ დაასრულა მან.

— რა თუ? — ჩაეძია ნიკა.

— რა და ისე რომ მოვეცეულიყავი, ვითომ ვლალატობ... უბრალოდ მეგრძინო მაინც, ეს როგორ ხდება. ოღონდ, სინამდვილეში

ცუდი არაფერი გამეკეთებინა. ხომ გესმით ჩემი?

— შესანიშნავად მესმის, — გადახარხარებას აღარაფერი უკლდა ბერდიაშვილს, — ის კი არა და, იქნებ, მეც კი შევძლო, ამაში დაგეხმაროთ.

— თქვენ? — მორცხვად გაუღიმა მას ქალმა და ნაზი მხრები აიჩეჩა.

— კი, მაგრამ როგორ?

— როგორ და, ამ საღამოს თქვენი წარმოსახვითი საყვარელი გავხდები.

— წარმოსახვითი?.. თქვენ?.. არ ვიცი, არ ვიცი... მაინც, რა უნდა გავაკეთოთ?.. მე ხომ სინამდვილეში არ მინდა, რომ... — ხელების მტკრევა დაიწყო ქალმა.

— სინამდვილეში არც არაფერს გთავაზობთ, — თავი შორს დაიჭირა ნიკამაც, — უბრალოდ, ცოტა გავხალისდებით — ეს არის და ეს.

— ნუ, თუ ასეა... და მაინც, კონკრეტულად რა უნდა გავაკეთოთ? — კიდევ ერთხელ ჰკითხა ქალმა.

— არაფერი. უბრალოდ, თქვენს ნომერში ავალთ და იქ ერთად ვივახშმებთ. ცოტა შამპანურსაც დავლევთ და ვისაუბრებთ. ეს არის და ეს.

— მართლა?!

— რა თქმა უნდა. დამიჯერეთ, ეს საღამო თქვენს მახსოვრობაში ნამდვილ რომანტიკულ თავგადასავლად დარჩება და შედგომში მისი გახსენება მხოლოდ სულს თუ გაითბობთ, — ბერდიაშვილმა უკვე ცხადად წამოიღგინა, თუ რა მოგონებებით გაითბობდა ეს ქალი სულს მასთან ერთი საღამოს გატარების შემდეგ.

— ეს ყველაფერი მართლაც, ძალიან საინტერესო იქნებოდა... —

წამით ჩაფიქრდა ქალი. — მაგრამ ქმარი რომ დაბრუნდეს და ჩვენს ნომერში გნახოთ, ხომ ვერაფრით ავუხსნი, რომ მხოლოდ კარგი ნაცნობები ვართ და უბრალოდ



ვსაუბრობთ?

— თუ ასეა, მაშინ, ნება მომეცით, მე მოგიწვიოთ ჩემს ნომერში, — არც ამჯერად დაიბნა ბერდიაშვილი.

ქალი წამით კვლავ ჩაფიქრდა, მაგრამ მერე მამაკაცის წინადადებას მაინც დათანხმდა:

— კარგი, წავიდე. ოღონდ ქმარს დავურეკავ და ვეტყვი, რომ დიდი ხნის უნახავ დაქალს შევხვდი და ღამეს მასთან გავათევ.

— შესანიშნავია! — სიხარული ვერ დაფარა ნიკამ. — ოფიციალტ!.. შეკვეთა ნომერში!..

ლოგინიდან წამომდგარმა ლანამ მძინარე ბერდიაშვილს მიაყურა და. შამპანურში ჩაყრილ საძილე აბებს საჭირო ეფექტი მოეხდინა — მამაკაცი მშვიდად ფშვინავდა.

„ისე, ლამაზი კია ეს რუსი, მაგრამ ჯაშუშია და რა ვქნა?!.“ — გაიფიქრა მან და ტელეფონისკენ წაიღო ხელი.

ორიოდე წუთში კარზე ფრთხილად დააკაკუნეს. ლანამ კარი სწრაფად გააღო და ზღურბლზე კონტრდაზვერვის თანამშრომელი ამოიზარდა.

— ყველაფერი რიგზეა? — ხმადაბლა იკითხა მან. — ხომ არაფერი გართულებულა?

— არა, — ძლივს გასაგონად წაიჩურჩულა ლანამ. — ყველაფერი ზუსტად ისე გავაკეთე, როგორც მიბრძანეთ.

— ძალიან კარგი.

მამაკაცმა ნიკას ტანსაცმლის ჯიბეები გაჩხრიკა, მაგრამ დოკუმენტებისა და ფულის გარდა, იქ

არაფერი დახვდა. მერე ბალიშქვეშ შეყო ხელი და დიქტოფონი გამოიღო.

— ესეც პირველი ნივთმტკიცება!.. — კმაყოფილი სახით გადახედა მან გოგონას, რომელიც ცხოვრებაში პირველად ესწრებოდა ნამდვილი უცხოელი რეზიდენტის მხილებას და გაცემისგან პირიც კი დაეღო.

— ახლა აი, რა, — დიქტოფონი ჯიბეში შეინახა მამაკაცმა. — კიდევ ერთი პატარა სამსახური და თავისუფალი ხარ.

— რა სამსახური? — გაუკვირდა ლანას, რომელიც უკვე დარწმუნებული იყო, რომ რაც მოეთხოვებოდა, ყველაფერი გააკეთა და ახლა მხოლოდ ჯაშუშის დაპატიმრებალა იყო დარჩენილი.

— მე პოლიცია უნდა გამოვიძახო და ეს არამზადა ფაქტზე ავაყვანინო. შენ კი მთავარი მოწმე იქნები.

გოგონა ოდნავ შეეყოყმანდა, მაგრამ მერე გულში მაინც დაასკვნა, რომ სათანადო ანაზღაურების შემთხვევაში, არც ამის გაკეთება იყო ძნელი.

— კარგი, — დაეთანხმა მამაკაცს ლანა, რომელიც უკვე ბინასა და ფულად გასამრჯელოზე ფიქრობდა. ამის ფონზე კი მარტო აქ კი არა, თუნდაც სასამართლოში მოწმედ გამოსვლაც აღარ ეჩვენებოდა დიდ სირთულედ.

— მაშინ, გაიხადე და გვერდით მიუწევი, — უბრძანა მამაკაცმა.

— რა-ა?! — თვალები გაუფართოვდა გოგონას.

— ჰო, რა იყო? ხომ გითხარი, ფაქტზე უნდა ავაყვანინო-მეთქი. ჰოდა, ყველაფერი ბუნებრივად უნდა გამოიყურებოდეს.

— კარგი, — უხალისოდ დაეთანხმდა ლანა და ტანსაცმლის გახდა დაიწყო.

— ახლა კი მოდუნდი და თავი მოიმძინარე! — ახალი ბრძანება გასცა მამაკაცმა, როგორც კი დაინახა, რომ შიშველი გოგონა მძინარე ბერდიაშვილს გვერდით მიუწვა.

ლანამ თვალუბრიც მორჩილად დახუჭა, მაგრამ უნებლიეთ ამ საშინელი ადამიანის მძიმე მხერვა იგრძნო და გული გადაუქანდა. დამფრთხალმა გოგონამ თვალუბრიც ნელ-ნელა გაახილა და უკანასკნელი, რაც დაინახა, მისკენ მთელი ძალით გამოსროლილი, უცნაურად ალაპლაპებული დანა იყო, რომელმაც წამში გული გაუპო...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



რომანტიკა

თუ

დანაშაული?

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“ №31-42

თედო ნელი სვლით მიდიოდა. მოულოდნელად ოდნავ ჩემკენ გადმოიხარა და მხრით მხარზე შემეხო. შევეკრთი და შევეცადე, გვერდულად დაემჯდარიყავი, რომ მისი ვითომ შემთხვევითი შეხება თავიდან ამერიდებინა. ჩემმა დირექტორმა მაშინვე შენიშნა ეს და სახეზე შეეტყო, რომ ჩემთან სიახლოვის სურვილი უფრო გაუმძაფრდა. მან იცოდა, რომ ადვილი მოსანადირებელი არ ვიყავი, ამიტომაც ცდილობდა, ყოველი მომდევნო მცდელობა ბუნებრივი გამოსვლოდა. ვინ იცის, იქნებ პირველი ქალი ვიყავი მის ცხოვრებაში, ვის მოსახიბლავადაც დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა. ის ხომ პოპულარობით სარგებლობდა მანდილოსნებში, განსაკუთრებით — მდივნებში.

— კაზინოში ოდესმე გითამაშია, ლოლა? — სიტუაციის განსამუხტავად მკითხა თედომ, თან გზას გააყურებდა, თან ცდილობდა, თავისუფლად ყოფილიყო, თითქოს მიმტკიცებდა, ცუდი არაფერი განმიზრახავს.

— არა, არასდროს, მაგრამ გული მიგრძნობს, რომ ძალიან მომეწონება, — ოდნავ მოვეუვი და ბაგეებზე მსუბუქმა ღიმილმა გადაამირბინა.

— ახლა მე შენ კაზინოში წაგიყვან და ნახავ, რამხელა სიამოვნებაა თამაში.

გზა დიდხანს არ გაგრძელდებოდა. გული უცნაურად მიცემდა. ხუმრობა ხომ არ იყო, ჩემთვის ჯერ კიდევ უცხო შეგრძნება უნდა განმეცადა...

ფეისკონტროლის გავლის შემდეგ, დარბაზში შევედი... უსიამოვნოდ გამაჟრჟოლა... უფანჯრო, დახურულმა სივრცემ საოცარი დისკომფორტი შემიქმნა, სული შემეხუთა. სათამაშო მაგ-

იდებთან დანახულმა სახეებმა კი, ვერ წარმოიდგენთ, როგორ დამთრგუნა. აქეთ-იქით გაცუებული ვიყურებოდი. ზოგს დაძაბული მზერა ჰქონდა, ზოგსაც დაზაფრული, უემოციო, გამოფიტული... ძალიან ცოტა თუ ინარჩუნებდა სიმშვიდეს, ალბათ ის კატეგორია, რომელიც მსოლოდ გასართობად იყო შემოსული და არა ფულის მოსაგებად. ყველაზე საინტერესო ამ სანახაობაში მოთამაშეთა თითები იყო — მოუსვენარი, უცნაურად მოძრავი, თითქოს რაღაცას ჩასაფრებულნი...

დარბაზში საოცარი სინყნარე სუფევდა, არც სიგარეტის ბოლით იყო იქაურობა გაულენთილი და არც შეზარხოშებული მამაკაცების ყაყანი ისმოდა.

თედო ვილაცას გულლიად მიესალმა, ვილაცას ხელი აუწია... ეტყობოდა, აქაურობის ხშირი სტუმარი იყო... მერე ხელი მკლავში ჩამავლო, „რულეტკასთან“ დამსვა, „ფიშკები“ წინ დამიდო და თამაშის წესები ამიხსნა.

— არ არსებობს! — შევძახე გამხიარულბულმა. — ნუთუ ასე ადვილია?

— ნუთუ გარეშე ასე ადვილია, — გამეხუმრა დირექტორი.

მბრუნებმა ბორბალმა და ბურთულის ბზრიალის ხმამ აღმაფრთოვანა. ასეთი რაღაცეები მსოლოდ ფილმებში მენახა.

პირველ ჯერზე ოთხმოცი ლარი მოვიგე, შემდეგ — ასოცდაათი, მერე და მერე კი, რატომღაც, ფორტუნამ არ გამიღიმა და რაც მოვიგე, ერთიანად ნაწავგაძალიან აზარტული რამ ყოფილა!

— კარგად ერთობი? — შიგადაშიგ მეკითხებოდა თედო, რომელიც ჩემ გვერდით იჯდა და ხანდახან მუხლს მუხლზე მომადებდა ხოლმე.

ისე ვიყავი თამაშში გართული, მის ფართო „ცულებობას“ აინუნშიც არ ვაგდებდი. არა უშავს, ცოტა ხნით გაახაროს თავისი ჭია, — ჩემთვის ვფიქრობდი. უფრო შორს შეტოპვის უფლებას მაინც

არ მივცემ. აქედან გავალთ და მისი გალაღობაც დამთავრდება.

— უკეთესად ვერსად გავერთობოდი, — ვთქვი თამაშით ალტყინებულმა და გავილიმე, მაგრამ ღიმილი უმალ სახეზე შემაშრა... შორეულ კუთხეში ნიკა დაველანდე, რომელსაც გადასახტომად შემართულ პანტერასავით ყველა კუნთი დასჭიმოდა... ავცახცახდი. ერთმანეთს შევხედეთ. დაზაფრულმა ავარიდე თვალი, რადგან მის გამოხედვაში დემონური მრისხანება იკითხებოდა.

— მიდი, ახლა წითელზე დადე, — თედომ გამამხნეველად მირჩია.

მექანიკურად დავმორჩილდი, „ფიშკა“ ისე დავედი წითელზე, მაგიდისთვის არც კი დამიხედავს. ნუთუ თედომ მოასწრო ნიკას გაფრთხილება და მანაც შეამონმა, მართლაც ამბობდა თუ არა მისი საქმიანი პარტნიორი და მეგობარი? იქნებ შემთხვევით არის აქ? საინტერესოა, რატომ მიყურებს ასე? რა უნდა? თავად ხომ კარგად ერთობა? ჩემი რატომ უკვირს? მისი საკუთრება ხომ არ ვარ? ყველა ამ კითხვაზე პასუხი უცებ ამომიტივტივდა გონებაში... რა უნდა და, ცდილობს, თავის ნებაზე მატაროს, როგორც მოესურვება, ისე მმართოს. ის ჩემში პიროვნებას კი არა, ნივთს ხედავს, რომელსაც, როცა გაუხარდება, მაშინ შეეხება და გაეთამაშება...

სიბრაზზე შემოიყრია. მე მას თავს არ გამოვაცენებინებ. ის ჩემი ქმარი არ არის... არც საყვარელი... მეგობარიც კი არ არის ჯერ ჩემი... დიდი ამაზევი, ერთი-ორჯერ თუ მაკოცა. ამიტომაც არა აქვს უფლება, თავისი სურვილისამებრ მართოს ჩემი ცხოვრება.

თავი განვიდა ჯიქურ მივაჩერდი. სახეზე გაცუებამ გადაურბინა. როგორც ჩანს, არ ელოდა ჩემგან ასეთ თავხედურ გამოხედვას. ალბათ ეგონა, მისი გამოჩენა შემაშინებდა. არ დავმაღავ და, თავდაპირველად მართლა თავზარი დამეცა, თუმცა ნელ-ნელა გონს მოვეგე და მისი ზრახვები რომ ამოვიცანი, ერთბაშად დავშვიდდი.

რაღაც მომენტში შემეცოდა კიდევ, ისეთი ნატანჯი სახე ჰქონდა, ვინანე, თედოს რომ გამოვეყვი, მაგრამ ამაზე ფიქრი არ დამცალდა... ნიკა უეცრად შებრუნდა და ფართო ნაბიჯებით გასასვლელისკენ გასწია...

მზერა თედოზე გადავიტანე. ის მსტუნავ ბურთულას დასჩერებოდა და ბაიბურშიც არ იყო, მისგან რამდენიმე მეტრის დაშორებით რა ხდებოდა. ალბათ თავში აზრადაც არ მოსვლია, ნიკა ჩვენს შემონმებას თუ განიზრახავდა. ნეტავ, რესტორანში გაყოლოდი და აქ არ შემოვსულიყავი... ეს რა ჩავიდინე!

სიგაჟუმედ მომიხდა, თედო მიმეტოვებინა და ნიკას გავკიდებოდი. მიხდოდა, მკვითხა, რამ გამოიწვია მისი უქმყოფილება. რამ განარისხა ასე სასტიკად და სასურველი პასუხი მიმელო... მიხდოდა, კიდევ ერთხელ მენახა მისი გაღიმებული სახე, საყვარლად ჩამოშლილი თმა და სევდიანი



ნაცრისფერი თვალები... ის ნიკა მინდოდა მენახა, როგორსაც მხოლოდ მე ვიცნობდი. მისი ხმა მომენტატრა, სიმკაცრეგამოცლილი და „დათბილული“, სიღრმისეული, რბილი და ხავერდოვანი... მაგრამ გონებამ აჯობა გულის კარნახს, ფიქრებიდან გამოვერკვიე და კვლავ სათამაშო მაგიდას დავებრუნდი. ნაძალადევად გავუღიმიე თედოს, რომელიც ტყავიდან ძვრებოდა, ოღონდ კი ჩემთვის ესამოვინებინა. ახლა უკვე აღარაფერს ჰქონდა აზრი... ისე ჩამოვყარე ყურები, არც ხუმრობა, არც მოგება, არც მისი მხიარული რებლიკები... არაფერი მშველოდა... ჩემზე ვერაფერი ახდენდა შთაბეჭდილებას. ტყუილად ვცდილობდი, კვლავ აზარტულად ჩავრთულიყავი თამაშში, არ გამომდიოდა.

როცა მესამედაც წავაგე, ამოვიოხრე და თედოს მივუბრუნდი.

— მაპატიე... თავი ამტკივდა... ძალიან გთხოვ, წავიდეთ.

— რა თქმა უნდა, აბა, რას ვიზამ, ახლავე, ახლავე, — დაფაცურდა ქალების გულთამაშრობელი.

ხელკავი გამიკვთა, ნაცნობებს თავის დავკვრით დაემშვიდობა და გარეთ გამოიყვანა. სუფთა ჰაერი მესიამოვნა.

— რესტორანში ხომ მივდივართ? — მკითხა.

— იცი, მართლა მტკივა თავი, — ყრულ ვუპასუხე, თან ვწუხდი, ჩემი გულისთვის ამდენი ფული რომ დახარჯა.

— გინდა, წამალი ვიყიდოთ? დალიე და უშალ გაგივლის.

— არა, გმადლობ, წამლის დალევას ვერიღებდი, — ვიუარე.

— მაგიდა უკვე შევუკვთე, მიუსვლელობა არ გამოვა, — ჩემი დაყოლიება სცადა.

— კარგი, ოღონდ ძალიან ცოტა ხნით, გთხოვ.

— როგორც მეტყვი, ლამაზო, შენი ნებაა. დღეს შენი დღეა. თუ გინდა, ნახევარ საათში წამოვიდეთ, არ არის პრობლემა.

მადლიერების ნიშნად ოდნავ გაუღიმიე, ლაპარაკის თავიც არ მქონდა.

სანამ რესტორანში მივიდოდით, თედოს პირი არ გაუჩერებია, მთელი გზა იმაზე ლაყბობდა, როგორი ფურორი მოვახდინე კაზინოში და რა უცებ აღმოვჩნდი ყურადღების ცენტრში, თუმცა წესიერად არც ვუსმენდი. მართალია, ის ძალიან ყურადღებიანი იყო და მადლობის მეტი რა მეთქმოდა, ჩემი სიამოვნებისთვის ასე რომ დაიხარჯა-გაისარჯა, მაგრამ ახლა ისეთ ხასიათზე ვიყავი, დანა პირს არ მიხსნიდა. ნიკას გამოჩენამ მთელი საღამო ჩამიშხამა. მტანჯავდა იმის გახსენება, თედოსთან ერთად რომ დამინახა. არადა, ახი იყო ჩემზე, ხომ მე მოვიფიქრე ეგ ყველაფერი.

სამორინესგან განსხვავებით, რესტორნის დარბაზი ხმაურიანი აღ-

მოჩნდა. როგორც კი ჩვენს მაგიდას მივუსხედით, მაშინვე რამდენიმე ადამიანი დაგვადგა თავს, რა თქმა უნდა, თედოს ნაცნობები. შეზარხოშებული მამაკაცები სასაცილოდ ცდილობდნენ ჩემზე შთაბეჭდილების მოხდენას. შეფარვით მეპრანჭებოდნენ. გენერალურ დირექტორს დიდი ძალისხმევა დასჭირდა მათ თავიდან მოსაშორებლად.

— ქორებივით არ შემოგვესივნენ? — გაიცინა თედომ, როცა აბუხარი ცნობის-მოყვარეები „მოფანტა-მოფანტა“, — ასე თუ გაგრძელდა, დიდი ეჭვი მაქვს, რომ შენს თავს მომტაცებენ.

— მაგრამ შენ ამას არ დაუშვებ, ხომ მართალია? — ვცადე, გავმხიარულებულიყავი და გავეკვლეო.

— შუბლში ტყვიას თუ დამახლიან, არ ვიცი და სხვანიარად ამ ლურჯკანიან საოცრებას არავის დავუთმობ, — ნაიტრაბახა მამაკაცმა.

სიცილი წამსკდა, ისე ბავშვურად გამოუვიდა. რაც მართალია, მართალია, ძალიან სასიამოვნო ადამიანია... სიმპათიურიც არის, ჭკვიანიც და ინტელექტუალურიც. არ მიკვირს იმ ქალების, მის ხელში ჩაგდებას რომ ცდილობენ. რომ არა ნიკა, არც მე დავიხვევდი უკან... ალბათ...

„უბერავს ქარი, იღება კარი და ჩემგან მიდის ლამაზი ქალიიი“... — პანჩოს სიმღერას უნიჭოდ მღეროდა ვიღაც.

— რატომ არაფერს მიირთმევ? გადაიღე რამე, რა...

— არ მშია, თედო, წვენი მსიამოვნებს მხოლოდ.

— ერთ ჭიქას მაინც არ დალევ ჩემთან ერთად? ბოლოს და ბოლოს, პირველად ვართ ასეთ სიტუაციაში...



— სხვა დროს, კარგი? მართლა ცუდად ვარ.

— გინდა, ვიცეკვოთ? რომ იმოძრავეს, ცოტას გაგივლის, — შემომთავაზა.

ნეტავ, არ დავეთანხმებულყავი...

როგორც კი საცეკვაო მოედანზე გავდით, ერთმანეთში შეთანხმებულბევით, ყველა ჩვენ მოგვანერდა... მუქი ლურჯი კაბა მეცვა, ღრმა დეკოლტეტი, წელში გამოყვანილი, კოჭებამდე დაშვებული და მარცხენა მხარეს, მუხლს ქვემოთ ჩახსნილი. ეს სტილი განსაკუთრებულად ხაზგასმით აჩენდა ჩემს ფიგურას — წვრილ წელს, მაღალ თქობებსა და სავსე მკერდს... რალაც მომენტში ყურიც კი მოვკარი, რომელიღაცამ სოფი მარსო რომ ახსენა... ალბათ კიდევ ვიღაცამ მიამსგავსა. ყოველი ნაბიჯის გადადგმისას კაბის ჩახსნილი ნაწილი იშლებოდა და ჩემი ლამაზი მარცხენა ფეხი ყველას თვალწინ მაცდურად შიშვლდებოდა. ისე დავამთავრეთ ცეკვა მე და თედომ, ჩვენ შორის „დისტანცია“ არ დამირღვევია, მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცმა რამდენჯერმე სცადა, მჭიდროდ მივეკარი მკერდზე... ამის საშუალება ერთხელაც არ მივეცი... სამაგიეროდ, სხვა ჭირი ავიკიდე. დაჯდომა ვერ მოვასწარი, რომ თედოს ერთ-ერთმა ნაცნობმა, მისივე ნებართვით, საცეკვაოდ გამიწვია. უარი ვერც მას ვუთხარი... მის შემდეგ კიდევ ოთხი პარტნიორი გამოვიცვალე... მათგან ორი სრულყოფილად უცხო აღმოჩნდა, თედოს საერთოდ არ იცნობდნენ. ყოველი მათგანი თავდაჭერილად ცდილობდა თავისი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას, ვინ ვიყავი, რა მერქვა, სად ვმუშაობდი და რა მაკავშირებდა კაცთან, რომელთანაც ვვახშობდი. მეც მოკლედ ვპასუხობდი შეკითხვებს, რადგან ლაპარაკის არც თავი მქონდა და არც — სურვილი... ყველაზე გამბედავი ბოლო პარტნიორი აღმოჩნდა, რომელმაც საცეკვაო მუსიკად ტანგო შეუკვთა და ისე სწრაფად დამატრიალა, თავბრუ დამეხვა. არაჩვეულებრივად ცეკვავდა თავად, თუმცა არც მე ვაკლებდი. მთენთავდა ნაცნობი, სიყვარულით სავსე მუსიკის პანგები, შიგადაშიგ თვალებს ვხუჭავდი, რომ უკეთ შემეგრძნო სევდიანი და, ამავდროულად, აგზნებული რიტმით გაჯერებული მელოდია. უცხო მამაკაცი მჭიდროდ მეკვროდა, როცა წელზე ხელს მხვევდა, თუმცა არ გამიპროტესტებია. მისი არსებობა ჩემთვის არაფერს ნიშნავდა... ცეკვის დამთავრების შემდეგ იგი უკვალოდ გაქრებოდა ჩემი ცხოვრებიდან... როცა დავამთავრეთ, უცნობმა, არც აცია, არც აცხელა და ტელეფონის ნომერი მთხოვა. რა თქმა უნდა, არ მივეცი.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ დავტოვეთ რესტორანი. მაინც დამძიმებული მქონდა გული, გზაში ხმას არ ვიღებდი. უინტერესო თანამოსაუბრედ ვიქეცი — ჩემი აზრები სადღაც შორს დახეტილებდნენ, გონებაგაფანტული ვპასუხობდი თედოს შეკითხვებს, ნაძალადევად...

როგორც იქნა, ჩემს კორპუსს მივალწინ-



ეთ. კმაყოფილმა დირექტორმა მანქანა გააჩერა და ნებივრად გადაწვა საზურგეზე, თან მარჯვენა ხელი მხარზე გადამხვია.

— ძალიან მიმზიდველი ვინმე ხარ, ლოლა, — ხმადაბლა შენიშნა, — ხომ არ გაგვეგრძელებინა გზა და სადმე მყუდრო ადგილი მოგვენახა? — „მადაზე“ მოვიდა ჩემი თაყვანისმცემელი.

უარის ნიშნად მხოლოდ თავი გაგაქნიე, ხმის ამოღების ძალა არ შემწევდა.

როგორც ჩანს, ჩემი „გაქნული“ უარი ყოყმანის ნიშნად მიიჩნია, მთელი ტანით მოხრუნდა და მეორე ხელი ნიკაპქვეშ ამომლო.

— არა მგონია, ლამპონების შუქზე ისე მოვახერხოთ დამწვადობა, როგორც წესი და რიგია... ასე არ არის? — შეფარვით მიმანიშნა, მაკოცნიეო.

— უშიშო, მოგვიჩვენა, — უდარდელად ვუპასუხე და ვაგრძობინე, რომ კოცნის იმედი ტყუილად ჰქონდა.

მისი ტკბილი ოდეკოლონის სურნელი უკვე მაღიზიანებდა. თან ეს ხელი... ვნებიანად რომ მითათუნებდა მიშველ მხარზე, გულს მირევდა... ბოლოს არც ამას დასჯერდა და... მისმა თითებმა მხრიდან ფეხისკენ გადაინაცვლეს, ნელ-ნელა დაბლა ჩასრიალდნენ, ჩახსნილ კაბაში გზა ადვილად გაიკვლიეს და მუხლისთავთან გაჩერდნენ. უხეშად გაგანვიცინე ხელი.

— ლამე მშვიდობისა, თედო, — ცივად დავემშვიდობე და მანქანიდან გადმოვედი.

თავადაც გადმომყვია და სადარბაზოში დე მიმაცილა.

— დიდი მადლობა დღევანდელი სალამოსთვის, ამას არ დაგივინებ, — დემონსტრაციულად დაუკარი თავი და სიბნელეში ისე გაუჩინარდი, მის პასუხს არ დავლოდებოვარ.

ტკივილისგან თავი მისკვებოდა... მაკიაჟი მოვიშორე, ორი აბი ციტრამონი დაელოე და სიბნელეში ძლივს გავიკვლიე გზა საწოლისკენ. საინტერესოა, რას ფიქრობს თედო... იმედია, ჩემი საქციელით მისი მამაკაცური ღირსება არ შელახულა და ამის გამო არც სამსახურიდან დათხოვნა დამეშუქრება. ნიკა, რა თქმა უნდა, სიტყვას არ შემანევს ასეთ შემთხვევაში...

ნიკა!.. რატომ არ შემიძლია, არავისზე ფიქრი, მის გარდა? ასე უცებ როგორ შემავარა თავი? თითქოს ტვინში ჩამიშენეს მისი სახე, მგრძობიარე, ირონიული, თავდაჯერებული... გარშემო სხვას ვერავის ვხედავ...

მთელი ლამე ვინრიალე ლოგინში. ხან ერთ მხარეზე გადავტრიალდი, ხან — მეორეზე. ფეხის თითები ისე მქონდა გაყინული, ვერაფრით გავითბე. იქნებ მხოლოდ ამის გამო ვერ ვიძინებ? მეექვსემა... ჩემი უძილობის მთავარი მიზეზი მეტრეველია, ტყუილად ვატყუებ საკუთარ თავს.

ნუთუ მართლა ჩანდა ტკივილი ნიკას გამოხედვაში? და თუ ჩანდა, რითი იყო გამოწვეული? ავდექი და ფანჯარას მივუახლოვდი. თვალი უკვე შეეჩვია სიბნელეს. ლოყა ცივ მინას მივადე და ამოვიოხრე. თითქოს სასტარტო სიგნალი ყო-

ფილიყო ეს ამოოხვრა, უმალ ცრემლები წამსკდა და ლანგებზე ლაპაღუპით დამედინა... სამაგიეროს გადახდა მინდოდა და თვითონ აღმოვჩნდი სამაგიეროგადახდილი... შურისძიება მინდოდა და თავად გავხდი შურისძიების მსხვერპლი...

როცა ტირილით გული მოვიოხე, საწოლს დავუბრუნდი. ცოტა არ იყოს, შემცივდა. „უკვე აღარ არის ტიტლიკანა სირბილის დრო, ლოლა, ზამთარი კარს მოგვედგომა. აჯობებს, ნიკას ნაჩუქარი პიჟამა ჩაიცვა და ჩათბე, იქნებ ჩაგვიჩინოს სითბოში“, — დაგტუქსე ჩემი ორეული.

ნეტავ, რამდენი დრო დამჭირდება ამ უიმედო სიყვარულის ჩასაქრობად? მაგრამ განა ასე ადვილია? არა, არ არის ადვილი... უკვე ძალიან გვიანაა, რადგან სენად მექცა მისი სიყვარული, ისე მოედო ჩემს გულს და სულს, ისე გადამიყვანა, ერთი ნამცეცხე არ დატოვა მთელი. მოთხოვნილებად მექცა მისი ნახვა, მის გვერდით ყოფნა, მასთან ლაპარაკი...

თვალეები დავხუჭე. უნდა დავიძინო. დილით სამსახურში დროზე უნდა ვიყო. ნინ კიდევ ერთი გრძელი, მძიმე და უსიხარულო დღე მელოდებოდა... ხვალ ბანკეტია, რომელიც უჩემოდ ჩაივლის...

— იცი, რომ დღეს მოკლე სამუშაო დღეა? სამის შემდეგ შეგიძლია, ნახვიდე და მიემზადო, — მითხრა თედომ, როცა, ჩვეულებისამებრ, დილის ყავა შეეუტანე.

— რატომ, რადგან პარასკევია? — გავიკვირე.

— პარასკევი რა შუაშია, შვიდზე ბანკეტი გვაქვს, არ გახსოვს? — სათვალის ზემოდან ამომხედა.

— ა! ეგ კი დამავიწყდა... მაგრამ მე ვერ მოვედივარ, — სევდიანად გავუღიმიე.

— კარგი რა, ხვალ წადი მამაშენის სანახავად, ხომ შეიძლება? თანაც, ხვალ შაბათია...

— ვერა... მამა მელოდებოდა, არ მინდა, ვანერვიულო.

— უშენოდ ამ საღამოს რა ეშხი ექნება... — თქვა და ნამოდგა, ნელ-ნელა მომიახლოვდა, — ნუხელ კინალამ ჭკუიდან გადაამიყვანე, ისეთი ნესუსაღური იყავი, — ჩახრინული ხმით გააგრძელა და ხელი ნელა ჩამომისვა ზურგზე, — ნამდვილი ჯადოქარი ხარ... თან მაღიზიანებ, თან აღმაგზნებ... არც ჭამა მახსოვს, არც ძილი... სულ შენზე ვფიქრობ, — ჩურჩულით დაასრულა და ტუჩებში კოცნა დამიპირა, მაგრამ დროზე მოვარიდე სახე და უკან დავიხიე.

— არ იყო? აქ ჩვენ მეტი არავინაა, დაუკავუნებლად არც არავინ შემოვა.

— ჩემთვის სულერთია, შემოვა თუ არა. ამისთვის არ შემოვსულვარ, ყავა შემოგიტანე მხოლოდ.

— და სულ ეს იყო? აბა, გუშინ რატომ დამთანხმდი პაემანზე? რალაც ვერ გავიგე... — მუქარის ტონით წარმოთქვა და კვლავ ნამეტანა.

— შეწყვიტე! — ხელი ვკარი და მოვიშორე. — ჩემი დანაშაული ისაა, რომ შენ ყველაფერი სხვანაირად გაიგე, მე ასე

არ მინდოდა! ძალიან გთხოვ, მეორედ ეგრე არ მომექცე!

— აბა! ესე იგი, შენ მოგწონს, როცა ძალით ცდილობენ შენს დამორჩილებას? რა პრობლემაა, ჩემთვის არც ეგ არის უცხო.

— შენ ვერ გაიგე, თედო! გასწიე ხელი! ცოტა ფრთხილად, შენს მდივნებში არ აგერიო!

— ჩემს მდივნებს რას ერჩი?... შენ რა, მათზე უკეთესი გგონია საკუთარი თავი? არ გვინდა წმინდანის როლის თამაში და არ დამინყო იმის მტკიცება, რომ ქალწული ხარ.

— ვარ! — ჩემდა უნებურად წამომცდა და მაშინვე ვინანე, რამე მჭირდებოდა ამის მტკიცება?

სახე შეეცვალა... ვნებაც ჩაუტყრა, დაბნეულოდა შეეჭყო... შევამჩნიე, როგორ ჩამოუშვა მხრები.

— მაგრამ... ეს ცოტა დაუჯერებელია... ფაქტობრივად, აღარ დარჩენი შენი ასაკის ქალწულები.

— როგორც ჩანს, დარჩენი! — ცივად მივუთხრე.

ჩაფიქრებული თავის სავარძელს დაუბრუნდა, უჯრა გამოალო და იქიდან „ნემიროვის“ გაუსხნელი ბოთლი და ვერცხლის მინიატიურული სირჩა ამოაძვრინა.

— მამაკაცი... ახლა თუ არ დავლიე, შეიძლება, გავგიჟდე, — თქვა, არაყი დაისხა და გადაკვრა, — ხომ არ მიბრაზდები? — მკითხა.

— არა, — დათბილული ღიმილი ვესროლე, — არა უშავს, ხდება ხოლმე... მე წავალ, შენი ნებართვით.

— კარგი... კარგი... — შეცბუნებულმა ჩაილაპარაკა და არაყი ხელმეორედ დაისხა.

არ დავინტერესდი, კიდევ დალევა თუ არა, ზურგი შევაქციე და კაბინეტიდან გავედი.

ნიკა არც იმ დღეს მინახავს. მარცხა მიმტკიცებდა, დილიდან აქ იყო, მაგრამ მე ვერსად მოვეკარი თვალი.

მთელი საათი მეხვეწა მარი, შენც წამოდი ბანკეტზეო, თუმცა ვერ დამიყოლია. ვერ ვებედავი იქ გამოჩენას, მეშინოდა, ვითუ, მეტრეველი გააღიზიანოს ჩემმა დანახვამ-მეთქი. არადა, გულის სიღრმეში ძალიან მინდოდა, მეც ვყოფილიყავი თანამშრომლებს შორის და ჩემი გამოჩენით ფურორი მომეხდინა.

სამსახურიდან ადრე გამოსულს შინ დაბრუნება არ მინდოდა. გადავწყვიტე, ჩემი ჯგუფედი — ეკა მომენახულენინა. დავეურევე. ჩემი ხმა რომ გაიგონა, სიხარულისგან აკვივდა. რაც მუშაობა დავინწყე, ერთხელაც არ მივსულვარ, არც დამირეკავს. ორსულად ვარო, — მახარა. ახლა მე დავინწყე კვილი. ძლივს ერთი ბედნიერი ადამიანი არ აღმოვაჩინე გარშემო? ყველას პრობლემა აქვს, ყველას რალაც ანუხებს, ყველა წუნუნებს და ცხოვრებას უჩივის. აი, ეკა კი სულ სხვაა. ბედნიერებისგან გაბრწყინება თვალსახე, შეესებულა და დაქალაქულა. მიყვარს



ფეხმძიმეები... ქალები ამ დროს სულ სხვა-ნაირები — საყვარლები, ნაზები, უბოროტოები და ძალიან ლამაზები ხდებიან... თვალს ვერ ვწყვეტდი ეკას, ისეთი სასიამოვნო სანახავი იყო.

დიდხანს ვიჭორავებო. ყველაფერი მოვუყვი, რაც ბოლო ხანს გადახდა. გაცივდა, როგორ მოხდა, რომ ჰორიზონტზე შენი მოსაწონი მამაკაცი გამოჩნდა... ეკა ერთადერთი იყო, ვისაც არასდროს არაფერს ვუმალავდი და ვინც სტუდენტობისას საუკეთესო რჩევებს მაძლევდა.

— მითხარი რაზე, ხომ ხარ ჩემი სულის მალამო? — მუდარით სავე მზერა მივაპყარი.

— რა უნდა გითხრა, ლოლა... ფაქტია, რომ გულგრილი არ არის შენ მიმართ... უეჭველია, მალე გამოჩნდება, დაელოდე. ალბათ ჰქონდა მიზეზი, სხვა ქალი რომ მოიყვანა იმ ღამეს... ოდესმე აგისნის ალბათ. წინასწარ ნუ უსწრებ მოვლენებს და სისულელეებს მოეშვი, დაანებე თავი სხვა კაცებს. ამით შენს თავს ვნებ და არა მას, გასაგებია? — დამმოდგრა დაქალმა.

ლაპარაკით გული მოვიოხებო. ათი საათი დამთავრებული იყო, მისგან რომ წამოვდები. გზად სუპერმარკეტში შევიარე, ყველი და პომიდორი ვიყიდე, მერე თონეში შოთის პურიც ავიღე და ამასობაში, თერთმეტი საათიც გახდა. ახლა უკვე გახურებული იქნება ქეიფი, ალბათ, ცუცავავენ... გული მწყდებოდა, თანამშრომლებს რომ გამოვავალდი. ნეტავ, ნიკა თუ ერთობა? კარგ ხასიათზეა? ჩემზე თუ ფიქრობს? იქნებ მორიგი ასაკოვანი კახა მიიყვანა და მასთან ერთად ატარებს დროს? დამამძიმა უაზრო შეკითხვების „კორიანტელმა“, თან მიმშლილმაც ამინვა კუჭი...

ქოშინით ავადნიე ჩემს სართულამდე და შევისვენე, იმდენად დამალა საფეხურებმაც და პროდუქტებით სავე ჩანთამაც. მოულოდნელად სიბნელეში ვიღაც წელა შეირხა... თუ რაღაც... მაინცდამაინც აქ არ არის განათება, ბედი არ გინდა? თვალები ამიჭრელდა სიბნელეში... შიშისგან ლამის ჩავიკეცე.

— არის აქ ვინმე? — აკანკალებული ხმით ვკითხე.

— ნუ გეშინია, მე ვარ, — მომესმა ნაცნობი ხმა და... საბოლოოდ მუხლები მომეკვება.

ნიკამ ფარანი მომანათა. მკვეთრმა სინათლემ თვალები მომჭრა და გაშლილი ხელისგული მოვიჩრდილე, რათა მისი სახე გარკვევით დამენახა.

— უკვე შემეშინდა... — ყრუდ წარმოვთქვი და ჩანთა ძირს დავდე, სანამ კარს გავაღებდი.

დავიჯერო, გარეთ მელოდა? თუ ჩემს მანქანას იყო დადარაჯებული და მერე გამოვიდა?

— ამდენ ხანს სად იყავი? — რბილად მკითხა, რასაც ნამდვილად არ ველოდი...

— საქმეზე! — ცივად მივუგე, კარი გავაღე და ჩანთის ასაღებად დავიხარე, მაგრამ დამასწრო, პომიდორ-ყველ-შოთიანი ჩანთა მხარზე მოიგდო და პოლში უბოდიშოდ შეალაჯა.

გაცივებულმა გავაყოლე თვალი. უკვე

არც მეკითხება... იქნებ არ ვუშვებ სახლში?!

— მე კი მთელი საღამო შენს დაკეტილ კართან მქონდა კონცანობა გაჩალებული, — თქვა და სამზარეულოში შესულმა ჩანთა მაგიდაზე შემოდო, მერე კი პროდუქტების ამოლაგებას შეუდგა.

ისე იქცეოდა, როგორც შინაური... როგორც მეგობარი... თუ ქმარი?... თუ საყვარელი?..

ზღურბლზე შევდექი, ხელები მკერდზე გადავიჯვარედინე და ურეაქციოდ მივაჩერდი...

სანამ საქმეს არ მორჩა, თავი არ აუწევია, მერე კი გაკვირვებული მზერა მესროლა.

— რატომ მიყურებ ასე? შემთხვევით, ხომ არ გეზიზღები? — ირონიული ტონით მკითხა.

— რატომ უნდა მეზიზღებოდე?

— არ ვიცი, ეს შენ უნდა ამიხსნა.

— რა გინდა, ნიკა, რისთვის მოხვედნი?

— არ იცი, რისთვის მოვედი და რა მინდა?

— არა, არ ვიცი და ეს შენ უნდა ამიხსნა, — ჯიბრიანად ვუპასუხე.

იქვე ჩამოჯდა, უზურგო სკამზე და თავადაც გადაიჯვარედინა ხელები მკერდზე.

— იცი, ცხოვრებაში, ყველაზე მეტად, რა მალიზიანებს?

რა-მეთქი, წარბ-თვალით ვანიშნე, კითხვა არ დამისვამს.

— ყალბი ქალები და ყალბი ბრილიანტები, — ნიშნის მოგებით მიპასუხა.

ცალი წარბი მრავლისმეტყველად ავზიდი.

— მე რომელ კატეგორიას მივეკუთვნები, ქალებს თუ ბრილიანტებს? — დამცინავი ღიმილი ამითამაშდა ტუჩებზე.

— შენ ჩემთვის ძვირფასი იყავი, როგორც ქალი... ჩემი ცხოვრების სამკაულად მიგიჩნიე... აღმოჩნდა, რომ ნიჭიერად გაყალბებული ეგზემპლარი შემრჩა ხელთ — ქალიც და ბრილიანტიც.

— რა ხატოვანი სიტყვებია, სად ამოიკითხე? — არ ვზოგავდი. — საუკეთესო თავდაცვა თავდასხმაა, არა? მაგას მე მუშებნები? მე-უ? — აყვირდი. — შენ? შენ ვინ ხარ? როგორი ქვა ხარ? ძვირფასი თუ ნახევრად ძვირფასი? შენ მელაპარაკები სიყალბეზე, როცა...

— მოიცა, მოიცა, — უეცრად ფეხზე წამოიჭრა, მომვარდა და პირზე ხელისგული ამოფარა, — შენ ისე შენი რეპერტუარით უბერავ... ასე არაფერი გამოვ... იეჭვიანე, არა? ეს კარგია, ძალიან კარგი... მეც ვიეჭვიანე და სწორედ იმის შედეგი იყო, ჩემს სანოლში სხვა ქალი რომ აღმოჩნდა...

— შენ... შენ იეჭვიანე? ვისზე? რა გქონდა საეჭვიანო? — მისი სიახლოვით გაბრუნებულმა ძლივს მოუყარე სიტყვებს თავი.

— რა მქონდა? მეკითხები კიდევ? ვინ



იყო ის ყმანვილი, ჯიბით რომ მოგაკითხა სამსახურში?

ამის გაგონებაზე, თვალები გამიფართოვდა... იგი ჩემს ნიკუშაზე ეჭვიანობდა... ეგ საიდანაა გაიგო? თედომ ჩაუტაკლა? რა ჭორიკანა ყოფილა!

კინალამ წამომძვინკა, შენი მეგობარი როგორ ვერ იცანი-მეთქი, მაგრამ დროზე დავაჭირე ენას კბილი. მას არ უნახავს ნიკუშა, საიდან ეცოდინებოდა, ვინ იყო? ცოტა ხომ არ წავეთამაშო?

— რა შენი საქმეა, ვინ იყო? — ნიშნის მოგებით შევუბრუნე კითხვა.

— როგო-ორ? — ერთიანად შეიკუმშა და წამით შემეშინდა, სილა არ გამანანას-მეთქი. მიხვდი, მასთან ზუმრობა კარგს არაფერს მიქადდა და დავნებდი.

— კარგი, კარგი... გეტყვი... ჩემი ბიძაშვილი იყო, უცხო არავინ. გეფიცები...

ამ დროს ჩემი მობილური ტელეფონის ზარი გაისმა. შემკრთალი ნიკას მოვცილდი და ჯერ კიდევ მხარზე გადაკიდებული ჩანთიდან აპარატი ამოვიღე. ეკრანს დავხედე და გავშრი... დაფეთებული ნიკასკენ გავაპარე მზერა. შემეტყოს სახეზე, რომ არასასიამოვნო ზარისთვის უნდა მეპასუხა. ჩემი ოცნების მამაკაცი გამომცდელად მომჩერებოდა და თვალს არ მამორებდა. არადა, არ შეიძლებოდა, არ მეპასუხა... ეს უფრო საეჭვოს გახდიდა სიტუაციას...

— იქნებ გამაგებინო, რას ნიშნავდა ჩვენი წუნხდელი შეხვედრა, — თედოს ნამთვრალევი ხმა ჰქონდა, თან ყაყანი ისმოდა ყურმილში, ალბათ საბანკეტო დარბაზში იმყოფებოდა, — რისთვის დამაპატივებინე თავი, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდებოდა?

— არა... სიყვარულის, — გულგრილად მივუგე ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ და გავუთიშე...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გზის გზნილები

მარი ჯაფარიძე

ვინ იცის, რა არის ბედნიერება? ზოგისთვის ერთი ნატეხი პური, ზოგისთვის — თავისუფლება, გამართლებული სიყვარული, ბევრი ფული, ჯანმრთელობა, მიზნის მიღწევა... ამბობენ, ეს ცხოვრება პატარა-პატარა ბედნიერებებისგან შედგებაო და... სიმართლე რომ გითხრათ, ვერ ვისხენებ, ბოლოს როდის ვიგრძენი თავი ბედნიერად... მაგრამ ეს არაფერი... ყველაფერს თავისი დრო აქვს... ჰოდა, დავანებოთ თავი პესიმიზმს და ვნახოთ, ვინ რა მომწერა, თემაზე თუ თემის გარეშე.



დედ-მამის გამაბედნიერებელი

„სანდრო ქობულეთში გავიცანი (უფრო სწორად, თვითონ გამიცნო). დაინახა კარგად „გაზაგრული“, სიმპათიური, მოცუკვავე გოგო (თავს არ ვიქებ, მართლა ასეა) და მოენონა ბიჭს. ერთი კვირა დამდევდა, თან ჩვენს სასტუმროშიც გადმოვიდა, ხშირად რომ ვენახე, მაგრამ მამაც ჩვენთან იყო და ხშირად ვერ მოდიოდა ჩემამდე მაინც. მერე მამა თბილისში წამოვიდა და ეშველა ბიჭს. ნუ, მერე მეც მომენონასავით, თან ცნობილი დედიკოს შვილია და ყველანაირად მანებვირებდა. ფუფუნებაზე დახარბებული არ გეგონოთ, ჩვენიც საკმარისად გვაქვს, მაგრამ ასეთი ბიჭის ყურადღება მსიამოვნებდა. თან თბილისში მეზობლები აღმოვჩნდით. ქობულეთიდან რომ ჩამოვედით, აქაც გავაგრძელეთ ურთიერთობა. მერე დედამისიც გამაცნო. ძალიან კარგი და სათნო ქალია. თან — ძალიან ახალგაზრდა. გავიდა დრო. ჩემი და სანდროს ურთიერთობა გრძელდებოდა, მაგრამ ერთ დღეს სანდროს „სათნო“ დედიკო ჩემი „პატიოსანი“ მამიკოს მანქანაში დავინახე და მერე ისიც აღმოვაჩინე, რომ დედამისი ჩემი მამიკოს საყვარელი იყო. ერთი თვის გაცნობილი ჰყავდათ ერთმანეთი. ჯერ მამას დაველაპარაკე და დავაშორე ჩემს მომავალ სადედინაცვლო-სადედამთილოს. სანდროსაც დაველაპარაკე და დავშორდი. სანდრო არ მიყვარდა, მაგრამ მაინც დიდი სტრესი იყო მაშინ. თან მამიკოსგან საიდუმლოს შენახვისთვის იმდენი საჩუქარი მივიღე, მთელი ცხოვრების მანძილზე რომ არ მიმიღია. დედასაც ისე ანებვირებს, ახალი შეუღლებულები გეგონებათ. არადა, 20 წელია, დაქორწინებულები არიან. რომ არა ეს ამბავი, დედა და მამა ასე ბედნიერები არ იქნებოდნენ. ასე რომ, დიდი მადლობა სანდროს და დედამისს. ურჩი გოგო“.

მსხვერპლი

„ჩემი ამბავი პანია რომანუკაა. :) იმ ზაფხულს, ტრადიციულად, ოჯახთან ერთად გავემგზავრე დასასვენებლად. სანამ

ყველაზე გადნიერი ადამიანი, როგორც ოდესმე მინახავს



უფროსები ბინაში მოეწყობოდნენ, მე საფუძვლიანად დავხვეწე ეზო, მეზობლის გოგო-ბიჭები (ნუ, პრინციპში, ბიჭები) და სკვერშიც გავისეირნე, დაიკოსთან ერთად. მეორე დილით უთენია წამოვხტით და სავარჯიშოდ გავქანდით (იქ წლების მანძილზე ვისვენებდით და ადგილებს კარგად ვიცნობდით). მესამე დღეს უკვე გამოჩნდა ჩემი „რომანუკას გმირუკა“ და მანაც შორიასლოს დაინიშნო მუსკულატურის მარიაჟი. დილით ვარჯიშისას, შუადღით — გარუჯვისას და საღამოს — პარკში. გმირუკა თვალს მადღვენებდა, მაგრამ კაი ხანს ვერ გამოცნო და იყო ასე, „შორით წვა და შორით დაგვაში“. ერთხელ, გოგონები ბადმინტონს ვთამაშობდით და ვოლანი ხეზე ჩამოვყავი. ჰოდა, გმირუკამ გმირობა განიზრახა. ხეზე აცოცდა, ვოლანი ჩამომიგდო და სანამ პირს გავცხნიდი მადლობის სათქმელად, თვითონაც ძირს ეგდო. დავუფასე ვაჟკაცობა და გასისხლიანებულ მკლავზე ჩემი შარფი შემოვახვიე. ამაზე შორს აღარ ნასულა ჩვენი ამბავი, რომელმაც მას იარა და ჩემი შარფი დაუტოვა, მე კი მხოლოდ ღიმილიანი მოგონება. გაცოცხლეთ, თქვენი მარადიული პარიჟანკა“.

ვანია

„წლების წინ, ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ექიმმა მაგინტური ქვიშა და ზღვა დამინიშნა. ჰოდა, მშობლებმა ურეკში წამიყვანეს. მთელი დღე დედა ქვიშაში წელამდე ჩამფლავდა და ვიყავი ასე გაუძნრეველი. მამა ჩასჭიდებდა ხელს ჩემს ძმას და მომთაბარებებით, მთელ ქალაქში დახეტიალებდნენ. ერთ დღესაც, როდესაც ზღვაზე არ წავედით, ჭიშკართან რუსის ქალმა ვანო იკითხა. დედამ გამოხედა და უთხრა, აქ ვანო არავინაა, მხოლოდ 2 ოჯახი ვცხოვრობთ და ორივეს ქმრები გყავსო. ქალი დაღვრემილი წავიდა. საღამოს მამა რომ მოვიდა, დედამ ისეთი კონცერტი მოუწყო, კაცმა ძლივს დაამშვიდა. დედას სხვა რა გზა ჰქონდა? დაუჯერა. გავიდა 2-3 დღე და რუსის ქალი ისევ მოგვადგა, ვანოს ძახილით. დედას შეეცოდა, შემოიპატიჟა დამტყვეულებული რუსულითა და ხელ-ფეხის მოძრაობით რაღაც რაღაცები გამოჰკითხა. ქალი მიეწოდო და უთხრა, რომ 1 ქართველი გაიცნო, რომელმაც თავი შეაყვარა, ახლა კი 9 დღეა, რაც დაეკარგა. ბოლო ნახვის დროს ვანოს მისამართი წამოსცდა და აქ იმიტომ მოვედიო. დედამ დააიშვია, აქ 2 კაცია, როცა მოვლენ, ნახე, რომელიმე შენი ვანო ხომ არ არისო. გულში კი, რა თქმა უნდა, მამას დასჯა უნდოდა. საღამოს დაბრუნდნენ ზღვიდან, თანაც — ერთად. ქალმა დაინახა თუ არა, დაინიშნა ვერირილი, ვანო, ვანიაო და ის-ის იყო, დედას ყვირილი უნდა დაეწყო, რომ რუსის ქალი მეორე კაცს ჩაესვენა. იქ ამბები ატყდა?! ვინ ვის ურტყამდა, ძნელი გასარჩევია იყო. მე-2 ოჯახი ცოლ-ქმრისგან, 2 ბავშვისგან და სიდედრისგან შედგებოდა. ბავშვებისა და ქალების ნიოკი მთელ სახლს მოედო. სანყალი დედა კი დამშვიდდა, 2 ქალს ძლივს გამოსტა-

ცა სანყალი, ნაცემ-ნაჯეჯგვი რუსი და გააცოცხლა. მამა იმ ამბის შემდეგ უფრო დაღვინდა და ყოველ წელს ჭკვიანად იქცეოდა. გრუზინკა“.

ლამაზი იყო სიყვარული

„იცით, რა ლამაზი იყო ჩემი სიყვარული? მასხოვს, ლამე იყო, მაგრამ წვიმდა, ჩახუტებულები ვიდექით ფანჯარასთან და ცას ვაყუყუებდით. ახლაც ჩამესმის ყურში მისი სიტყვები — ჩამეხუტე, თორემ ვერ ვიძინებო. უბედნიერესი ვიყავი, დილით რომ გამეღვიძა და მის მკერდზე თავი მედო, საოცრად გიჟური იყო ყველაფერი — პაემანი ბაბუას საფლავზე, ნაჩუქარი, დამჭკნარი ვარდები, წვიმაში დაჟიებამდე სეირნობა... ეს ყველაფერი ლამაზი სიზმარი იყო, რომელიც მაღე დამთავრდა. ახლა მხოლოდ ტკბილი მოგონება, გულზე ჭრილობა და ხელზე ნაიარევი დარჩა ამ ლამაზი სიყვარულისგან, სამახსოვროდ“.

ანგარება

„საზაფხულო რომანი რა, წითელი გოჭია? საზამთრო რომანი ვერ დაინწყება და ვერ განვითარდება? თან აქვე, ჩემთან, ყურის ძირშივე ანუ ერთ სოფელში ცხოვრობდა შეძლებული კაცი, რომელიც ქალებს კუდში დასდევდა. სულ არ აქცევდა ყურადღებას, შეეფერებოდა ის ქალი თუ არა. მთავარი იყო, კაბა სცმოდა. გადაეკიდა თავის მუზობელ ქალს. სისხლს უშრობდა, ხან მანქანით დახვდებოდა, სახლში მიგაცილებ, როგორც მეზობელი მეზობელსო, ხანაც ფეხით დაჰყვებოდა კუდში. ქალი სულ უძალიანდებოდა, მაგრამ დაიღალა და ფარსხალიც დაყარა. ოღონდ ქალი რისი ქალია, ცოტა რომ არ ეშვება? სანამ პაემანზე დათანხმდებოდა, გვარიანი თანხა გამოართვა. მიზეზიც უთხრა: რა ვქნა, მთხოვარივით მაცვია და ჩასაცმელი უნდა ვიყიდო, არ მეყო, რაც ამ დრომდე შიშველ-ტიტველმა ვიარეო? კაცმა სიხარულით ჩაუთვალა ფული. ქალმა იმ თანხით რაც საჭირო იყო ოჯახისთვის, ყველაფერი იყიდა, ბავშვებიც შემოსა, ქმარს უყიდა ტანსაცმელი და თავისი თავიც არ დაივიწყა. ქალი მიხვდა, რომ უტივინო, მენველი კაცი იშოვა და ნელ-ნელა უნდა მოეწველა. წავიდა პაემანზეც. ჩაუუთუნა კაცს 1-2-ჯერ თვალის. ასე გაგრძელდა მთელი ზამთარი. როგორც კი გაზაფხული დადგა, ქალმა იფიქრა, ამას თუ რამე შარი მოვდე, შემრჩება ხახვის ფოჩივით ბოლომდეო. ერთხელ, თავად დაუთქვა პაემანი. შეხვდნენ და ქალმაც ხმადახალა დაინიშნა ლაპარაკი: რა გიყო, გივი, კი მომწონხარ, მაგრამ შენზე ენა მომიტანეს, რომ სხვა ქალსაც ხვდები და მოდი, ჩვენი ურთიერთობა აქ დავასრულოთო. კაცი გაშრა. კი, მაგრამ ვინ გითხრა ეს ამბავი, ჯერ კაციშვილმა არ იცისო. ქალმა ყურები ცქციტა და იმხელა უღრიალა, ე.ი. შე უსირცხვილო, სხვებთან დათორევი და გგონია, გაპატიებ? ნადი და იმ შენს საყვარელს მიხედო. ასე დასრულდა მათი ზამთარი დაწყებული რომანი. კაცებს სად აქვთ მაგდენი

ტვინი, ქალების დაგებული მახე აიცდინონ? გრუზინკა“.

გაურკვეველი ნივთი

„ახალგაცნობილები არ ვიყავით, მაგრამ ძალიან ახლობლებიც არ გვერქვა. ერთხელ ბანკში წაყვანა მთხოვა. მანქანის კარი გავუღე, თან წელზე ხელი მოვხვიე და დასაშვებზე მეტად მოვიზიდე. მწვანე დანისლული თვალები ჯიქურ მომაჯინა... განთავისუფლება არც უცდია და თითქმის ირონიულად ჩამილაპარაკა: — რისკზე ხომ არ მიდისხარ, ძვირფასო? — მევე ჩაიცინა და თვალმოუშორებლად მითხრა: ნამებში შემიძლია გაგანეიტრალო... აზრზე ვერ მოხვალ. მანქანაში მოხდენილად ჩაჯდა და მოლოდინის მწვანე თვალები ისევ შემომანათა. უღვთოდ ლამაზი და მომხიბვლელი იყო. იცოდა და გრძობდა ეს ჩემთვის დამტყდარი მოულოდნელობა, რომ სურვილის მახრა ამიტანდა და ერთიანად დამიპყრობდა. კარი მივხურე და ბანკისკენ გავეშურე. გასოვით, ალბათ ამ ბანკში ჰაიმანის მაგვარი შესასვლელია. სწორედ ამ შემოსასვლელში დაცვამ შემაჩერა და მთხოვა, გაზის იარაღი ჩამებარებინა. გაცვება ვერ მოვასწარი, რომ ჩემმა მეგობარმა ჩანთიდან ქალის კოსმეტიკური აქსესუარის მსგავსი ნივთი ამოიღო... ახლა უკვე დაცვის თანამშრომლებისა და ჩემი ხელახალი გაცვების ჯერი დადგა. ვერავინ წარმოიდგენდა, ამ მოხდენილ, მწვანედმოღვარეთვალა, ძალზე სანდომიან და რესპექტაბელურ გოგონას თუ რამე იარაღი ექნებოდა. მე დღემდე მაოცებს, ამ პატარა ქალში საიდანაა ამდენი თვითარწმენა და თავდაჯერებულობა. ზედაც არავის შემოგვხვდა, ისე გაუწოდა ბანკის თანამშრომელს ჩემთვის ჯერ კიდევ გაურკვეველი ნივთი. დაცვამ, ალბათ, მექანიკურად ჩამოართვა გაზის ბელონი. ბანკში ხმისამოუღებლად შევედი. ჩემმა მეგობარმა მშვიდად მიიღო სასურველი ინფორმაცია და ასევე აუღელვებლად გაემართა მოსაცდელი დარბაზისკენ. უკვე დიდ უმოგატესობას ვგრძნობდი მამაკაცთა უდგომის წინაშე — მე ხომ საოცრად ლამაზი და საოცარ გოგოს ვახლდი. ის კი პირდაპირ დაცვასთან მივიდა და თავისი ნივთი დემონსტრაციულად გამოართვა. შემდეგ მე მომიბრუნდა მაგვარანცხი და იმ ჩემი დამატყვევებელი მწვანე თვალებით თავისთან მიმიხმო. — ხომ გითხარი, ნამებში შემიძლია გაგანეიტრალო, — შემომცინა, — ეს მჭირდებოდა, სანამ შენ არ გიცნობდი, ახლა სრულიად ზედმეტი, — და მოულოდნელად ნაგვის ურნაში მოისროლა. ჩემს პასუხს არ დალოდებია, მომიხსლოვდა და ჩამჩურჩულა: — ისე ხომ ხანდახან რისკიც საჭიროა. ჩუდო ჩელოვეკ“.

ფრანგული შამპანური

„გენიალური ბალზაკი ამბობდა: თუ გარისკვის წინ ერთხელ მაინც დაფიქრდი მოსალოდნელ რეზულტატზე, ეს უკვე რისკი აღარ არისო. ალბათ, ამ დიდი



ფრანგის რჩევას მიჰყვება თეო, როდესაც ჯიბეში 50 დოლარი თვითმფრინავის ბილეთთან ერთად ჩაიდო და პარიზს მიაშურა. ხელმოკლე ოჯახი ვერაფრით დაეხმარებოდა და მას მხოლოდ საკუთარი თავის იმედი ჰქონდა. უცხო და უზარმაზარ ქალაქში პატარა გოგონამ მაინც იპოვა თავისი ადგილი და სორბონის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. მის ცხოვრებაში იყო მრავალი ცრემლიანი ღამე, სამშობლოსა და ოჯახზე ფიქრში გაღუული, იყო მარტოობის მძიმე

ნენ და აღნიშნავდნენ გაზაფხულის დადგომას, მე — ბებიჩემის მოქსოვილი ქუდით გამოვეცხადე, „თანამოქვეყნებს“.

სიმპათიურობის მსხვერპლი

„ბიძაჩემმა ჟინვალში საცხოვრებელი ადგილი შეიცვალა და ახალი სახლის კეთილმოსახეობად საჭირო ავეჯის,

ტახტში. მეორე ძმაკაცი გარდერობში დავმალეთ, მე და დაქალმა სასწრაფოდ ლოგინი გავმალეთ. დაქალი ჩანვა და თავი მოიძინარა. როგორც იქნა, კარნი გავუღე ბებოს და თან თვალბრუნების ფუნქციითა და მთქნარებით ვეუბნები, რა არის, მოხდა რამე? რატომ ძილს არ გვაცდით-მეთქი? შემოვარდა გამწარებული ქალი და ოთახებში დაინყო სირბილი, ვინ გყავთო? საბედნიეროდ, ვერავინ იპოვა, მაგრამ მაგიდაზე ოთხი თევზი და ოთხი ჭიქა კი აღმოაჩინა, რამაც დააეჭვა. ვუთხარი, ვითომ ორჯერ ვჭამეთ და სუფრის ალაგება დავგვეზარა. მერე „სპალნაში“ შევარდა და დაქალს ჯაჯგური დაუნყო, გაიღვიძე, შე, მინაში ჩასავარდნოო. ერთ ამბავშია ბებო და ამ დროს მეორე ოთახიდან ტახტის ჭრახუნი მოისმა. თურმე შაკო ტახტში იგუდებოდა და თავსახურს ასწევდა, ჩისუსთქავდა და ისევ დახურავდა. ჭრახუნის ხმა რომ დაეფარა, დაქალმა ღრიალი დაინყო, თავს მოვიკლავო და გარეთ გავარდა. ბებოც უკან მიჰყვა. საწყალი შაკო ამოვიყვანე ტახტიდან. სულ ოფლში ცურავდა. მეორე ძმაკაცს კი გარდერობში დასძინებია და ძლივს გავაღვიძეთ. ბიჭები გავაცილე და გავედი დაქალთან. რას ვხედავ? დაქალის ბებო დანებდა და წამლებს მიაჩვენებდა დასამალად, მართლა არ მოიკლას თავიო. შევედი დაქალის ოთახში, ის კი ხარხარებდა, თან თვალზე წყალს ისხამდა, ვითომ ტირიდა. იმ ღამეს მაგარი შიში ვჭამეთ, მაგრამ ახლა რომ გვახსენდება, მაგრად ვხალისობთ. რუსკა“.

ყურადღება! თუ გასურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას 5 ან 10 მესიჯი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.

გაცნადა, მაგრამ იყო დიდი სურვილი სწავლისა და ეს ყველაფერს აძლებინებდა. პარალელურად მუშაობა დაიწყო და სიყვარულიც ენებია. 1 წელში მან და ჟონემ ქართულ-ფრანგული ოჯახი შექმნეს და ახლა პატარებსაც ზრდიან. თეომ დიბლომი აიღო და მაღალანაზღაურებად სამსახურში გადაიყვანეს. არ შეუშინდა უფულობას, მარტოობას და ახლა ფრანგულ შამპანურსაც სვამს. P.S. დიდი მადლობა მაგდალენას, ქაჯების დედოფალს და ულიბკას. პარიჟანკა“.

ნივთების ნაღება კახეთიდან გადანყვიტა. ჩამსვა „ძირგავარდნილი“ „გაზელში“ და გამიყენა თბილისი-ჟინვალის გზას. როგორც მოსალოდნელი იყო, მანქანას ძირი გასძვრა გურჯაანში, ღამის ორის ნახევარზე. რომელ მხარეს რომელი ნაწილი მიგორავდა, კაცმა არ იცის... გზაზე მანქანამ გააჩერა და ბიძაჩემს დახმარება ძალიან ღამაზმა, მძლოლმა ქალმა შესთავაზა. ამ მანქანით მგზავრობა სახიფათოა, ხვალამდე წასვლას აზრი არა აქვს, ჩემთან ნამოდით, მარტოხელა ქალი ვარ, ქართველები ვართ, თუ ერთმანეთს მხარში არ ამოვუდევით... და ტიპური ქართული „შეუყვანა“ მსხნელმა. ყოველთვის ვიცოდი, სიმპათიური ბიძა რომ მყავდა, მაგრამ... ქალი გავემასპინძლდა და დასაძინებლად გავგამწენსა. გამთენიისას, სახლი მხეცურმა, კაცის არადადამიანურმა ღრიალმა შეძრა: რამდენჯერ უნდა გითხრა, შენი ბიძაშვილები სახლში ნუ მოგყავსო? ჩვენი დანახვისას კი გაოცებული სახე მიიღო და — როგორ შეცვლილხართ, ამას წინათ სხვანაირად გამოიყურებოდითო. — დრო მაღე გადის, ადამიანები ვიცვლებით-მეთქი, ამოვიღულღულე და წავედი. სულ ხათრით ჩავვიყვანა „გაზელმა“ თბილისამდე. რუისპირი (YEL-LOW)“.

„პრიკოლეთი“

„კახეთში არის სოფელი, რომელშიც ცხოვრებაც, რატომღაც ტყეხავს: ამ სოფელში მცხოვრები ადამიანი, მეგობრების თავშეყრის ადგილებში კაიფის მთავარი ობიექტი ხდება — ეს იქაურიო (სიცოცხლის დაზღვევის მიზნით, სოფლის სახელს არ დავაკონკრეტებ). ჩემი მეზობლის მამიდაშვილი, დაბადებულ-გაზრდილია სოფელ „პრიკოლეთში“ (პირობითად დავარქვათ ასე). როდესაც ჩვენთან ჩამოდას, რალა დაგიმალეთ და გულთანად ვიცინით ხოლმე, მისი დედუღეთის „ნიუსებზე“. ლელამ აღმოაჩინა, რომ სოფელში, რომელშიც დაახლოებით 2000 მოსახლეა, ცნება „სილამაზის სალონი“ უცხო ხილია და ამ საქმით კარგი ფულის შოვნაა შესაძლებელი. გადანყვიტა, სტილისტი გამხდარიყო და სამთვიანი სწავლის შემდეგ, სანატრელი სერტიფიკატიც აიღო... შარშან, გაზაფხულზე, ჩემმა კლასმა ქეიფი დააპირა და გადავწყვიტე, იმიჯშეცვლილი, მაგარი „პრიკოთი“ მივსულიყავი თავშეყრის ადგილზე. როცა ჩემმა სტილისტსერტიფიკატარტყმულმა მეგობარმა ჩემი გადაწყვეტილების შესახებ შეიტყო, აღარ მომეშვა, მაგრად მოგიხდებოდა, იცი, რა მაგრად ვისწავლე? ექსკლუზიურად შეგჭრიო და ა.შ. ნანინანატრ თმას ვაჭრევივინებ გამოუცდელ სტილისტს... ჰოდა, ჩემი კლასელები მოკლემკვლავიანი მაისურებითა და რაც შეიძლება ნაკლები რაოდენობის ტანსაცმლით ხვდებოდ-

თვითმკვლელი

„ერთხელ სახლში მარტო ვიყავით მე და ჩემი დაქალი. ვიცოდით, არავინ მოვიდოდა და გადაწყვიტეთ, გვეგულავა. ძმაკაცებს დავურეკეთ და ამოვიდნენ. გაჩაღდა ქეიფი, მთელი სახლი თავზე დავიმხეთ და ისე დავგაღამადა, ვერც გავიგეთ. ერთ ამბავში ვართ, ვგიჟობთ და უცებ კარზე კაკუნია. ნეტავ, ვინ უნდა იყოს? „გლაზოვიდან“ გავიხედე და დაქალის ბებია იდგა ჯოხით. თან ყვიროდა, კარი გამიღეთო. რა გვექნა? სად დავგვემალა ბიჭები, არ ვიცოდით. უცებ, მაგარი იდუა მომივიდა. ახვადე ტახტს თავი და შაკოს ვუთხარი, ჩქარა, შიგ ჩანქეითე. სხვა გზა არ ჰქონდა და ისკუბა

კარგი და ცუდი

„მიყვარდა ერთი ბიჭი — ყოვლად აუტანელი და უვარგისი. დღემდე არ ვიცი, რატომ მიყვარდა და ალბათ ეს არის სიყვარული, როცა ტირილამდე, გულისტიკვილამდე გიყვარს და არ იცი, რატომ... 5 წლის განმავლობაში გრძელდებოდა ეს ჩემი არანორმალურად გიჟური სიყვარული, თუმცა ახლა ამ სიყვარულზე საუბარს არ ვაპირებ. მთელი ამ დროის განმავლობაში ჩემი და ამ ადამიანის ურთიერთობა მხოლოდ ჩხუბებითა და დავიდარაბებით შემოიფარგლებოდა. მან დღემდე არ იცის, რა არანორმალურად მიყვარდა. ამ პერიოდში ჩემს ცხოვრებაში გამოჩნდა სხვა ადამიანი, რომელსაც ზუსტად ისევე შეუყვარდი, როგორც მე მიყვარდა ის „ცუდი“. ეს ორი ადამიანი ისე განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, როგორც ცა და დედამიწა. ერთნაირი მაინც ჰქონდათ რაღაც. ორივეს ერთი და იგივე სახელი ერქვა. დიდი ხნის განმავლობაში მოხვდა ის „კარგი“, გვეცადა ურთიერთობა, მაგრამ მე იმ „ცუდის“ გარდა ვერავის და ვერაფერს ვამჩნევდი ქვეყანაზე. ამასობაში გავიდა 1 წელი... მეორე... და მივხვდი, ძალიან მაკლდა სითბო და სიყვარული. იმასაც მივხვდი, რომ იმ „ცუდისგან“ ამას ვერასოდეს ვეღირსებოდი და გადავწყვიტე, გამერისკვა: ამდენი ლოდინის შემდეგ იმ „კარგს“ ერთი შანსი მივეცი. ის იმაზე კარგი და საოცარი ადამიანი აღმოჩნდა, ვიდრე

მანამდე მეგონა. მასთან იმდენად უჩვეულოდ კარგად ვგრძნობდი თავს, ვიცი ასე გადასარევად აღარასოდეს ვიქნები თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი არაჩვეულებრივი ადამიანები იმდენად იშვიათია, მეექვსეა, მეორედაც შემხედვს. ყველაზე დიდი სასწაული იცით, რა იყო? მე ამ „კარგს“ იმ „ცუდზე“ ვუყვებოდი. ანუ მან იცოდა, რომ მე მთელი არსებითი მიყვარდა სხვა ადამიანი, რომ ორივეს ერთნაირი სახელები ერქვა და რომ მე ამ „კარგს“, მიუხედავად მისი არაჩვეულებრიობისა, მაინც ვერ შევიყვარებდი. ეს ყველაფერი იცოდა და საყვადურად კი არ უთქვამს ჩემთვის და ულამაზესი რალაც მითხრა ერთხელ: „მე ვიცი, რატომაც ვარ ღირსი, ცალმხრივი სიყვარულით რომ ვიტანჯები, მაგრამ ვერ ვხვდები, შენ რა დააშავე, რომ ასე გამწარებს ეს გრძნობა. თუცა მე უფრო ბედნიერი ვყოფილვარ, ის ადამიანი კვრც გეკარება, მე კი შენი შესხების საშუალება მაქვს“. ერთი ულამაზესი წელი გავატარე მასთან და მივხვდი, რომ პირადად ჩემთვის მთავარია, მას ვუყვარდე და მე შევეჩვიო, თორემ სიყვარულმა ტყვილის მტეტი რა მომიტანა? მაგრამ ბოლოს დაოჯახება მთხოვა და მივხვდი, მიუხედავად ყველაფერისა, უსიყვარულოდ ვერ გავთხოვდებოდი! თან ის უკვე დიდი იყო, მე ჯერ კიდევ პატარა. ამის შემდეგ ვ წელი გავიდა. მთელი ეს წლები არც ერთი აღარ მყავდა ნანახი. ორივემ ცოლი მოიყვანა. მარიამობას ორივე ვნახე ტაძარში. „ცუდისთვის“ ზედაც არ შემხედვას! „კარგმა“ კი ისე ჩამიკრა გულში და იმდენ ხანს ყვავდი ჩაუხუტებელი, მთელი იმ წლების გასხენება მოვასწარი და ამ დროს ის „ცუდი“ თავისი ბოროტი მზერით მჭამდა. დღევანდელი გადასახედიდან არაფერს ვნანობ! ჩემი საბოლოოდ გაუმართლებელი რისკი მაინც გამართლებული აღმოჩნდა. მე ხომ ნამდვილი სიყვარული ვიგრძენი და ნამდვილი სიყვარული მაგრძნობინეს და ეს იყო მთავარი. დღესდღეობით უკვე ყველაფერი სულერთია ჩემთვის და ამ ბოლო ფრაზას ღიმილით ვამბობ! ბამბუჩა“.

დაასწრეს

„მყავს შეყვარებული, რომელიც სიცოცხლეზე მეტად მიყვარს... რამდენიმე თვის წინ, მიუხედავად ჩემი წინააღმდეგობისა, დამიყოლია, პარკში შევხვედროდით ერთმანეთს და გავპარულიყავით... დანიშნულ დროს მივედი და ის-ის იყო, მანქანაში ჩავსხედით, დაუბრუნეს ჩემს „ლოკუსს“. აღმოჩნდა, რომ მისმა ძმამ დაგვასწრო და ის გაიპარა თავის შეყვარებულთან ერთად... დავიბენი, მაგრამ მივხვდი, რომ სასლში დაბრუნება საუკეთესო გამოსავალი იყო... P.S. წინა კვირას ჩემი მომავალი მახლუქას და რძალუქას ქორწილი იყო. არადა, ჩემი უნდა ყოფილიყო, არა? დღეს გათხოვილი ქალი ვიქნებოდი და არა — აბიტურიენტი... მიყვარხართ... უიღბლო“.

ჭეშმარიტი სასწაული

„სალამო მშვიდობისა, მარი, გაახლებ

დავალებას, მარა შენ გაკვეთილი როცა მზად მაქვს, მაშინ არ მიძახებ ხოლმე. საშინაო დავალებად სასწაულები გვაქვს, არა? 2007 წლის 7 ნოემბრის სუსხიანი და პირქუში, ადრინაი დილა იდგა. ეს ის დღეა, როცა მავანს „გაუსაძლისად სტიკიოდა“ წინა დღეს დარბეულ-ნაგვემ-ნაცემ-შურადაცყოფილი და ვითომ ცრემლსადენი გაზისაგან, სინამდვილეში კი ქვეყნის გულსაკლავი მდგომარეობისაგან აცრემლებული ხალხის ან როგორც თვითონ უწოდა „თავისი შვილების“ (ისე სადღაც, სიმართლესთანაც ახლოა, ეგაა, რომ „დედა აღარ ჰყავთ შვილებსა“) ნაცვლად. საკუთარი უსასოობით გულდამძიმებული, უმისამართოდ ვმართავდი თბილისის ქუჩებში მანქანას. კინოს სახლთან პიკეტი დამხვდა — გასული საუკუნის ნოსტალგიური პიკეტი თავისი განუყრელი, შუა ქუჩაზე გახიდილი დიდი ავტობუსითა და შავილიბან-ჩაჩაფხუტებულ, კბილებამდე იარაღასხმულ „რანინდებიოთურთ“. იქვე მდგომმა პატრონულმა გზის გაგრძელების საშუალება აღარ მომცა და ელბაქიძის ქუჩისკენ მიმოთია. პროტესტისა და საკუთარი უსუსურობის შეგრძნება ერთდროულად მახრჩობდა. მანქანა შუა გზაზე გავაჩერე და გაბოზილი სიგნალით ნილაბ-ჩაჩაფხუტებს ამოფარებულ სასიქადულო რანინდებს მყუდროება დაუბრუნე. გვერდით სარკეში მანქანების გრძელსა და მდუმარე რიგს მოკვარი თვალი, თუმცა ადგილიდან დაძვრა აზრადაც არ მომხვლია. მანქანამაც თითქოს თავისი თვლები გაპარჩყა და ეულად განაგრძობდა ხმამაღალ მოთქმა-ნივლის. როდესაც ჩემკენ წამოსული სპეცრაზმელი დავლანდე, ვიკადრე და სიგნალიდან ხელი ავიღე, მაგრამ როგორც კი შებრუნდა, ჩემმა ავტომანქანამ ისევ ატეხა გულისგამანვრილებელი ხმაური. ამჯერად უკვე რამდენიმე შავრაზმელი დაიძრა ჩემკენ, შევატყე, მტკიცე გადანყვებილებით — ჭკუა ესწავლებინათ საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევისათვის. ხელკეტებ-ბორკილებს მოათამაშებდნენ და აუნერული ზიზღნარევი ირონიით მიახლოვდებოდნენ. სახე არ უჩანდა, მაგრამ მათი გამოსხედვისა და სარკასტულ-სადისტური გამომეტყველების მაცქერალს თითქოს მათი ხმაც ჩამესმა: „ბატონო, რას ასიგნალებ, ნეტავი!.. იმის იმედად თუ ხარ, რომ აგენიც დაასიგნალებენ — აგენი მორჩილებას არიან მიჩვეული. ეეეჰ, ბატონო, არ გცოდნია, თურმე, მაგ საქმე შენ. აგერ, ჩვენ რომ გვხვდავ, ნამეტანი კარგად ვიციოთ ჩვენი საქმე ჩვენ. მიტომ ვივრებით ამას, რომ ვიციოთ, რაც არ იკვის კაცმა, არ უნდა ჩაიდინოს ის“. უკვე გათავისებული მქონდა წინასწარი დაკავების იზოლაციის სტუმრის სტატუსი და სასამართლოს ურყევი და უცვლელი განაჩენი — ორთვანი აღმკვეთი ღონისძიება. მაგრამ, ნურას უკაცრავად (რა კენა, მიყვარს ეს გამოთქმა). მართლა სასწაულის ტოლფასი იყო, ჩემს მანქანასთან შავრაზმელთა მოახლოებისთანავე, ათეულობით ავტომანქანიდან ერთდროულად წამოსული გამაყრუებელი, ავისმომასწავებელი (შავრაზმელებისთვის) კაკაფონია. მანქანიდან გადმოვვდი. თითქმის ყველა მანქანიდან გადმოსულიყვნენ მძღოლები

და მგზავრები და ერთმანეთს გამამხნევებლად უღიმოდნენ. ამასობაში შავრაზმელები ცივად შეტრიალდნენ. ყველანი მანქანებში ჩავსხედით და ახლა შეცრად ნუთიერად გაირინდა გამზირი. ნელ-ნელა დავეშვი ელბაქიძეზე და ვფიქრობდი, რომ ჭეშმარიტად სასწაული შვა უფალმა ქართული გენის და ქართული ჯიშის სახით. რალა შორს მივდივართ, აგერ აქ, თქვენ თვალწინ, განა სასწაულებს არ ახდენს „გზავნილებსა“ და მგზავნილებში ჩაბუდებული ქართული სული?! და იგი მუდმივ მზაობაშია, ახალი სასწაული მოგვივლინოს „გზასა“ და ცხოვრებაში. აბატიეთ, თუ დაგვალათ უიღბკამ“.

მისამართი იცით?

„თბილისში ვიტალისთან წვეულებაა. ყველა სტუმარი შეიკრიბა, მხოლოდ ქუთაისელი სტუმრები, გივი და ჯამლეტი არ მისულან. გვიან შემოუსხდნენ სუფრას. გივი და ჯამლეტი დილით ადრე ჩამოვიდნენ თბილისში, იქ ვილაც ნაცნობი შეხვდათ და რესტორანს მიაშურეს. კარგად შეზარხოშებულნი იყვნენ, როცა გივიმ აიტეხა, ჩემს გივივოს თოფები და ნიღბები უნდა უყვიროს და „ბავშვთა სამყაროში“ შევიდნენ. მოგვიანებით კი ვიტალისთან წავიდნენ. ის მესამეც წაიყვანეს. მივიდნენ, კარზე ზარი დარეკეს, კარი ბავშვმა გაუღო. — ვისი ხარ, პატალავ? — ენა მოუჩლიქა გივიმ. — ესენი უკვე დამხსდარან, — გახვდა მეორე ოთახში სუფრას. — ნახე, მღერიან კიდევ. ამ დროს პარკიდან თოფები და ნიღბები გადმოუცვივდა. — ვაა, — გაუხარდა, — ა, შენ ლომის ნიღბი და რევიოლვერი. — მიანოდა ჯამლეტი. — ა, შენ დათვის ნილაბი და ავტობატი, — მისცა იმ მესამეს. თვითონ ვეფხვის ნილაბი აიფარა. ახლა შევუხტეთ მაგათ და ვანახვოთ, როგორ უნდა ჩვენ ვარეუბ ქეიფი. შევარდნენ. — არ გაინძრეთ! — იყვირა ლომის ნიღბიანმა ჯამლეტმა. — რაც ფული და ოქრო-ვერცხლი გაქვთ, მაგიდაზე დააწყვეთ! — თან სათამაშო რევიოლვერიდან „სროლა ატეხა“. — მარჯვნიდან მოუარეთ, ბიჭებო, რომ გარეთ არავინ გავიდეს! — ეს ის, მესამეა, დათვისნიღბიანი. სუფრასთან მსხდომთა შორის ზოგიერთმა გაიცინა, ზოგმა კი ვერ გაიგო სუშრობა და შეშინდა. — რაშია, მეგობრებო, საქმე? — გამოჩნდა ამ დროს გაფითრებული მასპინძელი. — ა? — გაოცდა გივი. — ა? — გაოცდა ჯამლეტი. ეს ვიტალი არ იყო... სხვის ოჯახში შესულან. ოლეგარიო“.

მომდევნო ნომრის თემა იქნება — „მოვლენა, რომელიმაც მთელი ჩემი (ან სხვისი) ცხოვრება შეცვალა“. ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესოვებით ტელეფონის ნომერზე 8.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com

„ორსოლიანი და ოთხშვილიანი კასი მიჰვარს“

„უფამოდ გაზრდილი ბავშვი სოდვია“

„გზის“ №41-ში დაიბეჭდა ლანჩხუთელი სალის მესიჯი, რომელიც გენერდა: „ტელეთი“ გავიცანი ბიჭი, რომელიც 8 თვე მელაპარაკებოდა, მერე კი ჩემი მშობლებიც გაიცნო და მხოლოდ ამის შემდეგ მითხრა, — ნაცოლები ვარ და 2 შვილი მყავსო. მოგვიანებით მისმა ცოლმა დამირეკა და შემპირდა: იცოდე, იკას ჩემი ხელით მოგიყვანო. ჰო, მე მისგან შვილს ველოდები...“

ლიკა ქავია

ლიკა-ღუპა:

„რალა რჩევა გინდა? როგორც ჩანს, ყველაფერი გადანყვეტილი გაქვს, თორემ მისგან არ დაფხმძიმდებოდი. ისე კი, სანამ გაყვებოდი, კარგი იქნებოდა გაგერკვია, ცოლს რატომ გამოორდა? ყველაფერი ანონ-დანონ, მერე შენც მარტო არ დარჩე, ბავშვით ხელში“.

მისტარ:

„მ თვე ლაპარაკით გაგბერა, მერე გემრიელად გაგთელა, შენს თავში ფიქრები ასახა, ღიმილი ბავშვით ჩასახა და ახლა რაღას ითხოვ, ვერ ვხვდები... მანდ რომ ვიყო, ღიმილით გეტყვოდი: კი, მარა, ეს რაიზა აქნევი, გუდუნა? ისე, მაგარი „ლაშერი“ ხარ და იცი, რატომ? — ასაკმწიფე გოგონას ვერ გაგირკვევია, ოჯახის მქონე ბავშვის ჩამსახველთან ურთიერთობა რისი მომტანია და რისი — არა; თან — რჩევას ტვინმკვახე ხალხისგან ელი. არ გენყინოს (თუ გენყინა, ახლა მეც ვენები არ გადავიჭრა), მაგრამ მაგარი საქულა ხარ. P.S. ჩემი სიტყვები გულთან ახლოს არ მიიტანო, ბრმანაწლავთან მიიტანე, ეგ მაინც არ ვარგა“.

პატარა ბარბი:

„მეც ქმარს გაშორებული ვარ და მყავს ორი შვილი. პატარები ჩემთან იზრდებიან, მათ მამა ყურადღებას არც კი აქცევს. ახლა შენ დაფიქრდი, — კაცი, რომელიც საკუთარ შვილებს ყურადღებას არ აქცევს, მეორე ან მესამე ცოლთან შექმნილ ბავშვებს შეიყვარებს?..“

რუსიანი (Yellow):

„რომ იცოდე, როგორი გამაღიზიანებელია იმის აღიარება, რომ ჩვენს ბედკრულ ქვეყანას XXI საუკუნეშიც ჰყავს ისეთი „უშიგთავსო“ გოგონები, რომელთა სრულყოფილებიანი წარმომადგენელიც შენ ხარ. 8 თვე გელაპარაკებოდა, მერე შენი მშობლებიც გაიცნო და გითხრა, — შვილი და ცოლი მყავს, მაგრამ შენ მიყვარხარო, არა? ერთ რამეს შეგახსენებ: ქალი ტელეფონზე ლაპარაკით არ ფხმძიმდება! ჩემო კარგო, თუ მზად არ ხარ, საყოველთაო ჭორაობას გაუმკლავდე, უნდა გათხ-



ოვდე, მერე შენი ქმარი ციციოს გადააბარე, ციციო — ნელის დაუთმობს და ააპა!.. კაცმა ცოლ-შვილი მიატოვა, ეს გითხრა, შენ კი „თივის ზინის“ დათვალეერებაზე ისე „დათანხმდი“, შედეგებზე არც გიფიქრია. ახლა კი ღირსი ხარ, მიგატოვოს. ერთადერთი, ვინც ამ შემთხვევაში დასაფასებელია, შენი პატარაა და სწორედ ამ პატარის ხათრით, ბედნიერებას გისურვებ! P.S. მე მაინც მგონია, რომ ჩვენს რჩევებს არ გაითვალისწინებ და მაინც იმას გააკეთებ, რაც გისწორდება“.

ნატალი 37:

„ცოლად გაყოლას თუ გთხოვს, გაყვი და შვილი ერთად გაზარდე. რას იზამ, შეცდომა ყველას მოსდის. შეიძლება ამის გამო დაენგრა პირველი ოჯახი. უფამოდ გაზრდილი ბავშვი ცოდვია. წარმატებები!“

პოტი:

„სიმართლე გითხრა, ნამდვილად ვერ მივხვდი, რაში სჭირდება ამ ადამიანს ჩვენი რჩევა, როცა ისედაც, ყველაფრისთვის თავისი სახელი აქვს დარქმეული“.

RAINBOW:

„ოჰო, სალ, ბავშვს ელოდები? შენც კარგად შეგიტოპავს და რა რჩევა გინდა? თავად ვერ ხვდები, რომ უნდა დაივიწყო? ეგ ბიჭიც კაი ვინმე ყოფილა — 2 შვილი ჰყავდა და სხვას ემეხიჯებოდა? ერთს გეტყვი: ცოლ-

ქმრის შუაში არ ჩადგე. წარმატებები!“

ტარორისტი:

„რაც მოგივა, ყველაფერი საკუთარ თავს დააბრალე. „იგულავა“ და მერე გითხრა, ნაცოლები ვარო? იცის, რომ მისგან შვილს ელოდები? როგორი რეაქცია გქონდა, როცა ეს ამბავი გაიგო? მისი ცოლი ან მოგიყვანს შენს იკას, ან — არა. ლოგინში რომ უძვრებოდი, რაზე ფიქრობდი? ჯერ ყველაფერი გაგეო მასზე და მერე ჩახტომოდი... ღმერთმა ქნას, ყველაფერი კარგად დაგვირგვინდეს. დიდ ბედნიერებას გისურვებ, შენს მომავალ პატარასთან ერთად და იმედია, იკაც თქვენ გვერდით იქნება“.

ბუზუ:

„ცუდია, რომ ადამიანებს წინასწარ არ შეგვიძლია იმის ამოცნობა, თუ ვის ვუკავშირებთ ცხოვრებას. დიდი შეცდომა დაუშვი, 8 თვის გაცნობილ ადამიანთან ურთიერთობა რომ დაამყარე. ბავშვი რომ არა, რომელსაც ახლა მისგან ელოდები, დაშორდებოდი და ცხოვრებას 2-შვილიან კაცს არ დაუკავშირებდი. ნუთუ ვერ ხვდები, რომ ეგ ადამიანი არაკაცია? — მოგატყუა, სანადელი ისურვებ და სიმართლე მხოლოდ ამის შემდეგ გაგიმხილა. ადამიანის ცხოვრებაში სიყვარულს თავისი ადგილი აქვს, უბრალო სიმპათიაც კი არ ქრება უკვალოდ. თუ ბავშვი თქვენი სიყვარულის ნაყოფია, სჯობს, ოჯახი შექმნათ“.

სპანის ასული:

„ვირტუალური ურთიერთობა, იმედგაცრუება — ეს ხომ საერთოდ, ცალკე თემაა და სამწუხაროა, რომ ამ მხრივ განსაკუთრებული აქტიურობით ნაცოლები კაცები გამოირჩევიან (თუმცა, მე არ ვამბობ, რომ მათგან არც ერთი არ იმსახურებს მეორე შანსს). შენ უკვე ყველაფერი გადაგინყვეტია, შვილს ელოდები და რაღა დროს რჩევაა? არც ერთი ქართველი ქალი ქმარს საკუთარი ნებით სხვას არ გადაულოცავს (თუნდაც, მხოლოდ პრინციპის გამო), მაგრამ ალბათ, ცხოვრება ისე გაუმწარა, რომ თანახმაა, შენთან გამოუშვას და მისგან დაისვენოს. საინტერესოა, ასეთი კაცი რა გიორს დაგაყრის?.. მხოლოდ ერთს ხერხე, ეს ბავშვი აუცილებლად უნდა გააჩინო! მას ღმერთმა უკვე აჩუქა სიცოცხლე და მშობლების წინდაუხედაობაზე პასუხი არ უნდა აგოს. ბედნიერ დედობას გისურვებ!“

თაპო 15:

„ვაუ, მაგარი ხარ, რა. ტელეფონით



გაცნობილს როგორ უნდა დაუნვე, ტვინი არა გაქვს? მე ჩემი თავი მეგონა სულელი და ახლა დავრწმუნდი, რომ მაგარი ვყოფილვარ“.

ფიფია:

„აუ, რა აჯაფსანდალია, რა, ყველას მაგრად გაკლიათ. „ტელეთი“ გაიცანი ნაცოლები, ახლა ორსულად ხარ, ჰოდა, რაღა გინდა, აგინყვია ცხოვრება და ეგაა. ჰმ, ზოგი ისეთ უაზრობას წერს, ასარჩევად მაქვს — აღმოსავლეთის ფანჯრიდან გადავხტე თუ დასავლეთის; ზოგს თავში ტვინის ნაცვლად, მატლები აქვს“.

N.G:

„ამ გოგოს რა რჩევა სჭირდება, ვერ გავიგე. გასაკეთებელი უკვე გაუკეთებია და ახლა ამბობს, რა ვენაო? უნდა გაყვეს, თუკი წაიყვანს“.

სოფო 19:

„შენი საქციელით გაოგნებული ვარ. ნორმალურად არ იცნობდი და მას ყველაფერზე დათანხმდი? მერე ვერ მოასწრებდი, თუ? სხვა რა გზა გაქვს, უნდა გაყვე, მაგრამ ყურადღებით იყავი, მესამე ცოლის მოყვანაზე არ იფიქროს“.

ანუშაპი:

„სად გაქვს ტვინი, გოგო? რაც გინდოდა, ის მიიღე და ახლა გგონია, ცოლად მოგიყვანს? მისთვის გასართობი იყავი და კიდევაც გაერთო. მასთან ნებივრობას რა მოყვებოდა, არ იცოდი? ერთი თავქარიანი გოგო ხარ და საკუთარ შეცდომებზე პასუხს აგებ. ასეთ უსაქციელობას ჯობია, ტაძარში იარო და ილოცო, რათა ღმერთმა ჭკუა მოგცეს და სწორ გზაზე გატაროს“.

აურა:

„თუ ერთმანეთი გიყვართ, თანაც — მისი ყოფილი ცოლი მის თავს გჩუქნის და მალე პატარაც გეყოლება, მაშინ მხოლოდ კურთხევა გაკლიათ, უფლისგან. ღმერთმა დაგლოცოთ. თუ გიყვარს, წარსულის გამო ნუ დაშორდები!“

ლიზა:

„გვეკვიფები თუ რა ხდება, ვერ გავიგე. რაღა უნდა გირჩიოთ, როცა ყველაფერი გადანყვებილია?! რჩევა მანამ უნდა გეკითხა, ვიდრე დაუნვებოდი... ან მის ყოფილ ცოლს რატომ მოჰყავს საკუთარი ხელით შენთან? ვერაფერი გავიგე“.

აალი ეგზოტიკა:

„ჯერ მისი ცოლით ვარ აღშფოთებული, მერე კიდევ, შენი გონებარღუნგობით. ბრაზილიაში ვყოფილვართ, რა. სად შეგიძლია, ნუუუ“.

ნეო:

„არ მესმის ისეთი გოგონების, რომლებიც 8 თვის ნაცნობს ლოგინში უგორდებიან. ერთს გეტყვი: ბავშვს მამა სჭირდება, ის შენი შეცდომების გამო არ უნდა დაისაჯოს“.

ლიზი:

„არ გიპოვია ვაჟაკი?... 2 შვილის

მამა რომ 8 თვე ტელეფონზე იტლიკინებს, მას რა უნდა ელაპარაკო? თუ კარგი ბიჭია, მანამდე ეთქვა, — ცოლშვილიანი ვარო... შენ რაღას უგორდებოდი ლოგინში? ყველაფერი საკუთარ თავს დააბრალებ“.

კუდატა:

„ეჰ, ჩემო სალი, შენ რა გიჭირს, ჩემი ამბავი უნდა იკითხო: ორცოლიანი და ოთხშვილიანი კაცი მიყვარს. ეს ამბავი თავიდან არც მე ვიცოდი და როცა გავიგე, უკვე გვიანი იყო. ახლა მასში ისეთ პიროვნებას ვხედავ, ათშვილიანიც რომ იყოს, მაინც მეყვარება. ხედავ, რა სცოდნია სიყვარულს? ჰოდა, რადგან შენც გიყვარს, ყველაფერი კარგად იქნება“.

ლიზი:

„სალი, ჩემო კარგო, პირდაპირ გეტყვი, რომ შენი იკა უნამუსოა, რადგან თავისი შვილების ამბავი 8 თვის შემდეგ გითხრა... შენც დაუფიქრებლად მოიქეცი, მასთან რომ დანეჯი. ჰოდა, ახლა ელოდე, როდის მოგიყვანს შენს ძვირფას იკას მისი ცოლი (თუ ექსცოლი, ეგაც გასარკვევია). ღმერთი გფარავდეს!“

დაკო-ლიპა:

„ცუდად არ გამოგო, მაგრამ ვერა

ხარ, რა. აბა, რაღა ორშვილიან კაცს გადაეკიდე (განყდა მაგათი სინსილა), სხვა ვერავინ იპოვე?“

უცნობი:

„კი, მაგრამ ასე რამ გამოგაშტერა? როგორ ენდე კაცს, რომელსაც ფაქტობრივად, არც კი იცნობდი? მოკლედ, ამ ახალგაზრდებს თავში გიჭრით, სერიანობა სულ დაგაშტერათ. ვაი, თქვენს პატრონს! შენი მეგობარი რომ ვიყო, ერთს კარგად შემოგილანუნებდი და იქნებ, ამის შემდეგ მაინც მოსულიყავი გონს...“

ელა:

„7 ნელია, შეყვარებული მყავს და მასთან დანოლაზე არ მიფიქრია, შენ კი ეს 8 თვეში როგორ მოახერხე? სალოლ, რა, მაგარი ყოფილხარ. საინტერესოა, ეს ამბავი შენმა მშობლებმა თუ იციან? ან მის ცოლს რატომ შესჩივლე შენი გასაჭირი, რა, მან დაგაფხმძიმა?...“

კაპა:

„ოდესმე შენც იცემებ იმ სიმწარეს, რასაც ქმართან დაშორება ჰქვია. როცა მეუღლე მიგატოვებს და ბავშვს პატრონობას არ გაუწევს, მერე კი იკბენ თითზე, მაგრამ გვიანი იქნება. ისე, ამის ღირსი ნამდვილად ხარ!“

„მის გამო ვენაბი გადავიჭერი...“

სოფო:

„მყავს „ლოვე“: ის 15 წლისაა, მე — 19-ის. მისი მშობლები ჩვენი ურთიერთობის წინააღმდეგები არიან. ვაკოს ძალიან უნდა, ცოლად გაყვე, მაგრამ არ ვიცი, რა ვქნა. მის გამო ბევრჯერ მიტირია და ვენებიც გადამიჭრია... ვაკოს დავინყება გამიჭირდება, თვითონ კი „ვაბზე“, გაგიჟებულია ჩემზე. გთხოვთ მირჩიოთ რამე. ვაკო ჩიკაძე, მიყვარხარ. შენი დიკი ანგელო“

„გავუვი როგორ გავარინო, ჩემი ოცნებები დასაპარდაბა“

უცნობი მოსწავლა:

— ავთოს კაბები ძალიან მომეწონა, ულამაზესია. ის ნიჭიერი დიზაინერია, მისგან ყოველთვის რაიმე ახალსა და საინტერესოს ვეღვი. ეს ჩვენებაც ამის დადასტურება იყო. საერთოდ, კვირეულის ჩატარების იდეას მივესალმები. კარგი იქნება, თუ მსოფლიო მოდის ინდუსტრიაშიც აქტიურად შევიჭრებით.

მოდის კვირეულის ფარგლებში ყოველი დღე ახალბედა დიზაინერების ნამუშევრებით იწყებოდა და უცხოელი სტუმრის ჩვენებით მთავრდებოდა. შეძლებისდაგვარად, თითქმის ყველა მათგანის კოლექცია ვიხილე... დიზაინერი ირაკლი რუსაძე მოდის პირველი ქართული კვირეულის ფავორიტი გახლდათ. იგი 5 კოლექციის ავტორია და სულ 3 ჩვენება აქვს მოწყობილი:

— კოსტიუმები სიურრეალისტური ნახატებითაა შექმნილი და რამდენ-



მის სინთეზით წარმოგვიდგინა; ეკა ბალანჩივაძემ კი ნატურალური მასალებით — ტყავით, ქაშმირით, აბრეშუმით. მას ორიგინალური სურვილი აქვს — „ადამიანებს ეცვათ სიცოცხლე და ირგებდნენ სულიერებას“... აკა ნანიტაშვილი სამოსს არა მოდელებისთვის, არამედ ისეთი ჩვეულებრივი ქალბატონებისთვის ქმნის, როგორც თვითონ არის. მან კოლექციაში წარმოადგინა როგორც გრძელი კაბები, ასევე მოკლე ქვედაბოლოები... *Leedo 2* დიზაინერების — ლი რომაშვასა და ლადო ბოკუჩავას ტანდემი გახლავთ. მათი კოლექცია თანამედროვე ქალისთვისაა შექმნილი; დახვეწილი სილუეტის მისაღწევად გამოყენებულია — ტყავი, აბრეშუმი, შიფონი, დრაპირება... როგორც გაირკვა, დიზაინერების უმეტესობის მთავარი მიზანი — ნაზი ქალის წარმოჩენა იყო, რომელიც ამასთანავე, მეტროპოლი, მტკიცე და წარმატებულია. ქეთი ჩხიკვაძემ კოლექციის შესაქმნელად ხავერდი, შიფონი, ტილო და სხვა მასალები გამოიყენა. მისთვის მთავარი თემა — ქალის ელეგანტურობა, სინაზე და ბუნებასთან ჰარმონიული კავშირი გახლდათ

ქეთი ჩხიკვაძე:

— მინდა, კმაყოფილი დარჩეს ის საზოგადოება, ვინც ჩემს ნამუშევრებს ელოდებოდა. კლასიკური სტილი პატარა დეტალებით — ჭიამაიებით, ბურთულებითა და ვარდებით არის დამშვენებული. გამოვიყენე ნატურალური ბუნევი, რომელიც კოლექციას ქალურობას მატებს.

სალომი ღვინიაშვილი, მოდელი:

— სასიამოვნოა, რომ საქართველოში მოდის კვირეული ტარდება. თბილისში 2 დღით სხვა საქმეზე ჩამოვედი და შევეცადე, შეძლებისდაგვარად, ყველა დიზაინერის ჩვენებას დავსწრებოდი. ძალიან მო-

მეწონა და მინდა, თითოეულს წარმატება ვუსურვო.

22 ოქტომბერი უკრაინელი დიზაინერის — ანდრე ტანის ჩვენებით დასრულდა, რომელიც პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა. იგივე შეიძლება ითქვას მის თანამემამულე მოდელზეც. მათი გამოსვლისას დარბაზიც უფრო გამოცოცხლდა — გოგონების სიარულის დახვეწილი მანერა თვალში საცემი გახლდათ.

ანდრე ტანი:

— ჩემი სამოსით სამსახურშიც შეიძლება წასვლა და წვეულებაც. აქსესუარებში ნატურალური ოქროც გამოვიყენე. როცა ეს ჩვენება კიევში მოვანწყვეთ, გრძელი „ოქროს პოდიუმი“ გვქონდა მონაცობილი, რომელიც აქ სამუშაოზე, ვერ ჩამოვიტანეთ. კოლექციაში მუქი ლურჯი, თეთრი, შავი ფერები ჭარბობს. 2011 წლის ზაფხულის ფერები არც ისე კაშკაშაა, რითიც მოდას არც ჩვენ ჩამოვრჩით.

კვირეულის მესამე დღე დიზაინერმა გოგა ნიქაბაძემ გახსნა. მან მეორედ მიიღო მონაწილეობა მოდის კვირეულში. დიზაინერის მუზა — ბოშა ქალი გახლდათ. გამოყენებულ მასალებში იყო — შიფონი, ტიული, აბრეშუმი, ბატისტი, ორგანზა, კოტონი, თექა... თეონა ელიზბარაშვილი რამდენიმე წლის გან-

მავლობაში ავთანდილის მოდის სახელში მუშაობდა, შემდეგ კი საკუთარი ბრენდი დააარსა და მაღაზიაც გახსნა. იგი ტელეკომპანიებთან თანამშრომლობს და წამყვანების იმიჯზე ზრუნავს. მოდის კვირეულზე მისი კოლექციის თემა — ბოტიჩელის „ვენერას დაბადება“ გახლდათ, ოღონდ გათანამედროვეებული: მან დიდმხრებიან მაისურებზე ვენერა გამოსახა და ჯაჭვებით გააფორმა. ჯაჭვებით დამაგრებული კოვზები წარმოგვიდგინა ბიჭოლა თეთრაძემ, რომლის კოლექციაც ბევრს მოეწონა, თუმცა კულუარებში სანიანალმდეგო აზრსაც მოისმენდით.

ბიჭოლა, დიზაინერი:

— ჩემი ახალი კოლექციის მთავარი განმასხვავებელი დეტალი — კოვზებია, რომლებიც ერთმანეთზე ჯაჭვებითაა გადაბმული და აბჯარივით გამოიყურება. სამოსი რბილი, ტრიკოტაჟის ქსოვილებითაა შეკერილი. მოხარული ვარ, რომ საზოგადოებას ეს ნამუშევრები მოეწონა.

გასპარ იურკიევიჩის კოლექცია საერთოდ, თვალისმომჭრელი ნივთებითაა დატვირთული. დიზაინერი პარიზში დაიბადა, სტაჟირება უნა პოლ გოტიესა და ტიერი მიუგლერთან გაიარა. მისი ტანსაცმელი მსოფლიოს ასობით ბუტიკსა და პრესტიჟულ სავაჭრო ცენტრში იყიდება. იურკიევიჩის შოუები „ველური პრეზენტაციების“ სახელითაა ცნობილი. ერთხელ, მამაკაცების კოლექციის წარმოდგენისას, მისი მოდელები პოდიუმზე ისეთი სექსუალური პოზებით წარდგნენ, რომ პუბლიკა შოკში ჩააგდეს. აი, საქარ-





თველოში კი მის ჩვენებას განსაკუთრებული არაფერი მოჰყოლია.

უკრაინის ფემენ-დირექტორმა, ვიქტორია ზუბენკომ, რომელმაც ზინაიდა ლისაჩევას კოლექცია შემოგვთავაზა (თავად დიზაინერი აქ არ იმყოფებოდა) მოდის კვირეული ასე შეაფასა:



— ქართველებს ძალიან მაგარი დარბაზები გაქვთ, ამაში მალალი შეფასება გეკუთვნით. კიევი ამის დეფიციტია. რომელიმე ცნობილმა და კარგმა დიზაინერმა ჩვენება ნორმალურ გარემოში რომ გამართოს, შეუძლებლის შეძლება გვინევს. თქვენთან უფრო ტექნიკური პრობლემებია, ჩვენ კი მაგარ განათებას, კარგ მუსიკას ვართ შეჩვეულები. ზინაიდა ლისაჩევა უპირველესად, მხატვარია და კოსტიუმები მისი ხელითაა დახატული. ქართული მოდის კვირეულს განვითარებას ვუსურვებ.

კვირეული ლილია პუსტოვიტის ჩვენებით დასრულდა. იგი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული უკრაინელი დიზაინერია, ბევრი სახელგანთქმული კლიენტი ჰყავს, მათ შორის — რუსლანა, სოფია როტარუ, კატერინა და ვიტალინა იუშენკოები, თინა კანდელაკი, კრისტიანა ორბაკაიტი. მისი სამოსი ახალგაზრდული, ინდივიდუალური, ეკლექტური და კომფორტულია. აჩიკო მეფარიძემ პუსტოვიტის ნამუშევრები ასე შეაფასა:

— არ მომწონს მისი არც ფერების შეხამება, არც სტილი, ჩემს გემოვნებაში არ ჯდება. ქართველებიდან, ავთანდილისა და დათუნა სულიკაშვილის ნამუშევრები ვნახე და ძალიან კმაყოფილი დავრჩი. ყველაფერი კარგად შეფუთული და შეკრული იყო — კოსტიუმები, მოდელები, მათი მაკიაჟი, ქსოვილები, ფერები, მუსიკა.

კვირეულის რეჟისორი გახლდათ ქევინ ოუკსი, რომელმაც სხვებთან



ერთად, მართლაც დიდი შრომა გასწია. უცხოელ სტუმრებს შორის, გარდა მოდის კრიტიკოსებისა, საკმაოდ ცნობილი გამოცემების წარმომადგენლებიც იყვნენ. სოფო ჭყონიას სწორედ მათი ჩამოყვანა და ამ ყველაფრის ორგანიზება ევალებოდა:

— როდესაც სიტუაციას შიგნიდან, მასპინძლის თვლით ვაკვირდები, მეტ ხარვეზს ვპოულობ. მაგრამ მყაურების რეაქციიდან გამომდინარე, საერთო ჯამში, კმაყოფილი ვარ, სტუმრებიც დადებითად აფასებენ და ყველაფრით კმაყოფილები არიან. აქ 2 წლის წინ ომი იყო და ასე მალე,

უკვე მეორედ, მოდის კვირეულს ვატარებთ! რა თქმა უნდა, რთულია და ყველაფერი ნელ-ნელა იხვეწება. როგორც ამბობენ, წინა კვირეულთან შედარებით, უკეთესი სიტუაციაა. თუ ვინმეს რამე შეცდომა მოსდის, უნდა დაეხმარო, კი არ უნდა გალანძლო.

მართალია, პროექტის ორგანიზატორები ენერჯიას არ იშურებდნენ, რომ ყველაფერი მაღალ დონეზე ჩატარებულიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, საქართველოს პირობებში ეს ბოლომდე შესაძლებელი ჯერჯერობით არ არის, რადგან გარკვეული ხარვეზები მაინც იყო.

მასა მებრევილი, Georgian Fashion Week-ის პრეზიდენტი:

— შემიძლია, თამამად ვთქვა, რომ ოქტომბრის მოდის კვირეულმა კარგად ჩაიარა. მართალია, გარკვეული ხარვეზებით, მაგრამ ეს ჩვენზე არ იყო დამოკიდებული, მაგალითად, იტალიელმა დიზაინერებმა, სამსუხაროდ, ბარგი დაკარგეს... სხვა ყველაფერმა გემის მიხედვით ჩაიარა. ბევრმა დიზაინერმა მოწონება დაიმსახურა და ეს იმაშიც გამოიხატა, რომ მათი კოლექციები იქვე გაიყიდა. უცხოელებმა გიორგი ფანცულაიას ნამუშევრები შეიძინეს; ძალიან მოეწონათ ბიჭოლას კოლექცია, აღარაფერს ვამბობ ავთანდილზე.

ეთო ყორღანაშვილი

თბა აგლაძე, „ბომონდის“ რედაქტორი:

— ერთი წელია, რაც ჟურნალ „ბომონდის“ რედაქტორი გახლავარ. ჟურნალის ყოველ ნომერთან ერთად, სიახლეების რაოდენობაც იზრდება. ახლახან ჩვენი ერთ-ერთი რუბრიკა — „ბიზნესი ქუსლებზე“ ერთი წლის გახდა. რუბრიკა საზოგადოებაში დიდი პოპულარობით სარგებლობს. „ბიზნესი ქუსლებზე“ საქმიანი ქალბატონის პორტრეტი. გადაღებულია ფოტოები — როგორ იცვამს, უპირატესობას რომელ ბრენდებს ანიჭებს და ა.შ. ვინც საკუთარ თავს საქმიანი ქალის ამპლუაში ხედავს, ყველას სურს, „ბომონდში“ მასალა მასზეც მომზადდეს. შემოთავაზებები თავად რესპონდენტებისგანაც კი გვაქვს. სხვადასხვა ჟურნალში მიმდევრებიც გაგვიჩნდნენ... მართლა ლამაზი და საინტერესო რუბრიკაა, რადგან ვაჩვენებთ, როგორ აკეთებს ადამიანი „მიქსს“ — მაგალითად, „ალბერტო ფერერის“ კაბას „დოლჩე და გაბანას“ ფესსაცმელს როგორ უხამებს. მთავარი ბრენდი ხომ არ არის? ამ რუბრიკაში გემოვნებაც ჩანს, რაც ძალიან საინტერესოა.

— რუბრიკის — „ბიზნესი ქუსლებზე“ ყველაზე დასამახსოვრებელი რესპონდენტი რომელი იყო?

— პირველი რესპონდენტი მკაცრი გიორგობიანი გახლდათ. ისე, ამ რუბრიკას პოპულარობა სწორედ მკაცს „ვიზუალმა“ მოუტანა.

— რუბრიკის დანება რთული იყო?

— რთული იყო, რადგან მოგესვენებათ, რალაც ნოვაციისათვის პირველი რესპონდენტის დათანხმება ძნელია. ფაქტობრივად, ეს გარკვეული რისკი იყო. ვისთანაც დავრეკე, ყველა რესპონდენტმა თავი შეიკავა — არ სურდათ, პირველები ყოფილიყვნენ. მაკამ გარისკა, რადგან ჩემი მეგობარია. მაკას შემდეგ, პირიქით — თავად რესპონდენტები აქტიურობენ. ახლაც ძალიან საინტერესო სტუმარი გვყავს... ვისაც ჩვენს რუბრიკაში სტუმრობის პატივი ერგო, ყველას თავისებური შარში აქვს.

— რამდენიმე თვის წინ „ბომონდის“ ახალმა რუბრიკამ — „სახელებს მიღმა ადამიანები“ აიღო სტარტი. ამ სახელმ გაამართლა?

— კი. რუბრიკის ასეთ წარმატებას არ ველოდი. მოგესვენებათ, მას ზურა მგალობლიშვილი უძღვება. ზურა მოდის სფეროში კომპეტენტურ ადამიანად მიმჩნია, მაგრამ საოცარი ისაა, რომ ამ რუბრიკაში ზურა მოდის თემაზე არ საუბრობს. თავდაპირველად, ზურა მოდის სფეროში კონსულტანტად უფრო წარმომედგინა,



„ბომონდის პროვოკაცია“ და ძვირფასი სარეჟისო მუშაობის ერთგულ მკითხველს

ჟურნალი „ბომონდი“ აქტიურ მუშაობას განაგრძობს და მკითხველებს სიახლეებით ანებივრებს. მალე მოდის კვირეული დაინყება და საქართველოში ყველაზე მოდური ჟურნალის ჟურნალისტებიც უფრო დატვირთული რეჟიმით იმუშავენ. „ბომონდი“ ჩხეთიდან სტუმრებს (რედაქტორებს, ფოტოგრაფებს, დიზაინერებს) ელის. იქნება „ვორკშოპი“ და ასევე, დიდი კასტინგი, სადაც მოდელს აირჩევენ, შემდეგ კი, ერთობლივი პროექტის ფარგლებში, მათი ფოტოები „ბომონდში“ დაიბეჭდება. ჟურნალი ერთგულ მკითხველებს ძვირფას საჩუქარსაც სთავაზობს, რომელიც დაახლოებით, იმ ღირებულებისაა, რა თანხაც „ბომონდის“ ერთი ნლით გამოიწერა ჯდება.



მაგრამ საოცრად საინტერესო იდეა შემომთავაზა. მისი რუბრიკა ძალიან მომწონს. „სახელებს მიღმა ადამიანები“ მკითხველებში პოპულარობით სარგებლობს. რედაქციაში სატელეფონო ზარი ხშირია — ყველას აინტერესებს, რუბრიკა მართლა მას მიჰყავს, თუ არა.

— როგორც თავად ზურამ აღნიშნა, ჟურნალისათვის პირველი მასალის მომზადებისას, ჟურნალისტებთან კონსულტაცია გაიარა. საქმეს ახლა როგორ ართმევს თავს?

— ჟურნალისტის ამპლუა მართლა კარგად მოირგო. ისეთ რესპონდენტებს არჩევს, რომლებიც რუბრიკისა და ცხადია, მკითხველისათვის საინტერესოა. რუბრიკის სახელწოდებაც სწორად შეარჩია და ფიქრობ, საქმეს კარგად უძღვება.

— ასევე, ახალ პროექტს — „ჩვენი ხმების საგანძურს“ რაც შეეხება?

— ეს მართლა გულის ამაჩუყებელი პროექტია, რადგან შეუძლებელია, ქართულ მუსიკას გულგრილად აუარო გვერდი. „ბომონდთან“ ერთად, მკითხველებს მუსიკალური დისკების შეძენაც შეუძლიათ. პირველი „მინის“ დისკი გახლდათ, მეორე — „ქართული ხმების“, მესამე კი — „ცისფერი ტრიოსი“. ეს ყველა თობის ადამიანისათვის ძვირფასი მუსიკაა. პროექტის მიმართ საზოგადოების ინტერესი ძალიან დიდია.

— თავად შემსრულებლები ამ პროექტს როგორ შეხვდნენ?

— „ჩვენი ხმების საგანძური“ ერთნაირი პროექტია და მასში რჩეული შემსრულებლების მუსიკალური დისკები შედის. რა თქმა უნდა, შემსრულებლისათვის სასიამოვნოა, როცა „საგანძურში“ მისი სიმღერები ხვდება.

— თუ არ ვცდები, ტელეგადაცემა „პროფილთან“ ერთად, ახალ პროექტსაც გვემავთ, არა?

— მომავალი თვისათვის, „რუს-

თავი 2“-ის გადაცემა „პროფილი“ და ჩვენ ერთობლივი პროექტის განხორციელებას ვგეგმავთ, რომელსაც „ბომონდის პროვოკაცია“ ჰქვია. ისეთ ადამიანებს (თან, ისეთი განსხვავებული კუთხით) წარმოვადგენთ, რომ გაგიკვირდებათ. ძალიან საინტერესო იქნება! დეტალებზე ვერ ვისაუბრებ — ამჟამად მუშაობის პროცესში ვართ. მოკლედ, ბევრი ისეთი პიროვნების ფოტოსესიას შემოგთავაზებთ, რომელიც ჩვენი „პროვოკაცია“ რომ არ ყოფილიყო, „ბომონდის“ სტუმარი არასოდეს გახდებოდა (იცინის)... ძალიან სახალისო იქნება!..

— ეს „პროვოკაციული“ იდეა როგორ გაჩნდა?

— „ბომონდისა“ და „პროფილის“ შემოქმედებით ჯგუფს იდეა ერთობლივად გაუჩნდა და მისი განხორციელებაც გადაწყვიტეთ.

— თქვენი რედაქტორობისას, თითქოს ჟურნალში ქალებისათვის საინტერესო მეტი „შტრიხი“ გაჩნდა...



— რა თქმა უნდა. ქალი სხვანაირად „ხედავს“, მამაკაცი — სხვანაირად. ქალის „გაკეთებული“ ჟურნალი ჩვენივე სქესის წარმომადგენლებისათვის ალბათ, უფრო საინტერესოა (ილიმის). საერთოდ, საქართველოში მოდის ჟურნალზე მუშაობა ძალიან რთულია.

— ჟურნალისტებთან როგორ ურთიერთობა გაქვთ? მკაცრი რედაქტორი ხართ?

— მათთან ძალიან მეგობრული ურთიერთობა მაქვს. მიმაჩნია, რომ ძალიან ნიჭიერი ჟურნალისტები მყავს! ჩემი მარჯვენა ხელი და „ბომონდის“ სულის ჩამდგმელი ქალბატონი სვეტა კვარაცხელია გახლავთ. მის გარეშე ეს ჟურნალი არ იქნებოდა. იმედია, გადამეტებულ საუბარში არ ჩამომართმევთ, მაგრამ „ბომონდში“ მასალები მართლა „განსხვავებული ენით“ იწერება. ჟურნალს რომ გადავფრცლავ, ხომ უნდა წაიკითხო კიდევ? ჩვენ ამას მივალწიეთ, რადგან „ბომონდის“ მასალები საინტერესო წასაკითხია.

— ჟურნალის რედაქტორობას სამოდელო სააგენტო „სლაიდის“ ხელმძღვანელობას როგორ უთავსებთ?

— ამ ჟურნალმა ჩემი პირველი საქმიანობა „შექვამა“, მაგრამ სააგენტოსათვის მაინც ვიცლი (იცინის). დღეს ნახევრად ვყოფ ხოლმე, მაგრამ ხანდახან მთელ დღეს ჟურნალს ვუთმობ. სააგენტოში სანდო ადამიანები მყავს, თუმცა ცხადია, მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს თავად ვიღებ. „სლაიდში“ ლექციასაც ვკითხულობ. კვირადღე მთლიანად სააგენტოსათვის მაქვს მიძღვნილი. „სლაიდში“, ცოტა არ იყოს, „ბომონდზე“ ეჭვიანობენ (ილიმის)...



ქართული პროზის საგანძურია



კოტე ჯანდიერი
ბლოგერი

35

ამჯერად, მკითხველმა „ქართული პროზის საგანძურის“ 35-ე ტომი — კოტე ჯანდიერის მოთხრობები მიიღო. ნელს, ბატონო კოტე ლიტერატურული კონკურსის — „საბას“ გამარჯვებული გახდა: საუკეთესო ნაწარმოებებს შორის, მისმა შემოქმედებამ თავისი განსაკუთრებულობით ჟიურის ყველაზე დიდი სიმპათია დაიმსახურა. კოტე ჯანდიერის შემოქმედებაზე სასაუბროდ, მწერალსა და მთარგმნელს — ბატონ გიორგი ლობჯანიძეს ვენწვიეთ, რომელიც წლევეანდელი „საბას“ ჟიურის წევრი გახლდათ.

ათო ყორღანაშვილი

გიორგი ლობჯანიძე:

— „ქართული პროზის საგანძური“ ძალიან ჭკვიანური პროექტია. შეიძლება, ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძის მიერ, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობის ლიტერატურული გაგრძელებაა. საქართველო მართოთბილისი არ არის, როგორც ზოგ პოლიტიკოსს ჰგონია. საქართველოა ჩვენი ლამაზი სოფლებიც, სადაც კულტურული ცხოვრება არც ისე კარგ სიტუაციაშია, რადგან ხალხს არა აქვს საშუალება, რომ წიგნი იყიდოს და საკუთარ თავს სულიერი საზრდო მიანოდოს, რომელმაც აზროვნებას უნდა მიაჩვიოს, სულიერად გაზარდოს. პოპულარულ ჟურნალში ხელმისაწვდომ ფასად „ჩადებული“ წიგნი მკითხველისათვის ძალიან კარგი საჩუქარია. ამიტომ თქვენს პროექტს ძალიან ვაფასებ და ვისაც ეს იდეა მოუვიდა, მადლობას პირადად ვუხდით. ეს პროექტი იმი-

კოტე ჯანდიერის მოთხრობები — ფაქიზი, მაგრამ მამაკაცური დამოკიდებულება სხოვრებისადმი

თაცაა გამორჩეული, რომ კოტე ჯანდიერის ტიპის მწერლების ნაწარმოებებს ანუ ნამდვილ ლიტერატურას პოპულარიზაციას უწევს.

— კოტე ჯანდიერის შემოქმედება როგორ გაიცანით?

— დიდი ხანი არაა, რაც კოტეს პირადად ვიცნობ, მაგრამ მის შემოქმედებას პირველივე მოთხრობის გამოქვეყნებისთანავე გავეცანი. კოტე ჯანდიერი ჩემს ცნობიერებაში 1987 წელს „შემოვიდა“: იმ პერიოდში, არაჩვეულებრივი აღმანახი — „სათავე“ გამოდიოდა, რომელსაც ლამა თაბუკაშვილი „აკეთებდა“. აღმანახში მართლა გემოვნებიანი ნიმუშები იბეჭდებოდა. სწორედ მაშინ კოტე ჯანდიერის „საოჯახო ქრონიკა“ პირველად წავიკითხე. რასაკვირველია, ამ მოთხრობისათვის დამახასიათებელი „სიღრმეები“ ბოლომდე ვერ გავიგე (სკოლის მოსწავლე ვახლდით), მაგრამ ჩემზე მაინც ძალიან იმოქმედა. მოგვიანებით კიდევ გადავიკითხე. საინტერესო მოთხრობა გახლავთ: ლიტერატურაში ახალი ხერხი იყო, როცა ოჯახის წევრები წერილობითი ფორმით, ქალაქის ნაგლეჯებით ურთიერთობენ. ამ წერილების ფონზე საოცარი დრამა იშლება. კოტე ძალიან ღრმა მწერალია, რადგან ქართული ოჯახის ემოციურ დონეზე რღვევის საკითხი თითქმის პირველად დასვა. მწერლური თვალსაზრისით, ეს ისე კარგად გააკეთა, რომ ვფიქრობ, ბადალი არა ჰყავს! მოთხრობაში „დეკლარაციულობა“ არ არის: ოჯახის წევრები ერთმანეთს ქალაქის ნაგლეჯებზე სწერენ, რადგან ცხოვრების რიტმი ისეთი აჩქარებულია, რომ ერთმანეთთან ურთიერთობისათვის დრო არ რჩებათ. ფაქტობრივად, ადამიანები, რომლებსაც ერთმანეთი უყვართ, ერთმანეთზე წუხან, ერთმანეთს არ იცნობენ. ბოლომდე ვერ იაზრობენ იმ ტრაგედიის სიღრმეებს, რომელსაც თითოეული მათგანი ატარებს. კოტემ ეს ყველაფერი არაჩვეულებრივად გამოხატა... მერე სტუდენტობისას, „დაპატიჟება კინოში“ წავიკითხე, რომელმაც შეიძლება ითქვას, რომ თავზარი დამცა, რადგან დღეს სიყვარულზე ლექსის, მოთხრობის დაწერა ძალიან ძნელია: მთელი მხატვრული ლიტ-

ერატურა ამ თემაზე აგებული, თითქმის ამოწურულია — ახალს ვერაფერს იტყვი. ამ ფონზე „დაპატიჟება კინოში“ საოცრად ღრმა, არამელოდრამატული მოთხრობაა სიყვარულზე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კოტემ მოახერხა და მოთხრობა მელოდრამატული მომენტებისაგან საერთოდ განძარცვა (თუ იმას არ ჩავთვლით, რომ მთავარი გმირი იღუპება) და მოთხრობის ძირითადი ლერძი ჩვეულებრივი ყოფითი სიტუაციებიდან ამოზარდა, რომელზეც არაჩვეულებრივი „მხატვრული ქსოვილი“ „დააშენა“. კოტე ქართული პროზის რჩეული ტრადიციების საუკეთესო გამგრძელებელია. XX საუკუნის ქართულ პროზაში იყო ისეთი „ხაზი“, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაიკარგოს. ეს „ხაზი“ ძალიან ბევრ მუშაობას ითვალისწინებს. სამწუხაროდ, კოტე პროდუქტიული მწერალი არ არის, მკითხველს ბევრი მოთხრობით არ ანებივრებს. არ ვიცი, ეს კარგია, თუ — ცუდი. ყოველ შემთხვევაში, პოეტისაგან სიუხვე მაინცდამაინც მოსაწონი არაა (ერთ დღეში დაწერილი 5 ლექსის ხარისხი მაღალი არ იქნება), პროზაიკოსს კი მოეთხოვება, რომ ნაყოფიერად იმუშაოს — ბევრი წეროს. კოტეს შემთხვევაში ეს არ გამოვიდა. ამის მიზეზები რა არის, არ ვიცი. ალბათ, ეს მისი „სულიერი კონსტიტუციის“ შედეგია; კოტეს ურჩევნია, ერთ თემას უტრიალოს, თუნდაც 2-3 წლის განმავლობაში, 1 მოთხრობა წეროს, მერე კი ამ მოთხრობამ მართლა დაიქუხოს, დაიჭქქოს!.. ბოლო დროს ლიტერატურულ კულუარებში თითქმის ყველა ამბობდა (ზოგი გულწრფელი სინანულით, ზოგი — ნიშნის მოგებით): კოტე ჯანდიერი სად დაიკარგა? არაფერს აღარ წერს, ხომ? უცებ, კოტემ „გლობალიზაცია“ გამოაქვეყნა. მოახერხა, მწერლური ოსტატობით სივრცეში რიტმი ისე დაეჭირა, რომ რიტმს მკითხველი აეყოლებინა და იმ პროცესების მთელი სისასტიკე ეჩვენებინა — როგორ იკარგება ეროვნული ღირებულებები გლობალიზაციის სახელით! ვფიქრობ, ეს მოთხრობა სასკოლო პროგრამაში აუცილებლად უნდა იყოს შეტანილი: „გლობალიზაციის“ მოსწავლე



რაც უფრო მალე წაიკითხავს და მოთხრობაში წამოჭრილ პრობლემებზე დაფიქრდება, ძალიან ბევრ საფრთხეს თავიდან ავიცილებთ.

— გაქვთ ინფორმაცია იმაზე, კოტე ჯანდიერის მოთხრობების პერსონაჟებს რეალური პროტოტიპები ჰყავთ თუ არა?

— არ ვიცი, მაგრამ როგორც მკითხველმა, შემიძლია, ვთქვა, რომ ყოველი მოთხრობის უკან კოტე იგრძნობა — არაჩვეულებრივად ფაქიზი ადამიანი! ცხოვრებასთან ისეთი დამოკიდებულება, რასაც მის მოთხრობებში ვგრძნობ, თანდათან იკარგება. ბავშვობაში, ცხოვრებასთან ფაქიზი, ოღონდ მამაკაცური მიმართება მიგრძნობია. ასლა ნელ-ნელა გრძნობების „ფემინიზაცია“ (ცუდი გაგებით) მიმდინარეობს... კოტეს შემოქმედებაში კი ყველაფერი ძალიან კარგია და ნაღდი!

— ბატონო კოტე პირადად როდის გაიცანით?

— ერთ მშვენიერ დღეს ერთმანეთს სადღაც შევხვდით, ხელი ჩამოვართვით... ვიცოდი, რომ ის კოტე ჯანდიერია და ალბათ, ისიც მიცნობდა. დედამისი ჩემი კოლეგა — ძალიან კარგი არაბისტია. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მუშაობს. მერე შევიტყვე, რომ კოტე მისი შვილია.

— ამ ფაქტმა თქვენი და კოტე ჯანდიერის დაახლოებას ხელი შეუწყო?

— სამწუხაროდ, მე და კოტე მეგობრები არა ვართ, უფრო ზუსტად — ინტენსიური ურთიერთობა არა გვაქვს, მაგრამ ამ ქვეყანაზე მე კოტე მეგულება და მისი არსებობა მე იმედება — როგორც ადამიანი, მწერალი და როგორც მოღვაწე, რომელსაც სოციალურ, პოლიტიკურ პრობლემებთან დაკავშირებით, გამოკვეთილი პოზიციები აქვს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ის ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისაგან გვერდზე არა დგას. არსებობს „დაყუდებული“ მწერლის ტიპი, რომელიც მაგალითად, სენაკშია ჩაკეტილი და დამკვირვებლის როლს სჯერდება; თუ რამე პოზიცია აქვს, ამას მხოლოდ თავის ნაწარმოებებში გამოხატავს. ასეთი ტიპის მწერალი ძირითადად, ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივმა პროცესებმა (1937-38 წლების რეპრესიები) წარმოშვა. მეოცე საუკუნის ბოლოს, მწერალი მიხვდა, რა უნდა ეკეთებინა — განზე გამდგარიყო და წიგნებით, იგავური ფორმით ეთქვა ყველაფერი... კოტე ჩემთვის პიროვნულად ძვირფასი იმპროვიზაციაა, რომ თავისი აზრის გამოთქმას არ უშინდება — არაჩვეულებრივი პუბლიცისტიცაა.

— კოტე ჯანდიერი ლიტერატურული კონკურსის — „საბას“ წლევეანდელი გამარჯვებულია. „საბას“ ჟიურის წევრი ბრძანდებოდით. გადაწყვეტილების მიღება გაგიჭირდათ?

— „საბას“ კონკურსის ნომინანტი ხუთჯერ გახლდით, მერე „საბა“ „ყურანის“ თარგმანისათვის მივიღე და შემდეგ კონკურსის ჟიურის წევრი ვიყავი. ეს ძალიან შრომატევადი სამუშაო იყო, ძალიან ბევრი წიგნი „შემოვიდა“. შეიძლება ითქვას, რომ წლევეანდელმა ჟიურიმ მუშაობით თავი მოიკლა. მოგეხსენებათ, კონკურსში სხვადასხვა ნომინაციაა. თითო ნომინაციაში — 5-6 წიგნი (თარგმანის გარდა). ვფიქრობ, იმ 5-6 წიგნიდან „საბას“ მეტნაკლებად ყველა იმსახურებდა, მაგრამ კოტე ჯანდიერის „კონკიას ღამე“ სრულიად განსაკუთრებული იყო! მისი

გამარჯვება ძალიან გამიხარდა, რადგან სინდისის ქენჯნა ერთი წუთითაც არ მიგრძნობია — რატომ სხვამ არ გამარჯვა-მეთქი? თუმცა როგორც ალენიშენი, „საბას“ ყველა იმსახურებდა — ამას ვინმეს დასამშვიდებლად არ ვამბობ, მაგრამ კოტე გამორჩეული იყო.

— მკითხველი კოტე ჯანდიერის შემოქმედებას რატომ უნდა გაეცნოს?

— იმიტომ, რომ კოტე ნამდვილი მწერალია. „ნამდვილი მწერლობა“ თემატურ მრავალფეროვნებას და სიღრმეს გულისხმობს, ასევე — არაჩვეულებრივ ქართულს, რაც სამწუხაროდ, თანამედროვე ქართულ პროზაში ნელ-ნელა იკარგება, მაგრამ კოტეს შემოქმედებაში მშობლიური ენისადმი ფაქიზი მიდგომა შენარჩუნებულია.

29 ოქტომბრიდან

„**აეზოლა**“ - ალანის
ჩვეული ვიიზი
პაილაგი
ააბაკა ავიანიის
ღიღი კოლაქია...
საქართველოში
ხელილაგაგი
საკაუზაკო სასახურაი
პუჩინაი ვეხევეი

...სრულად იხილეთ ჟურნალი

⊗ **ტერაქტები - აფეთქებები**
თბილისში დაიწყო?..

⊗ **შავი ზღვის ფლოტის**
ახალი ფრაგატები

⊗ **ქარს გატანებული ხუთი**
ვილიარდი

ყველაზე კასური ჟურნალი
 არა მარტო მაგაქაყანისთვის



ეტლს მიჯაჭვული ლევან სურსია ინვალიდის როლში და ნაწარმოები, რომლის წაკითხვის შემდეგაც მსახიობობა გადაწყვიტა

როცა მსახიობ ლევან სურციას დაფურეკე და „ერუდიტი“ სტუმრობა ვთხოვე, თავაზიანად მიპასუხა: უარი რომ გითხრა, სომ არ გეწყინება? მაგრამ ლევანს აზრი 2 წუთში შევაცვლევინე. მან კი დამშვიდობებისას სიცილით მითხრა: მამაკაცი რომ იყო, შენთან უარს თქმა არც ერთ ქალს არ გაუფიქრობდა... ჩვენ შეხვედრამ რუსთაველის თეატრში შედგა.

თამუნა კვინიკაძე



პაპაშვილის პაპიკა

— დიდი ხანია, ინტერვიუ არ მიმიცია, თან, ამ რუბრიკაში სტუმრობა ნუ გგონია სუმრობა...

— როგორი მესხიერება გაქვს?

— კარგი მესხიერებით არ გამოვირჩევი, მაგრამ ამა თუ იმ როლის ტექსტი სახლში არასდროს მისწავლია, ამას რეპეტიციებზე ვახერხებ.

— ბავშვობაში როგორი მკითხველი იყავი?

— მიმაჩნია, რომ კარგი... დეტექტივებსა და მელოდრამებზე ვგიჟდებოდი. ისე, ცოტა მეტი რომ მეკითხა, უკეთესი იქნებოდა. თურმე რასაც ბავშვობის წლებში დაკარგავ, მერე ვეღარ აინახლავრებ.

— რომელმა ნაწარმოებმა მოახდინა შენზე წარუშლელი შთაბეჭდილება?

— დოსტოევსკის „იდიოტმა“. ბავშვობაში მსახიობობაზე არ ვოცნებობდი, „იდიოტის“ გმირებმა ბევრ რამეზე სხვაგვარად დამაფიქრეს. ისინი ჩემს წარმოსახვაში გაცოცხლდნენ; აქვე არ შემიძლია, „მთვარის მოტაცება“ არ გავისხენო. ეს ის ნაწარმოებია, რომლის ყოველი ნაკითხვისას ტანში ჟრუანტელი მივლის. თარამ შემხვარი გამორჩეული პერსონაჟია.

— მასთან იმეგობრებდი?

— აუ! დიდი სიამოვნებით. კიდევ ვაუა-ფშაველას ჯოყოლასთან ვიმეგობრებდი. ეს გმირი ჩემს გულთან ძალიან ახლოს მოვიდა. მჯერა, რომ საერთო ენას ადვილად გამოვინახავდი.

— ჯოყოლა ყველაზე მეტად რით გხიბლავს?

— ერთგულებით.

— თავად რამდენად ერთგული ადამიანი ხარ?

— (პაუზის შემდეგ) ბავშვობიდან მოყოლებული ჩემს ცხოვრებაში არ არსებობს მეგობარი, რომლისთვისაც მილაღობია. შემიძლია, ნებისმიერს თვალეში ჩაახედო და ეს სიტყვები ისე ვუთხრა.

— კითხვაზე მაშინვე რატომ არ მიპასუხებ?

— ჰო! აქ საპირისპირო სქესის წარმომადგენლები გამახსენდა და ჩავფიქრდი...

— ამ შემთხვევაში ერთგულებით ვერ გამოირჩევი?

— ეს უკვე ჩემი პირადი ცხოვრებაა. თან მე სომ ჯერ „ერთგულების ფიცი“ არ დამიდგია და პირად ცხოვრებაზე ლაპარაკი არ მინდა.

— სანამ კითხვარზე გადავიდოდეთ, მითხარი, შენ-კენ შემოქმედებითი თვალსაზრისით რა სიახლეებია?

— მნიშვნელოვანი არაფერია. ნოემბერში შედგება ლევან თუთბერიძის ფილმის — „მგონი, უშენოდ მოკვდები“ პრემიერა, რომელშიც ვიონანილოვ.

— შენს გმირზე რას გვეტყვი?

— ჩემი გმირი თხილამურებით სრიალის დროს იმტრევა. ხეიბრის როლს ვთამაშობ. ინვალიდის ეტლში ვზივარ. ერთდროულად ბევრი ამბავი ვითარდება. ამ როლზე მუშაობა ძალიან საინტერესო იყო. ვნახით, მაყურებელი როგორ შეაფასებს. ჯერჯერობით ფილმზე მეტს ვეღარაფერს გეტყვი.

— ამ ფილმის სცენარის ავტორი მერაბ ელიოზიშვილია. მონანილოვებ: დოდო აბაშიძე, ლია კაპანაძე, მზია მალაქელიძე, ზურაბ ქაფიანიძე. გადაღებები ერნოს ტბაზე მიმდინარეობდა. პრემიერა 1968 წელს შედგა. დაასახელე ეს ფილმი და მისი რეჟისორი.

— ეს ფილმი „დიდი მწვანე ველი“ გახლავთ, რომელიც მერაბ კოკოჩაშვილმა გადაიღო.

— „ნაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ?/ ვით იტყვიან, ვით აქებენ? ცან, ცნობანი მიაფერენ./ სიყვარული აგვამალლებს, ვით ეუფანნი ამას უღერენ,/ შენ არ სჯერხარ, უსწავლელნი კაცნი ვითმცა შევაჯერენ“ — ვინ არის ამ სტროფის ავტორი?

— (იციინის) რომ გითხრა, არ ვიცი-მეთქი, დამიჯერებ?

— მაშინ მითხარო, როგორ იწყება ეს ნაწარმოები?

— „რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერითა/ ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა/ ჩვენ კაცთა მოგცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა/ მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“.

— ეს ტაძარი VI საუკუნეში დაარსდა; ის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლია და ახმეტის რაიონში, მდინარე ალაზნის ველზე მდებარეობს. დაასახელე რომელია?

— (ფიქრობს) ალავერდის ტაძარი, არა?

— დიახ. რომელი მეფის დროს მოხდა ბასიანის ბრძოლა?

— თამარ მეფის დროს.

— ამჟამად სად მდებარეობს ეს ადგილი?

— პასუხის გაცემა მიჭირს.

— თურქეთის ტერიტორიაზე.

— თურქეთი უნდა მეთქვა, მაგრამ თავი შევიკავე.

— „იმდენად მარტოსული იყო, იმდენად თავისებური და განსხვავებული, მასთან დაახლოება და გაშინაურება, მისი გაცნობა და შეცნობა შეუძლებელი იყო. ჩაუნერია კიდევ: — თქვენ რომ გგონიათ, ის არ ვარო“, — ვკითხულობთ ვახტანგ ჯავახაძის ნიგნში, რომელიც ქართველ პოეტს ეძღვნება. დაასახელე ეს პოეტი.

— (ფიქრობს) ვერ დავასახელებ, მინიშნებას ვერ მეტყვი?

— ვახტანგ ჯავახაძის ამ ნიგნს „უცნობი“ ჰქვია.

— სამწუხაროდ, ნაკითხული არ მაქვს.

— ეს ნიგნი გალაკტიონს ეძღვნება. რამდენიმე წლის წინ, ლონდონში, კრისტის აუქციონზე, 1912 წელს გამოშვებული აფიშა 12.000 დოლარად გაიყიდა. ყველას სასიამოვნო და უსაფრთხო მოგზაურობაში ეპატიჟებოდნენ. სად?



— თუ შეიძლება, კითხვა გამიმეორე. (გამეორების შემდეგ) „ტიტანიკზე“, არა?

— გამოიცანი. არაბეთის ქვეყნებში მამაკაცები გრძელ, თავისუფალ, თეთრ ტანსაცმელს ატარებენ. ქალები კი — შავ სამოსს. არაბების თვალთახედვით, რატომ უნდა ატარებდეს ქალი მხოლოდ შავ სამოსს? — არ ვიცი.

— ისინი მიიჩნევენ, რომ ქალი მამაკაცის ჩრდილია. ამ მოსაზრებას თავად თუ ეთანხმები?

— არა. ამას როგორ დავეთანხმები!

— „მარცხდები და მინც მუდამ მწვერვალზე იდგე. შენ არასდროს კარგადი სიმაღლის გრძნობას, ამისთვის გემდუროდნენ, ამისთვის გებრძოდნენ, ვერ იქნა და ვერ დაგაჩოქეს... ბევრს სადიდებლად ეყოფა შენი დამარცხებული სპექტაკლები. შენ კი მუდამ მწვერვალზე გეჭირა თვალი. ზოგჯერ ისე ამყადაც, რომ ჩემთვის ვფიქრობდი: დამთავრდა! ის ახლა განდიდებულა მოკვდება! მაგრამ არ მესმოდა, რომ შენ იმ ნუთშიც ისეთვე თავნება ბავშვი იყავი, როგორც მაშინ, ეგ ზარქოსის პატივსაცემად რომ არ იმღერე „წვეთი სისხლიც არ არის შენში არაქართული“ — სწერდა მაყურებელი ერთ-ერთ ქართველ რეჟისორს...

— (მანყვეტილებს) და ეს რეჟისორი გახლდათ სანდრო ახმეტელი.

— რომელ გიმნაზიაში სწავლობდა იგი?

— ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ ვიცი, რომ ამ სიმღერის შეუსრულებლობის ანუ ეგზარქოსის უპატივცემულობის გამო ახმეტელი გიმნაზიიდან გარიცხეს.

— დიას, ის განჯის გიმნაზიაში სწავლობდა. ალკოჰოლურ სასმელებში კარგად ერკვევი?

— ზომიერად.

— უპირატესობას რომელს ანიჭებ?

— კონიაკი მირჩევნია.

— იზაბელა, საფრავი, ალექსანდროული, ცოლიკაური:

— ამ ჯიშებიდან რომელს არ აქვს შავი ნაყოფი?

— ცოლიკაურს.

— რამდენ წელიწადში ერთხელ იმართება ნობელის პრემიით დაჯილდოება?

— 4 წელიწადში.

— ცდები, ნობელის პრემიით ადამიანები ყოველ წელს ჯილდოვდებიან. გვირავი — „ინგლიშ ჩენელი“ რომელ სახელმწიფოს აკავშირებს დიდ ბრიტანეთთან?

— საფრანგეთს.

— რომელ სამხედრო შენაერთში შეხვდებით ბოცმანს — საზღვაო ფლოტში, არტილერიაში თუ ავიაცილაში?

— საზღვაო ფლოტში.

— „სიესტა“, „ალდგომა“, „ზამთრის პეიზაჟი“, „მზესუმზირები“, „არლის კაფე“ — ვინ არის ამ ცნობილი ტილოების ავტორი?

— გოგენი.

— რუსეთის დროშა რომელი სახელმწიფოს დროშას ჰგავს ფერთა პალიტრით?

— არ ვიცი, შემახსენე, რა ფერებია?

— წითელი, ლურჯი და თეთრი.

— (ფიქრობს) ვერ გიპასუხებ.

— საფრანგეთის. ზოგიერთ ქვეყანაში, რომელთა სასამართლო სისტემაც შარიათის ნორმებზეა, ქალებს აქვთ მანქანის მართვის უფლება, მაგრამ ავარიული შემთხვევისას არც ერთ მამაკაცს არა აქვს უფლება, მივიდეს დასახმარებლად. ამ კანონით ქალბატონებს აქვთ ფრიად მნიშვნელოვანი უპირატესობა. დაასახელე რაზეა ლაპარაკი?

— ვერც ამ კითხვაზე გიპასუხებ.

— მძლავრ ქალებს პოლიცია არ აჩერებს.

— მართლა? არ ვიცოდი. პირადად მე ქალი საჭესთან ძალიან მომწონს.

— საჭიროების შემთხვევაში დახმარება თუ აღმოგიჩნია?

— ასეთი რამ არ მახსენდება.

— რომელი კომპოზიტორის მუსიკა დაედო საფუძვლად საქართველოს ჰიმნს?

— ზაქარია ფალიაშვილის. ტექსტის ავტორი დათო მალრაძეა.

— „თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინა უსწარი მის სიკვდილს და თვალთ ველარ ნახავ“. ვისი დაკრძალვის დღეს წარმოთქვა ეს სიტყვები აკაკი წერეთელმა?

— ილია ჭავჭავაძის.

— როგორ პიროვნებას უწოდებდნენ ხარჭას?

— ამ სიტყვის ზუსტი ახსნა არ ვიცი, მაგრამ კარგი ქვეყის ადამიანებს რომ არ უწოდებდნენ, ვიცი.

— ხარჭა იყო პირი, რომელიც ვინმესთან ქონების გაჩვენებას ფარულ კავშირში იმყოფებოდა.

— ე.ი. ბოზს?

— რას ნიშნავს სიტყვა „ბოზი“ მცირე აზიაში?

— არ ვიცი.

— ლამაზს. რომელ სისხლძარღვებში მიედინება სისხლი ყველაზე ნელა?

— კაპილარებში, გამოვიცანი?

— დიას. „გიყვარდეს ის, ვინც გირჩევს და არა ის, ვინც გაქებს“ — ვინ არის ამ გამონათქვამის ავტორი?

— არ ვიცი.

— ბალზაკი. რა გვარია შენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟი — ჯოკოლა?

— ალხასტაისძე.

— რა ეწოდება დედამიწის შემცირებულ მოდელს?

— გლობუსი.

— ამ მომღერლებიდან რომელზე ჰქონდათ ეჭვი, რომ ის მაფიასთან იყო დაკავშირებული — ლუი არმსტრონგზე, რეი ჩარლზზე, ელვის პრესლიზე თუ ფრენკ სინატრაზე?

— ფრენკ სინატრაზე.

— ენსეი, დონი, კონგო, ობი — ამ მდინარეებიდან რომელი არ მიედინება რუსეთის ტერიტორიაზე?

— ენსეი.

— ცდები, კონგო არ მიედინება. რომელი ქვეყნის შემადგენლობაში შედის კუნძული გრენლანდია?

— არ ვიცი.

— დანისის. რომელია ამ ქვეყნის დედაქალაქი?

— კოპენჰაგენი.

— აშშ-ის პრეზიდენტებიდან რომელი იყო მსახიობი?

— არ ვიცი.

— რეიგანი. ვინ იყო ნიკოლოზ რიმსკი-კორსაკოვი?

— კომპოზიტორი.

— რამდენი წუთი აშორებს დილის 10 საათსა და 30 წუთს იმავე დილის 9 საათსა და 15 წუთსგან?

— (ანგარიშობს) 75 წუთი გამოდის.

— ნამდვილად ასეა. რამდენ ლიტრს შეიცავს 1 ბარელი?

— ვერ გიპასუხებ.

— 159 ლიტრს. მსოფლიოს 7 საოცრებიდან, რომელი მდებარეობდა თურქეთის ქალაქ ბოდრუმის ადგილზე?

— არ ვიცი.

— ჰალიკარნასის მავზოლეუმი. რა ეწოდება საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე გამავალ ხიდს?

— წითელი ხიდი.

— დაასრულე არაბული ანდაზა: „დედამიწაზე ყველაფერს ეშინია დროისა, დროს კი...“

— ხელოვნების.

— „...დროს კი პირამიდების“.



გონების საპარჯიშო

**„გზის“ ერთგული
მართხვალისათვის
(აითხვები)**

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გაცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვებისაჲნ არ გავაჩვენოთ თვალი

1. სადაური ცეკვაა „ოხოხ-ოია“?
2. ვინ ითვლება ყველა დროის ყველაზე მდიდარ ადამიანად?
3. სად მდებარეობდა ქართველ მეფეთა საყვარელი სანადირო ადგილი, ყარაია?
4. „გლდანურა“, „კომსომოლკა“, „საფესტივალო“, „კრასაეიცა ზაგორია“, „როშჩინსკაია“, „მისოვკა“. რა ჩამოვთვალეთ ასლა?
5. დაასრულეთ ინგლისელი ფილოსოფოსის — ტომას ჰობსის სიტყვები: „ადამიანები გეომეტრიულ აქსიომებსაც კი უარყოფდნენ, ...“
6. დაასახელეთ პოეტი, რომელიც 22 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ისპანის ობსერვატორიას.
7. დაასრულეთ ლენინის სიტყვები: „მი დალჟნი დავესტი გასუდარსტვა დო ტაკოვო ურავნია, შტობი უპრავეიატე ეი მაგლაბი ლიუბაია ...“
8. ვის ეკუთვნის სიტყვები: „კონკურენციის პირობებში პირადი ამბიციები საერთო კეთილდღეობას ემსახურება“?
9. სასტენდო სროლა 1880 წელს მას შემდეგ წარმოიშვა, რაც სამიზნე თევზების გასაშვები მანქანა გამოიგონეს. რას იყენებდნენ შეჯიბრების მონაწილენი მანამდე?
10. ვინ იყვნენ მარანები?
11. რატომ არის ტრიუფელი ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული დელიკატესი მსოფლიოში?
12. დაასახელეთ კვების სამშობლო.
13. დაასახელეთ ყველაზე დიდი ეკლესია მსოფლიოში.

ანექლოცენი



მეგრელი და სვანი ავტომობილებით შეასკვნენ ერთმანეთს. გადმოხტა მეგრელი კონიაკის ბოთლით ხელში, დაუსხა სვანს, — დალიე, ძმაო, ჩვენი გადარჩენისო. სვანმაც გადაკრა. კიდევ დაუსხა, სვანმა ისევ გადაკრა და მეგრელს ეკითხება, შენ რატომ არა სვამო? — შენ ხომ არ გაგიჟდი, რა უნდა დავლიო! სადაცაა პატრული მოვა!..

სვანი ლატარიის ბილეთების გამყიდველთან მივიდა და ეკითხება: — რამდენია ყველაზე დიდი მოგება? — 10 ათასი ლარი. — კარგია! გათამაშება როდის არის? — ერთ კვირაში. — ცუდია! მე ფული სვალისთვის მჭირდება.

ორი დაქალი საუბრობს: — რა სიმპათიურია ჩვენი ახალი თანამშრომელი ემზარი, რა ეშხიანია, რა ტანადი... მე რე როგორი სწრაფია?! ყველაფერს თვალის დახამხამებაში აკეთებს... ერთ წუთში... — ეეჰ, ეგ ნაკლი რომ არ ჰქონდეს, კაცი ვერ აჯობებდა...

კაცი აფთიაქში შევიდა და გამყიდველს თავის ტკივილის წამალი სთხოვა. ფული მიანოდა, აბი იქვე გადაყლაპა და ქუჩაში გამოვიდა. უცებ ძახილი ესმის: — მოქალაქე, მოქალაქე, მოიცათ! მე თქვენ შეცდომით თავის ტკივილის წამლის ნაცვლად დარიშხანი მოგცეთ. — კი, მაგრამ მე რომ ვერაფერს ვგრძნობ? — ჰოდა, ჩქარა, სანამ რამეს იგრძნობდეთ, თორმეტი ლარი განსხვავება გადამიხადეთ!

— მოშე, რატომ გამოდის თქვენი ბინიდან ვარდის სუნი? — როზა, ძვირფასო, შედი აბაზანაში და შხაპი მიიღე! — *** — სვანმა „მერსედესი“ იყიდა და გამვლელებს ეჯახება. — რას აკეთებ, გადაირიე?! — უყვირის გამვლელი. — აბა, კაპოტზე სამიზნე ტყუილად ხომ არ უყენია!

მამა სამი წლის ვაჟთან ერთად სეირნობს და მათ მოკლე კაბაში გამოწყობილმა ქერა ქალმა გვერდით ჩაუარა. — ნახე, რა „ბლანდინკა“ იყო! — ამბობს მამა. — „ბლანდინკა“ კი არა „ბრუნეტკა“ იყო, აქედან უკეთესად ჩანს! — ეუბნება შვილი.

ორი სვანი ბუჩქებში ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებას იკმაყოფილებს: — ქალაღდი არა გაქვს? — ეკითხება ერთი მეორეს. — ქალაღდი არა, პასტა მაქვს!

ჩუქჩას ჰკითხეს, რა კატეგორიის ელჩები იციო. ჩუქჩამ დაიწყო ჩამოთვლა: — პასოლ ცერეზვიცაინი, პასოლ უპალნამოცენი ი პასოლ ნა ხ...





გონების საპარჯიშო

„ზის“ ერთგული მართხვალისათვის

(პასუხები)

1. მეგრული. იგი ორ მწკრივად აგებული საფერხულო წყობითა და გამკილავი ხასიათის სახუმარო შირების თანხლებით სრულდება.
2. „სტანდარტ ოილის“ დამაარსებელი ჯონ როკველერი, რომელიც 1937 წელს გარდაიცვალა. მისი ქონება თანამედროვე შეფასებით 125 მილიარდ დოლარს აღემატებოდა.
3. დღევანდელი რუსთავის მახლობლად.
4. მარწყვის ჯიშები.
5. „მათ ინტერესებს რომ ეწინააღმდეგებოდეს“.
6. ომარ ხაიამი.
7. „კუხარკა“.
8. ადამ სმიტს.
9. შეჯიბრების მონაწილენი მანამდე ცოცხალ სამიზნეს, სპეციალური ყუთებიდან გამოშვებულ ველურ მტრედებს ესროდნენ.
10. შუა საუკუნეებში ესპანეთსა და პორტუგალიაში მცხოვრები ებრაელები, რომლებსაც სასტიკად დევნიდა ინკვიზიცია და იძულებულნი იყვნენ ქრისტიანობა (კათოლიკობა) მიეღოთ.
11. ეს სოკო მხოლოდ ევროპის ტერიტორიაზე, მინის ქვეშ იზრდება და მათ საძებნელად ძაღლებს და ღორებსაც კი გეშავენ. იტალიაში ერთ ცალ ტრიუფელს 25 დოლარად ყიდნიან, ნიუ-იორკში კი მისი ფასი ოთხმოციდან ას დოლარამდე აღწევს.
12. გერმანია.
13. წმინდა პეტრეს ტაძარი რომში.

* * *

— ქათამი ამდენი ღირს, ლორი — ამდენი, ძროხა — ამდენი! — ჩამოთვალაჭიჭიკიამ.

— ვაა, შენ რა, საქონელმცოდნე ხარ?

— არა, დამწყები ავტომოყვარული!

* * *

ორი სვანი რენტგენის კაბინეტში შევიდა.

— რა გნებავთ? — ეკითხება ექიმი.

— მიდი, ძმურად, ერთი სამახსოვრო სურათი გადაგვიღე რა, — უთხრეს სვანებმა და ერთმანეთს ხელი გადახვიეს.

* * *

პოლიციელები ქუჩაში მიდიან. ხედავენ, ხეზე კაცს თავი ჩამოუხრჩვია.

— ეს გვინდოდა ახლა ჩვენ? — მოდი, სხვა რაიონში გადავიტანოთ.

გადაიტანეს და ხეზე ჩამოკიდეს. მოდიან იმ რაიონის პოლიციელები:

— ვაა! ეს ისევ აქ კიდეა?!

* * *

ბებია შვილიშვილს ეკითხება: — დაბადების დღეზე რა გიყიდო?

— მუსიკალური დისკი, ბებო.

— რომ არ ვიცი, რომელი მოგეწონება?

— სთხოვე, მოგასმენინონ და რომელიც არ მოგეწონება, ის მიყიდე.

* * *

მამაკაცი უცნობ ქალს ეკითხება: — მილიონ დოლარად ჩემთან დანვებით?

— რასაკვირველია!

— ერთ დოლარად?

— თქვენ მე ვინ გგონივართ?

— ვინცა ხართ, ეგ უკვე გავარკვიე, ახლა ფასზე შევთანხმდეთ.

* * *

ბარში ორი კაცი შედის. — ორი ლუდი მოგვიტანეთ, ოლონდ — სუფთა კათხით.

ორ წუთში ოფიციანტს ორი ლუდი მოაქვს. — სუფთა კათხით რომელმა შეუკვეთეთ?

* * *

მამა ქალიშვილს ეკითხება: — როგორ არის შენი და შოთიკოს საქმეები?

— წვრილმანებზე ვკამათობთ.

— მაინც, რაზე?

— მაგალითად, მე მინდა, ქორნილში თეთრი კაბა ჩავიცვა, იმას კი საერთოდ არ უნდა ცოლის მოყვანა.

* * *

სკოლის ექიმის კაბინეტში მონავლე გოგონა ზღუქუნებს:

— ექიმო, ძალიან ცუდად ვარ, სკოლის გაფიქრებაზეც კი გული მერევა! ფეხშიმედ ხომ არ ვარ?! გუშინ ვასიკო ისე მიყურებდა...

* * *

მიხოს შვილმა ცოლი მოიყვანა. დილით მიხო ეკითხება:

— რა ქენი, შვილო?

— ვერაფერი, მამი!

— ამის დედა ვატირე! მოკლედ, ამ სახლში ყველაფერი ჩემი გასაკეთებელია, რა! — გაბრაზდა მიხო.



* * *

- ექიმი:
- გასახდომ აბებს ლეჭავთ?
 - დიახ.
 - რამდენს?
 - სანამ კარგად არ გავძლები.

ჩვენი უოსო მადანაა





კოროსკოპი

28 ოქტომბერი - 3 ნოემბერი

ვიზი

იდების განსახორციელებლად დამოუკიდებლად იმოქმედეთ. სხვათა რჩევებმა შეიძლება, გაგალიზიანოთ კიდევც.

კუჩრი

მეგობრებთან და ნათესავებთან შეხვედრები გელით. მათგან მიღებული საჭირო ინფორმაცია სასიკეთოდ გამოიყენეთ.

ტყუპი

თუ ყურადღების ცენტრში ყოფნა გსურთ, თქვენს სფეროში საუკეთესო უნდა იყოთ. მეტი დრო დაუთმეთ განათლებას.

კიჩბხი

წარმატება თქვენს აქტიურობაზეა დამოკიდებული. მეგობრებისა და ნაცნობების დახმარებით ახალი იდეების განხორციელებას შეძლებთ. დასვენების დღეები ბუნებაში გაატარეთ.

ღიმი

საქმეში ახალი პარტნიორები ჩართეთ. დილაობით ივარჯიშეთ და აუზს ეწვიეთ. მეტი დრო გაატარეთ საყვარელ ადამიანებთან ერთად.

ქახუდი

ნათესავების დახმარებით ახალ ნაცნობებს შეიძენთ და შესაძლოა, მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდოს. მეტი დრო დაუთმეთ თვითგანვითარებას.

სახსნი

ეცადეთ, არ გადაიღალდეთ. მაქსიმალურად დაისვენეთ. თუ შესაძლებლობა მოგეცემათ, რამდენიმე დღით ქალაქგარეთ გაემგზავრეთ.

ვიზი

კვირის დასაწყისი შემოქმედებით საქმიანობას მიუძღვნით. გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. ახალი გემების გასაცნობად ბიზნესპარტნიორები შინ მიიწვიეთ.

მედიცინა

საოჯახო საქმეების მოგვარება ბევრ დროსა და ენერჯიას წაგართმევთ. ეცადეთ, ნათესავებთან ურთიერთობა არ გაიფუჭოთ. სამსახურში დაუფიქრებელ ნაბიჯებს ნუ გადადგამთ.

ღიმი

კარგი პერიოდია შემოქმედებითი საქმიანობისთვის. საკუთარი ემოციები და განცდები ფურცელზე გადაიტანეთ. ხანმოკლე მოგზაურობა განწყობილებას აგიალლებთ.

ვიზი

ფინანსური ოპერაციები სასიკეთოდ წაადგება თქვენს ბიზნესს. ეცადეთ, არ გათქვათ სხვათა საიდუმლოებები. საკუთარი კეთილდღეობისთვის იბრძოლეთ.

ღიმი

კოლეგებთან ურთიერთობისას მაქსიმალურად მშვიდად და დიპლომატიურად იმოქმედეთ. კვირის ბოლოს სალონში შეიარეთ და გარდერობი განაახლეთ.

რას ნატავს ბავშვი?

ბავშვის ნახატმა შეიძლება, მრავალ საიდუმლოს ახადოს ფარდა. მოამზარავეთ თქვენი პატარა ფურცლებითა და ფერადი ფანქრებით და სთხოვეთ, ოჯახის წევრები დახატოს.

ნუ გაგიკვირდებათ, თუ პირველად საკუთარ თავს დახატავს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეგოისტია. უბრალოდ, ის საკუთარ სამყაროს ხატავს, რომლის მთავარი გმირიც თვითონ არის. თუ ფურცელზე მხოლოდ თავისი თავი გამოსახა, ოჯახიდან გარიყულად და მიტოვებულად გრძნობს თავს. საერთოდ, იგი ოჯახის იმ წევრებს დახატავს, რომლებსაც საკუთარ სამყაროში ახედებს და მნიშვნელოვან პიროვნებად მიიჩნევს.

ბოლოს ფურცელზე ცხოველები და ფრინველები გაჩნდება. თუ ბავშვი მათ საკუთარი თავის შემდეგ დახატავს, მზრუნველობა, სითბო და სიყვარული აკლია. თუ ოჯახის რომელიმე წევრის მიხატვა „დავიწყდა“, მას თავისიანად არ მიიჩნევს, ან მასზე ნაწყენია და სამაგიეროს გადახდა სურს.

თუ მშობლების გვერდით, საკუთარი თავი მცირე ზომის დახატა, ბავშვი მშობლებზეა დამოკიდებული. ეცადეთ, ის უფრო დამოუკიდებელ, თავისუფალ პიროვნებად გაზარდოთ.

თუ ნახატზე ოჯახის წევრებს ერთმანეთისთვის ხელი აქვთ ჩაიდებული,

ბავშვი თავს დაცულად გრძნობს. საკუთარი თავთან ახლოს ყველაზე საყვარელ ადამიანს გამოსახავს.

თუ მშობლები ხშირად კამათობენ, ნაკლებ დროს ატარებენ ერთად, პატარა მათ ქალაქის სხვადასხვა კუთხეში მიუჩენს ადგილს. თუ საკუთარი და-ძმა ყველაზე პატარები ან სხვებთან შედარებით მახინჯები დახატა, იგი მათზე ეჭვიანობს. თუ ოჯახის წევრები გაღიმილები არიან, ფერადი ბუშტები და ყვავილები უჭირავთ, ეს იმის ნიშანია, რომ ბავშვი ოჯახში თავს ბედნიერად და დაცულად გრძნობს.

ახლა დააკვირდით — როგორ დახატა ოჯახის წევრები? თუ რომელიმეს გრძელი ხელები აქვს, მისი ეშინია; თუ მამა შვილს ხშირად ეჩხუბება, ბავშვს მისთვის პირის დახატვა „დავიწყდება“. პატარა, რომელიც ოჯახის წევრებთან თავს არაკომფორტულად გრძნობს, მათ გამლჩილი ხელებითა და თითებით გამოსახავს. გრძელფეხება ოჯახის წევრები მიგვიჩვენებს, რომ პატარას მეტი დამოუკიდებლობა სურს. თუ ოჯახის ყველა წევრს ხელები მაღლა აქვს აწეული, ბავშვს მოსწონს, როცა მის გამო წერვილობენ და შეიძლება, განზრახ აშინებს კიდევ მათ.



როგორ აფერადებს ნახატს: ბავშვი მისთვის საყვარელ ადამიანსა და საკუთარ თავს ერთ ფერში გააფერადებს. სერიოზული და მშვიდი პატარები ძირითადად ცივ ფერებს იყენებენ. თბილი ფერები ენერჯიულესსა და მხიარულებს მოსწონთ. თუ ნახატი შავ-თეთრ ტონალობაშია შესრულებული, ბავშვი სამყაროსგან გარიყულად გრძნობს თავს.

გაფერადების დროს თუ ბავშვმა კონტურები გადაკვეთა, დამოუკიდებელი და თავისუფლების მოყვარეა. თუ ყველაფერი აკურატულად გააფერადა და, უფრო მეტიც — კონტურსა და ძირითადად ფერს შორის თეთრი ზოლი დატოვა, მას თქვენი მხარდაჭერა და დაცვა ესაჭიროება. ■



		1. არაბული ზღაპრების გმირი	2. ინგლისური ბილი-იარღი							
					3. უდანა-შაულობის საბუთი		4. ქართული სოფელი საფრანგეთში		5. ბრძოლა	
			6. თითი							7. ქვეყანა აფრიკაში
					8. მარცვლეული კულტურა					
						9. მტაცებელი ფრინველი				
10. გონებასუსტი ადამიანი		11. ქვეყანა აზიაში					12. მაუგლის მეგობარი დათვი			
13. ქცევის თავისებურება				14. საფლავი	15. ადვოკატი			16. საზოგადოებრივი ლექსი		
17. ფრინველის ბინა										
			18. საწვინელი ბრძოლა კრეშში	19. მუზეუმი პარიზში				20. ქვეყანა ევროპაში		
21. რეპუტაცია	22. კანი ფრანხილის გარშემო				23. სიბრძნის ქალღმერთი ბერძ. მით.			24. ჭრილობა		
				25. ვინც ვისამე სიკეთეს არ აფასებს						
26. უთითებო ხელთათმანი	27. მდინარის პატარა თევზი		28. ქართული ლიტერატურული პრემია			29. თანამდებობის პირის მხლებლები	30. ჩვენთან ახლოს			
			31. ხეებით დაფარული ფართობი			32. ლიბანის დედაქალაქი				
33. მტკიცე პირობა	34. ამომავალი მზის ქვეყანა									
	35. მდინარის ქვიან ნაპირი	36. ქალაქი საქართველოში								
						37. ლენინის ნამდვილი გვარი				
	38. პოსტაბჭოური ქვეყანა							39. მაკობელი ფრინველი		



წინა ნომრის სკანოვრის პასუხები 1. კონდიტერი; 2. ნირი; 3. ჩიჩინი; 4. ტუნიკა; 5. სიცილია; 6. ტერმინალი; 7. ლანდი; 8. აირი; 9. ჰაენა; 10. ფრე; 11. თამადა; 12. თიკუნი; 13. ნობელი; 14. პა; 15. ტრაპი; 16. პანოი; 17. ხუჯაძე; 18. ლიბია; 19. ორეონი; 20. ნარდი; 21. ხატი; 22. რეპი; 23. ბახალა; 24. გალა; 25. საგა; 26. არხარი; 27. გიდი; 28. ნიჭი; 29. ჭაღარა; 30. ირმა; 31. ორსული; 32. ლეპტოპი; 33. ქოხი; 34. ხანუმა; 35. ფილა; 36. რანდა; 37. უსუსური; 38. მანქანა; 39. ზომა; 40. რეპტილია; 41. პაზილიკა. **სურათებზე:** 1. კეტი ჰოლმსი; 2. ტომ კრუზი.



სასწავლო ცენტრი "British Connection"

გთავაზობთ სხვადასხვა სასერტიფიკატო
ბამოსტებისათვის მოსამზადებელ კურსებს:

•FCE (B1-B2) •CAE •TOEFL •IELTS

დიდი ფასდაკლება 31 ოქტომბრამდე

~~150~~ - 120 ლარი

20%

☎ 308 135 / 855 301 390
www.britishconnection.ge
მისამართი: ბუღაჩეშვილის №1

წარადგინე ეს ფასდაკლების კუპონი

ბიბლუსი

Books

წიგნის მაღაზიათა
ქსელი მთელ
საქართველოში

მიიღე „ბიბლუსის“
დაგტოვებითი მატათი საჩუქრად!

შეაჯსე შენი მიმლიტთუჯა
ახალი წიგნებით!

ბიბლუსი წიგნის მაღაზიათა ქსელი „ბიბლუსი“
დაგროვებითი ბარათი!

- ბიბლუსში დახარჯულ ყოველ 15 ლარზე დაგროვდება 1
- დაგროვებული ვარსკვლავებით შეიძლია აირჩიოთ ხაჭუქარი „ბიბლუსის“ მაღაზიაში
- შეიძინეთ წიგნები, ნაჩიბთე შეტი და დააგროვე ვარსკვლავები

0000001

წიგნის მაღაზიათა ქსელი ... ბიბლუსი ...

ბიბლუსი შეიძინე წიგნები დააგროვე ვარსკვლავები და მიიღოე **ხაჭუქრები!**

1 * = 1 ლარი

წიგნითი წიგნები - უსაფრსო იაფები!

თბილისი:

რუსთაველის 40/1
აღმაშენებლის № 121
იოსებშიის № 49
რობაქშიის № 7
ბახტრიონის №12
ს.ს. თბილისი ცენტრალი
მე-3 სართული

ქუთაისი:

ლ. ნუსუბშიის №1

სამგრაფია:

სააკაშიის № 6

საგური:

რუსთაველის №69

გათუვი:

მამედ აბაშიის №62
ფარნავაზ მეფის №18

ღუბეთი:

რუსთაველის №11

ზუგდიდი:

რუსთაველის №92

რუსთავი:

მამოგრობის №12

სენაკი:

რუსთაველის №239

ოჯურგათი:

9 აპრილის პარკი

ფოთი:

ფარნავაზ მეფის №15

ბოლნისი:

სულხან-საბას №106

☎ 307 402

www.biblusi.ge

ყურადღება! ყურადღება! ყურადღება! ყურადღება! ყურადღება! ყურადღება!

 გურამ გოგოლი 1	 ვიხილ ჯავახიშვილი 2	 შალვა ჯუღრაძე 3	 ილია შალვა 4	 გურამ გოგოლი 5	 გურამ გოგოლი 6
 რეზო გოგოლი 7	 სააკი გოგოლი 8	 გურამ გოგოლი 9	 ლავრო კლიაშვილი 10	 გურამ გოგოლი 11	 გურამ გოგოლი 12
 გურამ გოგოლი 13	 არჩილ გოგოლი 14	 ლევო გოგოლი 15	 გურამ გოგოლი 16	 გურამ გოგოლი 17	 გურამ გოგოლი 18
 გურამ გოგოლი 19	 გურამ გოგოლი 20	 გურამ გოგოლი 21	 გურამ გოგოლი 22	 გურამ გოგოლი 23	 გურამ გოგოლი 24
 გურამ გოგოლი 25	 გურამ გოგოლი 26	 გურამ გოგოლი 27	 გურამ გოგოლი 28	 გურამ გოგოლი 29	 გურამ გოგოლი 30
 გურამ გოგოლი 31	 გურამ გოგოლი 32	<p>ყურადღება! მხოლოდ 14 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე</p>			
					

საგანძურები

პროზის

განხილვა

ყურადღება!

პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი“ გთავაზობთ

მხოლოდ 14 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე

გამოიწერეთ ჟურნალი „გზა“ „ქართული პროზის საგანძურთან“ ერთად და შეიძინეთ უკვე გამოსული წიგნები, თითოეული მხოლოდ 3 ლარად!

ასევე -

გამოიწერეთ ჟურნალი „საბავშვო კარუსელი“ „ჩემს საყვარელ ზღაპრებთან“ ერთად და შეიძინეთ უკვე გამოსული ზღაპრების წიგნები თითოეული მხოლოდ 4 ლარად!
გამოიწერეთ ჟურნალი „რეიტინგი“ „მსოფლიო დეტექტივების სეიფთან“ ერთად და შეიძინეთ უკვე გამოსული დეტექტივების წიგნები თითოეული მხოლოდ 2 ლარად!

„ელვა.ჯი“ ტელ: 38 26 73; 38 26 74

www.elva.ge

ფოტოკუჩიონები



სინეკოდი




გუტამირატის ციტრათი

სინეკოდი - ხველის საწინააღმდეგო კლინიკური საშუალება

ბ 134 / 38



სინეკოდი
საწინააღმდეგო
ხველის საშუალება



მადლი უსაფრთხოება:

- ხველის საწინააღმდეგო არანარკოტიკული პრეპარატი
- სინეკოდის წვეთები გამოიყენება ბავშვებში 2 თვის ასაკიდან

კვლევებით დადასტურებული ეფექტურობა:

- ხსნის ნებისმიერი წარმოშობის კლინიკურ, მურალ ხველას, მათ შორის შეზავით ხველას ყოველწველას დროს

პრეპარატის გამოყენების წინ გაცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

NOVARTIS

ნოვარტისი, შვეიცარია

გ. ტაბიძის ქ. №18; ტელ.: 98 27 30; 98 27 50